ვანო ხუციკვაძე

ავტოპორტრეტი ძველ ჩარჩოში

ერთტომეული

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2006

„ავტოპორტრეტი ძველ ჩარჩოში“ ვანო ჩხიკვაძის ერთტომეულია. წიგნში შესული ლექსები სხვადასხვა წლებში გამოქვეყნდა პოეტის წიგნებსა და ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში.

რედაქტორი გიორგი ლობჟანიძე

მხატვარი გიორგი წერეთელი

2005

●

ოდესღაც გწერდი:
„ველი გაზაფხულს!“—
მაგრამ, ძვირფასო, ასეთს კი არა,
ნათიბის სუნმა ველარ დამათრო,
ვერც გაზაფხულის ზეცამ კრიალამ.

ვერ გავიგონე წვეთის სიმღერა,
ვერ დავისუსხე წვიმის შოლტებით.
მიდის ცხოვრება და მიიმღვრევა
დროის გულცივი ქარაშოტებით.

მე ხომ ბავშვურად კვლავ მიმაქროლებს
სიზმრები ცრემლით შემოვერცხლილი,
და ხელისგულზე შენი ამბორი
დევს დაჭორფლილი ჩიტის კვერცხივით.

თავსხმა წვიმაში, უკანასკნელი,
ცვდება მინდვრებზე მზის ხავერდები,
დახურულია ზეცის სარკმელი
და შემოდგომის კართან ვბერდები.

ჩემს სიყვარულსაც გზა შეუმოკლეს,
ჭკნება ოცნებაც და ნაფიქრალიც.
მინდვრის ყვავილო, ისე ნუ მომკლავ,
შენი სახელი მაინც მითხარი.

●

აღარც ილიას მერცხალი ჭყივის,
არც ბახტრიონთან ჰყეფენ გმირები.
გათავდა, შენ ხარ დაშლილი ტივი,
გადატეხილი ორთაყვირებით.

სამშობლოვ!
ასე სადამდე ივლი,
ჩვენს სისხლს როდემდე გამოიზოგავ.
ისე მწარე ხარ,
ნეტავი „ტკბილი“,
პირველად ვინ და რატომ გიწოდა.

პატარა მხატვარი

ვანიკოს

გაფიჩხულ ტოტზე ბელურა ჩიტი
იჯდა და ფანქრით ხატავდი, შლიდი...

თავლ-ჭყაპში ვიღაც ბარბაცით მოდის.
აფრინდა ჩიტი. მარტოა ტოტი.

ბუხარი ფანტავს კვამლის ნაფაზებს.
მოსწიეს ტოტი და გადაკაფეს.

და ბავშურ ნახატს შემორჩა მხოლოდ
ტოტი და ჩიტის ქანქარა ბოლო.

შეძახილი

— ეს რა ხდება?
ერიჰაა!
სათამაშო ერი ხარ!

დიალოგი მონტელოს ველზე

ბაჩანა ბრეგვაძეს

გაყუჩებულა მონტელოს ველი,
თიბათვის ღამე მთვარემ აავსო.
ორი ბრძენი, თან ორი სულელი
მითოხარიკობს და მიბაასობს.

ხან შლეგი, ხანაც ბრძენი კატონი,
ხმას დაიბოხებს და ორატორობს —
მიუბრუნდება მსახურს პატრონი:
— მისმინე, სანჩო!
— გისმენთ, ბატონო!

— ჩენჩოს ფასი აქვს ჩვენს შეგონებას .
თუ არ ეყოლა კარგი გამგონე,
ხალხი სახედარს უფრო ენდობა,
ვიდრე მეფეს ან გუბერნატორებს.

რაში არგია მრჩეველის ჭკუა,
როცა მსმენელი გონებით ყრუა.

— თუ სულერთია ვინ-წინ, ვინ-უკან,
თქვენმა წყალობამ არ მიმატოვოს,
მაშინ მოდით და ჩემი ვირუკა
ჰერცოგად მაინც დავსვათ, ბატონო.

მოსმენაც იცის, თავის დაქნევაც,
ბოლოსდაბოლოს, ესეც საქმეა.

— მაცალე, სანჩო!
თუ ვკითხავ გუმანს,
ბოლოს ხომ მაინც ვირი ვირია —
აყროყინდება იქ, სადაც სდუმან,
ან გაჩუმდება, როცა ჰყვირიან.

შეეფერება განა მეფობა,
არაკაცს ან მის უვირესობას?

ჩაფიქრდა სანჩო,
ვერ იტყვის ტყუილს,
იფხანა ქეჩო, როგორც სჩვევია,
ესა თუ ისა,
ვაი თუ ვუი,
მართლაც რომ ძნელი ასარჩევია:

—მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ
მაინც შეგკადრებთ, ბრძენო იდალგო,
ქვეყანა, სადაც კაცი არ ვარგა,
არ შეიძლება ვირმაც ივარგოს.

მოკლედ რომ მოვჭრა,
პირი, პირია —
რაც მე ვარ
ისიც ჩემი ვირია!

— როცა არა გვაქვს სხვა არჩევანი, —
წინ წკვარამია, უკან ღამეა,
გვაქვს ძაღლყურძენას ორი მტევანი —
ვჭამოთ, რომელსაც ცოტა შხამი აქვს.

— რადგან ეგრეა, ნება მიბოძეთ,
ახლა სხვაგვარად ავწონ-დავწონო —
ლურჯა რომ ჩემზე ჭკვიანი იყოს,
არ შემისვამდა ზურგზე, ბატონო!

— სხვა საწუხარი მტანჯავს, მე, განა?
ჯავრით როგორ არ გადაირევი,
ისე დაჩლუნგდა ჩვენი ქვეყანა,
რომ პატრონებზე შესხდნენ ვირები...

მწუხარე სახის რაინდის ჯიბრზე
გამობრწყინდება მონტელოს მთვარე,
რომ კიდევ ერთხელ დაუფრთხოს ძილი
პანსას და ვირის თვინიერ თვალებს.

ათასი წელი, ლორლიან გზაზე,
მიჩურჩულებენ, უკაბადონო
სამყაროს ართობს მათი ბაასი:
— მისმინე, სანჩო!
— გისმენთ, ბატონო!...

მარტივი ლექსი

დილაა, სისხამი, ფიფქავს და თოვლია,
ღუმელში — ცეცხლია, ჰაერში ბოლია.
აიკლო გნიასით უბანი ბროლიამ —
ვილაცა იძახის:
— დეიდა ოლია!

გახედავს დიდედა, ცაც თოვლის ფერია,
შემოიპატიჟებს, ძაღლს მოუგერიებს.

ბედობა დღე არის, კეთილად დაცდიან—
შემოსულ მეზობელს ჭიქას მიაწვდიან.

— რამხელა გაზრდილა, რა ბიჭი გვყოლია! —
დამლოცავს, ჩაცეცხლავს ორნახადს კოლია.

დილაა, სისხამი, ფიფქავს და თოვლია,
წავიდნენ, წავიდნენ, ვითომ არც მყოლიან.

აღარც ოლიაა და აღარც — კოლია,
ჭირი თან წაიღო ფხიზელმა ბროლიამ.

სად არის ის ბიჭი?
ან მე აქ რა მინდა,
ვეძებ და...
ვილაც სხვა მიყურებს სარკიდან.

როგორ მენატრება

იაკობ გოგებაშვილს

აივსო მთვარე და
ღამე გაილია,
უკვე ყველაფერი
სულ სხვა —
ნაირია.

ქვეყანას აყრუებს ყვავი — პრიმადონა,
ნაგავს მოწყენილი ქექავს იადონი.

ბლუები, ყრუები, სიმღერად დამსხდარან:
— აბა, ყურადღებით,
ტახტზეა მასხარა!

უკვე ყველაფერი სულ სხვანაირია,
დიდი მოთმინების ჯაჭვიც გაილია.

მოდი, „დედაენით“ ენა აუცერი,
ხატად დაგვისვენე მისი თავფურცელი.

ერთად დაგვიმარცხე ყველა ავსული და,
მოდი მომავლიდან,
მოდი წარსულიდან.

ქართულ ჩუქურთმიან,
ქართულ აივნიან,
მხოლოდ სიზმრებს ვხედავ —

სული დაილია,
როგორ მენატრება შენი გაოცება,
შენი გულუბრყვილო:
— აი, ია!

ლოზუნგი

ღმერთო, რა იქნება,
ღმერთო, რა მოხდება,
მეც რომ მათქმევინო
ერთხელ სიამაყით:
— მტრებო, ჩემი ქვეყნის,
ამაოდ ირჯებით,
ჩვენს შორის ვერ იპოვნით
გამცემს და მოღალატეს.

გათენდა

მეუფე ანდრიას

მადლობა უფალს, გათენდა,
ოშკთან, ილორთან, ატენთან.
შეხე, ღვთის თვალი ტრიალებს,
ჩემს სათაყვანო ხატებთან.

სიცოცხლე ისევ მომწყურდა,
გათენდა, გრემთან, აწყურთან.
დედა-ღვთისმშობლის ლოყაზე
შვების ცრემლები დაცურდა.

ფეხი ხელახლა ავიდგი,
ზარების ჩამორეკვაზე,
გაბრწყინდა დიდი დავითის
შუბლი გელათის ფრესკაზე.

გათენდა, მაინც გათენდა,
ალაზანთან და იორთან.
ფანტავს ვარსკვლავთა ნაპერწკალს
წმინდა გიორგის იორღა.

მადლობა უფალს, გათენდა,
ოშკთან, ილორთან, ატენთან.
შეხე, ღვთის თვალი ტრიალებს,
ჩემს სათაყვანო ხატებთან.

ხმა მღაღადებლის ამაღლდა—
ჭირს ქედი არ მოუხარო...
თუ ეს სიზმარი არ ახდა,
ნურც გამაღვიძებ, უფალო!

●

თექვსმეტმა იანვარმა ხეები ააყვავა
თეთრად გადაპენტა ღვთიურმა ძალამ.
დაღმართი ჩავიარეთ.
აღმართი ავათავეთ —
მეგობრის მამას ვკრძალავთ.

ეკალი გაგლიჯეს, ყამირი შემობარეს,
შვილი გაუღვიძეს ფრთხილად —
მამას ელოდება ჩემი მეგობარი,
აკრული მარმარილოს ფილას.

წლები გარდასული გამუდმებით ყეფენ,
კვალში მიდგანან და უდანოდ მკლავენ.
ჩემი მეგობარი მალე შეაგებებს
მშობელს მონატრებულ მკლავებს.

მეგობრის შვილების ცოდვით აღარა ვარ —
მისდევენ ფურირემს, დარჩენილს ცალად.
დაღმართი ჩავიარეთ,
აღმართი ავათავეთ —
მეგობრის მამას ვკრძალავთ.

ბაქანი

სველი წვიმით და დაღლილი ქარით,
ზის მათხოვარის გვერდით, კარებთან.
სუყველა გარბის,
სუყველა ჩქარობს,
მხოლოდ ამ ქოფაკს არ ეჩქარება.

მეც დამშეული ძაღლივით, კუშტი,
ვზივარ ამაოდ გზაგასაყართან —
მატარებელი, რომელსაც ვუცდი
აღარ ჩერდება ამ ძველ ბაქანთან.

●

იანვარი გავიდა,
თებერვალიც გაივლის,
რატომ არ მავიწყდება
ფერი შენი აივნის.

შუქი შენი თვალების,
წელის მიმორხევანი,
სიზმრად შემეფეთები
ანგელოზთა მხევალი.

ძარღვებს აღტაცებული
ჟრუანტელი დაივლის...
რატომ არ მავიწყდება
ფერი შენი აივნის!

●

დარდით გულგატეხილი,
რამდენ ღამეს გაათევ,
ვიდრე ფეხგამოკრული
შეირყევა ტახტი.

საქართველო მოკლეს და
გულზე ვარდი დაადეს,
ცრემლები დაამადლეს
იაფი და ნაღდი.

ვერსად დაიმალები,
ბევრიც რომ ისხმარტალო,
მაინც გაკოჭილი ხარ
სიძულვილის ბადით.

წავალ, მაგრამ სად ვპოვო,
ქვეყნად შენი ბადალი,
მშობლიური ბუდიდან
თუკი გადმოვვარდი...

აქ ვინ ჩამოგატარა,
ჩემი ძვლების ნარიყო,
მტერმა გესლით მთვრალმა თუ
დაბანგულმა რახით.

მახვილით დაისჯება,
ვინც მახვილი აიღო —

ჯერაც არ შეშრობია
ჩემი სისხლი მახვილს...

მერამდენე წელი და
მერამდენე საათი,
ცრემლებით იწერება
მძიმე ფოლიანტი:

„საქართველო მოკლეს და
გულზე ვარდი დაადეს,
ცრემლები დაამადლეს
იაფი და ნაღდი.“

ცრუ წინასწარმეტყველთა
ხროვა მოგვდევს, გვიყეფავს,
მორჩილების გალავანს
რადგან გადაახტი,

მეტი რა დაგრჩენია,
უკან არ მოიხედო,
დაიკრიფე მორჩილად
ხელები და... წადი!

2004

სადღაც

ვიცი, რომ სადღაც რტო აყვავილდა,
მთვარე ბულრაობს თეთრი ეშვებით,
მე კი დამჩხავის ხიდან ყვავი და
თვითმკვლელობაზე ფიქრებს ვეჩვევი.

ამ გაზაფხულზეც ლურჯად ნაწვეთი,
მაფხიზლებს იის თვალის ახელა.
რა ვქნა, სხვებივით ზურგს შეგაქცევდი,
სამშობლო რომ არ გერქვას სახელად.

იასამანი

ფუტკრის სკებთან ფუსფუსებენ წმინდა მამანი,
მაყვლიანში თაფლისფერი იწვის საღამო.
ღობესთან დგას მოწყენილი იასამანი,
აგვიანებ აყვავებას, იასამანო.

სულში წვეთავს შორეული რეკვა ზარების,
რომ ცოდვები სინანულის ცრემლმა დანამოს.
ვიყავ. გნახე.
გულნატკენი მივემგზავრები.
ჭირისუფლად ხომ დადგები, იასამანო!

აწყვეტილი ბილიკები ცისკენ მიდიან,
ხელგაშლილი მელოდება შემწე ობოლთა.
მაცხოვარო, რა სიჩუმე, რა სიმშვიდეა,
თითქოს უკვე გავიარე ჩემი გოლგოთა.

ფუტკრის სკებთან ფუსფუსებენ წმინდა მამანი,
მაყვლიანში თაფლისფერი იწვის საღამო.
თავდახრილა მგლოვიარე იასამანი—
მწუხარებაც როგორ გშვენის, იასამანო!

●

მიილევა ზამთრისპირი,
ტყდება წვიმის რიკულები.
ვწევარ მარტო.
უფრო ხშირად
ზეცისაკენ ვიყურები.

მეძახიან კორდებიდან
შორეული ახლობლები.
მიწავ,
როგორ მშორდები და
ცაო, როგორ ახლოვდები.

ნათლისმცემლობა ღამე

პირველად როცა გიხილე,
თრთოდა სხივების მდინარე
ხნულს მიჰყვებოდი ღილინით,
ნათლისმცემელო ივანე.

ჩაპოეტდიოდა კამკამა
შუბლ'ხე ნათელი წყალივით,
მეც პეშვი შევუშვირე და
ვსვამდი ურუანტელდავლილი.

. .

გნახე და მაშინ ვირწმუნე,
წუთისოფელი ქარია,
დიდი სოფლისკენ მიცურავს
ჩვენი სიცოცხლის გალია.

ყრმა ვიყავ, სოფლის ღელესთან
ზელდი ალიზის თიხასა,
თავზემოთ ცისარტყელებით
ზეცა რომ გადაიხაზა.

ჩამოსხდნენ თეთრი მტრედები,
მანიშნე, ბანი მითხარო,
ერთად, ნუნუას წყალობით,
დავაგუგუნეთ „წინწყარო“.

ხან ტყეში გამომეცხადე,
ხელში საწუთროს ჯამითა,

ან ეკლესიის ქვას თლიდი—
სულს ვიცხონებო ამითა.

ზეციდან მოწყდა ოსანა
დიდხუთშაბათის ღამითა
და დამანახვე, ვისაც ხვალ
გარდამოხსნიდნენ ჯვარიდან.

ხან ისე შემომხედავდი,
მწუხარე სააქაოდან,
გრძნობდი, ჩქარობდა მახვილი,
სული შველივით ბღაოდა.

ბოლოს სანთელი გეჭირა,
ცრემლის ცვილჩამონადენი.
მაინც ღიმილი გეფინა,
თუმცა ქრებოდა სანთელი.

თრთოდა მოჭრილი კულული,
სისხლი გდიოდა ბეჭიდან,
მხრით მაინც ჩამოსაქცევი
ტაძრის გუმბათი გეჭირა...

პირველად როცა გიხილე,
ნათლისმცემელო ივანე,
არ ვიცი, ცხადში მოხდა თუ
თავზე მადექი მძინარეს.

–

მას შემდეგ ჟამმა უჟამომ
დამხარჯა ბრძოლა—ხაფითა,
დროდადრო შემომჭიხვინებს
ოჩანი თავდაღმართიდან.

შევჯდები, ჯანიც გავარდეს,
ეზოს დავტოვებ ღიასა,
გაზაფხულს ამოვაწოდებ
ხელისგულებით იასა.

სხვა რა დამრჩება, როდესაც
მოვა ყოველთა ამკლები—
ერთი სიკვდილით მეტი და
ერთი სიმღერით ნაკლები.

შემინდე, თუ არ მეთმობა
მაინც სიცოცხლის აფრები,
თუ სევდიანი გავხედავ
სულს, ბუმბულივით გაფრენილს.

●

უხმოდ ნაყავენ ქინძსა და ნიგოზს —
დღეს დაკრძალავენ საცოდავ გიგოს.
ისე მოვიდა,
ისე წავიდა,
იყო თუ არა, ვერვინ გაიგო.

რა ვუყოთ, მიწა მიიღებს ყველას,
ვინც წუთისოფლის შესვა სამსალა—
ჭკვიანს და სულელს,
სარდალს და ბელადს,
უგვანოს, მეძავს თუ მაწანწალას.

გარეთ თავკვერი ჩაჰკვრია ჭიგოს,
შიგნით ნაყავენ ქინძსა და ნიგოზს.
— გიყვარდა ძილი, — ჩურჩულებს ცოლი, —
რამდენიც გინდა იძინე, გიგო!

სასაფლაოზე ხრჭიალებს ბარი,
გადამსკდარია ხრიოკი ბზარით,
და საცოდავი გიგოს მისვლამდე
ცივი სამარე ივსება მთვარით.

26

ჭიკარტი

(ექსპერიმენტი)

საწერი მაგიდა. სასანთლე. კალამი.
კალამქვეშ ფურცელი. ფურცელზე მრავალი
სიტყვაა. სიტყვები თბილები, მკაცრები,
გაბმულ-გამობმული ვით მრავალძარღვები,
მომფერებლები და ჩუმად კეთილები,
მსუბუქი მძიმეებით, მძიმე წერტილებით.
როგორც ჭიანჭველებს, ფიქრები მიაქვთ და
უხმოდ მიჰყვებიან სტრიქონთა ლიანდაგს.
ორთქლმავლის ყელიდან მხდალი და მშიშარა
ზოგჯერ დაიკივლებს ძახილის ნიშანი.
დეფიზის პაუზა და ტირეს ტიხარი
და შორისდებულიც—სამივე იქ არის.
შორიდან თავს გიქნევს დამყოლი აბზაცი.
აიღე კალამი. სტრიქონი დავარცხნე...
წიგნები აქეთაც. წიგნები იქითაც,
მეციხოვნესავით გოდოლის კიბიდან,
დავყურებ ბრძოლის ველს. ჭრიალებს მაგიდა.
ვუცდი, ამოფრინდეს სინათლე ქაფიდან.
სიტყვებო, ყოჩაღად! აქ ჭიკარტს რა უნდა?—
მოფრინდა რითმა და უკანვე გაბრუნდა.
პატარა. ჩხვლეტია. ვინ დადო ჭიკარტი?
რატომ მომაგონდი? არ მახსოვს. მიყვარდი?
უკვე არაფერი ხსოვნაშიც არ ყრია.
მორჩა. დაიცალა. ბოთლია თავღია.
არაყი. გრადუსი. გაწყალდა გრძნობები.

არც თანამგრძნობელი, არც ცრემლის მომწმენდი.
სიჩუმე. მაგიდა. დუმილის ბოქლომი.
ძარღვებში თავისთვის მღერის ალკოჰოლი.
ვაგონი. ვაგონი. ნაცნობ ჩიხს მიადგა,
გველივით გასწივლა ბუფერმა ლიანდაგს.
სად არის, ვინც ერთხელ შენთვის რომ ილოცა.
ცრემლების მარილი უპეებს მილოკავს.
ვერ შველის სტრიქონი უმწეო ჭრილობას.
ვღალატობ. ვივიწყებ საყვარელ კილოკავს.
ვინ დადო ჭიკარტი?—თვალებმა იავდრა.
გახევდა სტრიქონი. ნაცნობ ჩიხს მიადგა.

პატარა, სამკუთხა, ჩხვლეტია ჭიკარტი.
რა სისულელეა. მიყვარდი? მიყვარდი!

●

აღარა ვარ დარდით—ყველა ვარდით დარბის.
რა მოგართვა, ნეტავ, კვლავ თუ შემიყვარდი.
აღარც შირაზის და არც წინანდლის ვარდი—
ნაღვლიანი მწუხრი ხეობებზე ბარდნის.

ხელში ჩათვლემია წინდისჩხირს და საქსოვს,
დამივიწყე, მხოლოდ ვარდის ჩხვლეტა გახსოვს.
გაშლილია კარტი. ელდა ცვივა გულზე.
ველარ ვიოცნებებ ლამაზ აღსასრულზე.

გამოვაღებ სარკმელს—მივატოვებ ბუდეს
და დამშეულ ძაღლებს სხეულს გადავუგდებ.
აღარა ვარ დარდით—ყველა ვარდით დარბის.
რა მოგართვა, ნეტავ, კვლავ თუ შემიყვარდი.

●

ვინ დაფინა რაფაზე შემოდგომის ფერები,
სული მონატრებისგან ლამის ამოიქარა.
სამფეხაზე მიმჯდარი ყელს რომ მოიღერებდი,
ურჟოლას შეუყენებდი მგრძნობიარე გიტარას.

ყველაფერი წაშლილა, ყველაფერი გადარჩა,
თითებო და სიმებო, თქვენი თრთოლა ჩემშია.
ვდგავარ სუნთქვაშეკრული წუთისოფლის ღადარში
ვიდრე მონატრებები საბოლოოდ შემშლიან.

ველის ქარი

ველის ქარი სულ სხვა არის,
სხვანაირად უბერავს.
არ ჰგავს დიდი ქალაქის ქარს
ჭლექიანს და დუბელას.

თუ მოვკვდები—დამატირებ
ხეტიალა ფამფარებს—
ველის ქარო, შენს დავარცხნილ
ბალახს ამომაფარე.

●

ამ გაძაღლებულ მარტის ამინდებს
ან ამ ყვავილებს, როგორ ვუშველო.
ის გაზაფხული როგორც წავიდა,
ეს გაზაფხულიც მიდის უშენოდ.

მოწყენილობამ არც მე დამინდო,
წვიმით ამავსო მწუხრის ლოცვამდე.
დამძიმებული ცრემლის აკიდო
ჩამოვარდება, რომ ამოძრავდე.

უკანასკნელი შენი სახება
შერჩა ნაწვალებ ლექსის სტრიქონებს.
როცა იქნება, ტალღა თავნება
მოვა და შენსკენ გამომიყოლებს.

საახალწლო

რას ვერჩი აპრილს,
აგვისტოს,
ანდა
საშემოდგომო ფოთლების ფარფატს—
შევხარი ზაფხულს, გაზაფხულს, მაგრამ
ყველაზე მეტად შევხარი ზამთარს.

მაინც სულ სხვაა კვნესა ნალების
და ფაფარაყრილ ურიცხვ ჩქერებად,
თოვლის ბუქით და კორიანტელით
თეთრი ცხენების შემოჭენება...

ლექსოს სიხარულს,
ვანიკოს განცდას
და ყველა გუნდას,
მოხვდა თუ ასცდა.
ფიფქების ციცქნა
პარაშუტების
დაჯანღულ ცაში
ნაირფრად გაშლას —
ამ დაუვიწყარ
წარმოდგენაზე
მთელი ქალაქის
ზეიმს და ანშლაგს...

სიხარულს ისევ ზეციდან ველით
და ისიც მოდის, მოდის ფიფქებად.
წავა ძველი და ახალი წელი
უცხო ფრინველად ამოფრინდება.

ლექსო სიმღერას,
ვანიკო ათას
ოცნებას თოვლის
პაპასთან მატანს —
ზის ფანჯარასთან
და კარზე მომდგარ
მომავალი წლის
თავფურცელს ხატავს.

არც ლაპლანდიელ, არც ამერიკელ
და არც ტაიგის მოდგმას და ნაგრამს,
ველით ჩოხიან კეთილ ბერიკაცს,
საკერებლიან ხურჯინს და აბგას.

ველით მშობლიურ ნობათის სურნელს,
ფეხბედნიერი მეკვლეს სურვილებს,
სიმღერებს, ჩვენი ტკივილის მკურნალს,
მალულად ცრემლს რომ მოგაწურინებს.

მოხველ მშვიდობით, მთების ხეივნით
და გაჭირვებულ იმედებს ქარგავ,
აღარასოდეს არ მათქმევინო —
სამშობლო მაქვს და...
სამშობლოს არ ჰგავს.

სიხარულს ისევ
ზეციდან ველით.
მაღლა ატყორცნილს
ღვთიურ ბგერებად,
თოვლის ბუქით და
კორიანტელით
თეთრი ცხენების
შემოჭენებას.

პალატა

ავადმყოფია აქ ყველაფერი,
სკამი, მაგიდა, კარი, კაფელი.

ვაიმე, აღარ მეიმედები —
ავადმყოფია ჩემი ედემი.

რატომ მოვედით, ღმერთო, აქამდე.
ანდა ეს წლები საით დაქანდნენ —

რა დროს ზეიმი, რა დროს ტაშია,
თავისუფლება ისევ გზაშია...

●

გაქრა ბრძენი მეცხრამეტე
და მეოცეც გაქრა.
ყველგან ოცდამეერთესი
გამოკრულა აბრა.

ზღვაზე დაისს ეფარება
მომღიმარი აფრა.
ვილაც შენც შეგეკითხება,
რაღა გინდა, აქ რა...

წარსულს სძინავს.
მომავალი
ჯანღით მოინამქრა
და აზმორებს ზამთრის ყინვით
შემოქარგულ საფლავს.

ხალხური მოტივი

ცისკრისას გადმოიგელვებს
გიორგის ცხენი, უბელო.
ნეტავი სული სიცოცხლეს
როდემდე უნდა ვუბერო —

მომწყინდა, თან წამიყვანე
შენ, თრიალეთის ღრუბელო.

უძღომელა

(ინგლისური ხალხური ლექსის მიბაძვით)

ვინ არ იცნობს რობინ-ბობინს,
რომ ვერ აძღობს ასი გობიც,
თუ მიუშვებ რობა-ბობას
არც ათასი არ ეყოფა.

ახალი და ძველი ნიხრით
ყველაფერს მუცელში იყრის:

ფაფა, ძროხა, კორდი, ვერძი,
გახდა მისი მუცლის კერძი. ..
ნახირიც ვერ იმყოფინა,
იქ დაუდო სხვებსაც ბინა —

მრევლი-ფხიზელი თუ ლოთი,
მთა, საყდარი სამრეკლოთი—
რობინს ვილა გააჩერებს
თუ არ მოსდეს ცხვირში ქოთი.

რომ ფიქრობდი ერთი არის,
გაიხედავ - მრავალია,
მხოლოდ თავის ჩასახეთქი
მუცელი რომ აბარიათ.

გეგონება ქვეყანაზე
მხოლოდ მათი ბოგინია,
და რამდენიც რობინია,
იმდენივე ბობინია.

მე მინდოდა მხოლოდ მათი
სადღეგრძელო დამელია,
ვინც თავისთვის დაბაჯბაჯებს,
უწყინარი მჭამელია,

ვინც მიირთმევს ბადაგს კოკით,
წყალს დოქით და
შემწვარს ხონჩით,
ამ ჩვენს ღატაკ, მშიერ დროში
თუ მოიგდო ორი გროში,
შეუძლია მიაყოლოს
თხილს-ნაჭუჭი,
კანფეტს-ფოჩი,
ფოჩს-საკურთხი,

საკურთხს-ღვინო,
და დილამდე იღიღინოს.

მაგრამ უძღომელას მოდგმას,
მადა უფრო მაგარი აქვს,
განურჩევლად წისქვილს აყრის,
საღია თუ ნაქარია.

ჯამი, კოკა,
ანდა ხონჩა,
ან გობი და
ჯართის გორა,
გავეშებულ მუცელღმერთას,
აბა, როგორ ამოყორავს.

ხალხიც ამან გადარია—
რობის მადა სხვაგვარია:

— ყველაფერი შეიცვალა,
მზე და ვარდის ფურცელიო,
ესღა დარჩა უცვლელიო,
გასკდა ამის მუცელიო.

რის ფაფა და კორდი, ვერძი,
არ დატოვა ძროხაც ბერწი.
ნახირი და ცხვრების ფარაც,
რა თქმა უნდა, არ იკმარა.

გაისველოს ვინძლო ყელი,
დანთქა მთელი საწნახელი.

დააყოლა ფქვილი კოდით,
რაც შეჭამა, ვინ ჩამოთვლის,
ვილაც ყვირის, შეაჩერეთ,
ჩქარა მოსდეთ ცხვირში ქოთი.

მაგრამ ძახილს ყურს ვინ უგდებს,
ჭამს სახლებს და მერცხლის ბუდეს.

ზღვა. ნაპირი. ნავსადგური
და გემები დაბარგული —

არაფერზე ამბობს უარს
გოლიათი უსახური —
ნემსი, ძაფი, მაკრატელი,
ტაფის ძირი, ქვაბის ყური —

ყველაფერში წილს დაიდებს,
ბილწ საქმეში გარეული, —
სახნავი და სამოსახლო,
ჯართი, რკინა-კავეული.

ხე-ტყე, წყალი, კალაპოტი,
არ ეყოფა ამაზონის,
ბანკები და „ხელის ჭუჭყი“,
კრედიტი და დანაზოგი.

მითხარ, წინ ვინ დაუდგება
თუ არ არის სულელიო,
მხოლოდ ჩუმად ჩურჩულებენ —
გასკდა ამის მუცელიო.

გაყვანილი წვით და დაგვით,
გადაყლაპა ლიანდაგი.

შემოკბიჩა საზღვრები და
გაფცქვნა იმერ-ამიერი.
აღარც ოქროს საბადოა,
აღარც-ქვიშის კარიერი.

ქარხნები და ფაბრიკები
ჭანჭიკამდე გაძარცული.
დააყოლა საკვამურიც,
როგორც ნედლი სატაცური.

რა უშველის, ვინ განკურნავს
ამ ქრონიკულ ბრუცელიოზს.
მოდი და გაუძელიო,
გასკდა ამის მუცელიო.

უძღომელა აბეზარი,
ერთია და... მრავალია,
ქვეყანაზე მხოლოდ თავის
სტომაქი რომ აბარიათ.

შეხედავ და ფიქრობ, ყველა
ერთი დედის შობილია —
სადაც ხარბი რობინია,
იქვე ჩრდილად — ბობინია.

ჰოდა, წინ ვინ დაუდგებათ,
მათთვის მღერი კამათელო,
ღმერთო, ასე თუ გაგრძელდა,
ჩაყლაპავენ საქართველოს.

ესკიზი

ისე უბრალოდ,
ისე იოლად,
ამოფრთხიალდა
ჩიტი — ჩიორა.

ისე იოლად,
ისე უბრალოდ,
ჩიტი შენს ფიქრებს
გალობს, უფალო!

●

ქარს მიაქვს კვამლი,
მწარე კვამლი,
ნოემბრის კვამლი.
გაჟღენთილია დღეს სიცოცხლე შხამით და წამლით.

დარჩენილ დღეებს , ნელა — ნელა,
ყლუპ — ყლუპით დავლევ,
აგვისტოს ბოლოს, ოქტომბერში;
ან მარტის დამლევს —

ამაოების, როცა ყალბი ხარხარი შემშლის,
რბილ სავარძელში, სანგარში ან უდაბურ ტყეში,

ჩემი გულცივი საპატარძლო, ან დღე ან ღამე,
მოვა თოვლი და პირზე ყინვის ხელს ამაფარებს.

გრძნეულ კალთაში, მომაკვდავი ჩაგიდებ თავს და,
ვიტყვი, უფალო, ნება შენი აღსრულდა, ახდა.

ქარს მიაქვს კვამლი,
კვამლს — ცრემლი და,
ცრემლს — სინანული,
გათენებამდე გარეთ ფხიზლობს წვეთის წკარუნი.

ვხედავ, მოჰყვება ჯამბაზის თოკს,
დაჭიმულ ღვედებს,
ამ წვიმის ხმაურს ვინც მოისმენს
ასი წლის შემდეგ.

დილა ცემში

საბალახოდ მიქანაობს
დაჩუტული ძროხის ცური.
შორიახლო რეკავს შაშვი —
ფიჭვიანის მობილური.

შორს „კუკუშკა“ დაიკივლებს
გავხედავ და მოსდევს კორდებს —
ლიანდაგზე გამურული
შავი ხოჭო მოქოთქოთებს.

აქეთ — მზეა,
იქეთ — მთვარე,
წინ ყოფილი ბანაკია.
ველზე მიწას უხათქუნებს
თოხს აბე თუ მალაქია.

გავუყვები — უღრანებში
დღეებს დავყოფ შვიდიოდეს —
არ იქნება ეს ბილიკი
სადმე რომ არ მიდიოდეს.

წყევლა

ვერ გეტყვი, ნამუსი გაიაფდა —
ამ სიტყვას აღარ სცნობს ლექსიკონი.
როდესაც მბრძანებლობს კაიაფა
გგონია სამართალს ვერც იპოვნი.

ძაღლივით რომ უყეფ ქანდარიდან,
საწყალო, სამშობლოს მეციხოვნევ,
ადექი, ერთხელ შენც გაავდი და,
უწმინდურს კანჭებში ეცი ხოლმე.

ძილქუში ყველაფერს გადაუვლის,
მხურვალე უდაბნოს გრიგალივით.
ჩაქრება, ჩაჭკნება არქაული
შენი მზე, ზვარაკად მიტანილი.

ეშვება ფარდა და, რა მოხდება?
მთავრდება ეპოქა რაინდების,
სიმღერა სულივით ამოგხდება,
ამღვრეულ ნისლებში გარინდდები.

და მაინც, აღსრულდეს მეციხოვნევ,
განგებამ შუბლზე რაც დაგაწერა,
უფალო, სიცოცხლე დაუმოკლე
ამ მიწის მტერსა და დამაწყევარს.

ძალო

გარეთ თოვს. ზამთრის ბაღებში
გაჰკივის მიკიოტი.
ქოთანში მღერის ლობიო,
ძველ და საყვარელ მოტივს.

ტკაცუნობს შეშის ნაპობი,
ტკარცალებს, ფეთქავს, იწვის.
კირკაჟს მოხარშულს, დაბერილს
ჩაზელს, ჩაბუსკნის ციცხვი.

დაგვისხამს, გაგვილიცლიცებს
მადაზე მოსულ სტუმრებს,
ჩამოარიგებს მათლაფით
ნივრის და ქინძის სურნელს.

— კეთილო, ბედისწერაზე
გულნატკენო და მწყრალო,
ლობიოს მჟავე უხდება, —
მწნილიც მოიტა, ძალო!

ჩქარა, არაყიც შემოდგი —
არც თითო ჭიქა გვაწყენს,
თუ გინდა ერთი მარხილი
შეშაც მოგართვათ ამ წელს.

აბა, სიმწარე გვაშოროს,
გასძელ გულო და მუხლო.

სამი ან ხუთი „სტაქანი“—
კენტი არაყი ვხუხოთ.

იქნება ერთი მარხილიც,
ნუ შეეჭმევი ნაღველს,
წითელი ღვინის ჩუხჩუხი
თუკი დაუვლის ძარღვებს.

—კეთილო, ბედისწერაზე
გულნატკენო და მწყრალო,
ლობიოს ღვინო უხდება,
დოქიც შემოდგი, ძალო!..

ჩვენო ღარიბო სასახლევ,
მაინც ნაღდო და უხვო,
გამრავლდი, ერთი კვერცხიც კი
არ გაგილაყდეს, კრუხო.

„შენ ბიჭო, ანაგურელო“,
ან შენ იყავი, ან მე,—
ფეხარეული სიმღერა
მიჰყეფს თოვლიან ღამეს...

ჩვეულებრივი ქალია,
მაინც არავის არ ჰგავს.
ჩამოსთვლემს, ძალუაჩემი,
კედელზე გაკრულ ფარდაგს,

მიეხუტება დაღლილი,
ჩამოეშლება მხოლოდ,
როგორც ძახილის ნიშანი,
შავი თავსაფრის ბოლო.

ანათებს ოთახს, ქოთანში
ჩაყირავებულ ჩამჩას,
ლამფა, ცალ ფეხზე შემდგარი,
როგორც ფხიზელი ყანჩა...

დალმა დაქანდა მარხილი,
ველი უარეს ამინდს.
მოვკვდები, იქაც გამათბობს
ცეცხლი იმ ერთი ღამის.

●

უკანასკნელო მინდვრის ყვავილებო,
ღამღამობით რომ წასაქცევად გტეხენ მუხლები,
თრთვილით სველებს რომ გელვიძებათ,
ტყუილად გაგირბით თვალი სათბურებისკენ,
ნურც ლამაზ ორანჟერეაზე იოცნებებთ,
თქვენ იქ ვინ შეგიყვანთ,
ასე უნდა ჩაილიოთ და ჩაიხოცოთ
ხარის ჩლიქებქვეშ მოყოლილები...

უიღბლოებო, რაც ილაღეთ მთელი ზაფხული,
რაც დაავსეთ ნექტარით სკები,
სულ ამოგშხამდათ...
ეს ყოფილა თქვენი იღბალი!—
თუმცა, ჩემი კი უკეთესია?

სიმღერა

როგორ ლამაზად დაბერდი,
თოვლის კარავი, კაკალო,
მიწაზე დაიზვინება
მხრები რომ შეაკანკალო.

თოვლო, ითოვლე, ითოვლე,
ზეცის მინდვრებში მომკილო.
ყინვავ, ფანჯრები მოხატე —
საწყალი კაცის ბორკილო.

აღზევანს გადავვარდები,
თუკი არ მეტყვი, ძმა ხარო.
არც ისე მელამაზები,
თავი რომ კედელს ვახალო.

ამაღამ თოვლთან დავწვები,
ის არის ჩემი ქალიო,
დავწვები, ველარ ავდგები,
ვაიმე, თქვენი ბრალიო.

ვაიმე, თმების წვიმებო
მკერდზე ცრემლებად დაღვრილო.
თავს საით მიმაღრეჯვინებ
წუთისოფელის აღვირო...

გვათოვს ორივეს, კაკალო —
არ დარჩე გულდაწყვეტილი,
მწარე ფიქრების ბოლოში
ჩამოჯდა ყვავის წერტილი.

მამალი

შენი ხმა ზამთრის სოფელში
აენთო, როგორც იმედი.
ღმერთმანი, აღარ მეგონა,
თუ კიდევ დაიყივლებდი.

ამ გზებით მისთვის მოვედი,
უნდა ვილოცო იმ გზისთვის.
ჩქარა, ერდოზე შემოდექ,
ცეცხლივით ამოგიზგიზდი.

როდემდე უნდა ვეწვალოთ,
რომ ჭირმა თავი დამალოს.
გადაყრუებულ ქვეყანას
ერთიც დაჰყივლე, მამალო!

2003

სპექტაკლი

ვინ არის?
ვინა თქვა, ყინული გალხვა?—
ათოვს და აწვიმს უცოდველ საფლავს.
ვარდის ღირსს უცხოთ მიწაში ვმარხავთ,
ტყვიისას—ვადგამთ სისხლიან დაფნას.

წავიდა.
წავიდა.
დაეშვა ფარდა,
დაედო მტვერი და დავარდა ნამი.
არა ჩანს და მაინც აქვეა, აქ დგას,
აჩრდილი ცოდვებით მაძღარი მამის.

თავისუფლება ვის უნდა იაფად,
დახურდავებულ სინდისის გროშად.
შეაჭრეს ფაფარი შავლეგოს იაბოს —
მიაპობს წუხილის და სევდის დრო — ჟამს.

სარკეში ორეულს ვუყურებ —
მე არ მგავს,
მასხარას ხალათით, ჯამბაზის გრიმით.

ჩუმად მივახატავ გათოშილ იანვარს
ჩემს ბოლო ავტოგრაფს — მომაკვდავ ღიმილს...

ვინ არის,
ვინა თქვა, გათავდა, მორჩა?
უეკლო ვარდების გუბე დგას.
და მინდა შევძახო,
მაესტრო, ყოჩაღ,
მუსიკას ისევ თქვენ უკვეთავთ!

●

ზამთრის საღამოვ,
მუნჯო ფერმწერო,
შეაშრიალე ალვის კენწერო.

ერთი შეხედე, რა ფერებია—
უცხო სინათლით ნაფერებია.
აგორებული ტალღად ღრუბლები
გაქვავებული ნამქერებია.

ზამთრის საღამოვ,
დადექი,
ხატე,
ცაზე მბრწყინავი მნათობთა ბადე.

მიშალ—მოშალე ვარსკვლავთ სიმაგრე,
რომ შეაცივდეთ მთვარის ციალი,
მხოლოდ ის ერთი არ დამიჩაგრო—
ის ჩემი ბედის ვარსკვლავი არი.

ესკიზები ლექსებისათვის

1

ეს დღეც, როგორც ერთჯერადი ჩაი,
შეგემებული მთვარის ლიმონით,
და ვარსკვლავების ალუბლებით,
კურკებივით რომ ცვივიან
შუაღამის ფსკერზე—
დაილია...
დაილია,
ჩინურ გრაფინში
დანაკლულებული ლიქიორიც
და დუღილის ტემპერატურამ
გადმოინაცვლა ჩვენს ძარღვებში...
ახლა კი დროა, შენსკენ გამოწვდილ
მკლავებს გამოვყვე და მოგიპოვო,
როგორც მორევში ჩაყვინთულმა
მაშველი რგოლი..

2

გაიხედე წარსულისაკენ—
იმ კარის მიღმა ისევ მღერიან,
ისევ ტკაცუნობს ხელშემოკრული
ფქვილის საცერი—
გაიხედე წარსულისაკენ,
მოისმინე იავნანა,
შენს ბიჭობას რომ უმღეროდნენ,
მოისმინე მხურვალე ლოცვა,
შენს თავს უფალს რომ ავედრებდნენ...

გაიხედე წარსულისაკენ,
გელოდება ცალთვალა ციკლოპი—
შუბლზე ცხენის ნალმიკრული კარი.

3

—როგორც ბავშვობაში, ვიდრე გზას დაადგები,
უნდა მიბრუნდე წარსულისაკენ,
ღობიდან ეკლიანი ჯოხი გამოაძრო,
რადგან მომავალში
უფრო მეტი ცოფიანი ძაღლი დაგხვდება...

4

ამ გაზაფხულის კაშკაშა და თბილ დღეებს შორის
ერთი ისეთიც გამოერია,
როგორც ვარდისფერ ფანჯარაში
მოქანავე უფოთლო ტოტი—
სველი, ცივი, ჩამოძენძილი
და ზედ მტირალი ზამთრის ბელურა.

5

სადამდე მიჰყვებათ ადამიანებს
სინდისის ქენჯნა—
სასაფლაოს გასასვლელამდე
თუ ბოლო მუჭა მიწამდე,
დასაყეფად პირდაფჩენილ
ორმოს რომ მიაყარეს?—
რამდენჯერაც არ უნდა დააპურო,
ის მაინც მოგდევს—
ოთხკუთხედი სიცარიელე

და მუჭა მინა კი არა,
მას შენ უნდიხარ.

6

კბილებს ჩასაკბეჩად რომ აქეზებს,
ამ ვაშლის ნაცვლად,
შეიძლებოდა
ხელსგულზე დაფენილი თეთრი ფურცლების
სურნელება
რძის წვეთებივით შეგესრუტა...
შენც ასე შეგინახა ბედისწერამ,—
ისე ჩათავდა ყვავილობის ასაკი,
გადაურჩი სასხლავს და ქარებს,
და სიცოცხლის ხეს შიშის ყუნწით
ჩაებღაუჭე...
დღეს კი დამცხრალი წლების სარქველქვეშ
უსიხარულოდ მწიფდები და
ძილშიც ჩაგესმის
ბერწი დღეების ხერხის ხრიალი.

7

ეკლესიის ეზოში ზეთისცხების მომლოდინე,
მკვლელები, თახსირები, გამყიდველები,
ყველა ჯურის და ხარისხის ნაძირალა
ხროვად მოგდგომია და
გელოდება,
გელოდება,
გელოდება—

მეტი რა გზაა,
ყველას, სულ ყველას
შეუნდე,
შეუნდე,
შეუნდე, უფალო...
მხოლოდ მე არ შემინდო,
მე არ მაპატიო,
ამათ გვერდით რომ ვცხოვრობ,
ამათი ნასუნთქი ჰაერით რომ ვსუნთქავ.

8

დედას
ყველაფერი წავართვით—
შავი თმები,
ახალგაზრდობა,
სიცილი და სიხალისე,
მხოლოდ ნაღველი დავუტოვეთ
ხელუხლებელი,
კედლის სურათზე
თვალებში რომ ჩაჰბუდებია.

9

აყვავებული ეზოს ჭერამი—
ზამთარში ნანახი სიზმარი გაზაფხულზე.

●

ჩაძინებული ჩემი ბიჭები
ჯერ კიდევ დედის გვერდით ცხვებიან
და სევდიანი ვფიქრობ იმ დროზე,
როცა სიყვარულს ანკესივით გადმოუგდებენ,
როცა ქალები გაიწევენ სხვადასხვა მხარეს
და თუ ფხიზლად არ იქნებიან,
სისხლიან დანას დაუდებენ,
ან დაბნეულებს ღალატის ქვას შეაჩეჩებენ...

მიდის და მოდის ეჭვიანი შიშის ღრუბელი
და მძინარე ჩემი ბიჭები
ჯერ კიდევ დედის გვერდით ცხვებიან...

ფრიჰოლდის ღამე

შოთა ვაშაკიძეს

სარკმელთან მომდგარ ტყეებს ვუყურებ,
ტყეებში სძინავს ჯანღს და უკუნეთს.
შავად აკვესებს თვალებს ფულურო
და სიჩუმეში წყარო ბლუკუნებს.

ტოტებს ჭრიალით მიქნევს ვერაგი
ქარი—ვის დარჩა კარი ღიაო.
მხოლოდ ასკილი, წითელპერანგა,
ბოშა ქალივით მიკოპწიაობს.

მოქუფრულია ზეცა სათოვად,
მოღუშულია გული სათოვლედ.
მადლობას ვუხდი, ვინც მიმატოვა
და წყევლა - კრულვას — ვინც მიმატოვებს.

პარასკევი

სოსო ახალბედაშვილს

ბერშუეთისკენ ავტობუსი უშენოდ მიდის,
ბარგით, სიცილით, ყაყანით და თამბაქოს ბოლით.
თვალმოჭუტული გზას გაჰყურებს პირქუში მძღოლი.
ბერშუეთისკენ ავტობუსი უშენოდ მიდის...

იქნებ ლუდხანას შემორჩი და დაგაგვიანდა,
ან წაკითხულზე ფიქრმა გაგართო—
გახეტიალა აღმა—დაღმა უმისამართოდ
და დღე დაბნელდა—
დილამ შენთვის ველარ ინათა...

ვიცი, ამაღამ ერთხელ კიდევ უნდა ახირდე,
აგერ, მეძახის წყლისპირიდან თეთრი ვერხვიო.
არ შეიძლება მდინარისკენ რომ არ წახვიდე,
არ შეიძლება სიკვდილს რომ არ გადაეხვიო...

ბერშუეთისკენ ავტობუსი უშენოდ მიდის...

წარწერები საფლავის ქვებზე

1

იქიდან აქეთ მოდიან,
აქედან იქით—ველარ.
მარმარილოზე ყინულის
თეთრი პირბადე დნება.

2

რომ გიყვარდა, ფეხი ისე,
ფეხზე ველარ გადაიდე.
ცივი მიწა წაიფარე,
თავქვეშ რიყის ქვა დაიდე.

და ისე ღრმად ჩაიძინე,
სადაც სველი ტინებია,
დაქანცულმა,
თითქოს დღემდე
არასოდეს გძინებია.

3

აქ რანაირად იღვიძებს
სოფელი უმამლებოდ.
მოწყენილი რად მიყურებს
მუხლმოკეცილი ბებო.

სულ გამუდმებით ჩიოდა—
ვაშლია გასაჩირი—
იმქვეყნად თან გაჰყოლია
ამ ქვეყნის გასაჭირი.

საფეხბურთო ექსპრომტი

გვთავაზობენ ტრაგედიებს
საფეხბურთო სცენები,
დელ—პიეროს გოლითა და
ბატისტუტას ცრემლებით.

ვწუხვარ, ვღელავ, მიხარია,
მაინც ყველას, კაპიტან,
შენი ცრემლი მირჩევნია,
გოლი—შენ რომ გაიტან.

ლომი ფრანგი მიუძღვება
სენეგალელ შავტუხებს,
მე კი ჩემი სადარდელი
ძველებურად მაწუხებს.

ცოტა „მწვრთნელმა“ რომ ივარგოს,
ცოტა ჩვენც რომ ვივარგოთ,
ტრიბუნებზე შინდისფერი
ეგებ ამოიქარგოს.

გავილიე მოლოდინში,
ცოტაცა და, ჰაიდა...
სა-ქარ-თვე-ლო!—
მომასწარი
იმ გოლს, შენ რომ გაიტან.

გაფრთხილება

შემოუჭირეს
გულუბრყვილო გრძნობებს მარწუხი,
ზნეობის კანონს (გუშინდელი!)
მიწერს მეტისი.
შუალამისას რომ შეაწუხებ
კარის მეზობელს
ერთი ღერი სიგარეტისთვის—

ქრება თანდათან ის ქვეყანა,
რჩება ნაცარი,
გაკრული ქართლის რელიეფზე,
მარტო რომ ბორგავს
დედა მდინარე,
დალეული,
ძუძუგამშრალი
აკვნის ჩვილივით
ჩაუყლაპავს ჰუდსონს და ვოლგას.

დაიმახსოვრე,
გადავდივართ ბოლო მალაყზე,
თვალს აახელ და,
დღე არის და მაინც ღამეა.
ცხენს რომ გაუშვებ და აბალახებ,
ჩაიგრიალა იმ არაგვმა, კარგა ხანია...

გამოკეტავენ,
ვიდრე, ძმაო,
ბოლო სახაშეს
და ჩვენც ძაღლივით
მიგვაღრძობენ ვიდრე ჯიხურთან,
დავიმახსოვროთ,
ვინ ჩაგვაგდო ლომის ხახაში,
ანდა სამშობლო ვინც გაგვიქურდა.

თორემ წავიდა,
უბედობამ გადააკრუხა,
ის საქართველო ქრება—მეთქი—
ვყვირი მთელი ხმით—
შუაღამისას რომ შეაწუხებ
კარის მეზობელს,
ერთი ღერი სიგარეტისთვის.

ქართლი

გიორგი ლობჟანიძეს

მთაზე თეთრი ციხეა,
ციხის თავზე—ქორია,
მტრედია თუ გნოლია
ჩემი მელანქოლია.

ციხის ქვემოთ მტკვარია,
მტკვარზე ნისლის ბოლია,
ესიზმრება ზღვისპირი
უსახლკარო თოლიას.

მერამდენე წელია
ლხინი მე არ მქონია.
საბელივით მეხვევა
ყელზე მელანქოლია.

თითქოს აზმუვლებული
დასაკლავი ხარია,
ირგვლივ დაღონებული
მშობლიური მხარეა.

●

ვდგავარ გაზაფხულით მთვრალი,
მშვიდი, ყურებპანტურა,
სააღდგომო თეთრი ცხვარი
ბუჩქზე გამობანტულა.

ვითომც აქვე,
შარშანდელი
მამალი არ ყიოდეს
წელიწადიც არ გასულა
ორი ათასიოდე,—

სახედარზე ქალი ზის და,
ბული ასდის ხრიოკებს—
თითქოს ხურო იოსები
ბეთლემში მიდიოდეს.

2002

•

ასიათასი—თოვლია ირგვლივ—
თეთრი ულაყი მირბის.
სახურავებზეც თოვლი ბიბინებს,
თოვლის მიწნავენ გვირგვინს.

დაიბზარება ქვაზე თარიღი
ქარის ზუზუნში როცა,
თოვლში მიპოვნის,
თოვლში წამიღებს
უკანასკნელი ლოცვა.

ლაგამს ღეჭავენ ფიცხი ცხენები,
ყვავილი ცვივა კენტად—
ვიღაცა საწყალს მიასვენებენ,
მე ხომ არ მოვკვდი, ნეტავ?

●

შემოჰყოლია მერცხალი
საგაზაფხულო ფორიაქს,
შენ კი, დამზრალს და გაყინულს,
ისევ ზამთარი გგონია.

გამოიღვიძე, გეძახის,
ზღურბლთან ბალახის ფაჩუნი.
გამოტანტალდი პერანგით
ბავშვივით ამოჩაჩული.

გულჯავრიანმა გახედე
სამშობლოს ქედით ქედამდე,
თითქოს ამ ლამაზ ქვეყანას
უკანასკნელად ხედავდე.

14 თებერვალი

დილის სასთუმალზე ბრწყინავს
დიდი სიხარულის წამი—
რეკავს უხილავი ზარი,
შენი შეძახილი:
—მამი!

გათბა სუსხიანი ქარი,
მოხველ უმწეო და ნორჩი,
სხვისი სიძულვილით მკვდარი
შენი მოფერებით მოვრჩი.

ვანი!
სიყვარულის დღეა,
მთელ ჩემს სიცოცხლეს რომ მიჯობს.
როგორ ამაცდინე ტყვია
მე რომ დამახალეს, ბიჭო.

ვწევარ, სიზმარშიაც გეძებ,
ჩემი ტკივილების მკურნალს.
მოდი, ჩამეკარი მკერდში,
ვიგრძნოთ—დედამიწა ბრუნავს.

მოდი, ჩამეჭიდე, გავალთ,
სხეულს უშენობა უმძიმს—
შენი ერთგულია მარად
წყალზე მოტივტივე კუნძი.

●

სულ ერთ ღამეში ქალი აყვავდა,
როგორც გვიანი ფშატი—
დაიღარა და გაჭაღარავდა
უკურნებელი დარდით.

სულ ერთ ღამეში ჩაქრა, ნელ—ნელა,
გაბრწყინებული ხატი,
და ცივ ზამთარში ახლა ბებერი
გაზაფხულივით დადის.

●

წავიდა კაცი, დამიტოვა პატარა ხინჯი,
გულის სილრმეში ჩარჩენილი, სევდის ეკალი,
ხომ პატარაა ჩემი წყენა, ყელში რომ მიჭერს,
მაინც მერჩივნა, ქვა დაეცხო
და მოვეკალი.

საფლავზე დაგდე
ცრემლიანო, თეთრო ყვავილო,
სუნთქვაშეკრული გარეშემო
დგას ფოთოლცვენა.
ხომ ალალია ჩემი ცრემლი—
ვით გავამხილო,
ნაპერწკალივით მაინც ღვივის შიგ ჩემი წყენა.

●

ყუნწზე—ვარდი შემოდგომის,
ტოტზე ჩიტი მოიწყენს.
ეჰ, სიცოცხლე გავიდა და
ცხოვრება ვერ მოვიწყე.

ძველებურად იყეფება
ამღვრეული სათავე,
სხვამ აიღო, სხვებმა მომკეს,
რაც მე დავათავთავე.

დამეშალა წყალზე ტივი,
შენ რომ არ მომაკითხე.
საფეთქლებთან თრთვილი ტირის,
გული დოღში გახვითქე.

სიხარული ჩამოჭკნა და
ოცნებები გადახმა...
აქაობას ვერ გავუგე,
იქ რა ხდება, გადაღმა?!

●

ბარტყი უბეში—
შენი ხელი ჩემს მუჭში რომ
გამოიზარდა,
გამოიზამთრა,
გამოფრინდა და...
ახლა, როცა გადასასვლელთან
მომეჩვენა, რომ კვლავ გვერდით მყავდი
და იქით უნდა გადამეყვანე—
თითები ისე მოვუჭირე ცარიელ ჰაერს,
ხელი მეტკინა...

მრავალჟამიერ

დაათოვს კახეთს,
ქართლს და იმერეთს,
იმასაც, რაც კი არის მის მერე,
ყელში მთვლემარო მრავალჟამიერ,
ბოლოს ხომ მაინც ამოიწვერე.

შემოგმტვრევია ირგვლივ ზღუდენი
ნიაღვარივით უცხო ყაყანით.
შურისძიების ტყვიას თუ ტენის
სალიახვო და სამურზაყანო.

მკრთალი იმედი ამ ახალი წლის—
გრძნეულ ქარქაშში ხანჯლის შერხევა,
ამოტეხილი სტკივა ლავინი
ქართლს—საქართველოს დაღლილ ხერხემალს.

შემინდე, თუკი თავი ვერ დავდე,
ჯავრით დავთვერი,
ჯავრი დავლიე,
ვიდრე ყელიდან ამოგკვეთავდნენ,
მაინც ვბღაოდი—მრავალჟამიერ!

რადგან აქამდე მაინც გადარჩი,
იქნება თოვლმა ვერ ამოგქოლოს,
წუთისოფელის შეშლილ ღადარში
გამოცხვეს შენი კვერიც ობოლო.

●

ქვეყანას თუკი ეშველება,
მეც შევალ კაბინეტში,
ტოტზე დაფრენილმა ჩიტმა რომ არ დამინახოს,
ფანჯარაზე დავუშვებ ფარდას
და დივანზე მისვენებული
შუბლს გადავიხსნი...

ხვალ ისევ მოფრინდება გასროლის ხმით
დამფრთხალი ჩიტი,
ისევ გასწევენ ფარდას და,
დანანებით დახედავენ
ჩემი სისხლით დალაქავებულ
დივანის ხავერდს...

როგორ გაცივდა ჩვენი ქვეყანა,
მკვდრებს ცოცხლები და ცოცხლებს მკვდრები
აღარ სჭირდებათ—
ბევრიც ვეცადოთ, ვიღა შეანჯღრევს
საღათას ძილით გათანგულ გრძნობებს...

ქვეყანას თუკი ეშველება...

26 ოქტომბერი, „ნორდ—ოსტი“

შესცოდა, წააგო, მიჰქარა,
წვალობდა, სძულდა თუ უყვარდა—
გათავდა,
ის უკვე იქ არის,
ის უკვე იქ არის—უფალთან!

სკამებში ჩაჩეხილს—
რა ვნახე—
ვით გადატეხილი ღერები,
ეკიდნენ სინაზით აღსავსე
ხელები, ლამაზი ხელები.

ჩვენება ძილშიც არ მომცილდა,
დილამდე შვება ვერ მოვნახე,
ხელები, რომლებსაც კოცნიდნენ,
დალეწეს ჩექმით და კონდახით.

ვხედავდი ულმერთოდ ნაწამებს,
დაგდებულს პირველი გასროლით—
კაპილარს, გაწყვეტილს მაჯასთან,
ხელისგულს,
ცრემლებით დაზოლილს.

დადუმდა ქალი და გაცივდნენ
ხელები და მკერდის ფიქალი.
შეუნდე, თუ რამე შესცოდა,
გათავდა, ის უკვე იქ არის!

საყვედური

გაცრეცილ ფურცელს ვახევ კალენდარს—
კიდევ ერთი დღით, ვიცი, ვბერდები.
და ჩემს ბავშვობას, თოვლში ნარბენ და
დაღლილ უშობელს, სტკივა ფერდები.

რად ამადევნე აურზაურებს,
ან ჩემს ფიქრებში აფთარს რა უნდა.
ცივი წვიმების ვერცხლის ხმაურით
სიცოცხლე ჩაჭკნა და გადახუნდა.

ჩემს ნაცვლად თუკი სხვას უქროლია,
მე რატომ ვითვლი მტანჯველ ნაწოლებს,
ღმერთო, ეს როლი სხვისი როლია,
ჩემი ცხოვრებით რად არ მაცხოვრე.

სიცილის ოთახი

ყველა კედელზე იცინის
თეთრი კბილების კაფელი.
სიცილი ყველას უხდება
პატიოსანს და აფერისტს.

წუხელის ისე ვილოთე,
წუხელის ისე დავთვერი.
წავედი.
წუთისოფლიდან
რა შემრჩა?
სხვა არაფერი.

ოთხივ კუთხიდან მომდგარო
ცბიერო სარკის ციმციმო—
ხა-ხა-ხა, ხი-ხი, ხა-ხა-ხა,
ვიდრე მატირებ — ვიცინოთ.

●

ამ ატამთან დედაჩემი იდგა
(მოგონება უცებ ამოფრინდა).

მერე, როცა დაიჭექა თალმა,
მერე, როცა შევუყევით აღმართს,
უპატრონო, ნალვლიანმა ბალმა
მოიწყინა და ატამიც გახმა...

ამ ტოტებქვეშ, როგორც უკვე ითქვა,
მომლიმარი დედაჩემი იდგა...

●

აღდგომის დილა ისევ მოვიდა.
მარწყვის ყვავილის თეთრი ხვეულით.
სამფეხაზე დევს თვის ბოლოკი და
ქრისტეს სისხლი და ქრისტეს სხეული.

კიდევ — აღდგომის თბილ-თბილი კვერცხი,
ფიქრიანი რომ დამზერს მეუფე...
„ნეტავ შეუნდეს თუ არ შეუნდეს—
ხომ დააბრუნა იუდამ ვერცხლი!“

ცოდო - მადლს წონის ღმერთის ქმნილება —
ორი სტუმარი ამ წუთისოფლის,
და გრილ ბალახზე მოიწინწკლება
კვერცხის ნაჭუჭის წითელი ჭორფლი.

●

ცხელ ქვიშაში მიშვებული წყاროებივით
უცებ შრებიან ჩემი სურვილები...

რომ დავიძახო,
ვიწვი - მეთქი.
ვის გავაგონებ —
მითრევს თავისკენ ორმოს ალმური
და ველოდები, მიწის პირზე მხოხავი თოკი
როდის გაწყდება...

ცხელ ქვიშაში მიშვებული წყاროებივით
უცებ შრებიან ჩემი სურვილები...

მე კი მეგონა, სულ პატარა ოაზისის
მებალე მაინც ვიქნებოდი,
სადაც მხოლოდ შენ გაცხოვრებდი.

24 აპრილი

ჩემი სიყვარულის ტოტი დახრილია,
ვიდრე მოელვარე მახვილს ალესავდე
მიდი, იჭიკჭიკე, შენი აპრილია,
ჩემო სალამურა,
ბიჭო, ალექსანდრე.

ჩიტი მგალობელი როგორ შეგედრება,
მოხველ, რომ ნატკენი სული დამიამო.
სანთელს ავანთებ და ჩუმად ვევედრები—
კაცად გამიზარდე, დედა მარიამო.

მჯერა, კიდევ ბევრჯერ გამოვიზამთრებდი,—
შენი ხელისგული ისე მეფერება,
მაგრამ ნაოჭების რბილი ზიგზაგებით
მოდის, მაინც მოდის წყნარი შებერება...

ერთხელ გატეხილი ველარ გავამთელე,
თითქმის განახევრდა, ლამის გამესამდეს—
შენ კი გაეზარდე მხსნელად საქართველოს,
ბიჭო ალექსანდრე!
ბიჭო ალექსანდრე!

ზარი

როგორ უნდა ამოვქოლო
სულში ჩარჩენილი ბზარი.
გააღვიძებს საქართველოს
ზარი, შუაღამის ზარი.

ოთახი ვერ განათდება
თოვლში ჩარჩენილი მთვარით...
თეთრი ვალიდოლით მთვრალი,
ყურმილს ჩაფრენილი ქალი...

კართან ავაზაკი ქარი...
სადღაც, საშოვარზე ქმარი...
„გადი, გაუნათე კვარი!“—
რეკავს შუაღამის ზარი.

უკვე მერამდენე ღამე,
„ტუ-ტუ“...
ყურში წვეთავს შხამი...
რეკავს შეშლილივით ზარი—
„რითი გავისტუმრო ვალი...“

ზარი, შუაღამის ზარი...

თხოვნა

შვილები მეძახიან სათამაშოდ—
მხოლოდ ამათთვის არ ვბერდები.
საბერველივით ფუთფუთებენ
ჩემი მოქანცული ფერდები.

დამდევენ ყიჟინით,
შენისლული
თვალებით ვარსკვლავს ვჭრეტ კუდიანს,
დამღალონ, ბოლოს ხომ ჩემი სულიც
ცისკენ ასროლილი ბურთია.

დაუსვი—
წაიღე რაც მაჩუქე—
სიცოცხლეს წერტილი ცხელი მზის,
ოღონდ ამათ წინ ნუ ჩამაჩოქებ,
ღმერთო, ქანცგაწყვეტილ ცხენივით.

შვილები

ვიდრე ცოცხალი იყო
ერთი დედა ჰყავდათ,
გარდაიცვლა და
მისი ხსოვნა,
დაშალეს და დაანაკუწეს,
ყველამ თავთავის წილი წაიღო,
წავიდნენ და...
გადაივიწყეს,
სოფლის მყუდრო სასაფლაოზე
ჟანგიან მესერში გამოკეტილი
„საერთო“ დედა...

ეჰ, მტაცებლებო
შუაღამის ყაჩაღებო,
დაფიქრებულხართ,
წყალთხელში რაღად მისხმარტალებს
მაკე ორაგული,
თუ ბოლოს
თავის ლიფსიტებმა უნდა შეჭამონ?

●

ლელა თათარაიძეს

შენი ჩონგურის ხმა არ მაძინებს,
ხელს მიქნევს ჩავლილი იმედი.
მდუღარე ცრემლები დამაწვიმე,
ცრემლები—დაწყვეტილი სიმები.

ჩვენს წარსულს ფერადი კრამიტივით
ახურავს უკვდავი მოტივი.
მაგ ჰანგით „ლამაზად დამიტირე“,
როცა ჩამოვტყდები ტოტივით.

●

შემინყალე, ცოდვილი ვარ,
მე მოვადგი ცაზე კიბე
და სამოთხის ყვავილები
დავაჭკნე და გამოვთიბე.

ჩემთვის ვილა ილოცებდა,
ვინ მიზლავდა მე ასმაგად,
ან ჩემს გზაზე რა უნდოდა
ბზის ტოტებს და იასამანს.

ცოდვილი ვარ,
მაინც გვედრი,
დავაპირებ როცა მოსვლას,
შემახედე მამის გვერდით
დაბრძანებულ გვირგვინოსანს.

ძველი თბილისი

გოგი წერეთელს

მიდის ის თბილისი, გოგი,
მკაცრი მეეზოვის ცოცხი,
ბოლო ნარჩენებსაც მოგვის,
მე კი მენატრება მორცხვი,
მზე რომ სიონს ჯვარზე ჰკოცნის.

მიდის საღამო და დილა,
მოდის გაფუყული ჩარჩი,
გული მსაყვედურობს ხშირად,
მეოცეში რომ არ ჩავრჩი.

მიდის ის თბილისი, მიდის,
მოდის მზაკვარი და ფლიდი,
უდგას გულგრილობის ღობის
შიგნით სალაფავი გობი.

ვიდრე დაიწყება ჭკნობა,
ვიდრე დავიწყების ობი
წარსულს მოედება, მოდი,
რამე დამიხატე, გოგი!

დოლარი

რა გზით იარა, ვიდრე ჩემამდე მოვიდოდა,
ვიდრე ოკეანეს გადმოლახავდა,
ვიდრე გაცვდებოდა,
თავაწეული ხვლიკივით,
რამდენ ხელისგულზე წამოსკუპდა
მჭახე ტკაცუნით...

რამდენჯერ ქილერს ჩაუთვალეს,
რამდენჯერ—მსტოვარს,
რამდენჯერ ქალის ლიფში ჩატენეს—
დაახურდავეს და მეძავის დონდლო ძუძუებს
ქვეშ ამოუდეს...

იქნებ ამ ფულით,
ოფლით, ჭუჭყით რომ გაპოხილა,
ჩემი სამშობლოს მოღალატე დაასაჩუქრეს,
გაყიდეს
ანდა შეიძინეს
ჩვენი საწყალი, უპატრონო თავისუფლება...

ვიდრე ისკუპებს
და უკვალოდ დამეკარგება,
ვზვერავთ ერთმანეთს,
მე და ქაღალდის რეპტილია,
რომელიც ასე მძულს და... მჭირდება.

დრო

დაუნდობელი და ხარბი,
თავქუდმოგლეჯილი გარბის,
გზა-გზა ეფანტება ბარგი,
ეტლით გარბის,
დროგით გარბის.

გარბის თუშურ ზერდაგით და
თავმომწონე არაბულით...
სადღაც, რომელიღაც ბუჩქთან
სიკვდილია განაბული.

ერთხელ თუ არ შეაჩერე,
ხელი თუ არ სტაცე აღვირს,
აღარც მოსვლა,
აღარც წასვლა—
ქვეყნად არაფერი არ ღირს.

ერთხელ თუ არ აიყალყე,
ვერ ამოკბეჩ ტორით მიწას,
უსახელოდ აეგები
მკერდზე დაღირებულ ფიწალს.

სულ ამაოდ ეეედრები—
გეყო, მომიცადე, კარგი...
მისდევ გახეთქილი წარბით,
ის კი გარბის, გარბის, გარბის,...

●

არ სწყურია, არ შია,
არ აწუხებს „პრობლემები კუჭის“,
ყველაფერი თავში აქვს,
გადატანა ფურცელზე კი უჭირს.

მუზები რომ კოცნიან,
გაიგონებ
გაფრენასაც ბუზის,
შეხედავ და იფიქრებ,
ნაღდი გენიოსია,
დასცემია შთაგონების ტუზი.

მუზა თუ გაუფრინდა—
თუ გაეხსნა
მოკუმული მუჭი,
სამეზობლოს აღვიძებს,
ჯავრით გადახეული
ფურცლის ფხრანა-ფხრუნი...

უჩვეულო რა მოხდა,
ასე ვის არ მოსვლია...
თავი, როგორც თუჯი...
ისე გამოშტერდება,
იტყვი გენიოსია,
მაგრამ... უჭირს, უჭირს...

ხუმრობით რუსთაველის 42-ს

აღარც ძველი „მერანი“ და,
აღარც ჩემი მისამღერი:
—დამიხატავს წიგნებს კარლო,
დამიბეჭდავს წიგნებს მერი...

იყავ ჩვენი,
გახდი კერძო,
შე საწყალო, მგლების კერძო...

დაგიარეს,
დაგიურვეს,
მიაყარეს წარსულს მტვერი,
ცოტა-ცოტა ყველას ერგო
თავთავისი გასატკვერი.

წაგაქციეს, კბილი გაგკრეს,
გამოგლადრეს ფაშატს ყელი,
„პატრონს კაცი გაუგზავნეს,
აღარ გინდა თივა-ქერი.“

იყავ ჩვენი,
გახდი კერძო,
შე საწყალო, მგლების კერძო....

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
გაქრა ჩემი მისამღერიც:
—დამიხატავს წიგნებს კარლო,
დამიბეჭდავს წიგნებს მერი.

●

როცა გასწია ქარმა ურდული—
ასეთი თოვლი ჯერ არ მენახა—
კარი გაიღო—
დავიჩურჩულე,
ნუთუ მოხვედი, ნუთუ შენა ხარ.

შემოიყოლე თოვლზე სიმღერა—
შუამავალი თავდავიწყების.
ჩემს მკლავებში რომ ამოიღერე,
ხელებში შენი წელი ვიგრძენი...

მორჩა სიმღერა,
დავიწყებისკენ
თავ-თავის სკამი მიჰქონდათ სტუმრებს.
შუა ოთახში, მარტო, მე კი შენს
მონატრებასთან ვცეკვავდი თურმე.

●

ზოგი მიწას,
ზოგი სინდისს—
ვისაც რა აქვს, იმას ჰყიდის.

წარსულს ჰყიდის,
აწმყოს ჰყიდის,
მსურველების უდგას რიგი...

ფიქრით გატანჯული თავი
ლამის ყულფში გავუყარო.
ამის შემდეგ აღარ მკითხო,
მოწყენილი რატომ ხარო.

ნუთისოფელი

შეხედე!
მართლა წამი ყოფილა,
წამი მსწრობელი წამწამთა—
მავან წელიწადს გადათოვილი
ჩემი საფლავიც ამწვანდა.

—ისიც წავიდა?
—ისიც წავიდა,
არ ეწეოდა,
არ სვამდა.
ამოუბრუნდა საწყალს ნავი და,
მილიონ სხივში განზავდა...

წევრი წაატყდათ წათლილ ფერადებს,
ნაღველი ამოთავთავდა—
სიზმარში ვნახე, ჩემი პერანგის,
დედა გულისპირს ქარგავდა.

მე რომ მეგონა...
შენ რომ გეგონა...
ბოლოს სუყველას წამწარდა...
შეხედე,
მართლა წამი ყოფილა,
წამი მსწრობელი წამწამთა.

ლექსი—კლიპი „უცნობს“ და ნაცნობს

თებერვლის წვიმა... ლაფები...
ეკრანზე შავი ლაქები—
ძველი ახალი ამბებით
პოლიტიკოსი ღლაპები.

სახელისუფლო ნაღები—
უმარტივესი გაგებით—
„ახალი ქართველების“ და
ყოფილი ამხანაგების“...

„მიაწე, მიდი, მიაწე —
ვიღაცა სისხლით მიაწერს,—
ხელმწიფის ნავში ადგილი
თუ გინდა, მიდი, მიაწე“...

ადგამს ყოფილი ბარიგა
მოწამის გვირგვინს იუდას...
მაგიჟებს ამონარიდი
რადიოინტერვიუდან...

მკაცრი დიეტა... ფაფები...
ლამბაქზე—წამლის აბები...
ერთხელაც ჯავრი დამახრჩობს—
დავწვები, ველარ ავდგები...

„მიაწე, მიდი, მიაწე —
მიკროფონები წიაქებს,—

ხელმწიფის ნავში ადგილი
თუ გინდა, მიდი, მიაწე“...

ასე მდიდარი დარდებით,
თუმცა სიცოცხლე ქე მინდა,
ავდგები, გადავვარდები
მეკობრეების გემიდან:

—აღრენილი ღამეა,
უკვე აღარ მელი მე,
ბეჭდის თვალში შხამია,
ჩქარა, დამალევინე...

თებერვლის წვიმა... ლაფები...
ეკრანზე შავი ლაქები—
მკაცრი დიეტა... ფაფები...
ლამბაქზე—წამლის აბები...

არ მომკლავენ და გჯეროდეს
ყელს გამოვიჭრი ნებითა—
ჯვარს იწერს საქართველოზე
გაბახებული თემიდა...

●

ეს ერთი დილაც—
უფალო, გმადლობ,
რომ შემახვედრე უცნობს და ნაცნობს.
მალე დილის მზეს ხელს ჩამოვართმევ,
ამ ბექობების იქით რომ სახლობს.

გაზაფხულის დღეს გრძნობენ ფილტვები,
ველური ვარდის სურნელი მათრობს.

ეს ერთი დილაც რომ გამინათე,
უფალო, გმადლობ!
უფალო, გმადლობ!

შაშვი

შაშვი ძველებურად სტვენს,
მიმალული სუროში.
მაგიდასთან მიმჯდარი
სულ რომ წერ და
სულ რომ შლი,

ფურცელს ჩაჩერებული,
სულ რომ შლი და
სულ რომ წერ,
უსმენ დაფიქრებული,
თითქოს სმენას უმოწმებ.

აბა, ჩიტმა რა იცის
დაკარგე თუ იპოვნე—
წყლის ყლუპივით იზოგავ
უკანასკნელ სტრიქონებს.

თასი

საიდუმლო ბარათო—
მიჯნურობის თასო.
გეამბორა აკაკი,
მოგეფერა ტასო.

უკვე ნაოჭებს ითვლი
მგრძნობიარე ბავშვო,
სიყვარულმა რაც გიყო
ჩვენს მტერსა და ავსო.

ეგ დამშრალი ცრემლები
სულ ჩემს ცრემლებს ჰგავსო.
კიდევ ამომიბრუნებ
შუა წყალში ნავსო?

გსვამენ, მაინც სავსე ხარ,
მაინც ბევრი დგასო—
ცოტაც თუ არ მარგუნე
არ ვიცოცხლებ თავსო.

საიდუმლო ბარათო,
ვინც რა უნდა თქვასო:
კოვზის ჩუმი წკარუნი,
შანდლის შუქიც მახსოვს.

მაგიდაზე კნეინა
ფინჯნებს შემოდგამსო—
ჩაის გეახლებიან
აკაკი და ტასო.

●

იმ ქოხთან მივიდე, მინდა,
მინდვრების ბოლოს რომ მოჩანს,
კვამლი რომ ირხევა ბინდში—
სიკეთის და სითბოს დროშა.

მალ-მალე დასცდება ოხვრა,
სძინავს თუ, ღვიძავს თუ ქარგავს—
იმ ქოხში გოგონა ცხოვრობს,
ყველას და არავის არ ჰგავს.

სარკმელთან შემოდგამს სანთელს
მთრთოლვარეთითება ქალი,
დილით კი ამზევებს გარეთ
სიზმრებით დაქანცულ ბალიშს.

ტყისპირებს ყინვა რომ თოშავს,
აი იქ, მინდვრების ბოლოს,
დამეძებს ყინულის ქოშით
გოგონა, ქოხში რომ ცხოვრობს.

მივალ და, მშვიდობა!—ვეტყვი,
ქოხსა და იმ ქოხის პატრონს.
მივალ და მშიშარა თითებს
არასდროს დავტოვებ მარტო.

სატელევიზიო ნეკროლოგი

გუშინ საღამოს,
ჩვენმა მხიარულმა,
კვერცხისგულივით ყვითელმა იადონმა,
საბრალო წიწიმ,
ბოლოსდაბოლოს, ტყვეობიდან თავი დაიხსნა...
ახლა გალიის კარი კი არა
ცრაკლიტულებიც ვეღარ დაიჭერს—
ამოქრა მისი ლამაზი სული,
როგორც იების ნაზი სურნელი,
ხოლო თვითონ,
შორეული ნაოსნობის კაპიტანივით,
გვიწევს გულაღმა გალიის გემბანზე
და მის თავზემოთ
სახელმწიფო დროშასავით გადმოხრილა
დაკენკილი მწვანილის ღერი...

ხომ კარგად გახსოვთ ეს მეტიჩარა,
თავის წრიპინით,
ხარიხაზე დასკუპებული,
ყველა ინსტრუმენტს რომ აყრუებდა—
ვის რას უშლიდა
ემეტიჩარა,
ეხტუნა და,
ეფქვა მარცვალი

(ანდა მითხარი, ვინც ჩვენ გვისმენ,
რა უნდათ შენგან,
რად ეჩხირები ქვეყანას თვალში?—
ნუთუ იმიტომ გიმეტებენ
ხან გაუსაძლის ყოფას რომ ულრენ,
ხანაც აწყდები გალიის კედლებს,
რომ უფრო იგრძნო უმწეობის ცრემლის სიმწარე!)...

ვერ გამოვდექი კარგი ამბის მახარობელი,
თუმც წიწის სიკვდილს გულთან, აბა, ვილა მიიტანს,
მთელი სამყაროს „დირიჟორი“ თუ იგრძნობს მხოლოდ,
ორკესტრის ზღვაში, როგორ გაწყდა პატარა სიმი,
წიწის ჯადოქარ ყელში გაბმული...

სიცოცხლეს ჩვენი იადონიც
გადმოუვარდა უცებ ბუდიდან—
დღეიდან ალარ შეგვეშინდება
ღია თუ დაგვრჩა გალიის კარი.

მალე გამვლელ ქარს დაემგზავრება
წიწის ბუმბულის ყვითელი ფერფლი...

გადაძახილი

დიახ, პოეტო,
„არის ასეთი ქვეყანა“,
თავის თავზე უფრო დიდი
მტერი რომ არ ჰყავს,
ქვეყანა, სადაც წყალთან სხედან და
მაინც უწყლობით იხრჩობიან,
რომელსაც უკვე, მერამდენე წელიწადია,
უწლოვანი ბავშვით რყვნიან...

დიახ, პოეტო,
„არის ასეთი ქვეყანა“,
სადაც ყველა დამნაშავეა,
სადაც უმწეო „მამლაყინწებს“,
ერთმანეთი რომ გადაქოჩრეს,
ხალისიანი გულის ნაცვლად
ბოლმა უდევთ მკერდში—
შხამს ადუღებენ,
შხამს სვამენ და
შხამი ინელებთ...

დიახ, პოეტო,
„არის ასეთი ქვეყანა“...

სურამი

ფიჭვნარიდან დაწყებული,
ამ გზას მივუყვები როცა,
ველარ ვითვლი ჩარიგებულ
თონეების კრიალოსანს.

დუქნებიდან ღავღავებენ,
გაბმით, სტერეო და მონო:
—ხომ არ ჩამოქვეითდებით
ჯაგლაგიდან, სოლომონო!

ჩავიაროთ, გადავხედოთ,
გამოფენილ ამერ-იმერს,
ა, ეს დარჩა საქართველო—
დაკუტებულს აცხობს იმედს.

თონეში ჩაყუდებულა
დიდ-პატარა, ქალი, რძალი,
ან გარდაცვლილ იმპერიას
ნატრობს კაცი გამომთვრალი.

ვადაგატეხილი ხმალი,
გვახრჩობს წაგებული ომი.
თავს იტყუებს,
მეც მატყუებს
გაულვივებელი ცომი.

ჩავლილია ეს ზაფხულიც,
ჩავლილია დიდი „დრონი“,
ცარიელი მიღერღეტობს
ამბარცუმას ფაეტონი.

დუქნებიდან ღავღავებენ,
ისევ სტერეო და მონო:
—ხომ არ ჩამოქვეითდებით
ჯაგლაგიდან სოლომონო!

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია,
ნაკვერჩხლებზე ცრემლის თუთქო,
ვიდრე კარებს გავიხურავთ,
ერთი ორნახადიც ვთუთქოთ.

●

შემოდგომის მწუხრი,
მოქანცული მუხლი,
სიზმრად წყალი ჩასდის
დედისეულ თონეს.
ჩემთვის ასე ტკბილი,
მწარე კვამლი ბუხრის
დავიწყებულ წლებს და
წარსულს შევატოვე.
გაჭენებულ ნისლებს
ცივი ქარი წაშლის,
ამაოდ დავეძებ
ცაზე მიმალულ მზეს.
მოვა თავდახრილი,
მგალობელი ბავშვი,
ყაყაჩოს ნაღვერდალს
გადამაყრის გულზე.

ბედისწერით დამყვა—
მეგობარი არ მყავს,
თავიც აღარ მიღირს
დაბერებულ კიტრად,
და რომ გავერიდო
ამქვეყნიურ ყაყანს
გულმოსული, ზურგზე,
მათრახს გადავიკრავ.

ორშაბათი

ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის დღეს,
გულისჯიბეში ჩემი ლექსი აღმოაჩნდა.

იგვიანებს გაზაფხული,
თებერვალი ქუფრობს.
ორშაბათი მძიმე დღეა,
ყველა დღეზე უფრო...

მარტოობის სიჩუმეში
ტყვია დაიყეფებს—
ამ დივანზე რა უნდოდა
ბროწეულის შხეფებს.

აღრენილო,
გადაღლილო,
ბედისწერამ გაგთქვა—
წუთისოფელს ბოლოს მაინც
დუელს გაუმართავ.

ბოლოს მაინც თმები უნდა
წითლად დაიფიფქოს—
ფრთხილად, გული არ გაუსკდეს
შეყვარებულ სტრიქონს...

საბოლოოდ ამოდუღდი
ბალღამო და კუპრო...
ორშაბათი მძიმე დღეა
ყველა დღეზე უფრო...

ერთ ქვეყანაში

ერთ ქვეყანაში გაზაფხული დაიკარგა,
ველ-მინდორი ყვავილით აღარ დაიქარგა.

დაიკარგა, როგორც წითელქუდა ტყეში,
როგორც დილის ნამი, გადაყრილი პეშვით.

მიწა გაშავდა და ზეცა დალილავდა,
ცისარტყელას ბაფთა აღარ გაილანდა.

გაქრა, გადიხვეწა, ასე და ამგვარად
სიცივეს შეგვატოვა, ზამთარში დაგვყარა...

ალბათ, ოდესმე, ამა და ამ წელს,
მე ამ თემაზე ზღაპარს ანდა მოთხრობას დავწერ.

ერთ ქვეყანაში გაზაფხული დაიკარგა...

23 დეკემბერი

მიჰქრის ხსოვნაში მატარებელი,
არყის ხეების ტევრი, ბებერი,
მიჰქრის კვამლი და
მიჰქრის ღრუბელი,
ქარის უსიტყვო, მუნჯი მხლებელი.

უცებ აყვავდა დღეს მოგონება,
ფიქრებმაც ლურჯად გადაითოვეს.
ქარსაცავ ზოლთა ესკადრონები
მიუსაფრობის სევდას მიტოვებს.

მიჰქრის აწყმო და
მიჰქრის წარსული
და მინდვრის თვალი—
ტბა—მოსარკული.
გზაზე, რომელიც შენთვის დასრულდა,
ანა, ვაგდივარ ყელგაბაწრული.

და ისევ კუპეს სარკმელთან ვდგავარ,
შეუჩვეველი ტრამალის ჰავას.
გადაშლილ წიგნში შეშლილი ხავის
და მკერდში მიდუღს გრძნობების ლავა.

მთრთოლავ ტუჩებით დაორთქლილ შუშას
ცივი ჰაერის წვეთები ნამავს.
მედალიონის სისხლისფერ გულში
ამოტვიფრულა—„მშვიდობით, ანა!...“

„ჭვარტლს ამოაფქრვევს ორთქლმავლის ყელი,
კივილით ზეცაც რომ გაიბზაროს,
მაინც პოეტიც, პოეტის მკვლელიც—
ორივე ერთი ვაგონით მგზავრობს“—

ჩაწერს უმანკო ბავშვი დღიურში
და გამოსტაცებს სტრიქონებს ბურანს,
მერე სიცხიან სახეს მიუშვერს
გამჭოლ ქარს, როგორც ცოფიან ლულას.

მე აღარ ვიცი, ახლა რა დროა,
ალბათ ოთხია, ანდა ხუთია.
ავაზაკები ქალებს ათრობენ
და თოვლზე ყინვის ცეცხლი უნთიათ.

ვიცი, ამაღამ ვინც დაობლდება,
ვინც ამოავლებს ჩემს სისხლში დანას.
მაინც გეძახი—
ან ამ ლოთებთან,
ან ამ ბორბლებთან რა გინდა, ანა!..

ხომ მეამბორა, ვინც დამასმენდა,
ვინც გამწირავდა ამ საღამოთი...
მიდის ვაგონი,
კუპეს სარკმელთან
ჩადის მთვარე და ღამე ამოდის...

პირველ თოვაში და სიწყნარეში,
გაბრუებული ფიფქის ალერსით,
სინანულის და ტანჯვის გარეშე
მანამ ჩავხედავ სიკვდილს თვალებში,

მეც ჩავცეცხლავდი ორიოდ ჭიქას
 და შენს თბილ ხელებს ვიგრძნობდი, კეფას,
ზამთრის ღამეში შეშლილი ეჭვით,
ვიდრე ამხდიდა დამბაჩის ყეფა...

მიჰქრის ხსოვნაში მატარებელი,
არყის ხეების ტევრი, ბებერი,
იმ ცრემლით სავსე დამაქვს უბე და
არ გამოვსულვარ მე იმ კუპედან.

მიჰქრის ხსოვნა და
მიჰქრის წარსული
და მინდვრის თვალი—
ტბა—მოსარკული.
გზაზე, რომელიც შენთვის დასრულდა,
ანა, ვაგდივარ ყელგაბაწრული.

და ჰა, ჩამოგვრჩა ეს ერთი წელიც,
გათენებამდე თუმცა ადრეა,
პოეტიცა და პოეტის მკვლელიც
თოვლზე ნაბიჯებს მალე დათვლიან...

გადავიღალე გულქვა აწმყოთი,
იქ წავალ, სადაც ხსოვნა მარხია,
ოღონდ ცოტა ხანს ასე მამყოფე,
ოღონდ ნატვრის ხე არ შეარხიო.

ოღონდ მესმოდეს ასე ნაზი და
ასე მთრთოლვარე შენი ძახილი,
და გადახსნილი ჩემი მაჯიდან
ეწვეთებოდეს თოვლზე ძახველი.

2001

გაზაფხულია, მარიამ!

ცისკრის ვარსკვლავი ჟიკჟიკებს,
მაღლა ნაკლული მთვარეა,
გაზაფხულია, მარიამ!

აფრინდა, თეთრი ტყემალი—
კარღია დარჩათ გალია,
გაზაფხულია, მარიამ!

მიტოვებული საფლავის
პატრონი, შემამკობელი,
გაზაფხულია, მარიამ!

ამ ჩემი საწყალი ლექსის
გულდათუთქული მშობელიც,
გაზაფხულია, მარიამ!

სიცოცხლე რა ხანმოკლეა,
სიკვდილი როგორ მალეა,
გაზაფხულია, მარიამ!

ბედნიერი ხარ, ქალწულო,
შარავანდედი გავლია,
ორიათასი წლის ბიჭი,
კალთაში გიზის, მარიამ...

სადაც კი ფეხი დაადგი,
ნატერფალებიც ჰყვავიან...

გაზაფხულია, მარიამ!

წარწერა ნახატზე

მომენატრები, მთვარის სხეულო—
ცივ ცაზე ამონათალო,
დაბზარულ კედელს შემოხვეულო,
თოვლით ნაკურთხო ფათალო.

თვალებს ვხუჭავ და
იქნებ მოხვიდე,
სამამდე უნდა დავთვალო—
ნამდვილ ზამთარზე უფრო მართალო,
ახვლედიანის „ზამთარო“.

გორიჯვრობა

ალმართში კიკინებს ბატკანი,
პატარა,
უმწეო,
საწყალი.

სველდება თიხა თავსხმა წვიმით,
ფერდა—ჩლიქებით დაჩხაპნილი.

დოინჯშემოყრილი კაკლის ხალა—
ყასაბი ფერდობზე გადმომდგარა.

პირგაუპარსავს და მურიანს,
ამ ბატკნის სიკვდილი სწყურია.

ესეც გადაუგდებს მორჩილად
კისერს და შეანთხევს ოხშივარს.

ყასაბი ბატკნის თავს გადისვრის,
შეაწმენდს წინსაფარს დანისპირს.

მე კი უცოდველი, უბრალო,
შემშლის შებღავლება, უფალო.

ალმართში კიკინებს ბატკანი,
პატარა,
უმწეო,
საწყალი.

რემინისცენცია

იმედი ველარ ავანთე,
თავზე დაგვადგა ისიც,
ოცდამეერთე აღმართი—
გაუხედნავი კვიცი.

ტყუილი ისე რაკრაკებს,
რად უნდა ფიცი-მტკიცი,
ცოცხალი იყოს, აკაკი,
რასაც გეტყოდა, ვიცი.

მოწოდება

აქეთკენ, ოქროს მაძიებლებო,
თავზე ხელაღებულნო,
ყველაფრის მკადრებელნო,
მაგრამ გულადნო და უშიშარნო.

აქეთ იანკებო,
ზაფხულის უდაბნოს
ხვატივით ხარბებო.

აქეთ, აქეთ,—
ჩემს ღატაკ ქვეყანაში,
ხელუხლებელი საბადოები,
თვით დედამიწის გულამდე აღწევს.

ხუმრობით

ბიჭიკო ცალუღელაშვილს

ივნისია, მახსენდება
ის დღე—ტანჯული და მძიმე,
სატკივარი დამიამე
არ მომკალი, დამარჩინე.

რომ არ მოეკიდოს ობი,
ქვეყნის წყლულსაც უნდა ჭრიდე—
შენნაირი შვილის მშობელს,
რატომ უნდა გაუჭირდეს.

მაინც მიკვირს—
რაღას ვკარგავ—
არ თქვა, უმადური ხარო—
ვინმე დანას თუ დამკრავდა
არ მეგონა, დასტაქარო.

სურათი შვილებთან

დავხედავ სურათს—
დაიფრუტუნებს
ნაავადმყოფარ ცხენის ფიტული
და ნაღვლიანი თვალებიდან მომაჩერდება
ჩემი სიცოცხლის ნაშუადღევი
(იქნებ—საღამოც)...

მუხლების ქანდარაზე ჩამომსხდარ ბიჭებს—
ქოჩორა, მხიარულ ყვინჩილებს,
საკერებლებივით მოუჩანთ,
იღლიებში ამოდებული,
ჩემი გამხდარი ხელის ზურგები...

ზოგჯერ უცნაური სურვილი მიპყრობს—
მინდა ჯიხურის შხამიანი არაყით მთვრალი,
როგორც უკანასკნელი მაწანწალა,
ნაგვის ბუნკერში ნაგდები და ნაბუღრავები,
ყველაფერზე აღრენილი და გულნაკლული,
დავბრუნდე სახლში—
ჩემი ბოჩოლების
თბილ ფერდებს შორის
ჩავრგო თავი და,
ვიდრე ძალა მეყოფა,
ტირილით დავოსდე...

ზოგჯერ უცნაური სურვილი მიპყრობს...

ძახილი

ლ-ს

ბეტონს ამოტეხავს როცა
სუსტი მატიტელას ღერი.
მოდი, ჩამოართვი სოსანს
ცივი, მარმარილოს ხელი.

მოდი, გამიხსენე მაშინ,
როცა ჩავიხრჩობი ვალში,
როცა დაიკვნესებს ქარში
ჩვენი ძველისძველი ვალსი...

ძარღვებს გაუშლელი ვარდის
მძაფრი სურნელება უვლის,
ისევ გამიღვიძებს მარტი
მალე თვითმკვლელობის სურვილს.

ისევ გადმომიყრი გზაზე
ზამთრის გახუნებულ წიწვებს,
ჩვენი ნაღვლიანი ვალსი
ბოლო საღამოზე მიწვევს...

ვიდრე ამოქრება სული,
გჩუქნი უკანასკნელ ღიმილს.
ხსოვნის გიტარაზე კვდება
ვენებგადაჭრილი სიმი.

მგელი ქალაქში

ბ-ს

ამ უთავბოლო და დიდ ქალაქში,
ჩემი წარსული სადაც გადახმა,
ავადმყოფური ფერი დაჰკრავს
სადაც ბალახსაც—
ვდგავარ ასფალტზე, როგორც ღადარში.

უცხო ვარ, უცხო—
არაფერი აღარ მიზიდავს,
ჩემი სათქმელი მონოლოგიც დაშრა ენაზე.
მე ვარ ფიტული, გარეუბნის რეკვიზიტიდან,
რომელიც უკვე აღარ გააქვთ მთავარ სცენაზე.

შებინდებისას გახუნებულ ჩრდილებს ალაგებს,
გაბრუებული რეკლამების ფერადი შხამი—
უპოვართაა დღისით ქალაქი,
ქურდებისა და მდიდრების — ღამით...

ლეკვწართმეული ვდგავარ მგელივით,
რომ ვერ ხედავს და მხოლოდ ხმა ესმის,
ეს ხმა კისერში ჩამფრენია, როგორც ანკესი,
ვით ზარის კვნესა წარსულიდან ჩამორეკილი.

საით გეძებო, ყველგან შენა ხარ,
ამ ქალაქში და მთელ სამყაროში,

მხრებზე წაბლისფერ თმადაფენილი—
ბარიკადებზე მდგომი გავროში.

მერე თანდათან მეკარგება შენი ძახილიც—
ხსოვნის ციხიდან დაშვებული მაშველი თოკი.
ჩემთან რომ იყო, მომეკვროდი ტანზე დაღლილი,
აგეშლებოდა ბალანი ლოკვით.

ჩვენი წარსულის ნანგრევებზე ისევ მაბოდებს,
გაცოფებული მდინარის ლამში
ჩავწვები, როგორც გამოჩორკნილ ხის კალაპოტში
და ნელა-ნელა დინება წამშლის.

●

ცხოვრება ეს იყო, ეს არის,
მპარავი, ცბიერი, მგესლავი.
შენსავით ვერავინ მიმღერებს,
ვერავინ გამათბობს შენსავით.

შენს სიცილს წკრიალით ვინ ფანტავს,
მიწაზე ფეხს რომ არ აკარებ,
ამოდი, მინდვრების ინფანტავ,
ეს ერთი მაისიც მახარე.

თითებში ჩატყდება ფანქარი,
ვაი, შენ, უმანკო ტიტინო—
ამ წვიმით,
ამ სევდით,
ამ ქარით
დავსხდეთ და წარსული ვიტიროთ.

ცისთვალას სანთლები კვესავენ,
ხნულში დგას მაისის ნათლია,
ფერმკრთალო,
შემკრთალო კესანე,
შენ მაინც მიგლოვე, მადლია...

სიბერე

გამოვიდა ახალგაზრდობიდან,
შევიდა მეზობელ ოთახში,—
დახვდა სიჩუმით გაჟღენთილი
რბილი ნოხები,
მძიმე ფარდაგები
და თბილი, ბებრული ფაჩუჩები.

კედლებიდან გარდაცვლილი ახლობლების
ცნობისმოყვარე სახეები
მიაჩერდნენ და, ჯოხის კაკუნით,
მდუმარე სურათების სასაფლაოს,
შორეული ქვეყნიდან დაბრუნებული,
იმ მოხუცი ემიგრანტივით ჩაუარა,
ბებერი ძვლები უცხო მიწაში
ჩასაყრელად რომ ვერ გაიმეტა...

ახლა იგი, მხრებზე მოსხმული პლედით,
ჩამოჯდება ფანჯარასთან,
როგორც ბეჯითი მოსწავლე,
რაფაზე გამხდარ თითებს ჩამოაწყობს
და თავის გუგებივით დალიბრულ ცას
თვალს თვალში გაუყრის...

ქარი მოიტანს ღრუბელს,
ღრუბელი ჩამოჰყრის წვიმას,
წვიმა ააცრემლებს სარკმელს
და ასე გაგრძელდება,

ვიდრე...
არ გადაცურდება პლედი,
არ გარაკუნდება
მუხლებშუა ამოსული
დაღლილი ხელჯოხი
და მის ასაღებად ველარ დაიხრება...

გამოვიდა ახალგაზრდობიდან,
შევიდა მეზობელ ოთახში...

ბარტერი

სოსო ახალბედაშვილს

გადაცვლილია სტეპი პრერიაზე,
ქალაქის საბჭო—
მერიაზე.

გადაცვლილია „ჩაკრულო“ „როკზე“,
კავკასიური ნაგაზი—
დოგზე.

თურქულ „პილზენზე“
გადიცვლება ლუდი „თოფაძე“,
სამშობლო—
უსამშობლოობაზე.

შეცვლილი არის სათათრე ჩამჩა „მიქსერით“—
მე რა ვიცოდი ასე თუ მიმეტებდი,
ამჟავებული ტელე-ვინეგრეტი
ამომდის ყელში
და ვხრიალებ, ღმერთო, მიხსენი!

მოგყვება მოსეირე პროცესია,
კაცი რომ კაცს არ ჰგავს
ესეც „პროგრესია“—
რა დავინახო გულისამრევ ამ მიმოხვრაში,
როცა კეკლუცად ათამაშებს თეძოს ოღრაში.

შეუღლებულა მამალი მამალთან,
თავისი „სისუსტით“ ამაყობს მამათმა—
ვალი და
ამაოდ ეცდები, შერცხვეს...
ხოლო გულაყრილი ჩვენი დედლები,
სხვათა საბუდარში ასხედან კვერცხებს...

აღარც ხარი და
აღარც ლომა ვარ,
ჩრჩილი სჭამს წარსულს,
ჯავრი—მომავალს.

სოფელს და ქალაქს
მოსდებია „შპრიცის“ ეკალი,
ვენებში ჩუხჩუხებს ნარკოტიკი.
ხოლო სამშობლო თავბრუდახვეულა,
შტორმში მოხვედრილი ნაფოტივით.

სისხლის ღვარს მიაქვს ჩემი მშველელი,
თავმოკვეთილი ნათლისმცემელი.

გადაცვლილია ძმარზე ზედაშე,
ქართველი ბავშვი
ვერ კითხულობს ქართულს დედანში.
ლამის გამიტყდეს გული ზეცაზეც—
გელათში, ლოდქვეშ ოხრავს დევკაცი...

აღარც ხარი და,
აღარც ლომა ვარ,
ჩრჩილი ჭამს წარსულს,
ჯავრი—მომავალს.

ჯარისკაცების სიმღერა

შემოუჭირე ქამარი ფერდებს,
ფეხი აუწყე ყოჩაღად „ზემდეგს“.

პურის ნატეხს და წყალწყალა წვნიანს
ჯარისკაცური სადილი ჰქვია...

გინდა იქუხოს, გინდა იელვოს,
უნდა იცინო, მაინც, პიერო,

მაინც ამაყად უნდა იარო,
დაიმსახურო ქება.
გშია?
რა ვუყოთ, სამაგიეროდ
„ზურგში“ ვილაცა ძღება.

შემოუჭირე ქამარი ფერდებს,
ფეხი აუწყე ყოჩაღად „ზემდეგს“.

პურის ნატეხს და წყალწყალა წვნიანს
ჯარისკაცური სადილი ჰქვია...

გღრღნიან ეჭვები, რომ დასაფიცარ
მამულს კი არა, საღორეს იცავ—
მოსახდელი აქვს ყველა ნაბიჭვარს
მხოლოდ სტომაქის ვალი.

შენ კი ძილშიაც უნდა გახსოვდეს,
თუნდაც თავები ოხრად დაგორდეს,
უნდა დაიცვა, თუ ეს საღორე
შენი სამშობლო არის.

რადგან სიყვარულს აკლია დენთი,
ვიდრე არ გათრობს ღვინო ან „ბრენდი“,
ვიდრე სულერთი გახდება შენთვის,
ძმაო, რაც ირგვლივ ხდება—

შემოუჭირე ქამარი ფერდებს,
ამოუჭირე ჭიტლაყი „ზემდეგს“,
იყვირე, რათა ასი წლის შემდეგ,
რომ არ გვიხსენონ დედა!..

რომ არ გვიხსენონ დედა!..
რომ არ გვიხსენონ დედა!..

საერთო ეზო

საქართველოში ათწლიანი უქმეებია—
ორშაბათიც ისე იწყება,
როგორც შაბათი და კვირა,
სამშაბათიც,
ოთხშაბათიც,
რა თქმა უნდა, ხუთშაბათიც
და მითუმეტეს პარასკევიც.

კომუნალური ბინებიდან გამოცოხნილი,
უძილობით გაწამებული კაცები,
სასეირნოდ გამოყვანილი პატიმრებივით
ზიმზიმებენ მაგიდის გარშემო,
რომელზეც უკვე ათი წელიწადია
უსასრულოდ იწელება
დომინოს მრავალწერტილი.
ალარც კითხულობენ
როდემდე გაგრძელდება „უქმეები“,
კიდევ რამდენი აქვთ „მისჯილი“,
ვინ ანდა რატომ გადაუღებათ
ერთფრად დღეები...

ვილაც იგინება,
შავი ხოჭო—
გულაღმა აგდია „მკვდარი“ დუპლი.
ხრჩოლავს სიგარეტის ნამწვი და
მომთენთავ სიცხეში ჭახჭახებს დომინო,
დომინო — შავი მრავალწერტილი...

●

კედელი—
ტელეფონის ნომრების სასაფლაო—
ხუთნიშნა, ექვსნიშნა რიცხვების ლაბირინთში,
ზოგი ნომერი, კარგა ხანია,
ბალახსა და შამბს დაუფარავს,
ხავსგადავლილ ქვასავით ჩაძირულა
და ხანდახან—მოწყენილი ჭირისუფალი—
შუადღის ჭრიჭინა თუ დასტირის...

კედელი—
გარდაცვლილი ნომრების სასაფლაო—
გაწყვეტილი კავშირი,
ხრეშივით ჩამოცლილი დუმილი—
მივიწყებულ წარწერებს შორის სარწყავით ხელში
აღარავინ დაიარება,
გახუნებული მოგონება რომ გაანედლოს...
საფეთქელზე კი კოდალა აკაკუნებს:
„...არ პასუხობს თქვენი ნომერი!...“
„...არ პასუხობს თქვენი ნომერი!...“

„აბა, რას ბრძანებ, ჩემო კოდალა,
როდის იყო მკვდრები პასუხობდნენ...“
მალე, ალბათ, კედელს შევლებავთ
ანდა შპალერის ლიანდაგს გადავატარებთ
და ყველა ნომერს ქვეშ მოვაყოლებთ...

მოსახდენი აქაც მოხდება,
ამიტომ აღარ ღირს თავის ატკივება—

კედელი ნომრების სასაფლაოა—
მოდიან, მიდიან
და უნაყოფო, გამხმარ ეკალზე
შებინდებამდე მოთქვამს ჭრიჭინა.

თამადა

ოთარ მამფორიას

„მამფი“ ორასწლოვან
ცაცხვებში თამადობს—
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.

ბოჰემას ხარკს უხდის
სიცოცხლის ფასად—
იტყვის და ჭიქაზე
იადონს დასვამს.

ვიღაცა შეჰკადრებს:
—ბატონო ოთარ,
ჯანმრთელი რომ ვიყოთ,
ვიკმაროთ ცოტა...

—გეტყობა ქვიშხეთის
დაგცადა ჰავამ,

შე ფრანგო, მიწაში
ჯანმრთელი ჩავალ?

მატლებს ჩავუტანო
ჯანსაღი ხორცი?—
ფეხმძიმე საღვინეს
მუცელზე კოცნის...

„მამფი“ ორასწლოვან
ცაცხვებში თამადობს—
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.

მტკვარი ტაშისკართან
იცოხნის ნარიყს,
თვალები ევსება
ცრემლით და მთვარით:

—რა დროს ძილი არის,
გვეყოფა იქაც,
აბა, წავუქციოთ
წასულებს ჭიქა...

ავდგებით, ვტორტმანებთ,
თამადა გვტუქსავს:
—ხომ არ დავაძმარებთ,
ეს ერთი შუშაც...

აღარც ის ღამეა,
აღარც ის მთვარე,
აღარც ის საღვინე,
აღარც ის ბოთლი.

წავიდა, ბოლომდე
აბა, ვინ დალევს—
რა ბევრი გვინდა და,
რა ცოტა გვყოფნის...

ოთარ მამფორია
ახლა იქ თამადობს—
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.

სხვაც ბევრი მიადგა
შავეთის კარსა,
შეხვდება, ჭიქაზე
იადონს დასვამს.

არავინ ჩაუვლის
უსალმოდ,
ვინ ეტყვის, გეყოფა,
ნუ სვამო.

უკვე მოხსნილია
„ემბარგო“—
მიდი, შეუბერე,
შე ფრანგო.

რეიმსი. შამპანური. გახსენება

გასტონ ბუაჩიძეს

იქნებ ახლა იქაც წვიმს,
იქნებ ცუდი დარია,
ფიქრით უკვე იქა ვარ—
წასვლა აღარ მინდა შინ.
ორღანიდან მოწვეთავს
წყნარი „ავე-მარია“,
უსმენს აცრემლებული
ეკლესიის ვიტრაჟი.

მოდის ამხედრებული
გოგო ორლეანელი,
ვეუბნები, შემთვრალი:
„თმაში წვიმაჩაწნულო,
ჟანა, ხომ არ გვეცეკვა,
ჟანა, მომეცი ხელი,
ჩამობრძანდი ცხენიდან,
მშვენიერო ქალწულო“.

ვდგავარ თავსხმა წვიმაში—
რომელიღაც წელია,
რომელიღაც თვეა და
სევდის ნისლით შემოსილს,

საფრანგეთის ცა ლამის
ჩამომამხოს ელიამ,
გაბუტული მიყურებს
„რეიმსის ანგელოზი“.

ყველაფერი ახლო და
ყველაფერი შორს არის,
ვიდრე შამპანური მაქვს
გახსენებაც ბოგინობს—
საცობს უცებ მოიხდის
თეთრი გვირგვინოსანი,
რომ თავი მოგონების
ყულფში გამაყოფინოს.

იქნებ ახლაც, რეიმსში,
წვიმს და ცუდი დარია,
დავლიე და...
იქა ვარ—
წასვლა აღარ მინდა შინ.
ორღანიდან მოწვეთავს
წყნარი „ავე-მარია“,
უსმენს აცრემლებული
ეკლესიის ვიტრაჟი.

●

ისევ აყვავდი, ვარდო სამოთხის—
გადახუნებულს ვფურცლავ ნაწერებს.
კივის მათრახი,
ვიდრე დაოთხილ
ულაყს ეზოში შემოვაჭენებ.

მეც გადავუგდებ მსახურს სადავეს,
რაც სიყვარულში ფეხი ავიდგი,
შენს ფანჯარაში ფხიზლობს შანდალი
და ღამეს ართობს ჰანგი ჩაიდნის.

რისთვის მოვედი?—
თრთვილის ვუალი
შემოგადნება, ვიცი, მაცდურო,
რომ ულმობელმა შენმა უარმა
ყურთან ხელივით გაიტკაცუნოს.

უშენოდ წამიც არ მიცხოვრია,
და ამის შემდეგ როგორ ვიარო,
მაგრამ სიცოცხლე თუკი თოვლივით
გაქრა, ვინ უკრავს ფორტეპიანოს?

აღვიძებ კლავიშს ძველი მოტივით
და უფლის ცრემლად ბრწყინავ ღამეში.
მადლობელი ვარ, იმ მელოდიის,
მე რომ შორეულ ციდან ჩამესმის.

მინაწერი წიგნზე

ფიქრია ლებანიძეს

წავიკითხე შენი წიგნი, ფიქრია
და საწყალი გული ჯავრმა გამოხრა.
სტრიქონები ნაღველს მოუჭირხლია,
კითხვა კვნესის—რატომ მოხდა, რაც მოხდა?

ვაჟი—კაცი ვისაც მოუხიბლია,
ველარ აღებს სიყვარულის სალოცავს...
შორს, მზეები, უცნაურად მიჰქრიან,
თითქოს აღარც უწერიათ ამოსვლა.

ბავშვობის სახლი

ღონიერი, ამტანი, ჩამოყვითლდა კაკალი.
აღარ ჯდება ქათამი საბუდარში კაკანით.

მოველ, მაგრამ თბილ ხელებს ვილა შემომაგებებს.
ანჯამებზე ჭრიალა კარს ორპირი აყეფებს.

დილის ბინდბუნდს ადედებს ჯანღი შემოდგომური.
იცოხნება საქონლით ჩათბილული გომური.

ბზეზე წამოწოლილი, მენახირე ბიჭივით
ვუსმენ, როგორ მოჰყვება შარას ურმის ჭრიჭინი.

მეჩვენება, ამქვეყანდ, ერთხელ უკვე ვიყავი.
კუნძზე ზამთრის ქვრივი ზის—სამასერთი წლის ყვავი.

წარსულიდან მიხმობ და მომავლიდან მიყურებ,
დავრდომილი მეძახი:—მოდი, კარი მიხურე!...

წლები ისე გავიდა, ერთხელ ვერ გაგახარე.
სარზე ჩამოგებული ჩემი გული ფართხალებს...

მალე თოვლიც მოვა და ვიდრე წავა ზამთარი,
ხევში ჩაიჩეხება მოწყენილი ყრანტალი.

●

მაფხიზლებს წვიმა.
წვეთი ხმაურით
ავსებს ხელისგულს, როგორც ნატეხარს.
ქარი შენს თმაში ფოთლებს გაურევს,
აივნებიდან რომ გადახვეტა.

გეძახი, მოგდევ, ვჩქარობ ბავშვივით,
ამღვრეულ დღეებს ვახევ კალენდარს—
ბრიალებს ალი და მანახშირებს
ცეცხლი,
რომელიც არ ჩანს გარედან.

ლოცვა

უბნელო ნათელში მყოფო,
ამხსენი სიცოცხლის კოფო.

რად ვისმენ სამდურავს სოფლის,
მე ჩემი ტკივილიც მყოფნის.

მომხედე უპოვარ ობოლს,
უბნელო ნათელში მყოფო.

●

გ. გ.

უხმოდ მიიპარება შემოდგომის ლანდი,
ჭკნება მესერს აკრული ფერწასული ვარდი.

იქით მიეჩქარება მტყუანი და ნაღდი,
აღარ მღერის ეზოში გოგოლაძის ნარდიც.

მოკვდა, ცივი ფანტელი მის საფლავსაც ათოვს.
მიგვატოვა ცოცხლები, მკვდრებს რომ მიემატოს.

ეგ ხელადა მომეცი, ეგ შხამი და დურდო,
უნდა თავი გავწირო, ჯოჯოხეთში ვდურთო.

ხელუკულმა მოგისვრი, კამათელო, ასჯერ,
წავალ, აღარ მოგხედავ, ალჩუზეც რომ დაჯდე...

ცივი ღვინით გაყინულ ყელს ცრემლებით ვითბობ—
ისე გაქრა სიცოცხლე, არც ყოფილა ვითომ.

●

მომრავლდნენ უბანში ქვრივები,
კვერნაქზე—საფლავის მწკრივები.

ტოტებზე დაბმულან ვაებით
ქვრივების თავშლები—ყვავები.

ფილებზე სხივები იმსხვრევა,
კვერნაქზე მიმქრალი მკვდრის მზეა.

ქარები კაკლის ხეს ბერტყავენ,
ფოთლებიც კარგავენ ერთმანეთს.

მწუხრის გზას სანთლები უნათებთ,
ოვალურ ჩარჩოში სურათებს.

მომრავლდნენ უბანში ქვრივები,
კვერნაქზე—საფლავის მწკრივები.

მუსიკა

ვივალდის „ზაფხულით“
შემოგყავს ზაფხული.
დილის ნამით დაკოცნილ ბალახს
არ მოჰკიდებია ყვითელი ალმური,
არც ქვებზე გართხმული ფშანები დალეულან,
და ახოვანი კაკლებიც
ისევ აშრობენ ნოტიო ჩრდილებს...

ვივალდის „ზაფხულით“
შემოგყავს ზაფხული,
და მე რომელიღაც ივნისი მახსენდება,
ქალის საწოლიდან,
პირველად , სიამაყის გრძნობა რომ ამყვა—
ფანჯარასთან მისულმა ხელი გავუწოდე
წითელ ალუბალს,
იმ კაცის სიხარულით,
ალერსიანი, ნაზი მხეცი რომ
მოათვინიერა...

ვივალდის „ზაფხულით“
შემოგყავს ზაფხული,
და არ იცი, რომ კარგა ხანია
უკვე გაყუჩებულ
შემოდგომის ულრანში ვცხოვრობ.

ავტოპორტრეტი ძველ ჩარჩოში

აირივნენ ამინდები,
ქარი, წვიმა და ბინდები,
აწვალებენ გარინდებულ
სათონეზე ყავარს.

მოსაწყენი კადრებია—
ჭრილობები მრავლდებიან,
წლები უფრო ავდებიან,
გულიც გაიბზარა.

არ მახსოვხარ, არ მინდები,
სიყვარულით ვღარიბდები,
მოქანცული ღამისთევით
ფანჯარასთან ვდგავარ.

დედაქალაქი

(რეკვიემი)

ამომისროლა ესკალატორმა
და მოტორტმანე ნახირს შემრია—
უკვე აქა ვარ,
შევიგრძენი ნაცნობი სმოგი
ასე ტკბილი და მშობლიური—
გავეტრუნე გაბრუებული,
როგორც ბოჩოლა
მონატრებულ, შეჩვეულ ჯიქანს...

სხვები დგანან და მეცა ვდგავარ,
წავლენ—მეც წავალ,
ყველანი ერთად დავხევდებით,
ვიდრე პროსპექტზე
დავიწროვდება სპეცრაზმის კალაპოტი,
ვიდრე ხელჯოხზე
დაიგმინებს ნეკნი ჭახანით...

საბედნიეროდ (საბედნიეროდ?) ასე არ ხდება,
თავზემოთ ხელს ვილა დამუშტავს,
ნახირს კუჭი აქვს ამოსაყორი—
აღარც ძალაა, აღარც სურვილი,
რომ შინდისფერის დანახვაზე სისხლი აემღვრეს...

ახორხორებულ „შრომის ბირჟაზე“
თავშეყრილა ქვეყნის ნაღები—

დურგლები და კალატოზები,
ექიმები და ინჟინრები,
ქვისმთლელები და მიწისმთხრელები,
უპენსიო „ვეტერანები“,
მეძავები და ფანოღები—
ყველა თავის მუშტარს მოელის,
ვინ მოაკითხავს, ვინ წაიყვანს საბალახოსკენ!

ერთდროს ქალაქის ნებიერიც,
ვხედავ, აქ არის,
შუა ქუჩაში ხელგაწვდილი
ხვდება მანქანებს,
და არ იცის, რომ ეს „ნომერი“
დღეს აღარ გავა—
ვიღა შეხედავს ჩამოწერილ
და დონდლო გავას.

მეც ველოდები, მაგრამ აბა, რა შემიძლია,
პურს ვინ შემაჭმევს,
ვინ მიმიშვებს საბალახოსთან—
გაუცხოვებულ და გულქვა უბნებს
ტრუბადურები აღარ სჭირდებათ.

ყველაფერი დალაგდა,
ყველაფერი გადანაწილდა,
მოდაში აღარ არის ბატალური სცენები—
ჩათავდა მიტინგების ეპოქა,
კარგა ხანია,
მთავარი პროსპექტიდან გადაყარეს ბარიკადები.
დამთავრდა აუქციონი.

გაიყიდა, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა,
დაიბანა ხელები ოტელომ—
გაიტანეს სცენიდან მიმხრჩვალი ქალბატონი...

გადანაწილდა ყველაფერი,
მხოლოდ და მხოლოდ
„ლიტერატურული მამულებისთვის“
გრძელდება ბრძოლა—
უხათქუნებენ შუბლს ჭედილები—
იჩხვლიტებიან გულის შხამში ამოწებული
კალმის წვერები...

ქალაქი, სადაც წაშლილია აკრძალვის ნიშნები,
შესჯახებია წყალქვეშა რიფებს,
მიწაზე დასთრევს ჰარაკირით დაბდღვნილი ფაშვი...

მე კი თავი უნდა მოვაჩვენო,
ვითომ ძალიან ბედნიერი ვარ,
სწორედ ისეთი, პირველად რომ გამოვეცხადე,
დილის მატარებელს ჩამოყოლილი—
მოკრძალებული დამპყრობელი,
ლექსებით სავსე, გაცრეცილი რვეულით ხელში,
პროვინციული კილოკავით, ვინც არაერთხელ,
გააღიმებდა თავმომწონე, სალონურ თბილისს:
„ისა ვარ, ისა,
არა მაქვს ქისა,
კიდეც რომ მქონდეს
რა ჩავდო შიგა“...

რითმა მოიკოჭლებს,
სამაგიეროდ
დღესაც იგივე შემიძლია გავიმეორო,

როცა კვაზიმოდოს კუზით შევრჩი
დამღლელ ცხოვრებას,
როცა მოღავდა წლების ბოღჩა და
გახევდა ხერხემალი...

მე კი თავი უნდა მოვაჩვენო,
ვითომ არც სიბერეს ვეპუები,
არც—სიღარიბეს.

სიმართლე ჩემი ლექსების
და ამოოხვრის
კედლის უკანა მხარეს წერია,
იქა ჰკიდია ჩემი პორტრეტის
ნაღვლიანი ორიგინალიც,
წამწამებზე ჩამოსავარდნად
დაკიდებული ორი ცრემლით დამშვენებული...

ხომ მაფრთხილებდნენ, მეცხრე კარი არ გააღოო,
რატომ, რატომ არ დავიჯერე,
რად მივატოვე უდარდელი ბუმბულ-ბალიში,
ამ ცივ ქვაზე თავი როდემდე უნდა მედოს,
ქვეშ მოყოლილი ჭიანჭველები რომ კუთავენ,
და სიმების ნაწყვეტებივით
სიპზე გაკრული,
ჩაგრეხილი ჭიაყელები
მიწაში ჩაზრდილ თმის ფესვებში
გზას მიჰკვალავენ...

ხომ მაფრთხილებდნენ,
ჯავრებს რატომ შევეჭმევინე,

ერთი ძვალი მეც დამეთრია,
ჩავფრენოდი, გაავებული...

კარგი იყო, როდესაც ვსვამდი,
გამშრალ ყელს როცა ვანედლებდი,
ხოლო დაღლილ თავს
მხიარული აზრებით ვანიავებდი,
„აუზსაც“ ხშირად წყალს ვუცვლიდი,
ახლა კი, ახლა,
გადამქანცა სულ ფხიზლად ყოფნამ,
ჩაობდა და ჩამწვანდა ცრემლი,
გომბეშოს მოთქმით დამფრთხალი მუზა
ჩემს ჩრდილებს უკვე თავს არ აფარებს...

აღარ, აღარ, აღარ აფარებს,
ამიტომ ხშირად ვებუტები მე ჩემს სიყვარულს,
ჭაღარითა და ნაოჭებით თავს რომ მაწონებს
(ამ ნაოჭებში წლები „ჩავყარე“).

ჩავყარე და გავანიავე—
ვერც თავს ვუშველე
და ვეღარც შენ გადაგარჩინე—
აბა, ფხიზელმა ამ სადარდელს როგორ გავუძლო,
როგორ ვუყურო
როდის, როდის აიზლაზნება
მტკვრის ხეობაში ჩაწოლილი
გაზანტებული ბეჰემოთი,
ერთ დროს „მზის და ვარდების“ კავალერი,
ვერცხლისფერი ქვაფენილებით რომ

აეკალთავებინა,
ალმართებში დაკიდული, ძველი უბნები...

ტრუბადურები არც ამ უბნებს აღარ სჭირდებათ,
არც თონისა და ხაშის ალმური,
მესამე სირჩაზე მომსკდარი ხვითქი
ჩახსნილ გულისპირს რომ ჩაირბენდა,
გაშლიდი მკლავს და დაბარბაცებულ
აივნებიდან მთელ თბილისს რომ მოეხვეოდი...

ახლა ამ ქალაქში მათხოვრები
თავისზე ღატაკებს სთხოვენ დახმარებას,
მეც რომ ქუდი მოვიხადო და სამოწყალოდ
ქუჩის კუთხეში ავიტუზო
არავის გაუკვირდება:
„გაიღეთ მოწყალება, ბატონებო, გაიღეთ,
ეგებ სიკვდილამდე მძორი შიმშილს გადავარჩინო...

ეგებ როგორმე გავაღწიო ტანჯვის ციხედან.
თორემ დაღლილ სულს,
დალეულ სულს,
ღმერთი მიხედავს.

(სასაცილოა (სატირალიც!) ამ ღმერთმაც რა ქნას,
როცა ზნეობა ყველამ თავის ჭკუაზე აქნა)...“

აქეთ ხოხობი აღარ გადიფრენს,
ველარც ახალი გორგასალი გასტყორცნის ისარს—
იმ მშვილდის მომლუნავი
მკლავი უკვე დადუნებულა,
აჭრილი სისხლის წვეთოვანი გვირწყავს ძარღვებს
და...

მაინც კარგი ჩიტები ვართ,
თავი ისე გვიჭირავს,
ვითომ უშველებელ ნეხვზე არ ვისხდეთ...

ესეც ჩვენი დედაქალაქი—
ბაზრობებით აკლებული,
ჩვენი დიდი ნაგავსაყრელი—
ივლისის ცეცხლზე შემოდგმული კუპრის ქვაბი,
დუღს და გადმოდის.

ღია ფანჯარაში ზარმაცად ამთქნარებს
უჯიგრო ბულდოგი,
ნაპატიები, ბეწვდავარცხნილი,
ყუათიანი სათქვლეფით გატიკნული.
აქვე ახლოს კი, აბანოს ჩასახვევში,
ნაგვის ბუნკერს შესევიან
ჩვენებური მანანწალები,
მოშორებით,
პარკიანი მოხუცი ქალი,
თავის რიგს ელოდება—
ყოჩაღად, ბებო,
სხვებმა არ გვაჯობონ,
გადავქექოთ, დავახარისხოთ,
ბედი ზოგჯერ ხომ ჩვენთვისაც ილიმება—
ეგებ ბულდოგის მორჩენილი ულუფა გვერგოს...

გააღეს მაღაზია.
აბრა—„სურსათი,“
მე კი მახსენდება ფერსათი.
ვინ დაიბადა ფერსათში?

რატომ მომაგონდა ფერსათი?—
ალბათ, იქ ვიღაცამ დაასლოკინა.
მიჩოჩავს ურემი—
რიყეზე მირაკუნობს კონკილა...
სახრიანი ბიჭი ჩემსკენ იყურება—
არ გაბრიყვდე, უმცროსო ძმაო,
ცეცხლს შეუკეთე რვეული და არ წამოხვიდე,
ნუთუ არ კმარა, მე რომ ცხვირი მივანაყე,
არ წამოხვიდე,
ცრემლისა და ყრანტალის დასაყრელად
ამ ნანგრევებს მეც კი ვეყოფი,
კიდევ ისინი,
ვისაც ძველი თბილისი ახსოვს
და სახსრებივით ძილშიც სტეხენ მოგონებები...

ჩამკვდარი გული აღარსაით აღარ მეწევა,
არ მენატრება, არც ფანჯარაში,
კლავიშებზე დახრილი გოგო
და მზის თითებზე ჩამოღვრილი ბგერების თაფლი—

ეჰ, თალალო, თალალო,
ცისკარივით ალალო...

ცეცხლმოდებული ბორბალივით
გარბის ცხოვრება,
შლის და გვავიწყებს ძველ წარწერებს,
მხოლოდ სურნელი შენი თითების,
ჯერ კიდევ მუჭში მყავს დამწყვდეული
და როცა ისე მომენატრები,
რომ ლამის სხეულიდან ამოვფრინდე,

ჩუმად, მალულად,
ხელისგულებს დავყნოსავ ხოლმე.

ეჰ, თალალო, თალალო,
ცისკარივით ალალო...

მაინც რა მოხდა, რა დღეები გამოვიარეთ—
ვნახეთ აკივლებული გედები—
ლურჯი აივნები, როგორ იწვოდნენ,
ისე ჩაიფერფლნენ, აფრენაც ვერ მოასწრეს.
უბედურებასაც სჭირდება აკომპანემენტი,
ჰოდა, ტკაცუნობდა შენი ინსტრუმენტი—
შავი სონეტი,
ამ ცეცხლზე თბებოდა დეკემბერი—
ცივი, ხრინწიანი დედაბერი...

რატომ არ ცხოვრობდა სადმე, ახლო-მახლო,
გაყინულ ბინაში შოსტაკოვიჩი
და არ ითხზვებოდა ნერვების ამწენი
სიმფონიის
უვერტიურა,—
სამი „გმირი“ რომ მიჰკიოდა
დანგრეულ პროსპექტს,
ხოლო მეოთხე,
გველივით ბრძენი,
ყველგანმავალი ჭაღარა ცხენი,
გვასაჩუქრებად „ბერძენთა ძღვენით“...

მეც ხომ იქ ვიდექი,
აი, ამათთან,
ამ უენო ნახირთან ერთად,
მეც ხომ ჩემი უმოქმედობით

ვაკანონებდი ძალადობას...
ჰოი, უფალო,
რა დაგიშავე,
რატომ გამრიე უცოდველ სისხლში,
ერთი სარი მეც ხომ ამოვაძრე,
მეც ხომ შემოვუძეხი ღორებს ყანის
გადასაჯეგად...

ჩემო ჩაქროლილო სიყვარულო,
შენც დეკემბრის ცეცხლში ჩაიწვი,
მე თვითონ გნახე დამწვარ კოჭზე ჩამოკიდული,
ჩამოგხსენი და თვალები დაგიხუჭე—
როცა დაგხედე, შენ კი არა, ფერფლი მეჭირა,
ნელ-ნელა რომ მართმევდა ქარი
და მიგაფრენდა იქით, საიდანაც
ერთ დროს თებერვლის ამღერებულ რუებს
მოვდევდით,
სადაც ვუსმენდით თოვლქვეშ განაბულ
ენძელების და იების ფშვინვას,
იქ ვესწრებოდით კლდის ქიმებზე ამონთებული
ალუჩისა და ატმის ჯვრისწერას,
მერე მოვრბოდით მამადავითის
კეთილი მზერით გამხნევებულნი,
ამ უსასრულო, ბრმა ორმოსაკენ,
სადაც გვიცდიდა
ჩვენი სიცოცხლის დღე და ღამე—
ორი ერკემალი,
თეთრი და შავი...

ბოლოს მაინც შავმა აჯობა...
როცა თვალები ამეხილა
შენ აღარ მყავდი,
მხოლოდ ხსოვნა და
მხოლოდ სურნელი
მაგ თითებიდან ჩამოღვენთილი,
მუჭის ნატეხარში მოგროვილი—
აი, ჩემი ავლადიდება...

განა სიბრმავე არ მერჩივნა—
ჩემო დულსინეა, დულსი, დულსიკო,
ქარის წისქვილებს ვიღა აუხტება!
უსიყვარულოდ არც სიბრძნე ვარგა
და არც სიგიჟე,
ვიდრე სიყვარულს წაართმევდნენ,
ამ ნახირსაც ხომ
ხალხი ერქვა—

ეჰ, დულსინეა, დულსი, დულსიკო,
თუ დავუჯერებთ გიტარიან
ელამ მუსიკოსს:
„ისე დაუგდეს სინდისს „კურსი", რომ
ამერიკელებს ისევ რუსი სჯობს
(თვალი დაუდგეს გაჭირვებას),
ვაი, რუსი სჯობს,
რუსი,
რუსი სჯობს"...

პანაშვიდზე რომ არ ვიყო
ხომ სიცილით ჩავბჟირდებოდი

და ყველას თვალწინ
გულის წასვლამდე ვიხარხარებდი—

საქმე ისე მიდის
გაის ამ დროს,
იქნებ თუმურ-ლენგიც
მოვინატროთ...

მაგრამ რა გრძნობა შეათრთოლებს
გაღოღოვებულ და უგრძნობ ნერვებს—
ამ ყრუ სიმებზე, აბა ვიღა ჩამოჰკრავს თითებს,
ვის შეანათებს ცრემლიანი
ორი შავი და
ალერსიანი კაკლის მურაბა—

ეჰ, თალალო, თალალო,
ცისკარივით ალალო...

მე რომ მოვკვდე და ვერ მოგეფერო,
ვინ მოიხედავს შენსკენ, ბებერო...

აქაურობას ტრუბადური აღარ სჭირდება:

ბევრი იწვალა თუ ცოტა იწვალა,
ხსოვნის ქალაქი გარდაიცვალა.

სადა ხართ, სადა, ახლა მაინც დედილო ნახეთ,
აქეთ, ობლებო,
ობლებო, აქეთ!

მტრედები

გაზაფხული მძლავრობს, მოდის,
ყავლი გაუვიდა ბუხარს.

ორი მტრედი მარცვალს კენკავს,
მავიწყებენ ჩემს საწუხარს—

ისე ტკბილად ღუღუნებენ,
ალბათ, ერთმანეთი უყვართ.

●

ბორენა ჯაჭვლიანს

გახსოვს, ის გაზაფხული?
სარკმელთან რომ ჭყიოდა,
ჩიტი კუდმაკრატელა—
მოცეკვავე იოტა.

უკვე ისე აცივდა,
ალბათ, აღარ დათბება,
ხსოვნა დაიფიფქება,
სულში ჩამოზამთრდება.

გაქრა ის გაზაფხული,
მორჩა, საიქიოდან,
ველარ გამომახედებს
მოჭყიპინე იოტა...

დაქანცული სიცოცხლე,
გადებული ხარდნებად,
როგორ კარგად დაიწყო,
როგორ ცუდად მთავრდება.

●

შეხედე, ერთი კაცივით
ქვეყანა შეშლილია—
არ მეშინია მტრებისა,
მოყვრების მეშინია.

არც „მაკდონალდსი“ არ მინდა,
არც ტულის „პეჩენია“,
ტირიფონული მახობლის
სურნელი მირჩევნია.

მოვკვდები, ბოლოს მომილებს
ტყვია ან იშემია.
არ მეშინია სიკვდილის—
სიცოცხლის მეშინია.

დედა

თავის ფრთების ქვეშ ვეღარ გვაგროვებს,
ვერ დაგვტრიალებს თავზე კრიახით—
მოკვდა კრუხი და
დაიფანტნენ წიწილები...

ზოგჯერ სიზმრად თუ მომეჩვენება,
აღმართის თავში დაყუდებული—
თეთრ, გაუკვალვ თოვლზე დასმული
ხელჯოხიანი კითხვის ნიშანი...

მოკვდა კრუხი და
დაიფანტნენ წიწილები...

გაფრთხილება — 2007

როგორც დაირღვა ცხრაასიანი
წლების სიმშვიდე და იდილია,
ასი წლის მერეც, შუბლნატყვიარი,
კვლავ სამსხვერპლოზე დგება ილია.

ვერ გაულიმებს სხვას წიწამური—
ღირსეულ კაცთა რა სიმცირეა!
დაჩოქებულო, ვაჰმე, მამულო,
კვლავ გოლგოთაზე ადის ილია.

რად შეიკარი წარბი, მარიხო,
ზეცა ტირის და მიწა გრილია,
თავზარს რატომ მცემს მწარე თარიღი—
სად მიაქანებს ეტლი ილიას?

ჩასაფრებული ეშმა ხარხარებს,
მე რომ მეგონა, გადავლილია—
თავი დახარეთ, თავი დახარეთ,
შვიდი წლის მერე კლავენ ილიას!

რეპლიკა დარბაზიდან

...სულ რომ იძახი— მადროვეთ—
როდემდე უნდა გადროვოთ.
შენც გინდა ერთი მათრახი,
ჩვენო საწყალო პატრონო.

ჩალამებული ფანჯრები
ღვთის წყალობასლა ელიან...
ვაიმე, რა სიყრუეა,
ვაიმე, რა სიბნელეა...

●

წყვდიადში ხელებს ვაცეცებ,
არ ვიცი, საით წავალ,
ალარც ქვეყანა მეცნობა,
არც მიდამო და ჰავა...

ნეტავი საით მივდივარ—
თვალახელილი ბრმა ვარ.

●

ერთი დღეც არ მიცხოვრია,
სიცოცხლე ისე დავხარჯე.
მოვკვდები, თან ჩავიყოლებ
ჯავრს ცხინვალსა და გაგრაზე.

ვაჰ, გულდედალო ქვეყანავ,
მტერი დაგიდის საფლავზე,
რა მოხდა, რა გემართება,
ერთხელ ხომ უნდა გაბრაზდე.

მსგავსება

გადის წლები და,
ჩემი დის სახეზე თანდათან მჟღავნდება
დედაჩემის სახის ნაკვთები...
და კიდევ—
შემკრთალი ღიმილი,
თითქოს კალთაში ფქვილი ჩაეპნა
და აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

ნაწყვეტი დიალოგიდან

...მერე რა მნიშვნელობა აქვს,
როცა „გავიხდი“
ამ ძონძს სად დააგდებთ—
პანთეონში თუ
სოფლის ღარიბ სასაფლაოზე.
თუ ძაღლები გაგლეჯენ და
ქუჩა-ქუჩა არბენინებენ,
რომ შეაშინონ ისინი,
ვისაც
ჯერ კიდევ არ გაუძვრიათ
თავისი ძონძი
და სიცოცხლეს კბილებით ებღაუჭებიან.

შინაბერა

არა, აღარ ხარ „მაისის ვარდი“,
შეყვარებული ყმაწვილის დარდი,
ველარ შეაკრთობს
შენს თვინიერ
უიღბლო სიზმრებს.

ლოდინმა შენი ყელიც დაღალა,
თმაში მალულად ითვლი ჭაღარას—
ყველა ოცნება
გადაკარგე
და გადახიზნე.

ო, სიყვარულის უწყლო ღრუბელო,
როგორც დაბეჟილ თითს შეუბერო,
გაცივდა სული,
მწუხარების
ხარ მობინადრე.

ამაოდ დაღვრი ცრემლებს მოწოლილს,
უკვე ტკაცუნებს ფეხქვეშ კოცონი,
თუ შეგიძლია,
ახლა მაინც,
თავი იმართლე!

1999

ათი ივნისი

ბიჭიკო ცალუღელაშვილს

ჩემი გული ტკივილებს
ველარ უძლებს ექიმო,
დაღლილ ბედაურივით
ბარიერთან შედგა.
ვაჰ, თუ ჩემი დღეები
უკვე ჩამოკენკილა—
მალე გამისტუმრებენ
წყეულ „სამოთხედან“.

ჩემი გული, ექიმო
ყველამ ისე აწამა,
ჯავრის გვალვამ დააშრო,
უცებ დაიწრიტა.
ხან ღალატით დაიჭრა,
ხანაც ქალის წამწამით,
მაინც ვერ გააღწია
ჯადოსნური წრიდან.

შენს მარჯვენას, ექიმო,
ვლოცავ, საოცარია,
გაუსაძლის ტკივილებს
ტკივილით რომ კურნავ,
თორემ ჩემი სხეული
საახალწლო მთვარეა
თოვლში მოპირქვავდება,
როგორც ფერფლის ურნა...

გამოვფხიზლდი, ნარკოზი
უკვე აღარ მაბრუებს,
მაგრამ სული მევსება
ნაღვლიანი შუქით—
მითხარ, სააქაოსკენ,
რატომ გამომაბრუნე,
ქვეყანა კვლავ ასეთი
დამხვდებოდა თუკი!...

ლომი

ზაურ ბოლქვაძეს

გაზაფხული დგება თუ
მწუხრი შემოდგომის,
აღარ შემომბუხუნებს
რუსთაველზე ლომი.

მოკვდა ზაურ ბოლქვაძეც,
ისიც მოათავეს,
მისი სულიც ათრთოლებს
საქართველოს ჰაერს...

მთაწმინდისკენ ბატკანი
მიჰყავთ სააღდგომო...
აბა, რა ვთქვა,
ძალიან
მომენატრე, ლომო!

●

გოგოს გაჭრილი ფორთოხალი ეჭირა ხელში...
და ფორთოხალზე, ყვითელ თმებიდან,
ჩამოსდიოდა წურწურით წყალი.

და მე ვფიქრობდი
ესპანეთში მოკლულ პოეტზე,
რომელმაც, ალბათ ბავშვობაში
ასეთივე სურათი ნახა:
გოგოს გაჭრილი ფორთოხალი უჭირავს ხელში...

ნეტავ რამდენი წელიწადი მაშორებს იმ დღეს,
ანდა მაშინ ვინ იფიქრებდა,
რომ ჯალათები
ნაცნობ სურათს ესროდნენ ტყვიას—

გაგრასთან ახლოს, თბილ წყალში ჩამდგარ
გოგოს გაჭრილი ფორთოხალი ეჭირა ხელში...

●

წარმოსახვაში თოვს,
სინამდვილეში მცივა,
თეთრი ფიფქები, ო,
ისე ლამაზად ცვივა.

მიხარია და მწყინს,
მსუსხავს ცრემლების ნამი,
ისევ თექვსმეტი წლის
თავი მეგონოს ლამის...

თოვს, საყვარელო, თოვს,
ჯავრი სასულეს კეტავს.
გული რაღაცას მთხოვს...
გულს რას გაუგებ, ნეტავ!

●

მოვიწყინე, დედაჩემო,
მოვიწყინე ძალიან,
ვეღარ ვუგებ ყოფას გემოს,
ჩემთვის ვიღას სცალია.

შენმა წასვლამ ყველაფერი
ისე არივდარია,
ჩემი უნუგეშოდ ყოფნა
მხოლოდ შენი ბრალია.

●

შენს სახეზეც აჟღერდა
ბრმა სიბერის ნოტები,
ამ ზამთარში რა გინდა—
აპრილს დაელოდები.
მოწვდილ საწამლავივით
იის სურნელს დალევ და
ბალახს ჩახუტებული
გაზაფხულზე მოკვდები.

ვიდრე მიწა მიგიღებს,
ცისთვალებით შემკული,
ზეცას მიჩერებული,
უკალმოდ და უბუკოდ,
უკანასკნელ აღმართზე
ახვალ სუნთქვაშეკრული,
კუბოს შემდგარ შვილებს რომ
ტვირთი შეუმსუბუქო.

დიდედა

ღობის კუთხეში, ხეზე მიბმული,
სიმინდის ფუჩეჩს ლოლნის ნიკორა.
შემოდგომაა,
შემჭკნარ ბალახში
ჩამოვარდნილი ვაშლი მიგორავს.

მომეჩვენა, რომ დრო არ გასულა—
გულიდან ჯავრი გადაიხვეტა—
ასე მგონია, ვაშლის ქვეშ მდგომი,
აიკალთავებს კაბას დიდედა.

ისევ მოძებნის სკივრში სათითეს,
ძროხებს დაწველის ამ საღამოთიც.
აჭრიალდება მისი ნამზითვი
ჩუქურთმიანი კაკლის კამოდი.

ღუმელს აანთებს, რძის ქვაბს შემოდგამს,
გაილანდება ბნელში კელაპტრით
და ქაშანურის თეფშებს გადათვლის
ფეხაკრეფილი ჩრდილი დედაბრის...

უკან ვერაფერს ვერ დაბრუნებ,
წარსულის მწუხრმა ფან გაიყოლა...
ღობის კუთხეში, სარზე მიბმული,
სიმინდის ფუჩეჩს ლოლნის ნიკორა.

და ჰა, ვაშლის ხეც უკვე შემხმარა—
აღარ შეუხსნის ქარი გულისპირს,
სულ მალე, ალბათ, გაბერწდება და
გაიმეტებენ, ალბათ, ცულისთვის.

დაისადგურებს ყველგან მოწყენა,
ქალის ღიმილი, ჩუმი, კეთილი,
გაიცრიცება კედლის სურათზე,
მტვრიან ჩარჩოში გამოკეტილი.

არაყის გამოხდა

რომელიღაც წელიწადის, რომელიღაც ზაფხული,
დინჯად ქშინავს ზარფუში
ქვებზე გადაფაფხული.

სხედან სახლიკაცები—ფიროსმანის ნახატი—
წვეთავს წმინდა ცრემლივით
ცოფივით ორნახადი.

თვრებიან და მღერიან—
აბა, ბანი მითხარო.
ბადაგივით ჩატკბება „ჩაკრულო“ და „წინწყარო“.

მერე? მერე მიდიან ორღობეში ბანცალით,
ეზოში ბორიალებს
აქშეული ნაცარი...

ბევრს არაფერს არა გთხოვ, აამღერე ზარფუში,
ცოტა ხნით დამაბრუნე იმ თაკარა ზაფხულში.

დამაბრუნე, ნასიცხზე, დამაფინე ბუერა,
ყველაფერი, მითხარი,
მართლა იყო თუ არა...

ვიდრე ნალოს ჩამაბამ და აღმართზე ამათრევ,
იმ ზაფხულში მომკალი,
იმ არაყით დამათვრე.

ტყემალი

მაგიდა ჩემი კიდობანია,
ჰოდა, ერთხელ ჩავყავი ხელი
და ეს ნაღვლიანი ამბავი ამომყვა:
„ფანჯარასთან იდგა ტყემალი—
მეორე სართულზე ამოზრდილი,
ბავშვივით ცნობისმოყვარე
საძინებელ ოთახს გვითვალიერებდა.

ღამღამობით, ქარის ქროლვაზე,
ფანჯრებს ტოტებს გადააყოლებდა,
როგორც პიანისტი
კლავიატურას—თითებს...

გაზაფხულზე თეთრად მოკაზმულს
ღია სარკმლიდან შემოჰქონდა ყვავილის ფიფქი.
მერე ტოტებზე გამოისახა
წვრილი და მწვანე ტყემლის ნაყოფი,
რომ შევხედავდი, მაშინვე ვგრძნობდი
მის კბილისმომკვეთ და მჟავე გემოს.
აგვისტოში კვლავ გამოგვეცხადა,
ცხელი მზით დაღუებული,
ფერხორცით დახუნძლული,
როგორც გოგენის ტაიტელი,
ჯანსაღი ქალი...

მერე მოვიდა შემოდგომა, მერე—ზამთარი,
დიდთოვლიანი, მკაცრი და ცივი.

წაართვა პეწი, გაზაფხულის პატარძალი
გაძარცვა და ააკანკალა...
ერთ დღესაც, მძიმე ყვავები რომ დაჰყეფდნენ ქალაქს,
თითქოს ფრინველები კი არა
შავი ბელტები დაფრენდნენ ცაში,
გაფაფხულმა დედაკაცმა და
სიცივისგან აღრენილმა მისმა ბიჭებმა,
მაშინვე რომ მიხვდებოდით,
ვისი ნაშობიც ბრძანდებოდნენ—
ტყემალი მოჭრეს.
გამარჯვებულის ყიჟინით შემოაჯდნენ,
ნაჯახი დაუშინეს,
გამოცდილი ყასბებივით ხელდახელ აქნეს
და ტომრებით შინისაკენ გააძუგძუგეს...

მას შემდეგ აღარავინ აკაკუნებს ფანჯარაზე,
აღარც „კლავიატურაზე“ გადარბიან თითები.
მე მაინც მელვიძება შუაღამისას
და დიდხანს ვფიქრობ ტყემალზე და
ტყემლის მკვლელებზე“...

მაგიდა ჩემი კიდობანია...

სამი ფოთოლი

1
ხვალ ჩემი დაბადების დღეა!
ერთხელაც, წინა დღეს,
ხომ ველარ დავწერ
და ვერც გავიფიქრებ:
—ხვალ ჩემი დაბადების დღეა!

2
თრიმლის, ნაკერჩხლის და ასკილის ტოტებით
შემოდგომა შინ შემოვიყვანე—
კუთხეში დაყენებულმა,
სატირლად გამზადებული ბავშვივით,
რომ არ წამერთმია,
ტოტები მაგრად ჩაიკრა მკერდში...

ტყე, მთელი ღამე მომდგარი კართან,
მაღლა შეყრილი მკლავების რხევით,
ბავშვის დაბრუნებას მევედრებოდა.

3
დაიწყეს გაყვითლება წაბლის ხეებმა...
ღამით ქართან ნაბრძოლი ტყე,
ჭრილობებს მალავს,
ფხიზელი თვალი მაინც შეამჩნევს
კუნელისა და ასკილის ბუჩქებს,
ტყეს სისხლივით რომ მიშხეფებია.

●

გარეთ ყინავს, ოთახში მაშრობს სიცხის ბუღი.
სადღაც კუშტი დურგალი რანდავს ფიცარს მუხის.

სულ არ ნაღვლობს, მე რომ აქ ლამის გავიგუდო,
ისე მშვიდად ამზადებს ჩემთვის გამძლე კუბოს.

ვყვირი:
—რატომ მიმეტებ, შე ურჯულო, შენა,
როცა ქვასაც ატირებს ჩემი ფოთოლცვენა.

ცოტა პურს წაატეხე, ცოტაც გადახუხე,
შენი ხერხის პრიალზე აჟრიალებთ მუხებს.

გინდა? კიდევ ჩაცეცხლე და ილოცე, მთვრალო,
უფრო მეტი აკვანი, რომ რანდო და თალო...

ვყვირი:
—გათბით, შვილებო, აქ მოგროვდით ყველა,
იწვის სული სხეულში, როგორც ბურბუშელა...

შენ კი, არ წაიხდინო ხელი, არყის ჩარჩო,
აბა, როგორ „ჩამაცმევ“, როგორ „გამომაწყობ“.

მაგრად შეჰკარ, დურგალო, გაჩენილო ნავსად,
რომ მაგ კიდობანიდან, არ გაგექცე არსად.

ოგოლი

ვიცი, მშიერს ვერ გააძღობს,
რაც არ უნდა ბევრი მიქონ.
სამარეზე დასადგმელად
ვაკოწიწებ ტანჯვით სტრიქონს.

მაინც ვუშვებ საწანწალოდ,
ფარჩის ნაცვლად ვაცმევ ჯვალოს,
იქნებ ვინმემ შეიფაროს,
ობლის ცრემლი შეუმშრალოს.

1998

●

მორჩა, ბოლო ტყვიაც მკერდში დახლილია,
რწმენა დაბზარულა,
გული დაღლილია.

ხშირად გვეჩვენება წამი მიძინების—
წმინდა მარიამი
მინდვრის ზიზილებით...

ხომ არ მოგანატრა „ყოფნის“ ტრაგედიამ
ზეცა, სადაც შენი
სულის სამტრედეა?

●

ნაცრისფერი ზამთრისპირი
დგას და ჩემს საკრმელთან ტირის.
შუქმიმდგარი ილიმება
კედელს შეფრქვეული კირი.

დედის დაკემსილი წინდა,
დედის თითებივით თბილი,
მომენატრა,
დამიმძიმდა
გული ისეც მოწყენილი.

აღარავინ არ კითხულობს
ერი, ბერი, მღვდელი, გზირი,
ან კედელი რად იცინის,
ან ზამთარი რატომ ტირის.

ფიფქი

მოქნეულია ცელი და თიბავს
დღეებს—სიცოცხლის ბოლო აღმართებს.
ჩემი ცხოვრების ჩატეხილ კიბეს
ეს რა თვალები შემოანათე.

ვით გულუბრყვილო სოფლის მადონა
დგახარ და ფურცლავ ფიფქის გვირილას.
მე ვშიშობ, ჩემი რომ არ მეგონო,
ეს ტანჯვა რომ არ იქცეს ყვირილად.

კვლავ სიყვარულით რატომ მომწამლე,
წამოიზლაზნა ცეცხლი თიხიდან.
მე არ მინდოდა... იყავ მოწყალე
და ჩემს ცოდვილ სულს ნუ განიკითხავ.

არ გამაბრუო გრძნეული მაჭრით,
არ ამადევნო გიჟმაჟ მაყრიონს,
არ გადმომიგდო ნაწნავის ჯაჭვი
და ამ სიყვარულს არ შემაჩვიო.

რომ არ მაძინებს, შენი ჩრდილია,
გაგრძელდა ღამე, დარდის ამშლელი.
სუყველაფერი გადაშლილია
ამ უსაშველო თეთრი საშლელით.

მათრობს სურნელი პირველი თოვლის,
ჭიქა ღვინო და პურის ნატეხი.

უკან განვლილი ცხოვრება ბოლავს,
ათასი დარდით და თავსატეხით.

ჰა, ჩემი ხელი—
გაჭრილი კარტი
და მოცახცახე ვერხვის ფოთოლი,—
დახედე, ბედის კარეტა გარბის,
ყმუილი მოსდევს ბილიკს მოთოვილს.

სულ ამაოა, ისევ მარტოა,
ჩემი ლოდინი ამ საღამოთიც.
ეჰ, მშვენიერო, ეჰ, ქალბატონო,
ვიცი, რომ ეგ გზა ჩემსკენ არ მოდის.

მაინც შენს ახლოს ვიწვოდე, მინდა,
ბოლომდე მტანჯო და გადამრიო...
ეს ფიფქიც მიტომ იჩქარის ციდან,
რომ შენს ბაგეზე სული დალიოს.

მეკითხებიან, როდის?

მეკითხებიან, როდის?
ოცდამეერთეც მოდის?

ორჯერ მაისის ბლობა,
წერტილს დაუსვამს ლოდინს.
მაინც კითხულობს, როდის,
როდის, ნეტავი როდის?

როგორც ბუხარი ბოლით,
ყელი სავსეა ოხვრით.
მოაქვს შიში და ძრწოლა,—
ოცდამეერთე მოქრის...

ცოცხლად ჯოჯოხეთს ჩავალ,
თუ მიწერია, მწველო,
მე დაგიხუჭო თვალი,
„მამულო, საყვარელო“...

მეკითხებიან, როდის?
ოცდამეერთეც მოდის!..

არ გეკარება ძილი,
მწარე ეჭვების ღველფო...
ბედკრული ქვეყნის შვილი,
რას არ იფიქრებს, ღმერთო!

●

მღვრიე ბურანში დავალ,
ოთახი იქცა მღვიმედ.
გავუძლო, არ მაქვს ძალა
გადაუღებელ წვიმებს.

ისევ ხმაურობს ქარი,
ზეცა ჩამოდის ფეხად.
ნეტავ დაღამდე მალე,
რა უგემური დღე ხარ!

●

ბულბულად დაგსვეს,
„გალობ", ყვავიხარ,
ტახტად დაგიდგეს,
ოქროს ხარიხა...

იბოგინებდი,
ალბათ, კაიხანს,
მაგრამ ხმა გყიდის—
მაინც ყვავიხარ!

ბოლოს...

ის, რაც შენთვის ფერია,
ჩემთვის არაფერია,
ისტორიას ჩაბარდნენ—
„ოდელია, დელია“...

წლები გამოარჩევენ
ნამდვილს ყალბი დაფნიდან,
წამოკრეფენ „ბელადებს“
საჭადრაკო დაფიდან.

ბოლოს იქ გავსწორდებით
სად სამყაროს ჭერია—
სადაც დღიდან გაჩენის
მოუთმენლად გველიან.

წარწერა წიგნზე

ვახტანგ ჭელიძეს

ეჰა, ცხოვრება...
ძუნწსა და ბებერ
პატრონებს თავი რომ მოაწონონ,
გულარხეინი ძაღლები ყეფენ,
ქარავანი კი მიდის, ბატონო.

შორსა ხართ,
მე კი მინდოდა მეთქვა
(ვიცი „მყეფარი" ბალანს აიშლის).
თქვენლა გამშვენებთ მეცხრამეტედან
გადმოყოლილი სიდარბაისლე.

რა ვუყოთ, ბევრი ხმალს აღარ იქნევს—
გრძნობებს აცივებს დრო უმოწყალო.
ვკითხულობ წიგნს და თქვენეულ ფიქრებს
თავს მოკრძალებით ვუხრი, მოძღვარო.

●

მომენატრება ის დრო,
როცა ყვაოდი ჩემში,
როცა ბრწყინავდი გულში,
როგორც ვარსკვლავი ბნელში.

როდესაც მუჭში ვგრძნობდი
შენს პაწაწინა თითებს,
როცა ყველაფერს ვთმობდი,
ოღონდ მენახე კიდევ.

ახლა კი...
მინდა გკითხო,
ჩემს წარსულსა და გაისს,
საით, სულელო ბიჭო,
„ძე შეცთომილო", საით?

●

ცალ-ცალკე,
        წყვილ-წყვილად,
შეწყობილ მარშით,
        გარბიან, გარბიან, ხეები ქარში.

კედელზე წარწერა:
        „სოსისი, ხაში“.
ფანჯრიდან მიყურებს
        მაძღარი ფაშვი.

საჭეს მიუჯდება ნაკვები მძორი,
ფოთოლი ფრიალებს
        მანქანებს შორის.

ფრიალებს, ტრიალებს
        დაღლილი ცდაში,
როგორც ხელისგული
        მშიერი ბავშვის.

ამაოდ ვიფხეკავ
        ცარიელ ჯიბეს,
ვერაფრით ვერ ვშველი
        უმწეო თითებს.

წუპაკი ცხოვრება
        თუ ასე იდენს

შეშლილი მეოცე
აგვინთებს წითელს.

ქარების ქვეყანავ,
დაგხურეს ჩალით,
აჩეხეს ხეხილი,
აკაფეს ზვარი.

ვისაც შეუძლია
სუყველა ჩქარობს,
გაგლლიტოს, წაიღოს
ნებით თუ ძალით.

გააქვთ და გამოაქვთ,
კითხულობს ვილა:
—ბებერო, ქვეყანა
საითკენ მიგყავს!..

მალე პასუხს მოგვთხოვს
უმწეო, კუშტი,
მათხოვარ ბიჭუნას
შეკრული მუშტი.

ცალ-ცალკე,
წყვილ-წყვილად
შეწყობილ მარშით
გარბიან, გარბიან, ხეები ქარში.

მაგნოლია

სტყუი, ბატონო, სტყუი, ბატონო,
უიმედობის ჩვენთა ავტორო.

შენ რომ გგონია, მთვარის ზოლია,
გადაჩეხილი წევს მაგნოლია.
შურისგების და
გადახდის სურვილს
რად მართმევს მხდალი მელანქოლია?!

ახლა სიკვდილი ჩემთვის მადლია,
აფეთქებული წყალი ტორტმანებს.
მაინც გავრბივარ, რომ მივათრიო
გაძალლებული სული პორტამდე.

იქნებ მაცალო, იქნებ მადროვო,
ამ ცივ ზამთარში არ მიმატოვო.
ქარში ღივღივებს შენი სიმართლეც,
და მაინც, მაინც... სტყუი, ბატონო!

ზურგში ღალატით დაჭრილ გოლიათს,
კვლავ სისხლში ბანენ
ჩემს ისტორიას.
და საქორწინო გოგოს კაბაში,
ჯვარდაწერილი წევს მაგნოლია.

●

თანდათან ქრები ჩემი ხსოვნიდან,
ჩემი ფიქრიდან, ჩემი ჯავრიდან.
აღარც ახლოდან, აღარ შორიდან
შენი ხსენება მორჩა, არ მინდა.

იმ სიყვარულის ყანა მომკილა,
ჭრელი გვირგვინიც გაჰყვა დინებას.
შენი მკლავების ნაზი ბორკილით
ვეღარ დააბამ ჩემს მოთმინებას.

გადავიწყების ჯანღმა შელობა
შენი ცხოვრების „კრიალა“ წუმპე.
ალბათ, სასჯელად ისიც გეყოფა,
მთელი სიცოცხლე, რომ უნდა მძულდე.

თითქმის ხუმრობით

კარლო ფაჩულიას

გამახსენდი, მომენატრე,
გულგაშლილო, მეფურო.
მაინც შენი მარტოობის
ქვაბში დაყუდებულო.
ეს რა ხდება, ველარ ვიგებ,
კაცი ჯავრით წახდები—
მუავე ყოფა დაგვირიგეს
პირნატეხილ კათხებით.

შენც ხომ კარგად გაილუმპე
წუთისოფლის ავდრებში.
გავხარ თმა-წვერ გაჩეჩილი
ნაბულრავებს ბარდებში.
მოდი, ერთხელ კიდევ შევხვდეთ,
ვიდრე გამოვიგლოვებთ,
დაუწერელ წიგნებსა და
დაუხატავ ტილოებს.

დაარწყულე „როსინანტი“,
გორამდე რომ არ ჩაქრეს,
ამხედრდი და ეგ ჯაგლაგი
ჩემთან მოგაჩაქჩაქებს.
მომახარე, იმერეთში,
ტყემლებს უფეთქიათო.
დავლიოთ და მოვუსმინოთ
შენი ყელის იადონს.

ამოვხაპოთ, თუკი დარჩა
ჩვენი ამოსახაპი.
ბოლოს მაინც გაგვაცილებს
ცრემლიანი აღაპი.
ნულარ ებრძვი ქარის წისქვილს,
პირი არყით მოვკალოთ.
შორი გზიდან ვისაც ველით,
გავიხსენოთ, დონ-კარლო.

როგორც უნდა გრანდონ, გთალონ,
უკვე ველარ შეგცვლიან.
ნეტავ ყველა ქართველს ჰქონდეს,
შენს თვალში რომ ცრემლია.
სულ ღიმილით ჩამოფერთხე
თმას ჭაღარის ნაცარი.
და ბახუსი „ხილიანზე“
აატარე ბანცალით.

ერთი კოცნაც გამოვტყუოთ
ყურზე მთვლემარ საყურეს,
ვიდრე სევდა შემოდგომის
კარზე მოაკაკუნებს.

●

უკვე აღარ გახსოვარ,
დროც თავისთვის მირეკავს,
აქეთ მე და იქით შენ
ვიცვლით ზნეს და კილოკავს.
თავბრუს მახვევს მოწყენა,—
ლამის გადამიყოლა
მკერდში გადამალულმა
სამუდამო ჭრილობამ.

ჩემო თბილის-ქალაქო,
აღრენილო ობოლო,
ვინც შენ უღვთოდ გაგწირა,
ჩემი მკვლელიც ის არის.
ერთხელ კიდევ აფრინდი,
გორგასალის ხოხობო,
დამანახვე ფრთის ძირში
ჩატეხილი ისარი.

გაავდება ივლისი,
უფრო გაახრიოკებს
ჩვენი გრძნობის მინდვრებს და
ჩვენი ფიქრის ტრამალებს.
გნახავ ცრემლმორეული,
ბოღმა დახეთქს იოგებს:
„ის თბილისი რა იქნა?
ეს თბილისი არ არის!“

ქუთაისის მონატრება

მანდეთ ქარი კიდევ მღერის,
როგორც მაშინ მღეროდა:
„ქუთაისი გადამწვარა,
ოი, რერო, რერო და“...

„ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“—
ხუმრობა რომ გვეგონა,
ღრუბელივით მოაცურებს
წლები უიმედობას.

ეჰ, გიტარავ,
შენც ხომ გახსოვს
ჩვენი წყნარი ედემი.
რამე თუ არ მოვახერხე,
ხელში ჩამაბერდები.

გარეთ წვიმდა,
შენი ცრემლი
პირველ სიმზე წვეთავდა,
გაწუწული ანგელოზი
ხმობდა მოწამეთადან.

ეჰ, გიტარავ, არ გეგონო
შეშლილი და მოცლილი—
ის თითები მენატრება
სიმებით რომ კოცნიდი.

ის ბაგრატი,
ალუბლების
თეთრად წამოფეთება,
თქვი, გიტარავ,
აქეთ ბნელა,
იქნებ თქვენსკენ თენდება.

უნდა ერთხელ კიდევ შევხვდე
ქუთაისურ ალიონს,
ან თეთრ ქვებზე დავფრინდე და
მწარე სული დავლიო.

ჩავბარდები უფალს მშვიდად,
არაფერი არ მინდა,
იმ ჟრუანტელს თუ წავიღებ
წუთისოფლის ღამიდან.

მანდეთ ქარი კიდევ მღერის,
როგორც მაშინ მღეროდა,
დაგიმარცხოს ღმერთმა მტერი,
„ოი, რერო, რერო და“...

მათქმევინე ქალის მკერდში
ნებიერად ჩარგულო:
—მომენატრე, ქუთაისო,
შე ყველაზე ქართულო!..

მათქმევინე,
მეც ხომ ვნახე
ლურჯი ცის ხავერდები.

სიყვარულით ვიცოცხლე და
სიყვარულში ვბერდები...

ეჰ, გიტარავ,
„ისიც“ ჭკნება
ვიცი, უამინდობით.
გამიხსენეთ,
თორემ ერთხელ
ხელს ავწევ და...
მშვიდობით!..

●

ნამავ თეთრეულს.
მიცურავს უთო,
შუაღამეა, ფიფქი იცრება.
ეს თოვლი ახლა შენსკენაც თუ თოვს
არ გამიხსენო, არ შეიძლება.

გაეპარები ფიქრებით საქმეს,
გამოექცევი მძინარე ქმარ-შვილს.
ჩაგკიდებ ხელს და მყუდროში, სადმე,
ცრემლის ნაკვალევს ამბორით წავშლი.

მაინც რას ნიშნავს ეს ერთი წამი—
ხსოვნის კედელზე წმინდა სანთელი,
ქარი, ნამქერით დაღლილი ღამე,
შენი ჩურჩული და ჟრუანტელი.

გეძახის ვიღაც:
—დაბრუნდი უკან;
შენ აქ რა გინდა, უცხო ნაპირზე...
უცებ დამწვარი სარეცხის სუნი
შეგაშფოთებს და გამოგაფხიზლებს.

გამორთავ უთოს— ჩააქრობ ელდას
სახეზე სველი ხელისგულებით
და საყვედურით გამოიხედავ
იქითკენ, სადაც მე გეგულები.

სიბერე

ამბოხებული, როგორც კუნძული,
შენც დაგამარცხა ჩვეული წესით,
გარშემო გივლის მგლური ძუნძულით,
უკვე კბილების კაწკაწიც გესმის.

სხვას დაუბერავს, ალბათ, ზურგქარი,
სხვას დაუგებენ ცოდვიან მახეს,
უკვე ჩამცხრალი შტორმი მუქარით
მხოლოდ სარეცხის იალქნებს არხევს.

ფუსფუსებ, როგორც ასაკს შეჰფერის,
ებღაუჭები სიცოცხლის გემბანს.
და მუხლისთავზე ხელი ბებერი
სიპზე განაბულ ხვლიკივით თბება.

დილა

გალობს.
ადრე რომ გამალვიძა
არ მიხდის ბოდიშს.
აფრინდა ჩიტი.
კვლავ სიჩუმე.
გასწორდა ტოტი.

●

ქუჩაში უცებ ჩემი და შემხვდა,
და გავიფიქრე შეძრწუნებულმა,
ნეტავ რა მოხდა,
რატომ აცვია ამ ქალს შავები?..

გადაუვლია მის წილ სიხარულს,
შავ თავსაფარქვეშ თეთრი შროშანი—
ჰყვავის მწუხარე ქვრივის ჭალარა...

●

სძინავთ ბიჭებს,
ფხიზლობენ
წიქარა და ბემბი.
გულუბრყვილო სიზმრებში
ერთობიან ძმები.
ჯერ ტალღების ღმუილი
არ აწყდება ნაპირს.
არც ზღვიდან არ ამოდის
ქალი, როგორც ქაფი.
ვერაგი და მაცდური,
სასურველი ესე—
მაგნოლიის შრიალში
არ უკითხავთ ლექსებს.
არ იცინ ბიჭებმა
თეთრი ქაფის ხვედრი—
მათ მკლავებშიც ჩაშრება
მოღალატე მდედრი.
წავა, ჩაიწურება
დღისით, ანდა ღამით
და ტუჩებზე შერჩებათ
სიყვარულის შხამი...
ჯერ კი სძინავთ, ფხიზლობენ
წიქარა და ბემბი.
გულუბრყვილო სიზმრებში
ერთობიან ძმები.

●

წარსული, როგორც ობოლი ბავშვი,
ხელჩავლებული მომდევს, მომტირის,
იმ ნაღვლიანი ძველი მოტივით
მე რომ მიყვარდა ოდესღაც, მაშინ.

მეც მოვათრიე ბოლომდე ნალო,
ჯაჭვის რგოლები—დაცვივდა წლები,
კუპრის ტალღებზე გულაღმა ვწვები
და სული ჩემი მიჰყვება ქარონს.

მეც მომიხელთა ბოლოს მეტივემ,
რომ დავინყების ფსკერზე ჩამაშროს...
ნულარ მომყვები, ობოლო ბავშვო,
გეყოფა, ახლა სხვას გაეტირე.

ამბავი

დათო კაპანაძეს

იწვის ჩინჩხვარი.
ადის ტკაცუნით ბოლი.
მატარებელი უახლოვდება მოლითს.

ბოლთას სცემს,
თანაც დილის სიკეთეს აქებს,
სადგურზე ბავშვით ადრე მოსული მგზავრი.
მატარებელი წამოეპარა ბაქანს
და ლიანდაგზე ცხრება ბორბლების ქარი.

მოიზლაზნება ცხრათავიანი დევი,
ქშინავს დაღლილი,
შედგეს თუ არა, ფიქრობს.
გაოცებული შეჰყურებს ბავშვი რხევით
ლიანდაგებზე შემოგორებულ ციკლოპს.

შეხტა გოგონა—
ისე იკივლა უცებ,
იმ ღმერთგამწყრალმა, ახსნა სიჩუმეს ტაბუ.
დაფრთხა პატარა, კაცმა ჩაიკრა გულში:
—რა დაგემართა,
ხომ არ შეშინდი, ბაბუ?..

ჩასხდნენ ვაგონში,
ბავშვის გაცრეცილ ბაგეს

მისჩერებია—
ბოლმა სასულეს კეტავს.
და ნატრობს კაცი—
შენი ცხოვრების გზაზე
არ შეგიკრთესო
გული ამაზე მეტად...

იწვის ჩინჩხვარი.
ადის ტკაცუნით ბოლი.
გასცდა კივილით მატარებელი
მოლითს...

●

იმ ბოლო ამოსუნთქვამდე,
თუ ბოლო აღმაფრენამდე,
ვაიმე, შენი პატრონი,
სულ მახვილს უნდა ვფერავდე.

აღსდექი, კიდევ დამძახე—
ჰერიო, ბიჭო, ჰერიო—
მუხრანთან შენი მოსისხლე
შავ ქვიშას უნდა შევრიო.

თავთან გინთია სანთლებად
უძილო ღამის თევანი,
შენი არსობის ფესვებთან
მოწვეთავს სისხლის მტევანი.

„შენი ვარ, შენთვის მოვკვდები“,
ბნელში ელვად რომ კვესავდე,
სიცოცხლე უნდა გიბერო
მე ბოლო ამოკვნესამდე.

მტანჯავ და მაინც შენი ვარ,
ეჭვები მიმტვრევს საფეთქლებს:
ტიალო, წუთისოფელო,
როდისღა უნდა გათენდე.

●

მე დღეს დავკარგე მეგობარი,
კიდევ ერთი თანამგზავრით
ღარიბი უნდა გავუდგე ჩემს გზას...
ოი, მედროვის მტაცებელო ჟინის ყივილო,
რა გჭირს ასეთი,
სვავი ხომ არ გიზის მუცელში,
ძველ მეგობრებს რომ ხელიდან გვაცლი...
მე დღეს დავკარგე მეგობარი,
კაბინეტის აკლდამაში,
სავარძელში ჩასვენებული.
რეკავდნენ ირგვლივ ტელეფონები—
მოსისინე ყურმილები,
უხსენებელის თავებივით ყელყელაობდნენ.

რეკავდნენ, რეკავდნენ,
სთხოვდნენ დახმარებას,
ყველაზე ღარიბს და ყველაზე სულელს...
და მე ვხედავდი უხილავ ხმებს—
ერთი ყურიდან,
როგორ გარბოდნენ მეორესაკენ...
მე დღეს დავკარგე მეგობარი,
კაბინეტის აკლდამაში,
ტელეფონებს შორის ჩაჭეჭყილი,
როგორც მანქანას გამობმულ
კონსერვის კოლოფს,
მედროვის ჟინი რიყეზე რომ მიარახრახებს...

ჩემო ერთგულო მოთმინებავ,
როგორც მრავალი,
უნდა ეს კაციც გავასვენოთ ჩემი ხსოვნიდან
და ცხვირსახოცის კიდეებით
შევიმშრალოთ „მსუბუქი ცრემლი“...

მე დღეს დავკარგე მეგობარი...

ეკალი

(ხუმრობით)

სულ რომ კაპასობ და იჩხვლიტები,
ჩემი ბავშვობის ცრემლით სოველო,
დაგიკბენია ბევრჯერ თითები,
ჩასაფრებულო სისხლის მწოველო.

არ შეგხებოდი, მუდამ ვფრთხილობდი
(ასე იცინო, არ სჯობს, შე ქალო)—
არ მეგონა თუ შენც ყვავილობდი
დაუნდობელო ღობის ეკალო.

დილა სილნაღიდან

ჯერ ალაზნის ზამბარა
ველზე არ გაწელილა,
გალავანთან მიბმული
ბალახს კოცნის ჭედილა.

სილნაღიდან „ბრონწლებში“
თავდაღმართს რომ გავხედავ—
ბიჭი მოაჩაქჩაქებს
თავჩაღუნულ სახედარს.

მოდიან და მოჰყვებათ
აყეფებულ ძაღლივით,
ენაგადმოგდებული
ბრონეულის ყვავილი.

ბრძნული თავის კანტურით,
მომთმენი და კეთილი
თვინიერი ნაბიჯით
მოდის ყურაცქვეტილი.

აღარავის უყურებს,
აღარავინ ვახსოვართ,
თითქო სილნაღისაკენ
მოაბრძანებს მაცხოვარს.

თითქოს ბებერ კედლებთან,
როგორც ღვთიურ მოსავალს,

გადმოაყრის ბზის ტოტებს,
მხიარული „ოსანა“.

სად არ მომჩვენებია
მაგ თვალების ციმციმი.
დაზნექილო ბულულო,
სანჩო-პანსას სიმძიმით.

დამიმოწმებს ნიკალა,
ის მონე და ეს მანე—
სულ სხვაგვარად ამშვენებ
ქიზიყს—
ამ ჩვენს ესპანეთს...

ვიდრე ველზე ალაზნის
გაჭიმავენ მზის ტილოს,
ფრთხილად,
ქვებზე ლამაზი
ფეხები არ იტკინო.

გამაგონე შენი ხმა,
რაც არ უნდა მოჭორონ—
ნალვლიანო, ერთგულო
იბაკუნე, ჩოჩორო.

1997

•

დამესიზმრა დედაჩემი,
წმინდა მარიამსა ჰგავდა...
მორთხმით იჯდა, მომღიმარი
და საწინდე მატყლს ართავდა.

ბზრიალებდა თითისტარი,
მკერდზე მიყრდნობილი თავით
თან კალთაში ბიჭი უჯდა
და ის ბიჭი მე ვიყავი.

დამესიზმრა დედაჩემი...

ბიჭები

ყოველ დილით კარებში
მოწყენილი დგანან:
—რა დროს სამსახურია,
არ წახვიდე, მამა!

თავზე მოვეფერები
აცრემლებულ ბიჭებს:
—აბა, ითამაშეთ და
დავბრუნდები ისევ.

მოვდივარ და ნაღველი
გულს მიკოდავს დიდხანს
შეიძლება ერთხელაც
მეც გავტეხო სიტყვა.

სადღაც გზაჯვარედინთან
მოხდეს მოსახდენი
ჩაქრეს სული—სხეულში
გამოირთოს დენი...

მანამდე კი, კარებში
მოწყენილი დგანან:
—რა დროს სამსახურია,
არ წახვიდე, მამა!

●

—პატარა ჩეჩნეთი რუსეთს აუხირდა,
გონს ვინ მოიყვანს ამ უგნურ გამბედავს დროზე.
ეტყობა ტვინი
მეტისმეტად გადაუხურდათ
ცხვრის ფაფახიან პოლიტიკოსებს.

დაილეწება მძლავრი მუშტით, როგორც ფიქალი,
ხა-ხა-ხა, ხი-ხი, — იცინის და
უკვირს ბედოვლათს...
არ იცის, ბრიყვმა,
არანაკლებ მძიმე გრიგალებს
ერთდროს პატარა
საქართველოც უხირდებოდა.

საქართველო

რა დრო დაგვიდგა!—
როგორც ცეცხლმოდებული
სახლიდან,
შენი შვილები
უგზოუკვლოდ გარბიან შენგან.
ხოლო უფრო უნამუსონი,
შენი ძუძუს მგლეჯავები,
ურცხვად დგანან და
ცეცხლზე ხელს ითბობენ...
არ იციან უბედურებმა,
თავის შვილების ხორცს ჭამენ და
იმათ სისხლს ხვრეპენ.

●

ეშმაკი რომ ხარხარებს
გული კვნესის, მარიამ,
საქართველო სად არის?
ირგვლივ მხოლოდ ღამეა.
ცრუ საწუთრო მთავრდება,
ჩამავალი მზისა თქვი...
სიცოცხლე ან სიკვდილი
ღირდა არაფრისათვის.

●

სიზმარში ვილაც შემაჩეჩებს ცარიელ ჩარჩოს,
დედას მწუხარე თმები გაშლია...
ბევრი წავიდა, ვისაც ჩემი ბავშვობა ახსოვს
თუ ვინმე დარჩა, ისიც გზაშია.

გიახლოვდები თუ გშორდები?—
აღმართი მახრჩობს,
ეს ბექობიც და მერე—თავქვეა...
ვისაც ახსოვხარ, აქ არიან, დაღლილო ბავშვო,
საყდარი. ლოდი. მიწაც აქვეა...

●

ამ ყვავილიან ბორცვზე
ჩემი მომავალი სამარეა,
ოღონდ ჯერ არ ვიცით:
არც მე,
არც—ბორცვმა,
და არც—ყვავილებმა.

●

ფეხისწვერებზე მოდის სიბერე
პირისფარეში თქვენი.
ყელს ძველებურად ვერ მოიღერებთ,
მაინც სიბერეც გშვენით.

მოდის ზამთარი, თეთრი ოცნების
იფურცლებიან დღენი,
გარეთ თოვლია, სულში მოწყენა,
თქვენ ეს მოწყენაც გშვენით.

ჩამოიშალა მკერდი ნათალი,
ჟამი დასრულდა ფრენის,
საოცარია,
თოვლიც, ზამთარიც,
თქვენ ყველაფერი გშვენით.

●

ეს თიბათვის აღმართიც
ამატარე უხმოდ,
დედაჩემის საფლავთან
მოსაყრელო მუხლო.

დამაჩოქე,
ჩავბღავლო:
„წყალივით რომ ჩაშრი,
თუ ეს სიზმარი არის,
ცხადს რა ჰქვია მაშინ.

საყვედურის უთქმელად,
მიგვატოვე უცებ.
ბოლო გვერდიც სიცოცხლის
ტანჯვით გადაფურცლე“...

მომქანცველი აღმართი
ამატარე უხმოდ,
დედაჩემის საფლავთან
მოსაყრელო მუხლო.

წაიქცევა თიბათვეც,
მოქნეულო ცელო...
წელიწადი გასულა,
ეჰ, დედაო ჩემო.

●

ჩამობერდი,
გაზაფხულის
ნიორივით იპარები.
ამ კარიდან თუ ვერ გახვალ,
გაგიტანენ იმ კარებით.

არის დიდად სამწუხარო,
ისე მიხვალ,
ისე კვდები,
ვერც იმ სოფელს გაახარებ,
არც ამ სოფელს დააკლდები.

●

დაჩეხილი კუნძი ბოლავს,
ცეცხლი ეკიდება წალამს,
შევეჩვიე მარტოობას,
სოფლის ჭირს და დარდუბალას.

მარტო ვხნავ და
მარტო ვთესავ,
მარტოობით სულს ვიწამლავ...

მარიამ!

ხან ისეთი ნათელი
მოიფრქვევა ციდან,
მგონია, რომ ვბრუნდები
ქრისტეს ნათლობიდან.

თვალს ვახელ და
სისხლი მდის
მოტეხილი მხრიდან,
ისევ პირჯვარს ისახავს.
ვინც ქვეყანას რყვნიდა.

ისევ ლოცვანს მიკითხავს,
ვინც საფლავებს თხრიდა,
ვინც სისხლიან ხელებით
წავა ამქვეყნიდან...

როგორ უცებ ავივსეთ
ისევ ცოდვებითა,
გუშინ არ გარდმოვხსენით
ძე კაცისა ჯვრიდან?!

მკლავი ვეღარ გავშალეთ,
ყველამ ჩვენა გვღლიტა,
ბასრი დავითფერული
ხმალი რაც დამიწდა.

თავი ვერ დავაღწიეთ,
ამასოფლის ბილწთა.

ღვთისმშობელო, რა დარჩა,
ჩემი ოცნებიდან.

მინდა მუხლზე დავეცე,
შემოგტირო ხმითა:
—ხომ არ მინდა სიკვდილი,
არც სიცოცხლე მინდა.

1996

მთვარე

მღელვარე ათასწლეული
მთავრდება ერთი ათასიც.
ჟანგიან ჯაჭვს შეჩვეული
მთვარეს კვლავ უყეფს ნაგაზი.

ახ, მთვარევ, მთვარევ, გარინდულ
ველებს დააფენ სუდარას.
ისევ იმგვარად ანათებ
ჩემი ბავშვობის ფუფალავ.

ცისკრისას ჩაგეძინება
დაღლილი ხარის თვალებში.
ერთი ხარ,
ერთი ციმციმებ
ჩემი ცხოვრების ღამეში.

●

ცრემლი მოსდის ტინებს,
არაფერი აღარ ჩანს.
ღმერთო, მათქმევინე:
—სიყვარული გადარჩა!

აირია ღრუბელი,
მკერდი ჯავრმა დახანჯლა.
ცხენი მიჰქრის უბელო,
მხედარი კი აღარ ჩანს.

გული ფეთქავს მძიმედ,
დასახარჯი დახარჯა.
ღმერთო, მათქმევინე:
—საქართველო გადარჩა.

●

მიხაკების ცეცხლში იწვის
„ზალის“ კედლები და ჭერი.
ზემოთ დედაჩემი მიწევს,
ქვემოთ ვახშამს შევექცევით.

პურს ვტეხავ და ჭიქას ვუქცევ,
ვითომ არაფერი მიჭირს.
ვაი, ყელზე დამდგარ ლუკმას,
ვაი, ამ წაქცევას ჭიქის.

●

იქ, სადაც შენი საფლავი გავთხარეთ,
და ივნისის ერთ შაბათ დღეს ჩაგასვენეთ,
მოგაყარეთ ქვაღორღი და
ბოლომდე ამოვავსეთ
შენი სამარე—
ისეთი ადგილია,
მთელი ქართლის ველები მოჩანს,
გვერდით შინაურები გიწვანან,
შენი წლები
ვის წისქვილზეც დააყარე დაუნანებლად.
მეორე მხარეს, დედაჩემო,
სასაფლაოს ბარდაუკვრელი ყამირია,
დაყუდებული მუნჯი საყდარით,
ზემოდან კი ტყეა მომდგარი,
მოხასხასე მწვანით შეფოთლილი...

ღმერთო, რა ლამაზია ირგვლივ ყველაფერი,
ალბათ, შენ დაამშვენე აქაურობა.

●

ავხედე შემწიფებულ ალუბალს და
შენი ხმა მომესმა:
—აგე, ის ტოტი დაიწიე, შვილო!..

როდის მითხარი ეს სიტყვები,
შარშან, შარშანწინ?—
ეს ტოტი ისევ ცოცხალია,
დამძიმებული უხვი ნაყოფით.
შენ კი აღარ ხარ,
მხოლოდ შენი ხმა,
წამიერად გაელვებული
სულშებერილი სანთელივით ჰაერში ქრება:
—აგე,
ის ტოტი...

ქება ღუმელს

სექტემბერი თავდება
მოსაწყენი მარშივით,
ჯერ არ ჩამოუვლიათ
შემოდგომის ქარ-წვიმებს,
როგორც შარშანდელი და
წინის-წინის-წინდელი,
მომავალი ზამთარიც
ძველებურად მაშინებს.

ეჰ, ღუმელო, ბებერო,
წელსაც უნდა გეფერო.

უნდა წელსაც გაუძლო,
არ მითხრა, რომ ბერდები,
უნდა გაგვაჩაქჩაქო,
დაფხავებულ ფერდებით.
ჩემო მივიწყებულო,
ბეხრეკო და ჩაჩანო,
ნავთი უნდა გასვა და
ცეცხლი უნდა გაჭამო.
წელსაც უნდა გაუთბო
შეცივნული ფაცები,
უნდა გამომიზამთრო
პაწაწინა კაცები...

სექტემბერი თავდება,
მოსაწყენი მარშივით,
ჯერ არ ჩამოუვლიათ
შემოდგომის ქარ-წვიმებს,
როგორც შარშანდელი და
წინის-წინის-წინდელი,
მომავალი ზამთარი
ძველებურად მაშინებს.

ეჰ, ღუმელო, ბებერო,
წელსაც უნდა გეფერო!..

ცაიტნოტი

„ალმა ხნული დალმა ფარცხეს“,
გული შხამით აგვივსეს:
ყველას ეფერებიან და
შენ არავინ არ გისმენს.

კმარა! ვისაც დაუყვავე
შენს სამკვიდროს პატრონობს,
დრო არ ითმენს,
გამოფხიზლდი,
თქვენი სვლაა,
ბატონო!

ვანიკოს

ფანჯარასთან იდგა ბავშვი.
ვაზის ლერწი თრთოდა ქარში.

დასდებოდა ხეებს ჭირხლი
სახურავებს—ზამთრის ფერი.
მოხრილი და ადამის ხნის
ჩინჩხვარს კრეფდა დედაბერი.

ორღობეში ბარბაცებდა
გაფუყული ჩრდილი ღამის.
ქარი ქროდა,
ძაღლი ყეფდა,
მიდიოდა ქარავანი.

არაფერი არ ხდებოდა
ბარში ცრიდა,
თოვდა მთაში.
გარინდული ანგელოზი-
ფანჯარასთან იდგა ბავშვი.

მერცხლები

ზარით გადმოიფრენენ
ქალაქებს და სოფლებს,
ჩემი ჭირისუფლები
გაზაფხულზე მოვლენ.

გვერდით დამისხდებიან,
დაღლილები ფრენით,
ისე დამიტირებენ,
აცრემლდება მტერიც.

ვიცი, არ დამივიწყებს,
თვალებმობრიალე,
ჩემი შავი მერცხალი,
ჩემზედ მგლოვიარე..

სხვამ იდარდოს, თორემ მე
მშვიდად მივაბოლებ...
ჩემი ჭირისუფლები
გაზაფხულზე მოვლენ.

1995

არჩევნები

არჩევნები მოახლოვდა
გარეშემო მივლიან
ვინც მე უნდა ავირჩიო,
ყველა გარდაცვლილია.

ეს სანთლები არ მიქრება —
აკაკი და ილია.
ვაჰმე, ჩემი რჩეულები
ყველა გარდაცვლილია.

ოჰ, მეოცევ, ჩემი ცოდვით
დამწვარო და ჩავლილო...
შენ გიყურებ მომავლიდან
მომზირალო ყვავილო.

●

·თამაზ ბიბილურს, თედო ბექიშვილს

თქვენი მოგონებით ავადა ვარ,
თუმცა არ მაკლია სხვა ჭირიც.
მარტომ ეს აღმართიც ავათავე,
სული მოვათრიე დაჭრილი.

ჩრდილი გადაუვლის წეროს გუნდის
ველებს ქარებისგან გახედნილს.
ზურგი ველარავის მივაყუდე,
რაც თქვენ ამ ქვეყნიდან წახვედით.

ბარათი

რა მოგწერო, ყველაფერი
ძველებურად ისევეა,
ხელისგულზე ფოთოლი და
მთვარის ცრემლი მისვენია.

სიყრუე და სიბრმავეა,
ჩვენი მეფეც შიშველია,
ვინც არ უნდა მიმკურნალოს.
ველარაფერს მიშველიან.

დარჩნენ ძველი მეგობრები
აღარც ძმებად, აღარც მტრებად.
ვისაც მე არ ვენატრები,
აღარც მე არ მენატრება...

რა მოგწერო, ყველაფერი
აქოთდა და აირია,
სიყვარულიც, სიძულვილიც
უკვე სულ სხვანაირია.

ვინ ანგრევს და ვინ აშენებს,
ვისა სწყალობს დახლიდარი,
ვისთვის ჯდება კამათელი,
მართლა მხნე და ძაღლის ძვალი...

ისე „ყველაფერი კარგად,
არის ყველაფერი ცუდად!“
არაფერი აღარ მიკვირს,
რაც ქვეყანა გადაბრუნდა.

●

ხედავთ, ბატონო მურმან,
ვირს აწონებენ ხურმას.
ამაოდ უხმობს მკურნალს
ტყვიით ახდილი კეფა.

რა დაინახა თვალმა,
რა მოისმინა ყურმა
ხალხის პოეტი სდუმს და
კარის პოეტი ყეფავს.

ხედავთ, ბატონო მურმან,
რა დრო შემოგვძღვნა შურმა,
სამშობლოს როგორ „შვენის“
სილაგაწნული ლოყა.

ლუკმა მიუგდეს რადგან,
ყეფს მედროვეთა კასტა.
მე კი სისხლის შხამს ვსვამ და
ცრემლის ქვა-მარილს ვლოკავ.

თებერვალი

ისევ ჩადგა ხეში წყალი
უგემური, დუბელა.
25 თებერვალი
ძველებურად უბერავს.

გულზე გაწევს, როგორც ლოდი,
შარშანდელი ფოთოლი.
ყელთან კვნესის ვიოლინო—
საუკუნის ობოლი.

ვინ გაიგებს, როგორ კვდები—
გარეგნულად მშვიდი ხარ.
უკან აღარ იხედები,
მიდიხარ და მიდიხარ...

დეპუტატი

ხალხის რჩეული ტელევიზორში:
ხმა ცივი და მედიდური,
თითქოს ბოლომდე ვერ ამოახველა,
ყელში უჭერს თოკივით ხრინწი.
ადრე ეს კაცი ეუფლებოდა
კალმოსნის საპატიო,
მაგრამ დაუფასებელ ხელობას—
სახე ყოველთვის ჭირისუფალის
ტკივილით ჰქონდა დაღდასმული.
მერე, როგორც მოშინაურებულ მხეცში,
მოუმთავრებელ კალმოსანშიც
გაიღვიძა მტაცებლის ჟინმა
და უყოყმანოდ გადაცვალა „პოეტიკა“
პოლიტიკაზე...
ახლა ტელევიზორიდან მიყურებს
ჭირისუფალი კი არა,
ცივი და გულქვა,
მაძღარი აგური...
საშინელებაა მშიერ ქვეყანაში
მაძღარი კაცი,
გამაძღარი სხვათა შიმშილით...

გამოვრთე ტელევიზორი,
ნავშალე ცივი მოძრავი თვალები და
ექსკავატორის ციცხვი—
ეკრანზე მოსავსავე პირი...

თქვენც გამორთეთ, ბატონებო,
ცოდვაა ტელევიზორი,
რომ შეეძლოს
საკუთარ თავს შეაფურთხებდა...

პასუხი

დაფანტეს აპრილის ქარებმა
შავ-შავი ღრუბელი მარტის მუქარების,
მოზიარე ვარ,
მოზიარე ვარ,
დაგვიანებული თქვენი მწუხარების.

ნულარ დააქცევ ცრემლებს ღვარებად,
აღარ ამწვანდება ძველი მუხნარები.
მოზიარე ვარ, მოზიარე ვარ,
თქვენი პაწაწინა,
ყალბი მწუხარების.

თოვლი მოდის

ვანიკოს და ლექსოს

თოვლი მოდის,
თოვლი მოდის,
თეთრ ნისლებში ცა იცრება.
ვენაცვალე თქვენს პირველ თოვლს,
პირველ ფიფქით განცვიფრებას.

თოვლი მოდის,
თოვლმა იცის,
რად ვარ სიყვარულით ავად.
თქვენი ცრემლი გამაცილებს,
როცა თოვლთან ერთად წავალ.

თოვლის მოდის,
თოვლი მოდის...

1994

სიზმარი

როგორც ზეცა განათდეს და სინათლემ იელვოს,
წამიერად ჩათვლემილს, ღამის სიჩუმეში—
დამესიზმრა, მარიამს ფეხშიშველი იესო
ეხვეწება:
—დედილო, ამიყვანე ხელში!

ჯერ შუბლზე არ მოწვეთავს
წმინდა სისხლის ზედაშე,
ჯერ არ მოუწამლია მოღალატის ამბორს.
როგორც ცხადში ვიხილო,
სიზმრად ვხედავ დედა-შვილს,
—ამიყვანე, დედილო! — ყრმა იესო ამბობს.

კიდევ ბევრი ჩაივლის იორდანეს ტალღები,
ბევრჯერ ამოთეთრდება ზეცა სავსე მთვარით,
ვიდრე ეკლის გვირგვინი თმაში ჩაეხლართება,
ვიდრე გადაიმსხვრევა ამ ტერფების ძვალი.

ჯერ ძალიან პატარა და ძალიან ჩვილია,
აბეზარი კენჭები ტკენენ თოთო ფეფებს.
ჩვენი ცოდვებისათვის ჯერ არ გაუწირია
დედამიწას—ღვარძლიან და გულბოროტ ბებერს.

ვუყურებ და ცრემლი მდის—
ვიცი, ვერ დაბერდება,
არც ისეთი შორს არის, ტკივილი რომ შეშლის,
როცა ჯვარზე გაკრული გამჩენს შეევედრება:
—დავიღალე, ამიყვა, ამიყვანე ხელში!

●

მომადგებიან მდუმარედ
ნაღვლიანები, ქუფრები,
ჩემი სამშობლოს ხიზნები
მოგროვდებიან უკლებლივ—
დაბლიდან მე შევტირი და
მაღლა მოთქვამენ
ღრუბლები.

●

ღმერთო, რა ხდება!
ღმერთო, რა ხდება!
ველარ მოვდივარ გონზე.
ავი სიზმარი ნუთუ ახდება,
და ჩემი სიტყვა ყულფად დამხვდება,
ჩამომკიდებენ თოკზე.

ღმერთო, რა ხდება!
ღმერთო, რა ხდება!
სალაფავი და შხამი საღდება,
უჭირს კუჭსა და ჭაჭებს.
ძაღლური ყოფა უფრო ძაღლდება,
მაგრამ ამათი რა იხარჯება,
ქვეყანა გაახარჭეს.

როდის იქნება, რომ ვთქვა:
— თავდება,
თივაში ცეცხლი არ იმალება,
ჯალათს, გამყიდველს, მსტოვარს
ეშაფოტისკენ მალე გაჰყვება
მოსეირეთა ხროვა!..

ღმერთო, რა ხდება!
ღმერთო, რა ხდება!

●

დაეშვა ფარდა, ჩაქრა აბედი,
თუმცა კვლავ აღვიძებს ვნებებს გერშვინი—
ამ როლისათვის უკვე დაბერდით,
ეს როლი უკვე აღარ შეგშვენით.

რაც იყო, იყო, „ვიღებ არჩევანს“—
მე ამ სადგურში აღარ ვჩერდები.
სამკაულივით ისევ გამშვენებთ
ღალატი—თქვენი სულის შედევრი.

მაინც დარეკავს ატრაქციონი—
იქნებ გამოჩნდეს ჩემზე სულელი,
უკანასკნელი, ანდა მორიგი
თქვენი დამჭკნარი ნიღბის მსურველი.

1993

ჭერამი

ბაღი გადაიფიფქა ყვავილებით ჭერმის.
ნამტირალევ თვალებით ველოდები მერმისს.

მეგონა რომ გადახმა, მალე დააპობენ—
ბასრი ცული მოამტვრევს დაკორძებულ ტოტებს.

თონეს გაახურებენ, ოთახს გაათბობენ,
ანდა გაამაგრებენ გადაქელილ ღობეს.

მეგონა რომ გათავდა, ისე გადაქანდა—
ნაჭერ-ნაჭერ აქნილი გაახარებს აფთარს.

მაგრამ, აბა შეხედე, გაბერწებულ ბებერს—
მკვდრეთით მობრუნებულა
ჩვენი ბაღის მეფე.

ერთ ღამეში იფეთქა, დამუქრებულ შეშლილს,
ალესილი ნაჯახი შეაცია ხელში.

მითხარ, ეს უცნაური აყვავება ჭერმის,
იქნებ ნიშანი არის ქვეყნის გადარჩენის.

იქნებ ისევ ამაღლდეს ჩაქცეული ჭერი...
ცრემლიანი თვალებით ველოდები მერმისს.

●

აღარ მიყურებ
    თეთრი ნისლის სიმსუბუქიდან
მეც არაფერი
    აღარ შემრჩა ნატკენ გულს იქით.
გადაუარა
    ჩემს ქვეყანას ნგრევის მუსიკამ,
შეპყრობილია
    ჩემი ხალხი ნგრევის მუსიკით.

ასე მგონია,
    გამორიყულს უცხო ნაპირზე,
მახრჩობს ბებერი
    საუკუნე—მეოცე ჩიხი.
ხანდახან მწარე
    მათრახივით ხსოვნა მაფხიზლებს
და გულმკერდს მინგრევს
    მრისხანებით შეკრული მჯიღი.

საყვედური

გვეტირება და ვმღერით,
თუმც რა გვაქვს სასიმღერო.
ხომ გატუტუცდა ერი
შენი წყალობით, „ძველო“—
ხელს როგორ ჩამოგართმევ,
ჩემი იმედის მკვლელო...

ახალ „მიწისძვრებს“ ელის
დაღლილი საქართველო.

1993

ესეც ოთხმოცდაცამეტი!
გრძელდება გზები წამების,
საითკენ მიმაქანებენ
შიშით შეშლილი თვალები.

ესეც ოთხმოცდაცამეტი—
გაჭრილი გულის ვალეტი—
თავის დღითა და ღამეთი,
ვიყავი, ვნახე, წავედი...

ესეც ოთხმოცდაცამეტი,
გახუნებული ხავერდით.
მე რაღა გამეხარდება,
შენ თუ არ გაგეხარდები.

იმანაც მოკლედ იარა,
ესეც გათავდეს, რაც არის...
ცხოვრებამ ჩაიგრიალა,
დარჩა მტვერი და ნაცარი.

ძველი ხიდი

გივი გეგეჭკორს

ყველაფერი ისეთი
მარტივი და მშვიდია
და ისეთი წყნარი,
მდორედ მიედინება
ყინულების აკვანში
ჩათათული მტკვარი.

ამ ძველ ხიდზე „ნათურა
დღისით“ რად მაგონდება,
ან „კინოში წასვლა“,
როცა ჯავრით ჩავყურებ,
აუვსებელ კალაპოტს,
როგორც ზამთრის საფლავს.

მარჯვნივ წახვალ, ინანებ,
კიდევ უფრო ინანებ,
თუკი წახვალ მარცხნივ.
რაზე ფიქრობს ნეტავი,
მტკვარზე გადაკიდული
მგლოვიარე ცაცხვი.

გული შემიქანდება,
როცა ხიდისთავიდან
გამოსული „ბისზე“,
შენი მონატრებული,
„გორის მატარებელი“,
მოაკივლებს ისევ.

და ბაქანთან შეწყდება,
უცებ მოდუნებული,
ბუფერების მარში.
ბარგითა და ყაყანით,
აივსება სადგურის
ცარიელი ფაშვი.

„მრავალჭირგამოვლილ“ და
დაშინებულ ხალხისგან,
რა სიკეთეს ველით,
შინისაკენ გარბიან,
რომ არ წამოეწიოთ,
ავტომატის ჯერი.

ერთ ავაზაკს მეორე
ცვლის, სალაფავს სუყველამ
ამოუსვა დინგი.
ამ ქალაქში უცვლელი
არის მხოლოდ უენო
ხალხის პურის რიგი.

ისიც გაჩუმებულა,
ვისაც ძალუძს დაიხსნას,
„უძლეველი“ ჯიში.
და მალულად იხოცავს,
ცრემლებს, როგორც ობოლი
დედინაცვლის შიშით...

მაგრამ უფრო მტანჯველი,
არის იმის შეგრძნება,
რომ ვერაფერს შეცვლი—

როცა ხედავ რამდენი
კასტა დაძრწის, მსურველი
ოცდაათი ვერცხლის.

სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლს
როცა გადაურიეს
უწმინდური ქაფი,
ვიფიქრე, რომ გათავდა,
ღმერთიც ვერ შეაერთებს
ორ გათიშულ ნაპირს.

ველარ ვიგებ, გვშორდება,
თუ კვლავ გვიახლოვდება
გადარჩენის შანსი.
ვნატრობ, როდის წამიყვანს,
ჩემი შეყვარებული—
ქართლის პეიზაჟი.

მარჯვნივ წავალთ—ვინანებთ,
მაგრამ უფრო ვინანებთ,
თუ გავუხვევთ მარცხნივ.
დრო მიდის და მეგობრებს,
წლების მკაცრი დინება
ბურჯებივით გვაცლის.

ჩემი შეყვარებული,
გაზაფხულის ტალღებით,
აქოჩრილი მიყეფს,
გაბრუებულ თევზივით
ვიდრე დავენარცხები
დაუნდობელ რიყეს.

როცა პირჯვარს ვისახავ,
ყველასათვის ვლოცულობ,
ყველას გამო მიჭირს,—
მგონია, რომ მოწყენილ,
ღვთისმშობელის კალთიდან
გადმოხტება ბიჭი.

ფეხშიშველი გაირბენს,
ჩვენს წამხდარ და საცოდავ,
იავარქმნილ ედემს,
სველ ნაფეხურს დატოვებს,
როგორც ბავშვი ტაშტიდან
ამოყვანის შემდეგ,

წავა, არ მოიხედავს,
მე კი გული დამწყდება—
ნუთუ მისთვის მოველ,
დამამგვანოს ცხოვრებამ
დაზურგულ და თავწახრილ
„პატიოსან“ ცხოველს...

ვიცი, მაინც გავუძლებთ,
თუ არ გავიგმირებით
უკანასკნელ ბარჯით,
თუკი არ გვიღალატებს,
ჩვენი ბოლო იმედი,
„გამოზრდილი ტანჯვით“.

ამ ძველ ხიდზე, ამ თოვლში,
ახლა უფრო მიხვდები,
გამახსენდი რატომ...

ჩემი დიდი მოკითხვა
შენი თავისტკივილის
დაუნდობელ ბატონს...

ვიდრე გაგვიძღვანებდეს,
ერთხელ კიდევ მოვაჯდეთ,
დეზი ვკრათ და მოვცხოთ:
თუკი ბედმა გვარგუნა,
გაუმარჯოს ტკივილებს,
რადგან გვტკივა—ვცოცხლობთ.

დაუმთავრებელი ლექსი

ოქტომბერი ჩათავდა,
ნოემბერიც მიდის,
წყლის ნაპირზე ცახცახებს
გაკრეფილი შინდი.

დღე სოფლის ლაფს
მივკვალავ,
ღამით უფრო მიჭირს—
სიზმრებიდან მიყურებს
გაბუტული ბიჭი.

ცის სილურჯეს გადაძოვს
ღრუბლის შავი ფარა,
დილამდე იწუწუნებს
აუჭრელი ჩალა.

გარეთ შუაღამეა,
შინ—გამკრთალი ძილი.
გული მწყდება,
თანდათან
ვავიწყდები თბილისს...

ხუთი ოქტომბერი

თვალი რაც გავახილე,
გულზე ვერ მოვიშორე
დაკიდული ლოდი.
მოდი, მომისამძიმრე
ჩემი დაბადების დღე
თავდახრილი მოდის.

მოდი, ისევ აყვავდი,
ღაწვზე დაცურებულო,
ობლის მწარე ცრემლო,
თორემ გულში დამახლის
დაღლილ წელთა კრებული
ბოლო სადღეგრძელოს...

მაინც ფეხზე ვიდგები,
ვიდრე მტანჯველ თარიღებს
მოედებათ ობი,
ვიდრე გადარეული
მღვრიე წყალი წაიღებს
უკანასკნელ ბოგირს.

ტრამვაი

მე არ დავწერ ლექსს ღამის ტრამვაიზე,
რომელიც სინამდვილეში კი არა,
ხსოვნაში მიდის,
მიდის ულიანდაგოდ, უმარშრუტოდ,
არ ეპუება ამკრძალავ სინათლეს,
გზაჯვარედინებს,
საშიშ მოსახვევებს...

ღამის ტრამვაი—თავადაც მგზავრი,
ეულად მოხეტიალე თბილისის ქუჩებში,
ბიგელის ხელით ჩამოკიდული
მაღალ ძაბვაზე—
საკმარისია დენი გამოირთოს
მოჭრილივით ჩამოუვარდება...
ღამის ტრამვაი—ხმაურიანი გადმონაშთი,
გადაშენების გზაზე დამდგარი,
ლიანდაგების აყრით რომ კლავენ
და ნაჭერ-ნაჭერ უკეთებენ მარტენის ღუმელს...

ღამის ტრამვაი—
სიბნელეში მოძრავი სიხარული
და ამ სიხარულში ჩვენ,
თონის ცხელ-ცხელი პურით,
გაციებულ ხელებს რომ ვითბობთ.
ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვართ,
და ამის გამო—თამამები,

ნაღვლიანი მგზავრების თვალწინ
ერთმანეთს ლოყებით ვეხუტებით,
რომ უკეთესად გავიგონოთ
დაბრაწული პურის კნატუნი...

მგზავრებს თანდათან ვავიწყებდით
თავის სადარდელს—
კარგი დრო იყო,
ჩვენს წამხდარ და ბრმა ქვეყანაში
სიყვარულს მაინც რაღაც შეეძლო...

მე არ დავწერ ლექსს ღამის ტრამვაიზე—
გარეუბნის წითელ მამალზე.
არც სიძულვილზე—
„მოძრავი სიხარული“
დავიწყებაში რომ გადაჩეხა,
მე დავწერ ლექსს...

ეჰ, კარგი დრო იყო,
ჩვენს ნაღვლიან, ბრმა ქვეყანაში
სიყვარულს მაინც რაღაც შეეძლო...

1992

•

ხომ ყველაფერი გაძაღლდა,
ხომ ყველაფერი ჩალპა,
ყველა ართვალი გასაღდა,
კაკლად ჩხრიალებს ბამბა...

ღმერთო, შენ მაინც მითხარი,
ვინ ვარ,
            რატომ ვარ,
                        სად ვარ!

●

ველარ ვიგებ, ღამეა თუ დღეა.
ქარი ტირის.
ქრისტეშობისთვეა...

ვაი, უცებ გაფრენილო წელო,
უნდა დაღლილ სიყვარულზე ვწერო.

ტირის ქარი...
სახურავებს ათოვს...
ახლა უნდა ზამთრის სევდა ვხატო.

კაკლის ხეზე ბებერი და ავი
აყეფდება შეცივნული ყვავი.

შავი ფიქრი ჟრუანტელად მივლის,—
ველარ ვნახავ მომლოდინე ივლისს..

ნუ მკითხულობ.
გამიცივდა მაჯა.
ყველაფერი უკვე დაიხარჯა.

მომიღავდა იმედების ბოღჩა...
იქით უკვე,
სასაფლაო მოჩანს...

ლაურა

ლაურა, უცხო ფერის ყვავილო,
ფშაური დეკის ლურჯო დობილო,
ხსოვნის მდინარევ, ვეღარ ჩავლილო,
ერთი სიცოცხლე არ მამყოფინო.

სუფრასთან თვლემდა მიდელაური,
და ცივდებოდა ჩობნის ყაურმა.
დუდუკის ყელით, შმაგი ამური,
შენ გაქეზებდა:
—მიდი, ლაურა!...

მოგონებები მკლავენ და მკლავენ,
ამოოხვრილნი ამ საწყალ ლექსად,
ლაურა—ლაღად გაშლილი მკლავი,
ლაურა—ბეჩავ გულების კვნესა.

„ვისი სული გსურს!—
ქუხდა ამქარი,—
ან შეგვიყვარე, ანდა მოგვცილდი“...
შენი თვალების შუქით დამთვრალი
ცისკრის ნამიან ფოთოლს ვკოცნიდი...

„შენი სული მსურს!“—
თითქოს ამაყმა,
დადუმებულმა მთებმაც იჭექეს...
მერე გაცურდა ფეხქვეშ ბალახი
და... ერთმანეთში გადავიჩეხეთ...

ივრის ჭალების ნატვრა უბერავს,
ცოდვილი სული შენზე ლოცულობს,
და ჩემი ცრემლით სავსე ღრუბელი,
ლაურა, ისევ შენსკენ მოცურავს.

მოცურავს, მაგრამ ყველა წასულა,
ცეცხლი ჩამქრალა...
ბალახიც ჩახმა...
კოცნის საფეთქელს ცივტუჩა ლულა
და შეყინვია თითები ჩახმახს.

N-ს

მაკრატელის კრიჭი-კრიჭით
და სატანის პროფილით,
გაზონივით გადაკრიჭე
ერთგული და ორპირი.

დავილალე,
აღარა ვარ
უკვე უკმაყოფილო,
არაფერი აღარ მიჭირს,
სუნთქვა მიჭირს, ძმობილო.

სირაქლემა

ყველამ ყველაფერი იცის
და ყველაფერს იგებს ყველა:
იქურდა თუ, იმრუშა თუ
დამცინავად ჩაახველა...
რომ ხედავენ, მხოლოდ სულელ
სირაქლემას არა სჯერა.

დაქანდნენ წლები

მურმან ლებანიძეს

დაქანდნენ წლები,
უფრო ხშირად მიპყრობს ნაღველი.
ვხედავ სამშობლოს
დამცირებულს,
დაღლილს,
გათელილს.
ვაფურთხებ წარსულს,
მეშინია ფიქრის გამხელის,—
ვერც დღევანდელმა
ვერ აანთო
ჩვენთვის, ნათელი...

ხანდახან შვებად
გაიელვებს შენი სახელი,
ვით გაძარცვულ და
ბებერ ტყეში,
წითლად ძახველი.

21 სექტემბერი

ახლაც, სიხარულისგან, მაჟრიალებს ტანში—
ლოცულობდა საყდარში მუხლმოყრილი ბავშვი:

„დიდო დედავ, მოგვხედე, ღვთისმშობელო, წმინდაო,
საქართველო დალოცე, მეტი არა მინდაო“...

გარეთ ალვის ხეები იმტვრეოდნენ ქარში,
აქ კი ცრემლად დაღვრილი ლოცულობდა ბავშვი.

გარეთ დუმდნენ სექტემბრით დაჭორფლილი მთები,
აქ კი თრთოდნენ უმწეო გოგოს სუსტი მხრები.

ქანაობდა სანთელის ალი ალმაცერი,
მარხული და გამხმარი ბუტბუტებდა ბერი:

„ცალი ძუძუ გვლოცავს და ცალი კიდევ გვწყევლის,
თქვი, ღირსი ვართ თუ არა ამ უმანკო ცრემლის,

ამ პატარა გოგოს ნაღველს, მითხარ, როდის წაშლი,
თორემ მოვა ანგელოზი და წაიყვანს ცაში.

დაელევა მოთმინება განრისხებულ უფალს,
მოგვტაცებს და გაიშლება დიდი გლოვის სუფრა“...

ახლაც, როცა ვიხსენებ, მაჟრიალებს ტანში,
ლოცულობდა საყდარში მუხლმოყრილი ბავშვი.

ვჩურჩულებდი:
„გვიცოცხლე ეს პატარა, ღმერთო!“—
და ღვთისმშობლის თვალებში შვების ცრემლი ენთო.

1991

•

ავადა ვარ, აღარ ვიღებ მნახველს,
შევეგუე უკვე, თავბრუდამხვევ

სიცხიანი ღამების თრიაქს
და გრიგალებს, სიცოცხლე რომ მიაქვთ.

ავადა ვარ, ბედმა გამომრიყა,
ვინც მიყვარდა, ღმერთო, აღარ მიყვარს.

შემოდგომა—დგას მარადი ხატი.
წვიმს და თავზე უფლის ცრემლი დამდის:

„საქართველოვ, ნამსხვრევებო ლოდის,
შეერთდები როდის, როდის, როდის“...

მკვლელო ჯავრო—აფრენილო ძერა,
ცერზე გიზის ჩემი ბედისწერა.

ავადა ვარ, სინანული ხრჩოლავს.
მწუხარებამ ყელი ამოქოლა.

მწარე სულო, უნდა ამოხვიდე.
ძაღლი ვიყო, თუ სიცოცხლე ღირდეს.

კაცი_თითი

ცხოვრება ასე რად არის,
გამკვირვებია, მიკვირს...
კეფაზე თითს მიკაკუნებს
აღზევებული ბრიყვი.

ღმერთო, ნუთუ არ გასრულდა
ის ზღაპარი და მითი—
ჩემს ფიქრზეც ისევ მბრძანებლობს,
ის, ყოვლისშემძლე თითი.

ვუყურებ ბრიყვის იარაღს,
მომდის სირცხვილის ხვითქი—
თავში თუ არა ყრია რა,
მაშინ ხმას იღებს თითი.

ჩვენი საშველი არ იქნა
და, როგორც ზემოთ ითქვა,
შეხედე, როგორ გარდიქმნა,
კაცი საცოდავ თითად.

იქნებ კაცი არც ყოფილა,
მუდამ მძებნელი ხვრელთა—
ბოღმიანი და ორპირი
ცხვირში შემძვრალი თვლემდა...

როცა ტრიბუნას მჯილსა სცემს,
მინდა ხმამაღლა ვკითხო—
როდემდე უნდა „აჩმახო“,
ცხვირიქექია თითო.

●

კვლავ მომახედა შენსკენ მოწყენამ
ჩაქრა იმედის კვარი.
შენთვის უხილავ ტანჯვის მოწმეა
თოვლი, ღამე და ქარი.
ღმერთმა შეგინდოს ეს სიყვარული,
ეს დამბანგველი ნანა,
ისევ უჩუმრად და უხმაუროდ
გულში მიტოვებს დანას.
არსად მოზარე, არც გამკითხავი,
ობოლი სანთლის ალი.
მობრძანდნენ ჩემი ქადაგ-მკითხავნი—
თოვლი, ღამე და ქარი.
ველარ ვუწვდინე ხმალი ბეჭამდე,
ვერ გავაყოლებ ნიშანს...
ვაი, მე რატომ უნდა ვღეჭავდე,
ყივჩალის სახრავ ქვიშას...
გავქრები, უფსკრულს ჩაიჩეხება,
წკრიალი ცხენის ნალის...
და აივსება სული ერთხელაც
თოვლით, ღამით და მთვარით...
მომკალ, მტანჯველი ჯავრი მოწმეა,
სულში ბატკანი ბღავის...
ვაი, საბრალო ჩემი მოწყენა,
შენს სხეულს ძერწავს, მაინც.

●

შემოდგომა ილევა,
ცივი ფიფქი მოდის.
გული გადაირევა
ისევ უშენობით.

დეკემბერიც გაივლის,
არ დამწყდება გული.
ძველმა წელმა წაიღო
ჩემი სიყვარული...

მივაკითხავ მოწყენას—
ჩემი სევდის მექას...
რაც იყო და რაც არის,
სულში დაილექა.

ცოდვილი ვარ, მამაო,
დამიმძიმდა მხრები.
ვაი, ჩემო სიცოცხლევ,
თოვლთან ერთად დნები.

ვაი, ველარ ავდგები
ჩამარხული ზვავში.
ჩემი თოვლის სამარეს
გაზაფხული წაშლის...

შემოდგომა ილევა,
ცივი ფიფქი მოდის.

გული გადაირევა
ისევ უშენობით.

მოდი, წელო ახალო,
მოდი, შემოგევლე,
პირშეუკრავ ჭრილობას
სული შეუბერე.

ერთხელ გამახალისე,
ერთხელ გამაცინე,
ერთხელ გააკაშკაშე
წუთისოფლის მღვიმე.

მერე, მერე წამიყვა,
გამომგლიჯე იმედს.
სოფლის ეკლესიასთან
ტკბილად მიმაძინე.

1990



საქართველო აღსდგა

ილია მეორეს

ერთხელ კიდევ გამაგონე
საუკუნო აღთქმა:
—ქრისტე აღსდგა!
—ქრისტე აღსდგა!
—საქართველო აღსდგა!

სადაც წაველ, ყველგან შენი
იმედის ხმა დამხვდა:
—ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!
საქართველო აღსდგა!

ჭეშმარიტად!
ჭეშმარიტად!
იმერსა და ამერს,
შემოადნა ტანზე უღვთოდ
დაფლეთილი ღამე.

ჩამოწმინდა სისხლმა ლიბრი
დაბრმავებულ თვალებს...
გვიან მივხვდით, სალოცავი
ხატი შეგვიცვალეს.

ღმერთო,
ღმერთო,
შენ მოჰკითხე
იმის გვარს და ჯილაგს,
ვინც „გვაჩუქა“ გაზაფხულის
სისხლიანი დილა...

ყელზე დანა მომბჯენია
მე სხვათა და სხვათა.
ჩქარა, კიდევ გამაგონე:
—საქართველო აღსდგა!

ჩქარა, თორემ ჩამაჩოქებს
დარბეული გული.
საფლავში ნუ ჩამაყოლებ
უკანასკნელ სურვილს.

გააგონე მტერ-მოყვარეს,
მოსკოვსა და ბაღდადს:
—ქრისტე აღსდგა!
(ჭეშმარიტად)
საქართველო აღსდგა!

სა-ქარ-თვე-ლო

მძლავრი ყიჟინით როცა ჩაივლი,
როცა ფრიალებს უცხო ყვავილი,
ეგ შინდისფერი დროშა,
ეს აღტაცება არ დამიწდება,
მუხლმოდრეკილი პირჯვარს ვიწერ და
ჩემს გაჩენის დღეს ვლოცავ.

რა ლამაზი ხარ,
რა სხვანაირი,—
ამიფეთქდება ყელში ბღავილი,
შენი დროშების შრიალს,
აჰყვება სული,
სული ცოდვილი
და დავიგმინებ გულდაკოდილი:
—თავისუფლება მშია!...

ო, ერთადერთო,
ო, სა-ქარ-თვე-ლო,
ერთხელ გამტყდარი ვინ გაამთელოს,
მაინც იმედი გვიხსნის...
ამაზე მეტი რა შეგვიძლია,
ემაგ დროშებზე ჩვენი სისხლია,
შენთვის დაღვრილი სისხლი!

ისევ მკორტნიან,
ისევ მარბევენ

(ო, ამ ტკივილებს რა დააბერებს).
მარყუჟს მიჭერენ დღემდე,
მაგრამ ვიდრე სულს ამომაძრობენ,
„ფუ!“—ტყვიასავით შუბლში მივახლი
გენერალსა და ზემდეგს:

„ფუ, უდღეურო,
არაყის გიჟო,
ფუ, ორპირთა და მზაკვართა ჯიშო,
იპოვი რასაც ეძებ“...
ვოლიერს ანგრევს ნადირთა მეფე:
—ჩვენზე ცოდვილნი გალიებისკენ,
თავისუფლება მხეცებს!..

„ფუ, ხელის ბიჭო,
ფუ, უსახურო,
წყეულო მონავ,
მკვლელის მსახურო,
მზად ხარ ყელში რომ მეცე“...
ვოლიერს ანგრევს ნადირთა მეფე:
—მოღალატენი გალიებისკენ,
თავისუფლება მხეცებს!..

ფეხაუდგმელო, მაისის ბავშვო,
თვალის სინათლევ,
არავის მსგავსო,
ჯერ სიარული გიჭირს....
ო, სა-ქარ-თვე-ლო, დუმილი კმარა,
მომეცი ხელი, მომეცი ძალა
და შენი მოვლის ნიჭი...

მძლავრი ყიჟინით როცა ჩაივლი,
ამიფეთქდება ყელში ბღავილი,
შენი დროშების შრიალს,
აჰყვება სული,
სული ცოდვილი
და დავიგმინებ გულდაკოდილი:
—თავისუფლება მშია!...

აჰა, ეს წუთი,
ეს ოცდაექვსი,
თავისუფლების უხმო ალერსით
გაბრუებული წამი...
„ნურცა იხაროს მტერმა შენზედა!“
„ნურცა იხაროს მტერმა შენზედა!“
ყოვლადძლიერო, ამინ!

ყეფდა, ყეფდა, მურია

ჩემზე უფრო ცოდვილი ვიცი ბევრი ათასი,
პრემიებს და ვიზებს და
ჯილდოებს რომ ტკვერდა,
მაგრამ, სამაგიეროდ, ნებიერი ნაგაზი
მხოლოდ პატრონის თითის აწევისას ყეფდა.

ყეფდა, ყეფდა, მურია:
—ეს დრო საამურია,
ვაშა, ძმებო, ვაშა,
ჩვენი დროის ფაშას!
თუ შენს ხალხს არ გალახავ,
ვინ მოგართმევს სალაფავს...
ჰოდა, აბა, მედგრად,
ფაშას გვერდით ვედგათ.

ვიცი, ბევრი ცოდვილი „ლუნა“ ბევრი ათასი,
შეიცვალა აზრები, როგორც მოსაცმელი,
აი, მესმის გარდაქმნა, „უძრაობის“ კახპასი,
ახლა „პერესტროიკის“ მჭლე სახედარს წველის...

ყეფდა, ყეფდა, მურია:
—ეს დრო საამურია,
ვაშა, ძმებო, ვაშა,
ყვავ-ყორნების ყაშყაშს...

წურბელების ლაშქარს,
შემოიკრებს ფაშა,

ტრიბუნასთან მდგომი,
დაიბდღვინებს ლომი:
—კვლავ გრძელდება, „ძმებო“,
ჩვენი „წმინდა“ ომი...

ვაი, ჩემო სამშობლოვ, თვალწარმტაცო სანაგვევ,
მეთხუთმეტე ბუნკერო,
ჩვენი „ძმური კავშირის“,
ბედი როგორ მიანდე ყომარბაზის კამათელს,
როგორ ვერ გაარჩიე, ნაცარი და ნახშირი.

ყეფდა, ყეფდა, მურია:
—ეს დრო საამურია!

ერთმორწმუნე მტერი
კმაყოფილი მღერის:
—შენ კანფეტის ფოჩი,
მე გაგრა და სოჭი...
—დავიხიოთ უკან,
ნუ დავკარგავთ ლუკმას—
მოგვიწოდებს ღორი,
„ბრძენი“ წინამძღოლი.

ჩემო გაუხარელო, ჩემო სატანჯველო,
მოწყენილო ყვავილო, ვაი, როგორ ჭკნები...
შენი წუთისოფელი, ტანჯვით უნდა წერო,
უნდა დადნეს შენს მკერდში ჩასაყრელი ძვლები.

ჩვენი სიხარულები,
ჩვენი ბედნიერება,

გადაკრიჭეს თანაბრად,
მტერმა გადაბელა,
მაინც ამოვიმღერებთ,
მაგრამ ისე არ მოხდეს,
ჩამოვაგდებთ ბელადს და...
გაუმარჯოს ბელადს...

„ეს დრო საამურია“,
ვიდრე გიდგას გობი...
ფრთხილად, ჩემო მურია,
განკითხვის დღე მოდის.

ვედრება

როდის გაჩნდება კედელში ბზარი—
შუბშემართული ქარის წისქვილთან
ვდგავართ.
დიდი ხანია დარეკეს ზარი,
მაგრამ არ ვიძვრით, მალე ბეხრეკი
ეს საუკუნეც გავა.

ო, რამდენ ცოდვას ამკიდებ მერე
თუ ვერ მოგიტან მშვენიერ ყვავილს
მკვდრეთით.
როგორც ნაწამებ ციხის დამცველებს
გაკიდული მაქვს მარგილზე თავი
შენთვის...

უწყლობისაგან მიშრება ხახა,
იღიმებიან ჩემი მოსისხლე
ძმები.
ნუ ელოდები უცხო სანახავს,
მიმაქვს ჩხრიალა ჰერბარიუმი
ძვლების.

ოღონდ მესმოდეს შენი ქართული
და არ გხედავდე უცხო თილისმის
მორჩილს,
შეაკონწიწე ერთად მავთულით
ანატომიის გაკვეთილისთვის
ჩონჩხი.

ნუ დამაბრალებ უზრუნველ ყოფას,
ამქვეყნად მხოლოდ შენით ვცოცხლობდი,
მხოლოდ...
მოვედი, გნახე, ვერ გავიმარჯვე,
და მუხლმოყრილმა გამჩენს შევთხოვე
ბოლოს:

„ყველა ვერ მივალთ აღთქმულ მიწამდე,
მაგრამ მინდა, რომ გულში იმედი
ენთოს.
გვაკმარე, ჩვენი ცოდვებისათვის
ამოგვენაყა უკვე ცხვირ-პირი,
ღმერთო!

მანიშნე მაინც, როდის დავამსხვრევთ
შენთვის მლოცველი მრევლი მონობის
უღელს...
ერთხელ პირჯვარი რომ გარდაგვსახე,
მას შემდეგ იმედს ცრემლით ჭრილობას
ვუხვევთ.

გვეყოფა! კმარა! თორემ ჯავრისგან
დავბეჩავდით და ლამის გაწყალდა
სისხლი.
მხოლოდ შენ იცი, ვინც გადაჯიშდა,
ვინც არ ეწამა, თავს ვერასოდეს
იხსნის“...

როდის გაჩნდება კედელში ბზარი—
შუბშემართული ქარის წისქვილთან
ვდგავართ.

დიდი ხანია დარეკეს ზარი,
მაგრამ არ ვიძვრით, მალე ბეხრეკი
ეს საუკუნეც გავა...

ო, მტერმრავალო, ქრება სანთელი,
ამოდის სული, სული სივრცეებს
ერთვის...
იცოდე, გწამდეს სიკვდილის მერეც
დადებული მაქვს ნაჯახქვეშ თავი
შენთვის.

ნუ დამაბრალებ უზრუნველ ყოფას,
ამქვეყნად მხოლოდ შენთვის მოვედი,
მხოლოდ,
შენი აღდგომის დასაწყისია
ჩემი ტანჯული წუთისოფელის
ბოლო...

1989

მარტოხე

ტანდაჯეჯგვილო,
გეფერები, სხვებს მირჩევნიხარ,
ბეჭდამსხვრეული და ნაღვლიანი ხე ხარ.
საჩრდილობელო მიწადქცეული მეხრისა,
მხრებს შლი.
ბორძიკობ.
მაინც იმედად მყავხარ.

მაინც ამაყად ნებიერ ტყეებს მიჰკივი,
ირევა ქარში ძონძოხი, ძაღლის ყეფა...
და სარეველა—ვიწროთვალება სკვითივით
ცხენის რძის ნაცვლად შენს გრილ ძუძუებს ხვრეპავს.

ჩემო მახარე,
დაგჟანგებია ნამგალი,
შე ღვთისნიერო,
უკვე აისიც კვესავს.
რამ გაგარინდა,
მუხრანთან როგორც დაჰკარი,
აგრე დაჰკარი დღესაც.

●

მოვიდნენ წვიმები...
ლარნაკში რტო არის—
ხსოვნაში შემჭკნარი
ივლისი ხატია.
დაწყნარდი,
გაივლის,
დაცხრება ქორალი
(წვიმების),
ჯერ მხოლოდ
სექტემბრის ათია...

სექტემბრის ათია,
ვივიწყებ აგვისტოს—
ვაძინებ გარდაცვლილ
ფერების დედოფალს...
რა კარგი იყავი,
ოცნების ბაღიდან
სტვენდი და
პატარა ოთახი თბებოდა...

კიბესთან ჩერდება
ნამგზავრი კარეტა.
კაკუნი კარებზე!
ოთახი ყრუ არი...
სექტემბრის ათია—
შეხედე კალენდარს!
ეშვება ღრუბელი—
მწუხარე ვუალი.

1988

•

დეკემბერი, დეკემბერი,
ვაი, უკვე ველარ ვშველი
უკანასკნელ მოფარფატე ფოთოლს...

შენს მისამართს ისევ ვეძებ,
შემოდგომის ყვითელ გზებზე,
ალბათ, მალე თეთრი სევდა მოთოვს..

გადაივლის ეს ზამთარი,
მიყუჩდება მკერდში ქარი,
მაგრამ მაინც უშენობა შემშლის,

რადგან ისევ მოვა მარტი,
და ფერდობზე ჩამობარდნილ
ყოჩივარდებს აიტაცებს ხელში...

წარწერა სურათზე

შენი ოცნების ლურჯი ფრინველი
სამოთხის კარის ზღურბლზე დაფრინდა,
იყო სიზმარი და საკვირველი
გამოცხადება ჩიტის ზღაპრიდან.

გაქრა ზმანება, როგორც ზარების
უკანასკნელი გამოძახილი
და სასთუმალთან მზისფერთვალება
შუქი შენიშნე შენსკენ დახრილი.

იდგა სიმშვიდით სავსე ოთახი,
შენ კი უცნობი ნათლისმხილველი,
შორს მიდიოდი და შენს მოსვლამდე
ოთახში სტვენდა უცხო ფრინველი.

●

მეორე თვეა საავადმყოფოს
შენსავით გაცრეცილ ოთახში ცხოვრობ...
წამლები. წამლები. წამლები.
დიეტა—უმარილო.
ემოცია—მხოლოდ დადებითი.
„რამ მიგიყვანათ, ქალბატონო, აქამდე?“—
პასუხად სასთუმალზე თავს გადააბრუნებ,
რომ ცრემლმა არ გათქვას
შენი საიდუმლო.

ცრემლი სარკეა,
სადაც გვიჭირს ყველა ჩავახედოთ,
ექიმს კი უნდა უცებ გაიგოს,
რასაც საკუთარ თავსაც უმალავ...

მორიგი ნემსი,
მორიგი აბი,
ასე გგონია, საცდელი თაგვი ხარ,
კუდით რომ დაიჭირა
წნევის აპარატმა...

მეორე თვეა საავადმყოფოს
შენსავით გაცრეცილ ოთახში ცხოვრობ...
„რამ მიგიყვანათ, ქალბატონო, აქამდე?“—
გეკითხება და დაკლაკნილი კარდიოგრამა
ექიმის ხელში ხტის და სისინებს.

●

არაგვს გამოლმა ბებერი მსხლები,
ბებერი სახლი—ძველი ზღაპარი.
მოხუცი სახლი—მოხუცი წლები,
მხოლოდ თოვლია, თოვლი ახალი.

დიდი ზამთრები გადარეკილან,
აქ დარჩენილან სევდიან ამბად.
თვლემს სამფეხაზე თეთრი დედილო
და ყაისნაღით მოწყენას ქარგავს.

1981

ანანური

უსტვენს სტუმარი,
აჩხაკუნებს ფოტოაპარატს,
და მოხორხოცე ტურისტებით ეზო ივსება.
ყურმიჩვეული უცხო ლაპარაკს
თვლემს უსინათლო ბებერი და მზეს ეფიცხება...

დაგაცვდა ჭანგი,
აგრერიგად ვეღარ დიდგულობ,
ო, ანანურო,
სისხლგამშრალო ლომის ფიტულო.

კითხვა-პასუხი

ჩურჩული:
—ძვირფასო, რა მოგდის,
შენი მზე ჩადის თუ ამოდის?
სული და სხეული დაობდა,
მითხარი, ძვირფასო, რა მოგდის!..

—სად არის ამაყი ლაშქარი?
—საფლავში ჭრილობებს იხვევენ!
—ცამ მკერდზე ვარსკვლავი დაისხა?
—პირიქით, საავდროდ იმღვრევა!
—დრო არის, ტანჯულო სამოთხევ,
სიმღერით ფერფლიდან წამოდგე.

დრო არის...
ძვირფასო, რა მოგდის,
შენი მზე ჩადის თუ ამოდის?..

●

რაზე ჩურჩულებს მდინარის პირი,
საით მიფრინავს წეროთა მწკრივი?

რად დასტრიალებს ნისლი ზემოდან
ველებს, მდინარეს, ხის კენწეროებს...

რა მიაქვთ ხსოვნად საქართველოდან
მარაოსავით გაშლილ წეროებს,

ბალახის ღერო თუ ნისლის ფთილა,
წვიმის წვეთი თუ მზიანი დილა...

რა დაესიზმრათ ძველ მოგზაურებს,
საით უხმობენ,
სად მიფრინავენ...

ფრთების შრიალი ცას გადაუვლის
და ზამთრისაკენ წავა მდინარე.

●

ვიცი, რომ დღესაც მარტო არა ვარ—
შენი კეთილი თვალი დამყურებს.
ივსება შენი სუნთქვით კარავი
და აკანკალებს ქარი საყურეს.

გცივა?—
ჩემს მხარეს ადრე მოადგა
ცივი წვიმების მძიმე კოჰორტა.
ველარ ვიხსენებ, ან რა დროა და
ან ყვავილები ვისთვის მომქონდა.

შენთვის?
მაგრამ შენ მხოლოდ ფიქრი ხარ,
ფიქრის თმები გაქვს, ფიქრის თვალები.
და სიყვარულიც ისევ გვიხმება,
რომელიც დიდხანს ვზარდეთ წვალებით.

ნოემბერი კი უფრო აურევს,
დამძიმებული ღრუბლის ტრაურით,
მოიხსნი ბეჭდებს, ძვირფას საყურეს
და ხელუკუღმა ქარს გადაუყრი.

●

ასე ცივდება ცხელი ღადარი,
ასე მთავრდება თურმე ზღაპარი—
დავყურებ ცხადით დახოცილ სიზმრებს
და ვიღაც გარბის ქარში ხარხარით.

ო, შემოდგომავ, მიახლოვდები
წვიმის ცახცახით, სველი ტოტებით.
ასე მგონია, სადღაც იჭექებს,
თავს მოგაყრდნობ და უხმოდ მოვკვდები.

ასე მგონია, გზებზე მოფენილ,
ფოთოლს გადიყრის მკერდზე სოფელი
და თმას გაიშლის ჩემზე მგლოვარე
ყველა, მტერი და უარმყოფელი.

გაიმეორე, ო, იმ სურნელით
ააყვავილე მთებზე კუნელი,
და გაზაფხულის გამოცხადება
ფრთხილად შემოსე მზის საბურველით.

ააავსე ვარდის ფშვინვით სავარდე,
ერთხელაც ჩემი სევდის მიზეზო,
იმღერე...
მერე ჯანი გავარდეს
აფრინდეს სული და გადიხვეწოს.

●

როცა ამ ლამაზ დღეებს გადაშლი,
ჩასმულს ფერადი ფოთლების ყდაში,
როცა მიხვდები—
ვერც შენ გადარჩი,
შენი სიცოცხლეც წაიღეს ვალში.

ახალგაზრდობას როცა მოიხდი
და თავს დაუკრავ ცბიერ სიბერეს,
როცა ჭრელ კაბებს აღარ მოიხდენ,
როცა წვიმები სულს აგიმღვრევენ,

ძველი რომანსით,
ძველი ჰანგებით,
გამოხვალ ლამაზ ფერთა ჩქერიდან.
და შემოდგომის ბილიკს გაჰყვები
იქითკენ, სადაც არაფერი ჩანს.

●

შემოდგომის ძახველი,
შემოდგომის შინდები.
შენი უხმო ნაღველით
ისევ გამობრწყინდები.

ეს ლოდებიც დაბერდნენ,
ეკლესიის თაღებქვეშ,
ისევ ლურჯი სისხლი სდის
მაცხოვარის საფეთქლებს.

ისევ ვილაც მოგტირის,
წამიყვანე, წამიყვა...
ყველა, ვინც შენ გიყვარდა,
წყალმა გაღმა გარიყა.

წავიდნენ და წავიდნენ,
დიდი ბუდე მოშალეს.
გვირილები სხვას ერგო,
შენ—დამჭკნარი შროშანი...

ხელში წყვილი სანთელით,
ლოცვით და ყავარჯნებით
კვლავ გრძელდება სიცოცხლე—
შენი ბოლო სასჯელი.

გიტარა

საბრალო კდემით და სიკეკლუცით
კვლავ არარსებულ სატრფოს მისტირის
და ლამპის შუქზე ისევ ციმციმებს
სველი სარკმელი, თეთრი ქვითკირი...

ზის ფეხმორთხმული თორმეტი მტრედი,
შიგნით წვიმს, გარეთ გადაიკარა
და გაუთხოვარ ქალების ბედზე
ისევ მოსთქვამს და კვნესის გიტარა.

●

შენ გაზაფხულის ფერებს ირჩევ,
მე—შემოდგომის
ვუსმენ ძველსა და ნაცნობ მონოლოგს.
ვარ მოზიარე შენი ობლობის,
შეუმჩნეველო ვერხვის ფოთოლო.

არ შემიძლია ამ სიჩუმეს მარტომ ვუსმინო,
არ შემიძლია რამე შევცვალო.
ან თავი მივცე ბნელს და უსიერს,
ან შევაკვდე და ან გავეცალო
ფიქრის კოდალას,
საფეთქლებს რომ ნისკარტით მიმტვრევს,
და მეკითხება, ღირდა თუ არა
კვლავ შერიგება, ვინც ერთხელ მიმტრო,
ვინც წარსულს ცეცხლით გადაუარა.
ამ დაღვრემილ ცას ეჭვის თვალით
ვინც შემახედა,
სანდო ღიმილი ჩემი სახიდან
ვინც ჩამოგლიჯა და გულგრილობის
ძეძვს და ნარ-ეკალს შემოაფლითა...

დააგვიანდა საბოლოოდ ყველა წყალობას
მიქცეულია ჟამი საძილედ.
მაგრამ სად არის, ჩვენს გამგზავრებას
ნაღვლიან მზერით ვინც გააცილებს?..

●

უხმოდ მივყვებით პროცესიას...
ჩავუარეთ ქუდმოხდილ მოხუცს,
შეყვარებულ წყვილს,
ბავშვებს, ქალებს,
ფანჯრის რაფაზე
ჩარიგებულ ყვავილის ქოთნებს.
ვილაც ახსენებს გარდაცვლილის გულკეთილობას,
გაუმართლებელ იმედებს და დამსხვრეულ მიზნებს,
დარჩენილ წვრილშვილს,
ერთგულ ცოლს და ხელმოკლეობას.
მკვდარს რაღა უჭირს,
დარჩენილებს რა ეშველებათ,
დაიქცა ჭერი,—
გულმდუღარე ქვითინებს ხალხი.
ცოლი კი ფიქრობს:
—ნუ გედარდება,
გადაქელილი ღობე წამოდგება,
აბეზარ ღორებს,
მთელი ეზო დინგით რომ მოხნეს,
საახალწლოდ წამოაქცევენ...
ნუ გეფიქრება,
შეშა დაიპობა,
თონე გახურდება
და დიდმუცელა საარყე ქვაბი
ზედადგარზე დაიწყებს ქშენას...

ნუ გეფიქრება,
ნურაფერი ნუ გეფიქრება,
ჩამოიფქვა შენი საფქვავი,
ჩამოცვივდა შენი ფოთოლი,
ჩამოიფერთხე საზრუნავი,
დამშვიდებული წადი,
ერთხელ შენც დაისვენე!

თამადა

კმაყოფილი შუბლის და
ყალბი დაფნის ციმციმო,
ვერა გამიგია რა,
ვიტირო თუ ვიცინო.

ასე, ჩემო მანასე,
უკეთ მოგეხსენება,
როგორ გადააქციო
სახედრები ცხენებად:

„ძმებო, საქართველოსთვის,
დალიეთ და დალიეთ.
ვერც ჩვენ გადავახტებით
საფლავების ბარიერს...

წყნარად, ჩვენო პაპებო,
ფხიზლებიც და
მთვრალებიც,
დაჰკრავს დიდი ზარი და,
სულ მანდ მოვილალებით“...

როდემდე და სადამდე,
ჩემო გულარხეინო,
როდის უნდა გათავდე,
მგლოვიარე ზეიმო.

●

ყინვით გასუდრულ დეკემბრის დამლევს
ჩამოაფარებ სარკმელზე ფარდებს.
და აყეფებულ ოთახის ძაღლებს—
მიეფერები მშვენიერ დარდებს.

დანგრეულია შენი ციხე და
დაწყვეტილია ოქროს სიმები.
აღარც ჟამია,
აღარც სურვილი
ძველი ცოდვების მონანიების.

ჩამოტყდა ტოტი.
იმ სიყვარულის
დაჭკნა ბაღი და გაქრა ხსენება...
მხოლოდ ფირფიტა,
ძველი ფირფიტა
ჯერ კიდევ ბრუნავს და ემღერება.

●

აღარ ხარ. ჩაქრა მწვანე ნაპირი,
ის ყვავილებიც წყალმა წაიღო.
ნუ გამახსენებ,
უკვე ვერაფრით
ვერ გამაკვირვებ, მკვდარო თარიღო.

ვინც მიერთგულა კვლავ ჩემთან არის,
ვინც მიღალატა—
ისევ მღალატობს.
ცა ტირის—ცრემლი ცვივა ყამარის
გაუთავებლად, მაგრამ რაღა დროს.

ვიღა დააყრის მარილს ჭრილობას,
ანდა ობიან პირს ვინ გაუხსნის.
როდის იჭექებს დევების სისხლი,
როგორც ნიშანი დღესასწაულის!

როდის!
ვიწროში გზა იკარგება,
მშვიდობით, ჩემი ხსოვნის ედემო,
დიდხუთშაბათის მთვარე ამოდის—
შენი რიგია, დაჰკარ, მჭედელო.

როდის!
სიყვარულს უჭირს უშენოდ,
ყამარო, კუშტო, ძუძუგამშრალო...
ყორანო, მტერი გადაუშენე,
რატომ დასჩხავი ამ მთებს, ფრთაშავო.

მივლინება_1974

მანდ ახლა, ვიცი, ცოფიანი სიცივე დაძრწის
და ორთქლი ასდის ჩართულ მანქანებს.
ყოველი მხრიდან ყივის წარწერა:
„ტაიგა უხმობს ახალ მშენებლებს“.
მისჩერებია ათეული ვედრების თვალი,
ღამეგათეულ,
ქერათმიან ადმინისტრატორს
და „ბელამორის“ მძაფრი სუნით გაჟღენთილია
წამოქოჩრილი, ბეწვიანი ჯუბის საყელო...

კვლავ გამახსენდა ის დეკემბერი,
როდესაც ყინვა გულმუცელში ხანჯლებს მიყრიდა,
ძველი სასტუმროს კარის სახელურს
ძლივს ავაგლიჯე როცა თითები
და მოქანცული ხალხის რიგის კუდს მივემატე...
უცებ ვიგრძენი:
სულ მარტო დავრჩი,
როგორც ფოიეს კუთხეში მდგარი
გაყვითლებული, სამხრეთული ჯიშის მცენარე.
აქ ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა
და მარიფათი,
თბილი ლოგინის და სიმშვიდის მოსაპოვებლად.
და მეც ვიბრძოლე,—
მხიარული დიასახლისი,
ჯანი არაყით რომ გაუთბა—
„იქნება-მეთქი,“— ბუტბუტებს და

ნაკლულ ლიტრიანს
შეყვარებული თვალებით ზვერავს
და ჩემი რომ არ ერიდებოდეს,
ჩაიხუტებდა ზონზროხა მკერდში...

რას იზამ,
ცივა,
იმსხვრევა თვალწინ
ფიფქი და სუნთქვა,
შორეული ძაღლების ყეფა
ისევ გაფხუკულ სარეცხივით ქანაობს ქარში
და თერმომეტრის ცისფერი ვენა
მიიწევს დაბლა და იწრიტება.
ასე გავცვალეთ სითბოში—სითბო—
რადიატორთან მიდგმულ საწოლზე
მტკიცედ ჩავბღუჯე სასთუმალი
და მოვასვენე
აეროპორტის ალიაქოთით,
მონოტონური, ყრუ გუგუნით დაღლილი თავი...

როდესაც თვალი გავახილე,
ორთქლის ბურუსში
ქშინავდა ძველი სამოვარი,
წკრიალებდა ფინჯანში კოვზი
და მიღიმოდა ლამბაქიდან შაქრის ნატეხი—
მივხვდი, სიკეთე არ განირჩევა
კანის ფერით და სარწმუნოებით,
ის ყველგან არის,
მაგრამ განძივით
უნდა ეცადო, აღმოაჩინო—
და მე მჯეროდა, რომ მისი ფასი

ქვეყნად არავინ არ იცოდა,
როგორც უბრალო
ჩვენი სართულის დიასახლისმა...

მაშინ შემომხვდი ხის კიბეებით
გასასვლელისკენ როცა დავეშვი,
როცა შიშველი მავთულებივით
გადაიხლართა ჩვენი მზერა
და ორიოდ წამით შედუღდა.
ჩვენ შეგვეშინდა, ხის შენობა არ დამწვარიყო—
მოვწყდით ერთმანეთს
და მხოლოდ კეფა
ხედავდა შენი მხრების ლამაზ მოხაზულობას...
გარეთ კი უკვე ბრდღვინავდა „კრაზი,"
თავის მძღოლივით ჯანიანი და მოღუშული—
მივიჯახუნე კაბინის კარი
და თოვლის მტვერი გამოიბა გზაზე მანქანამ...

ვნახე, ტაიგას როგორ პარსავდა
ათიათასი ხერხის არმია,
როგორ თბებოდნენ ცეცხლთან მუშები
და ალუმინის ჯამებიდან როგორ ხვრეპავდნენ
შეციებულ და ქონმომდგარ წვნიანს,
როგორ უმზერდნენ დაბოღმილები
კანტორის კარზე გაკრულ თერმომეტრს...
ვნახე ყინულის კალაპოტში როგორ ეძინა
„ქალბატონ" ლენას
და სვირინგივით მკერდზე ეხატა
ბულდოზერების ნაკბილარები...
ვნახე, მოჭრამდე, როგორ მოკვდა

ტაიგის „ტურფა“—
თეთრი არყის ხე
და ჭილყვავების ზარით წაიქცა...
ვგრძნობდი, დასრულდა დიდი სიჩუმე
ადამიანის შუბლი ანგრევდა
ნებიერ უღრანს
და ყინულეთის გზაზე პრომეთეს
მარადიული და მრისხანე ცეცხლი მიჰქონდა...

მე არ ვიცოდი, შენ რა გერქვა,
ან რას ფიქრობდი,
ვიცოდი მხოლოდ, რომ იყავი მთელის ნაწილი,
ახლა ჩემს წინ რომ გადაშლილიყო,
მთელი თავისი სილამაზით და სიჯიუტით...
ტყის განაპირას გამოსული ნაძვის ხესავით,
რაღაც გარჩევდა დანარჩენისგან—
არა ცხოვრობდი ამ ხმაურით,
თითქოსდა შენი მოვალეობა
ის იყო მხოლოდ,
რომ ალესილი ბიჭებისათვის
ძლიერი მუხლი მოგეკვეთა ქალური შუქით...

ველარ ვიხსენებ,
როგორ მოხდა ჩვენი გაცნობა,
ანდა რომელმა გადააგდო პირველი სიტყვა
ხელთათმანივით,
როგორც ნიშანი გამოწვევის,
როგორც სურვილი
მოწყენილობის მორევიდან თავის დაღწევის...

მახსოვს, გაბოლილ რესტორანში როცა შევედით,
დარბაზმა უცებ ამოიოხრა
და მტკიცედ შეკრულ, მძიმე მუშტივით
ჩემს გაუპარსავ ყბებს მოაჩერდა.
სულ ერთი წამი სჭირდებოდა,
რომ ამ შუბლების
გაფითრებული,
გლუვი კედელი
ჩვენსკენ ტორტმანით წამოსულიყო...

მაინც დავსხედით „მტრის“ ბანაკში
და ჩემს ჭიქაში
„თეთრი“ ზედიზედ როდესაც „ჩაშრა,“
დაძაბულობის თასმა მომეშვა
და მივხვდი ჩვენთვის აღარ ეცალათ,
ან დაგვივიწყეს,
ან შეეგუვნენ,
დროებით დაგთმეს,
რადგან იცოდნენ,
შორს ვერასოდეს წახვიდოდი,
დღესა თუ ხვალე
მთელის ნაწილი გახდებოდი ისევ და ისევ.

უცებ მეწყინა ეს გულგრილობა
და გადავწყვიტე შეხსენება:
—ხედავთ, აქა ვართ!
რომ კვლავ მრისხანედ შეკრულიყო
შუბლის კედელი.
თვალით ვანიშნე პიანისტს და

მთელმა ორკესტრმა
ჩემი სამშობლოს მელოდია როცა დაუკრა,
როცა ცხოველი მზის სურნელებამ
დარბაზს გათოშილ ნესტოებში შეუღიტინა—
დავიწყეთ ცეკვა...
ო, რა მსუბუქად
დაფრიალებდა შენი სხეული
და სულგანაბულ დარბაზის თვალწინ,
როგორ მაძლევდი საიდუმლო კარის გასაღებს...

როცა დავსხედით, მაგიდასთან ვიღაც მოჩოჩდა,
თავი გაგვაცნო კამჩატკელ პაშად—
მკითხა:
„ძვირფასო,
ერთ უბრალო მელოდიაში,
ამდენი ფული?..
ეგ ხომ მთელი ხუთი ბოთლია,
თანაც... თანაც... რესტორნის ფასით?“
უნდა გაჩუმდე, როცა პასუხი
ან არ არსებობს,
ანდა იცი—ვერ გაიგებენ.
შენ შემოგხედე,
შენ იცოდი, ყოველი ნერვით
ამ მელოდიის ვიყავ ნაწილი
და რაც ვერ შეძლო მთელმა დარბაზმა,—
ის მოითხოვდა თავის კუთვნილს
და გაგვთიშავდა...

ვნახე, ტაიგას, როგორ პარსავდა
ათიათასი ხერხის არმია,

როგორ თბებოდნენ ცეცხლთან მუშები
და ალუმინის ჯამებიდან როგორ ხვრეპდნენ
შეციებულ და ქონმომდგარ წვნიანს.
თანდათან როგორ იმორჩილებდნენ
და აჩოქებდნენ ციმბირულ ზამთარს;
და ცხელ ღუმელთან მიყრილ ჩექმებზე,
როგორ ტიროდა დეკემბრის თოვლი...

მე ისიც ვნახე, როგორ ჩაკეტა
აეროპორტის გამოსასვლელი
შლაგბაუმივით დაშვებულმა მორიგის ხელმა
და... იქით დარჩი—
ამღვრეული მდინარის გაღმა.
დარჩი,
რადგანაც ვერ შეძლებდი მთელთან მოკვეთას,
დარჩი, რომ გეთქვა:
„გზამშვიდობის...
სიზმარი იყო,
ო, ყველაფერი სიზმარში მოხდა!“..

1980

•

მე იქ არა ვარ.
ღამის ნათურა
ისევ დაჰყურებს ცარიელ ფურცელს—
ამოუვსებელ ფიქრის სამარეს.

დაედო მტვერი,
პირქვეჩამხობილ,
წიგნისქვეშ შავი ობობა ცხოვრობს
და გაჰყავს ქსელის წვრილი ძაფები,
გაურკვეველი მიმართულებით.

მე იქ არა ვარ.
განუსაზღვრელი დროით დავტოვე ნავსაყუდელი
და აღარ ვიცი, როდის შევაღებ
დაყრუებული ოთახის კარებს.

მე იქ არა ვარ.
ყოველი წუთი
იმ ჭერქვეშ მხოლოდ ჩემზე დარდია
და პირსაბანთან დაბმულ კვიცივით
ჭიხვინებს ბავშვის ველოსიპედი.

●

ჭრელფოჩიანი კანფეტებით მოტყუებულნო,
როგორ იაფად ყიდულობდნენ თქვენს ერთგულებას...

შაქრის კვნიწაზე ბელებივით დახარბებულნი
ცეკვავდით,
ხტოდით,
ოღონდ იმას მოსწონებოდით,
ვისაც არასდროს დაუხედია
გახეული ფეხსაცმელიდან
ბატიბუტივით გადმოცვენილ თითებისათვის.

მღეროდით, ოღონდ ეთქვა „ყოჩაღო“—
რომ კიდევ ერთი მუჭა ტყუილი
მარჯვენა ხელით გადმოეყარა.
გვიანღა მიხვდით—
იმ მარჯვენამ, თანდათანობით,
გადაავიწყა თქვენს მოდგმას ღრენა.
გვინღა მიხვდით,
მაგრამ რაღა დროს—
იმ ხელმა უწყის
საჩუქრების გარეშე მაინც
თითს გაიქნევს და...
კვლავ იმღერებთ და იჯამბაზებთ...

ჭრელფოჩიანი კანფეტებით მოტყუებულნო,
როგორ იაფად ყიდულობდნენ თქვენს ერთგულებას...

●

ჩათავდა წელი...
გადაიფურცლა უკანასკნელი დეკემბრის ღამე.
ჩათავდა წელი...
შენი დღეები
დაფრიალებენ ჩამოხეულ აფიშებივით.
ალარასოდეს, ალარასოდეს, ალარასოდეს არ მ̣ოიხედავ,
ვერც ფეხდაუდგმელ თოვლის ტკივილი,
ვერც მზერა,
ზურგში ჩატეხილი, როგორც ისარი,
ვერ გააღვიძებს თანაგრძნობის მოშვებულ სიმებს.

ჩათავდა წელი...
ამაოდ ზიდე
ცხრილით წყალი და
ძირგახეულ ტომრით მარცვალი,
კვლავ უპასუხოდ დარჩა კითხვები—
ვინ ხარ? და რა ხარ?
ჯავრის გუდა თუ თიხის კაცუნა,
გაბეზრებული დღე და ღამის სასწორზე დგომით.
იქნება სჯობდეს,—
ვიდრე კლერტივით
შეგრჩება მხოლოდ მწარე სხეული
შენც მიემატო გზისპირა ხეებს—
ვიღაც მოვა და შემოგიბარავს,
ვიღაც მოვა და მოგეყუდება...

შენ კი იდგები,
ცულის ყუას ვიდრე წაგკრავენ...
ჩათავდა წელი.
უდარდელად გახსენი ბოთლი,
მოისხი გვერდით შენი ცოლ-შვილი
და გაამხნევე:
„ჭამეთ, ხვალაც ბევრი გვექნება...“

დროებით მაინც გადაივიწყე,
მწარე სიმართლე—
შენი დღეები
დაფრიალებენ ჩამოხეულ აფიშებივით
და უკვე დაძრულ ახალ წელიწადს
შეჰყურებ, როგორც განათებულ ექსპრესის ფანჯრებს.

სარკე

ნაოჭი—შემზარავი აღმოჩენა...
—როდის გაჩნდა!—
გაოცდა ქალი—
ალბათ, წუხანდელმა ცრემლმა ჩახრამა...
ჩამოხსნა სარკე
და შედარებით ბნელ ოთახში გადაიტანა.

●

ვტყუივარ, მორჩა,
თავს დაბლა გიხრი—
წარსულის გამო,
მომავლის გამო,
იმ უმიზეზო მიზეზთა გამო
მე ვერ ვიარე ბედნიერ ნიღბით.

ვიცი, ამაოდ ვამღვრიე წყალი,
რომ ბევრ რამეზე მეთქვა უარი,
ვტყუივარ, მორჩა,
არ მეყო ძალა
ვერ გაგაგონე—ხსოვნა ყრუ არი...

ლამპას კი არა, იმედებს ვაქრობ—
მომჭირნეობის ვისწავლე ყადრი.
და უგზო-უკვლოდ გადააქვს ნამქერს
ზამთრის ველიდან ყვავების ჭვარტლი.

აგარაკი

განითლებულა აღმოსავლეთი—
ბალახზე, ტოტზე, სახურავებზე,
მაყვლის ბუჩქებზე, მოაჯირებზე
ბრჭყვიალებს ნამი—
ღამის ცრემლები.

და ყველაფერი,
რაც გაღებულ ფანჯრიდან მოჩანს,
მზის მობრძანებას
მადლიერი თვალებით ლოცავს.

გათენებულა პირველი დღე თავისუფლების,
როცა არსად არ მიმეჩქარება,
როცა ცოხნაში გართულ სიჩუმეს
გაველურებულ ხარივით ვიჩვევ...

ჩამოიარა ფლოსტის წკაპუნით,
შავკაბიანმა, მოხუცმა ქალმა
და უხმაუროდ ჩამოარიგა
„დღე მშვიდობისა“
და რძით სავსე ლურჯი ბოთლები.

თანდათან უფრო მკვეთრად იგრძნობა,
ბალახისა და რძის სურნელება,
რომელიც ჩემთვის ბეწვის ხიდია
ბავშვობისაკენ დასაბრუნებლად.
იქ კი შენ დგახარ
და გიყურებ, როგორ არიგებ
მუჭით წყალობას—სიმინდის მარცვალს.

მეც დამიყარე ეგ საკენკი,
შენი კალთისკენ
კვლავ კისრისტეხით გამომაქციე
და როგორც კუნძზე,
დაბერებულ მუხლისთავებზე,
დამადებინე საწყალი თავი...

ის დრო არ სჯობდა?—
ერთად ვცხოვრობდით,
შენ ღმერთი იყავ,
მე—ანგელოზი.
სიყვარულით და სხვების შენდობით
ვწირავდით ჩვენს ძველ ეკლესიაში.
ღამით ღადარში ცეცხლს ინახავდი
და ცხელ კრამიტზე ფეხებს მითბობდი,
ნუთუ, ამისთვის,
ერთ მშვენიერ დღეს,
რომ უსულგულოდ მეთქვა— „მშვიდობით!“

ნუთუ ამისთვის, რომ ფიქრში გაკრთეს
გახუნებული თავსაფრის ბოლო...
დრო მიდის,
ზაფხულს ზაფხული მოსდევს,
მაგრამ შენ მაინც ზამთარში ცხოვრობ...

ო, მე არ ვიცი ვის რას უტოვებ,
შენი გამხდარი ხელით შეფუთვნილს—
სხვებმა წაიღონ „მოძრავ-უძრავი,“
მაგრამ შენ მხოლოდ მე ერთს მეკუთვნი.

მე—ვისაც მახსოვს, როგორ იდექი,
შუა კალოზე მცხუნვარე მზის ქვეშ
და საღამომდე დაღლილ ხელებით
გალეწილ თავთავს ანიავებდი.

ო, მწარედ მახსოვს იმ პურის გემო,
რომელიც წმინდა ოფლში ცხვებოდა,
რომელზეც მკვეთრად იკითხებოდა
შენი თითების ანაბეჭდები...

მე აგარაკზე ვცხოვრობდი მაშინ
და არ შემეძლო, რომ დამენახა
შენი ღიმილის მეორე მხარე—
იქ შენი სათნო გული კვნესოდა,
იქ იყო შენი ნამდვილი სახე.
ყველა ჭრილობას იქით მალავდი,
როგორც მამაცი ჯარის სარდალი...

ყოველდღე გხედავ,
ცხადში თუ სიზმრად,
წინდას კემსავ თუ
ჩინჩხვარს აგროვებ...
და მწუხარების ზარივით რეკავს
შენი სიბერე და სიმარტოვე.

●

თბილ ქვეყნებისკენ სალაშქროდ,
თბილ ქვეყნებისკენ, ფრთოსნებო,
ჯერ წასულები არა ხართ—
დაბრუნებაზე ოცნებობთ.

სხდებით მოწყენილ ტოტებზე
ათრთოლებული ბუმბულით,
ვაი, რამდენი მოკვდებით
სპარსელი ბიჭის შურდულით.

ქართული საყდრის ჩიტებო,
ხვალ—მიზგითების მსახურნო,
რამდენი უნდა იფრინოთ,
იკვნესოთ და იმარხულოთ.

შორია ჰინდოსტანამდე
და ეგვიპტემდეც შორია...
წახვალთ და სმენას წაიღებს
ჭილ-ყვავთა კაკაფონია.

ნეტავი ვინ გერეკებათ
ეშმაკეულის ხარხარით,
ხომ გამოყრუვდა, უთქვენოდ,
ეს საცოდავი საყდარი.

თოვლი

ღამის დარაჯებს უნთიათ ცეცხლი
და ცვივა ციდან ფიფქების ვერცხლი.

ახლა კარგია თავის მიდება,
მაგრამ ქალაქი თოვლით მდიდრდება.

და თავისთავად ავსებს ჯიბეებს,
სკვერებს, აივნებს, სანაგვე ყუთებს...

მადლობა, ზამთრის ნათელო ღამევ,
შენი წყალობით სიმშვიდე სუფევს.

●

ასე დაიდგა მორიგი ფარსი—
დიდი ქალაქის გარეუბანში
გათენებამდე კვნესოდა ვალსი...

მე უცებ მივხვდი, არც შენ არ გავდი
პატიოსნებით შებოჭილ ცოლებს,
ვინც მტკიცედ დგას და კვლავ გამარჯვებით
ამთავრებს ქმრების წასაგებ ბრძოლებს.

ვინც მზერას, როგორც შხამიან ისარს,
ათასი მხრიდან რომ მოზუზუნებს,
იცდენს და მკაცრი წარბის აწევით
უარის ნიშნად მსროლელს უბრუნებს.

არა, არ იყო სულაც გულგრილი,
ან ერთგულების ჯაჭვზე მლოცველი
შენი მკლავები—
მხრებზე დაყრილი
დანებებულის თეთრი დროშები...

ის სადღა იყო?—
სუფრის ბოლოში
სავსე ჭიქების უზურპატორი,
ისევ ჯინივით ყვინთავდა ბოთლში
თვალმილულული შენი პატრონი.

სად იყო, ვისაც მართებს სიფხიზლე,
ვინც მუდამ მახვილს უნდა ლესავდეს—
თვრებოდა ქმარი...
მღეროდა ცოლი
და ხარხარებდა სახლში მესამე.

●

ჭიხვინებენ ცხენები,
დათოვლილი კარეტა
ელოდება თეატრის
ჩუქურთმიან კარებთან.

ბოლოს ისიც გამოდის
ამაყი და დიდგული.
თაიგული ბავშვივით
მიჰყავს მკერდზე მიკრული.

მერე გარბის კარეტა,
ზანზალაკის წკარუნით.
ელოდება დარბაზი
სავსე და მხიარული...

შადრევანი იელვებს,
როგორც ედელვაისი,
შამპანური როდესაც
ქუდს ჭერისკენ აისვრის...

მერე...
მერე მოიწყენს,
ულმობელი სიბერე
მოვა და სევდიანი
კისერს ვერ მოიღერებს.

დახურული კაბებით,
მოხუცების როლებით,

ივლის მწარე ჭაღარის
ნერვიული სწორებით.

მხოლოდ ხსოვნა შერჩება,
რომ გზა გაიიოლოს—
ერთადერთი ნუგეში—
წყნარი საგრიმიორო.

სადაც ყვავილებია
მისი ნაზი მხლებელი.
სადაც მოქნილ თითებზე
ბრწყინავს ნელსაცხებელი.

სადაც მისი აჩრდილის
სილამაზე ანათებს
და თითებში წითლდება
სამიჯნურო ბარათი...

მოხუცის და ხელჯოხის
სევდიანი დუეტით,
ქვაფენილზე კანკალებს
მოხრილი სილუეტი...

●

მახსოვს, სილაში ჩამხობილი იწვნენ ნავები,
მოცეკვავეთა დერეფნიდან როცა გავედით.

ზურგი ვაქციეთ
ერთმანეთში არეულ „კარტებს“—
ღამის ლამაზებს,
არყის გიჟებს,
მოაგარაკე
შემთვრალ ბერიკაცს,
დეკოლტიან მკერდს რომ ცოხნიდა,
რომ გამოეხმო
ვნების მსგავსი დამჭკნარ ხორციდან.

იხარშებოდა ოფლის სუნში ბარის „ელიტა...“
ძლივს გავაღწიეთ,
გადმოვედით კარუსელიდან...

ხვალ მიფრინავდი.
მთავრდებოდა ტალღის შრიალში,
ორკვირიანი სიყვარულის მძაფრი სეანსი.

ცაში გამქრალი თვითმფრინავის თეთრი წერტილით
დასრულდებოდა ეს ამბავიც
და დალეწილი,
ღამის გრიგალით,
ღამის შტორმით,

ღამის ვაებით,
აბღავლდებოდნენ
ჩამხობილი
პირქვე ნავები...

სხვა არაფერი,
არაფერი არ დარჩა ჩემთვის,
ხსოვნა ფერფლია—
იმ დღეების მიჭირავს ფერფლი.

1979

•

როდემდე უნდა ზილოთ ტალახი—
მოაკაკუნეთ, წვიმიანი ღამის მგზავრებო...
რაზე ფიქრობდით,
რას ბუტბუტებდით,
როცა ალიზის სათონეში ჭრაქს ანთებდით და
შუაღამემდე სიმინდს არჩევდით.

კორიკაობდნენ სამფეხები,
თქვენი ჩრდილები
გვერდიგვერდ იწვნენ ჩალის ღერებზე,
როგორც ოდესღაც, როცა სხეულის
მკვეთრ ანაბეჭდებს უტოვებდით საბძელში თივას—
დავიწყებული იყო წარსული,
მხოლოდ ჩრდილები იმეორებდნენ
მას, რაც ორმოცი წლის წინ ხდებოდა—
თქვენ ბებრები ხართ,
ხელოვნურ კბილებს
ძილისწინ ჭიქა წყალში ინახავთ

და კვნესით, როცა წითელი ქარი
ტკივილისაგან სულს შეგიგუბებთ.
ღმერთო, რამდენჯერ გამოგიტირეთ,
ჩემი ბავშვური, მდულარე ცრემლით—
დილით ლოგინი გარეთ გაგქონდათ—
სველი ბალიში მზეზე შრებოდა...

მორიგეობით და ფეხაკრეფით
შუალამისას მიატოვეთ თბილი საწოლი—
თითქოს შიშობდით
სახლში არავის გაღვიძებოდა.
წახვედით,
ჭრაქში ნავთი ჩამშრალა,
თქვენი ჭრილა სამფეხები ცეცხლს შეუკეთეს,
მაგრამ ხსოვნაში თქვენი ღიმილი
ჩრდილში დარჩენილ თოვლივით ბრწყინავს...

როდემდე უნდა ზილოთ ტალახი—
მოაკაკუნეთ, წვიმიანი ღამის მგზავრებო...
მემდურით განა—
თუკი უბრად გვერდს ამივლიდით,
რატომ მიხმობდით სიზმრებიდან—
გავაღე კარი და არავინ არ დამხვედრია,
არავინ—
მხოლოდ ქარს მოჰქონდა თქვენი საფლავის
გაყვითლებული ბალახის ბღუჯა.

●

გაწყდა როქის სპა.
დამხმარე არ ჩანს—
გარშემორტყმული, ტაძრის სვეტივით,
ბოლოს და ბოლოს სულ მარტო დარჩა
დაფის კვადრატში გამოკეტილი.
ირგვლივ დაძრწოდა ათასი ძუკნა—
ხროვა გამცემის და ფარისევლის.
მალავდა ცრემლის გახირულ ლუკმას
დაფაზე მაინც მეფურ ღირსებით
კვდებოდა.
სული—თეთრი მიხაკი
ამოდიოდა მშვიდად ფერფლიდან.
და შუბლზე, მხდალი პაიკისათვის,
გაუგებარი შუქი ეფინა...
ვადღეგრძელებდით
დიდებულ პორტრეტს—
საკუთარ სისხლში ჩამდგარს ყელამდე—
ბოლოს და ბოლოს ვინც უნდა მოკვდეს,
როგორც თავისი ჯიშის ბელადი...

დავხურავთ დაფას.
ქარში ქრებიან
ხმები ღალატის,
ლოცვის,
კირთების...
და აღრენილი ქოფაკებივით
მოაწყდებიან ნაპირს ზვირთები.

●

რევაზ ინანიშვილს

ასე მახსოვხარ:
ქუჩაში დგახარ,
ქარი აწვალებს
ბელურებით დახუნძლულ ქადარს.

ცვივა ფოთოლი.
მხრებს აცვივა ყვითელი ფერფლი,
მაგრამ ტკივილი გარდასულზე
ვერაფერს შეცვლის.

ვერაფერს შეცვლი—
ქუდმოხდილი,
უხმო ვედრებით
ხეების დაღლილ პროცესიას აედევნები.

და აოცნებებ უკაცურ და მოწყენილ ქუჩებს
ღარიბი სოფლის პატარძალზე—
ასკილის ბუჩქზე.

და ივლი დიდხანს,
ჩაფრენილი დღეებს ფაფარში,
შენი გმირებით დასახლებულ
ამ ძველ ქალაქში.

●

ძველი ორლობე წერილივით გადავიკითხე—
კომშის ყუნწიდან ეპარება სოფელს სიყვითლე,

უსტვენს ჩალა და მოიჩქარის თეთრი ფუფალა,
რომ გაირინდოს წამიერად შენს სასთუმალთან...

შენ კი წასულხარ...
უპატრონო ძაღლის ღავღავით
ყელზე ეხვევა ღამის მინდორს შავი ნახნავი...

გატყდა წერაქვი.
ვერ უპოვნე ნაბზარი ბაკანს.
ჩალაბულაში ჩაქცეული ცრემლებსა ყლაპავ.

ვიცი, ერთხელაც გაგიჟდები,
ყვითელ ურდოებს
ცბიერ კალთაში დარდით შეშლილ თავს ჩაუგორებ.

ალგეთი

მერაბ ბერძენიშვილს

ქარი ქარია, უნდა იქროლოს,
უნდა წაართვას ხეებს ფოთოლი.
ნოემბერია...
დეკემბერია...
გზას ვხედავ შენი დარდით მოთოვილს.

ნოემბერია...
დეკემბერია...
იანვარია...
თოვლში ბერდები.
რეკავს—ქარია,
ისევ ქარია,
ძველი ქარია—
რად გახსენდები!

ის ხომ ჩათავდა, მორჩა წავიდა...
ნოემბერია... დეკემბერია...
წევხარ მზესავით,
შენს სასთუმალთან
მე როცა ვტირი—სხვები მღერიან...

ქარი ქარია, უნდა იქროლოს,
წვიმით მობანოს სისხლი თრიალეთს.
ყმუის ძუ მგელი—რისთვის მიხმობდი
თუ ეგ ტკივილი ვერ დაგიამე.

არ იყურება არავინ გარეთ

1

სარკმელზე ზამთრის გრავიურა—
გაფიჩხული ნეკერჩხლის ტოტი.
ობოლი სხივი—ეკლესიის ოქროს გუმბათი.

განწირულია ეს ხომალდიც დასაღუპავად
და თრთის ქალაქი—
გრიგალებით შეშლილი პორტი.

არ იყურება არავინ გარეთ,
არავინ უსმენს გატეხილი ნიჩბების ხმაურს.
შემოდის წყალი,
აფრიალებს ანძაზე ქარი,
გალაღებული ჭილყვავების დაძენძილ ტრაურს.

2

არ იყურება არავინ გარეთ.
ჩაძირულები თამბაქოს კვამლში
ემსგავსებიან შავფრაკიან, ზამთრის ფრინველებს—
ფრთხილად ცეკვავენ, თითქოს შიშობენ,
რომ არ დაუსხლტეთ ფეხი ტოტიდან.

კვნესის პარკეტი.
განწირული ვებღაუჭები,

აყირავებულ კონტრაბასს, როგორც
მეჩეჩზე შემდგარ კარაველას.
უნდა გავუძლო,
უნდა ბოლომდე გავიღო ჩემი კუთვნილი ხარკი,
მაგრამ მაგ ძარღვში მობოგინე სისხლს
თავს ვერასოდეს მე ვერ მოვუხრი...

შენ გელიმება.
კოქტეილის მაღალ ჭიქაში დნება ყინული—
ჩემი ბორკილის ერთი ნამსხვრევი...
თუხთუხებს ჯაზი.
როიალთან, საყვავილეში,
მღერის მიხაკი ბაფთიანი გოგონასავით.
ვიღაცა ყვირის:
—„რესტორანში რა უნდათ ბავშვებს,
ო, მოარიდეთ,
რესტორანში რა უნდათ ბავშვებს!“—
ქვითინებს კაცი და სავსე ჭიქას
ისე ჩაჰყურებს, როგორც სასწაულს...
მოდის შემკრთალი ოფიციანტი
და საყვავილის გატეხის შიშით
ახუტებული მიხაკი მიჰყავს...

გააგდეს მთვრალი.
მეც გამაგდებდნენ,
მაგრამ ვერავინ ვერ მამჩნევს ირგვლივ,
რომ სიხარულის წამი კი არა,
მარტოდენ ბოღმით მოკალული სახე მიცინის.

3

არ იყურება არავინ გარეთ.
გაიხედავენ მაშინ, როცა იქნება გვიან..
ვცეკვავთ.
გაცივდნენ ერთ წერტილში ჩვენი თვალები,
როგორც ტყვიაში ჩამჯდარი ტყვია.

უნდა მოვასწრო, რომ ბოლომდე გავიღო ხარკი,
ვიდრე გემის ფერდს გაფატრავენ თეთრი ეშვები—
მე მაშინ გეტყვი, რომ მიყვარდი სხვაგვარი დარდით,
როცა ორივე გემბანიდან გადავეშვებით.

არ მეორდება არაფერი

ისევ აანთო კვირაძალმა ნოემბრის თრიმლი
და მომახედა შენსკენ მოწყენამ—
ნეტავი, სად ხარ,
შენი მკერდის თეთრი ზვირთები
ვის სარეცელზე მორიალდნენ,
ვინ გაულო ტრაპეზის მერე
სველი სარკმელი შემოდგომის ამღვრეულ წვიმებს.

არ მეორდება არაფერი—
ფოთოლი ფოთოლს
და ხელისგული ხელისგულს არ ჰგავს.
არ მეორდება არაფერი—
მთელი სიცოცხლე
ტოლია ერთის—
ერთი სიკვდილის,
ერთადერთი დღესასწაულის.

ო, ყველაფერმა ჩაიარა,
გაფუყულები ვსხედვართ ხეებზე—
მოლეულია ტოტებზე ხილი.
რას ველოდებით,
ჩვენ ხომ ერთხელ უკვე დაგვხოცეს,
და ნალოსავით სოფელ-სოფელ ჩამოგვატარეს...

რა დარჩა?
მხოლოდ თეთრი ხეების

წრეში ჩამდგარი ეკლესია, როგორც ირემი,
თავაღერილი,
ლაჟვარდების მზერით გართული—
იქ, შესასვლელთან, დაჟანგული ძველი ჭიშკარი,
ორი დაბმული ძაღლივით ყეფდა.
შევდექით წამით,
მიტყუპებულ ხელისგულებში
გასრესილ მარწყვის სიტკბომ გაჟონა,
მე დავიხარე და შენს თითებს ფრთხილად ვაკოცე...
ღმერთო, რა იყო—
ერთადერთი გვირილა თმაში,
ერთი ცრემლი და
მოციმციმე სიტყვა: „მიყვარხარ!..“
და შევაბიჯეთ.
საკმევლის სუნში,
სავსე დარბაზი ზუზუნებდა ფუტკრის სკასავით...

გახსოვს?—მოგვხედეს ხელჩაკიდულ,
წმინდა ცოდვილებს,
ზიზღით,
დაცინვით,
მოწყალებით
და სინანულით...
არ დაიჯერეს,
რომ ის ერთი გვირილა ჩვენთვის
ყველაზე უფრო მშვენიერი გვირგვინი იყო.
არ დაიჯერეს იმ ერთი ცრემლის,
მხოლოდ სიხარულს რომ ასხივებდა.
რაღა თქმა უნდა,

არც ის სიტყვა არ დაიჯერეს,
რადგანაც იგი, დამუხტული მარტოდენ ვნებით,
ჩიტის სილაღით შემოჭრილი,
დაკლაკნილ სანთლებს
მარაოსავით დაქნეული ფრთებით აქრობდა.

გონზე მოსულმა უმეცრებამ მუშტი შემართა
და გულგამსკდარი დაენარცხა ფილაქანს ჩიტი—
კვდებოდა ჩვენი სიყვარული,
გვერდით ესვენა
ერთი ცრემლი და
ერთი გვირილა...
მერე დაგვხოცეს,
გალოპრილი წნელი ჩაგვაბეს
და ნალოსავით სოფელ-სოფელ ჩამოგვატარეს...

არ მეორდება არაფერი—
მხოლოდ დროდადრო,
როცა ძილისგან გაფუებულ სახეს ჩავხედავ,
მკერდში იყვირებს სინანული:
—„ეს შენ არა ხარ...“
და სულ მგონია,
რომ იმ დღის მერე,
სხვისი გვარით და სახელით ვცხოვრობ.

წერილი

მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა...
უნდა მოვიდე,
რომ მოვკვდე, მაინც უნდა მოვიდე—
ქვებზე ამოყრილ მურყნის ფესვებთან—
მე შენს ხელებთან უნდა მოვიდე
და როგორც ცხვარმა თავის ბატკანი,
უნდა ჩემი ხმა
ათას ხმაში გამოარჩიო...

მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა...
ავლოკავ და ისევ, თავიდან
ამღვრეულ მორევს დავეწაფები..

უნდა მოვიდე,
მე არ ვიცი, ხვალ მწუხარება
თუ სიხარული მომიყვანს შენთან,
ჩვენს ძველ სახლში,
ბებერ კუსავით
მთელი სიცოცხლე ზურგით რომ დაგაქვს
და ერთადერთი შენღა მკურნალობ
დასნეულებულ ჯილაგის ხსოვნას...

აქ ვიტანჯები, როცა შენი ხელები წვალობს,
ჩინჩხვარს ამტვრევ თუ
თავსაფარს კემსავ.

აქ ვიტანჯები,
როცა ლამპის ფერმკრთალი შუქი
შუაღამიდან გამოჟონილ ცრემლივით ბრწყინავს...

ჩამოიარა ძველმა მოვალემ—
ჩამოაშავა უფოთლო ხე ნოემბრის წვიმამ,
აკრეფილ ნისლში ხანდახან თუ გამოანათებს
სასაფლაოზე მომღერალი ასკილის ტანი—
რა უხარია გარე-გარე მოხეტიალე
ჭკუაზე შემცდარ სოფლელ გოგოს,
არ იცი, მაგრამ
ძვლებს გიკანკალებს,
უფსკრულებში გადაჩეხილი,
უკანასკნელი ხარხარის ექო—

ჩაქრა ასკილიც.
მგელივით ყმუის
ტყისპირებიდან მოარული უნუგეშობა...

ვერ გავამართლე იმედები—
ცხრასართულიან ორმოში ვზივარ
და ვერ ვიხსენებ, თოკის ბოლო სად დამეკარგა...

უნდა მოვიდე,
რომ მოვკვდე, მაინც უნდა მოვიდე—
მე შენი ხელით გამოწვდილი მარილი მინდა.

●

დაცარიელდა შენი საწოლი,
დალაგდა სახლი,
ყველაფერი რიგზეა თითქოს.
მხოლოდ პატარა ვერ ისვენებს,
ძილში აბოდებს
და სიცხიანი შენს ნახვას ითხოვს.

—სად არის მამა?—
მერამდენედ კითხულობს ბავშვი,
უმწეო ყლორტი,
შენი სისხლის, ფესვი და ძირი...
კარს გაიხურავს,
ბნელ ბოსელში მოიხდის თავშალს
და უხმო ზარით
ჩაემხობა თივაში ქვრივი.

●

სული კი არა, სხეული გითხოვს.
და მეჩვენება აქა ხარ თითქოს,
სარკმელთან, ხელის გადაწვდენაზე.

უმთვარო ღამეს, ნერვიულ ძილში,
ავადმყოფური ეჭვით და შიშით,
აბივით უდევს თოვლი ენაზე.

ვერ დავაღწიე ტყვეობას თავი—
კვლავ სიცხიანი დღეები მკლავენ—
ვაჰ, თუ მოვიდა ბოლო
წუთი—
ხელებში ჩამკვდარი მტრედი—
როცა დახშული კარები გეტყვის:
„მორჩა, აქ აღარ ცხოვრობს!..“

●

ადიდებულო, გაზაფხულის მდინარეებო—
ჩემი სამშობლოს ამღვრეულო არტერიებო,
თქვენს კალაპოტში დიდი თევზი ვერ იბოგინებს,
ხანჯლის პირივით კალმახებმა უნდა იცურონ.
ვერ აგაბორგებთ
მკერდგანიერ გემის შემოსვლა—
ფოთლებმა უნდა იტივტივონ თქვენს ზედაპირზე.
ბედნიერებო,
როდის გაუჩნდით ჩემს სამშობლოს,
როდის გაჟონა
მთების ძუძუდან პირველმა ხსენმა,
ვისი იმედით მოდიოდით,
კიდეც რომ დაშრეთ,
წყალს ვინ მოგაწვდით—
ტყუპისცალი ამქვეყნად არ გყავთ.

არ გვინდა გლოვა, მაგრამ ხშირად
თქვენს გამო ვტირით,
არ გვსურდა სისხლი, მაგრამ ხშირად
თქვენს გამო ვღვრიდით,
რომ თქვენს კალაპოტს
ერთი წვეთიც
არ მოკლებოდა.

ადიდებულო, გაზაფხულის მდინარეებო,
ჩემი სამშობლოს არითმიულ მაჯისცემიდან
თქვენი ფეთქვა და ჩურჩულიც მესმის.

●

იჯექი წყნარად და უყურე თუ შეგიძლია,
კაცი რომელიც გძულს და გიყვარს,
ცალი ნიჩაბით
ფიქრის ბობოქარ ოკეანეს როგორ მიარღვევს.
როგორი ტანჯვით ამოაქვს ბადე,
გაგლეჯილი და პირმოდგმული უიმედობით—
აქეთკენ უკვე ჩაუვლია თევზის ქარავანს.
უყურე, როგორ ეფატრება მთელი სხეული
გულისფიცართან გაყრილი ბარჯით;
ებღაუჭება რინგის ბაგირებს,
რომ არ დაეცეს
და შეშლილი დარბაზის თვალწინ
არ გაათრიონ გემბანიდან მკვდარი თევზივით.

თუ შეგიძლია მშვიდად უყურე,
როგორ თეთრდება საფეთქლები
და ნაოჭებში,
როგორ მოჟონავს სიმწრის ღიმილი—
შეუშვირე ხელისგული და
შენც გაუსინჯე ამ ღიმილს გემო,
როგორც იშვიათ, უცხო მინერალს—
მაშინ მიხვდები
თუ რატომ ჰგავს მისი პატრონი
მთელი სიცოცხლე მოსატეხად განწირულ ანძას.

●

ის დრო სხვა იყო—
წლებს—გაუვალ უღრანს მიჰკვალავ,
შენი ცხოვრებაც ხის მორივით ორად გაიპო—
ჩამთბარ ოთახში მთელი ღამე ჟღერდა გიტარა,
გაუთხოვარი ქალის ხელით.
ის დრო სხვა იყო.

თეთრი გიტარა—
ქალიშვილის შიშველი ტორსი,
შეფარებული სავსე მკერდის გადახურულში—
ჟღერდა დილამდე.
ქალის მხრებზე მთელ ღამეს თრთოდა
ჭრელფოჩიანი,
სიფრიფანა შალის ბურუსი...

იმ სახლში ახლა
სხვა მივა და კვლავ აღმოაჩენს
დაულეველი სიყვარულის ოქროს საბადოს,
შენ კი მსახურად უნდა ედგე თოვლის მოაჯირს,
მომდგარ სიბერეს—
ვნებისაგან დაცლილ ქალბატონს.

●

მე რომ შევედი—ყველა გაჩუმდა.
ძნელი არ იყო მიმხვდარიყავ საუბრის თემას,
აწითლებული ჭინჭრაქა და ბოლოქანქარა
დაბნეულები შეჰყურებდნენ
მელია—მთხრობელს...
—ჰო, ამინდები ძლიერ გაფუჭდა!—
თქვა ცბიერებით სახელგანთქმულმა
და უდარდელად თავისივე კუდი დაყნოსა.

ოჯახი

როცა ორივე ერთმანეთს უბღვერთ,
გულში ფიქრობ, რომ ოჯახურ უღელს,
მოიცილებ და თავისუფალი
სამოგზაუროდ გაჰყვები ღრუბელს...

მაგრამ გაგივლის მაშინვე ბრაზი
და ქარიშხალიც ჩადგება ხმაში,
როცა თქვენ შორის
თიკანივით დაიწყებს ხტუნვას
საზამთროს ნაჭერს
ჩაფრენილი სიცილი ბავშვის.

ჩაივლის მკერდში
სინანულის კამკამა ღელე,
დაიწრიტება შხამის ფიალა...
და მუხლისთავზე დაწყობილ ხელებს
დახედავ, როგორც დაყრილ იარაღს.

1978

ალაზანზე

ფოტოფირივით მჟღავნდება
თვალწინ ალაზნის ველი,
ველზე წითელი იორღა—
გარბის ლამაზი ცხენი.

ობოლი ბიჭის იმედი,
ამომავალ მზის ფერი.
ნეტავი გამაგებინა
გულში კვნესის თუ მღერის.

მოზიდულია მშვილდივით
გამარჯვება და მარცხი...
გარბის წითელი იორღა
და ქარი ფაფარს ვარცხნის.

დედის მოლოდინი

ვიღაც ხომ დარჩა ამბის მომტანი,
მაგრამ სად არის?
მითხარ, სად არის?
როგორ წაება ზაფხულს ზაფხული
და შემოდგომის წვიმებს—ზამთარი.

ისევ მოელი,
მაგრამ რაღა დროს—
კვალი წაშლილა,
ცრემლი დამშრალა...
მღერის ჭაღარა—
გული გღალატობს,
გული—
დანგრეულ ციხის ნაშალი.

გათავდა.
შენ ხარ ზვავი დაძრული
და ხრიოკებზე გემსხვრევა მკერდი...
ისტორიისთვის უკვე დასრულდა
ბრძოლა, რომელიც გრძელდება შენთვის.

საწერი მაგიდა

თვეებისა და ამინდების მონაცვლეობას,
მოახლოებას ქარიშხლების,
ტალღის მოქცევას,
გრძნობ და სეისმურ სადგურივით
მაფრთხილებ, მიხმობ.
არ დამითვლია
მერამდენედ ვხვდებით ერთმანეთს,
შენ—ახორხლილი წიგნების კუზით,
მე—გაცვეთილი რკინის ქალამნით...

ყოველი დღე და ყოველი წუთი
სამზადისია შორეული მგზავრობისათვის—
უნდა ვიფიქრო,
რას დაგიტოვებ,
მე რომ სახლიდან გავიდე და ველარ დავბრუნდე.
უნდა ვიფიქრო,
თავის ახდამდე უნდა ვიფიქრო,
თორემ ის დადის,
უხილავი ზედამხედველი,
გასაღებების აცმის ჩხაკუნით,
უნდა ვიფიქრო,
ბოლო ყლუპამდე,
ბოლო ლუკმამდე უნდა ვიფიქრო,
თორემ ის დადის დიდ ქალაქში,
მთელ სამყაროში
გეშაღებული ნადირივით დაუნდობელი.

გაანახევრეს ღამეებმა ჩემი სიცოცხლე,
ცვდება დოლაბი,
მე კი ისევ შიშველ ხელებით
სხვისთვის უხილავ ლოდს ვაქუცმაცებ
და წვეთავს სისხლი—თითებიდან მოედინება,
სტრიქონებშუა ნაპრალები სავსეა სისხლით.

სჭირდება ვინმეს?!
ეჭვი შავი ერკემალივით,
აბორგდება და ალესილი რქები—ფინალი
მობჯენილია დაბზარულ მკერდზე.
გაბოჭილია მაშინ სხეული
მარადიული ძილის სურვილით,
მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაბიჯი
რჩება ყველაფრის უარყოფამდე...
მაგრამ შენ ფხიზლობ,
ღამის შუქში ამოცურდები
და ფასკუნჯივით ფრთებს შემაშველებ.

ჩემო ჭრიალა მეგობარო,
შენ იცი მხოლოდ—
სტრიქონს ოჯახში შემოაქვს პური—
ამიტომ მაინც უნდა მოვიდე,
დღესაც გაქერქილ ქედზე დაგეყრდნო
და ცარიელი ჯიქანივით ვლოღნო ფიქრები.

ცხენი

შენს გარდა ყველა აშვებულია,
გალეწილია ცხოვრების კალო,
ვაი, ბებერო, შებმული თოკი
თანდათანობით ეხვევა პალოს.

ვაი, სხვას დარჩა მწვანე ყამირი,
შენი თოფრაკი ცრემლით ივსება.
დაიმსახურებ ყველას სიბრალულს
მაგრამ შენდობა არ გეღირსება.

ვის უხმობ, ფაფარს ვინ დაგივარცხნის,
ვინ გეტყვის—„გეყო, სული მოითქვი...“
ვიდრე მოკვდები უძლურებისთვის
ამ ძველ გომურში სასჯელს მოიხდი.

ვაი, ვერც მერე იქნები მშვიდად,
ერთგულებისთვის სხვა გელის კიდევ,
სარზე გაკრული ეგ თავის ქალა
დააფრთხობს ბალზე დაფრენილ ჩიტებს...

ისევ ეგა სჯობს, იდგე, ელოდო,
როდის ჩაივლის ღამის პაუზა...
მზე ამოვა და შენი ცრემლებით
დაწინწკლულ სარკმელს ხელს გადაუსვამს.

●

კანკალებს თხმელა.
კრიალებს ცული.
გადახვეწილან ტყიდან ჩიტები.
მღერის ძახველი, მაგრამ არ გესმის—
ობოლი ბიჭი ფიჩხს ეზიდები.

მძიმეა კონა,
კუნძზე ისვენებ.
ამ კაკანათში ადრე გაები.
და ლეკვებივით, შარვლის ტოტიდან,
ილრინებიან მუხლისთავები.

გურა, ამ გზაზე სასაფლაოა,
მამის ლანდია შენი იმედი.
აგიჩუყდება საწყალი გული,
ამოიოხრებ და ატირდები.

მაგრამ ღამდება.
არავინ მოვა,
რომ სიცივეს და შიმშილს უყელოს
სხვა რა ჩარაა, უნდა წამოდგე
და ზურგი ობლის ტვირთს შეუყენო.

●

ამღვრეულია ალაზანი,—
ჩახრამულ ნაპირს
ამოდებული ლაგამივით მოათამაშებს.

მომაგონე, ღვთისნიერო, მომაგონე,
ციხის ნაშალზე გაშლილი ტაბლა.
ქაფმორეული ალაზანი
და შავი ცხენი,
რიყეზე ნალს რომ მიაწკრიალებს...
შორს მკვდრის მზე ჩადის,
ისე მიდის,
ასე მგონია,
ამ ციხესავით დაწვება და ვეღარ ადგება...
მომაგონე, ღვთისნიერო, მომაგონე—
ხეიბარი თუში უკრავდა გარმონს,
ტიროდნენ ბიჭები,
პირნაქცეული ჭიქებიდან ღვინო წვეთავდა
და ალაზანი,
რიყის ქვების თეთრ სარეცელზე,
ჯვარდანერილი ხმალივით იდო...

მღეროდა თუში,
მომაგონე, რაზე მღეროდა...

ორი ნაპირი

შორიდან გხედავ მშვიდს და უცოდველს
და რაც დრო გადის უფრო მიჭირს,
შენი სხეული,
აყვავებული ალუბლისგან გამოვარჩიო.
შევბრუნდებოდი, შენი მზერა რომ არ მიჭერდეს,
ტყეს თავს მივცემდი
ან უფსკრულის ხორკლიან ლოდებს
მკერდშელეწილი ჩავეხვეოდი.

მეც გადმოვვარდი მდინარიდან—
ცხენის ზურგიდან,
აქეთ, ამ მხარეს,
სადაც ყველა ერთმანეთს ჰგვანან,
სადაც ერთია ცხოვრების წესი—
მხოლოდ ძლიერი კბილი იმარჯვებს.
აქ მიხვდება ადამიანი,
სული სინათლე კი არ არის,
დამარცხებულის ბაირაღია—
ციხეზე უნდა გადმოფინოს ბოლოს და ბოლოს.

განწყობილება

სველი სარკმელი. ბალახი სველი.
არ მოდის ვინც შენს ტკივილებს შველის.

სველი თიბათვე მირეკავს წვიმებს,
ითვლი წვეთების წერტილს და მძიმეს,

კითხვის ნიშანი არა ჩანს მარტო,
რომ გაიფიქრო—
„ო, რატომ, რატომ?“

და ყველაფერი, საშინლად ცხადი
ჩამოგლეჯილი ნიღაბით დადის...

გრძელდება წვიმა—
მხოლოდ ეს გერგო,
რომ მოგონების ნაცარი ქექო.

სალამი, ზამთრის დედოფალო

მე ყოველ ღამით დაუწერელ ბარათს გიგზავნი:
სალამი, ზამთრის დედოფალო!
მე ისევ მახსოვს
მოდიდან გასულ მუსიკის რიტმი...

მშვიდობა შენს სახლს,
შენს ციმბირულ, ნებიერ კატას,
ცივი თვალებით რომ გაჰყურებს
გაყინულ კვარტალს.

დევს სავარძელზე ესენინის პირველი ტომი
და ჰაერშივე ქრება თოვლი, უჩინარ კვდომით.

მე კარგად ვიცი,
არ შეცვლილა მანდ არაფერი.
ცხელი წყლის ორთქლში ილიბრება თეთრი კაფელი...

თავს შეაფარებ
გვირილიან, საღამურ პერანგს
და სასთუმალზე თმას გადააფენ.
გამოგაფხიზლებს კედლის საათის
სასაცილო და გულუბრყვილო გუგულის მზერა...

სალამი, ზამთრის დედოფალო!
მე არ მინდოდა, ო, არ მინდოდა,
ასე გვიან...
ვეღარ შევძელი,
მოვედი შენთან და...
საკუთარ თავს დავემალე...

ნუ გადიხედავ,
იქ ტრამვაის ძველი ხაზია
და შემთვრალივით მიდის ვაგონი—
არ მოვსულვარ მე იმ ტრამვაით...
არც თვითმფრინავის არც ერთ რეისს არ
მოვყოლილვარ,
სივრცეებში გატყორცნილები
რომ ამძაფრებენ სიმარტოვის პირქუშ შეგრძნებას.

მაინც შენთან ვარ,
შენთან, მაგრამ კვლავ შენს გარეშე,
მოდიდან გასულ მუსიკის რიტმით
და ხანგრძლივ ცეკვით თავბრუდასხმული...

სალამი, ზამთრის დედოფალო!
მე არ შემეძლო არ მომეწერა
ბარათი,
თუმცა ვერ გამოვგზავნი.
ეს ფიქრიც მხოლოდ ჩემთან რჩება,
როგორც ფირფიტა,
როგორც განცდილი სიხარულის მწარე ნალექი...

მშვიდობა შენს სახლს,
შენს სულს—
ცისფერ სათბურის ყვავილს,
რომ ჩაურგია სურნელოვან სიზმრებში თავი.

მოგწყინდა კითხვა
ცივ სარკმელზე ყვავების ტიტრის,
სავსე ხარ მხოლოდ ძველმოდური მუსიკის რიტმით,

არ სძინავს მარტო შენს ნებიერ, ციმბირულ კატას,
დადის ოთახში და პარკეტზე თავის კუდს ხატავს...

ს ი ზ მ ა რ ი

ვწევარ გულაღმა, მკერდზე მადევს ალუბლის ტოტი
და სულს მიხუთავს სურნელება თეთრი ყვავილის.
გარდავიცვალე,
ზოგი მართლა გლოვობს და ზოგიც
გარშემო მივლის ყალბი ოხვრით,
ყალბი ბღავილით.

ვხედავ ბედნიერ და ამაყ ტიპებს,
შავ ჰალსტუხებს და
გახამებულ თეთრ ცხვირსახოცებს.
იერარქიის ჭრიალა კიბეს,
ჩემს ჯოჯოხეთს და
აქ დარჩენილ ბინძურ სამოთხეს.

აქ არის ჩემი მესაფლავეც კაცის ნიღაბით
და მის ხელებში ყარს სათბურის უცხო მიხაკი
და ვიმეორებ ჩემთვის, ჩუმად
ძლივს გასაგონად—
„დიდი მადლობა,
ვისაც გძულდით,
ვისაც გიყვარდით.“

„სამწუხაროა...
დიახ, ძლიერ სამწუხაროა“—
ჩემი ქალაქის ჩამქრალ კულისებს—
თქვენ მიატოვებთ სასაფლაოს.

ხვალ მზე ამოვა
და მამალივით ჩამოგიყივლებთ—
„სამსახურისკენ!..“

შეავსეთ თქვენი სავარძლები
და კვლავ ერთმანეთს
ლაყე კვერცხივით დააყარეთ სიტყვები მძაღე,
კოპებშეკრულნი ჩამოსხედით მრისხანე სახით
და მაგიდაზე მუშტები ნაყეთ...

კიდევ კარგი რომ სიზმარია—
კვლავ მაქვს უფლება
მზისქვეშ გატრუნულ,
ცეროდენა მინდვრის ღიღილოს
გვერდით მივუწვე
და აშლილი სევდის ღრუბლებით
სიზმარი ცხადში გამოვიტირო.

საჰაერო რეისი

1
მე კარგად მახსოვს, რასაც ვფიქრობდი,
როცა ბეტონზე თვითმფრინავი აიყალყა
დოღის ცხენივით—
უცებ გაჟონა თითებში შიშმა
და მიეწება სახელურებს.
გაჩერდა წამით
გული,
გონება,
დაცარიელდა თავის ქალა, როგორც ქალაქი
საგანგაშო სირენის შემდეგ...
მე კარგად მახსოვს, როგორ ვცდილობდი
არ ვყოფილიყავ იმ წუთას მარტო—
მეფიქრა რამე უკეთესზე:
მზეზე, ბალახზე,
ჩვილის კბილივით რომ ამოჭრა ნახნავის ნუნა.
მეფიქრა შენზე—
შენზე ფიქრიც ვერ შევიძელი...
მერე მოვიდა აგონიის მსგავსი სიმშვიდე—
„არ შეიძლება ყველაფერი ახლა დამთავრდეს...“
„ან შეიძლება ყველაფერი ახლა დამთავრდეს...“
არ შეიძლება...
შეიძლება...
ეს ორი აზრი,
როგორც მაგნიტის ორი პოლუსი
სხვადასხვა მხარეს მეწეოდა...

მე ყველაფერზე ვიყავ თანახმა—
უკვე გულგრილად შევყურებდი ყოფნა-არყოფნის
მოზრიალე სასწორის პინებს,
თითქოს მამლები ძიძგილაობდნენ...

2

თანდათანობით ვეგუებით თურმე ყველაფერს,
ოღონდ გაუძლოს
მაღალ ძაბვაზე ჩართულმა გულმა...
ჯერ ვერ მიხვდები როგორ სწავლობენ
ადამიანზე ნადირობას ტყვიის გარეშე—
გული, ო, გული—
ტირის სამიზნე
დახლეჩილია ყოველდღიურ შხამით და გესლით...
ის მაინც ფეთქავს—
„მეგობარო, გულს მოუფრთხილდი—
სამედიცინო ბუკლეტიდან მაფრთხილებს N-ი,—
გული ძრავაა ორგანიზმის,
მას შეუძლია, ერთ მშვენიერ დღეს,
უარი თქვას—მოგემსახუროს...“
გმადლობთ, ბატონო პროფესორო,
თქვენ ერთხელ კიდევ მატკინეთ გული
იმ დღეს (ან ღამეს) „მშვენიერი“ როცა უწოდეთ...
ის მაინც ფეთქავს!
დატორილი და დაფშხალული
უნდა ეკიდოს წყეულ ტირში „მშვენიერ დღემდე“—
ვიდრე მოწყდება
და ქირურგის ცივი ხელები
აიტაცებენ დამძიმებულ რიყის ქვასავით...

3

შენი ხმა მესმის,
მაგრამ საიდან?—
არეულია სათვალავი კილომეტრების—
გაყოფილი ვართ ველის ზანტი მდინარეებით,
ტბებით, ჭაობით
და ფოთლოვან ტყეთა ბურუსით,
შლაგბაუმებით, მიწაყრილებით,
გზებით,
რომლებიც მე არ ვიცი საით მიდიან.
არეულია სათვალავი კილომეტრების
გადატრუსული მინდვრებით და ქარის ზუზუნით,
პირდაფჩენილი ნახნავებით,
ცივი წვიმებით,
ჭვარტლში გახვეულ ქალაქებით
და ყვავებივით
მობუზული და მოფანტული სველი სოფლებით...

4

რა მოგეჩვენა, რად შეკრთი ძილში?
გავცურეთ ღამის ოკეანე,
გაიხსნა შასი—
ვუახლოვდებით გვირილებით მოფენილ მინდორს,
ნუ გეშინია,
დღეს არ მთავრდება
ჩემი სხეულის მოგზაურობა—
კიდევ მრავალჯერ დაილუნება
შენი მკერდისკენ ჩემი კისერი...

რა მოგეჩვენა, რად შეკრთი ძილში,
როცა გრიგალი თვითმფრინავის ფრთებს დაეძგერა!

მე დავინახე,
როგორ აანთო, შორს უხილავის
ხელმა მარიხი—
დაიწყო ღამის დღესასწაული—
ასიათასმა შეყვარებულმა ვარსკვლავმა
ჩემსკენ გამოიხედა...
მე შენ მიყვარდი.
იქაც ვგრძნობდი შენ სიახლოვეს,
როგორც ფოთოლი გრძნობს ნიავის გამოღვიძებას...

5
რა მოგეჩვენა, რად შეკრთი ძილში—
ტაქსის მრიცხველის
პრაქტიკული ტვინი კაპიკებს
ჩემს გასაგონად ხმამაღლა ითვლის.
ჰკრეფს და ამრავლებს,
კილომეტრებს კილომეტრს აკლებს
და ხურდა ფულით ხახა ევსება...

მოჰქრის მანქანა.
ფარების შუქი
ყნოსვით მოჰყვება ნაწვიმარ ასფალტს,
რომ შენი თავი მაპოვნინოს,
მოაწყდეს სარკმელს,
და სიგნალის ხმით გამოგაღვიძოს...

ვიცი, ყველაფერს გადავივიწყებ,
როცა მოვალ და
ერთმანეთში ჩავიკარგებით,
როცა ლოდინით დაღლილ თვალებში
კვლავ ვარსკვლავიან ცას დავინახავ.

ლატვიაში

1. წვიმიანი კვირადღე

ვალდის კიკანსს

შენს ხმას მოვისმენ, როცა აპრილი
წვიმის დაბზარულ ზარებს დარეკავს,
როცა თვალებში შემოიხედავს
ძველი ქალაქი სამკუთხედი სახურავებით...
არ ჩაუვლია დღეებს უკვალოდ—
ხსოვნას დააჩნდნენ, როგორც ხერხის ნაკბილარები.
წვიმდა (იმ დილით).
კოშკის წვერზე ენთო მამალი—
ლატვიურ ბუხრის მუგუზალი,
ყიოდა: „ფხიზლად!“
ჩვენ კი ვთვრებოდით,
ვიოლინოს დარხეულ ტოტზე,
ვაზის ლერწივით დახვეული შენი თითები
ეფერებოდნენ მშობლიურ ჰანგებს
და მოჭუტული თვალის ნაოჭში
ბრწყინავდა ცრემლი—სარკის ნატეხი...

მე ისევ ვსვამდი და ვბრუვდებოდი
შენ სევდით და ლატვიურ ლუდით
და მეშინოდა, რომ თითებს თვალზე
მოისვამდი და ხელს გაიჭრიდი,
მაგრამ წვიმები ჩვენც გვაფხიზლებდნენ,
თვალზე თავისით შრებოდა ცრემლი
და ვიოლინო გესვენა უხმოდ
მუხლებზე, როგორც დაცლილი თოფი...

2. გათენებისას მიდის ხომალდი

...და ქარიანი ჩრდილოეთის პირქუში ღამე
შავაფრიანი ხომალდივით მოადგა ნაპირს.
კივის ფრინველი,
კანკალებენ არყის ხეები,
წყალს მოარღვევენ ტევტონური აბჯრის ჩხრიალით
წელში მოხრილი, ზორბა ლანდები...

გათენებისას მიდის ხომალდი—
სანაპიროზე, გამორიყულ მუზარადივით,
ქვიშით ივსება კონსერვის ქილა.

3. რიგა. საორღანო კონცერტი

გოთური თაღი...
თითქოს ორივე
გადაბრუნებულ ნავის ქვეშ ვწევართ
და ვუსმენთ, როგორ ხრიალებს ტალღა,
როცა ნაპირზე ქაფს ამოანთხევს...
ცვალებადია ზღვაზე ამინდი—
დარბაზთან ერთად ჩვენც დაგვავიწყდა,
რომ ყველაფერი იწყება შტორმით
და ყველაფერი შტორმით მთავრდება.
ცვალებადია ზღვაზე ამინდი—
უსმინე, ვიდრე ჰარმონია არ დარღვეულა,
ვიდრე ორღანი გოთურ თაღებში
მშვიდად დაცურავს გადარჩენილ კიდობანივით,
ვიდრე ჩვენს თვალწინ არ დამსხვრეულა
კლავიატურის თეთრი ჯებირი...

ცვალებადია ზღვაზე ამინდი—
არავინ იცის რას გამორიყავს
ნაპირისაკენ მობალახე ტალღების ჯოგი,
ვის რა შეხვდება—
ზღვის ყვავილი თუ
შლამს მოყოლილი ნაფოტივით
მკვდარი ლიფსიტა.

ცვალებადია ზღვაზე ამინდი—
ბევრი ფიქრობს, რომ უპრეტენზიოდ
ცხოვრობს და მუდამ მშრალზე დარჩება.
როდესაც ღია პროცესი მიდის
ისინი მუდამ უკან დგებიან,
მაგრამ დიდების სანაგვეზე უპირველესად
ეჯახებიან მათი შუბლები
და არც ერთ მათგანს არ ახსენდება
ვინც ლომს ხახაში თავი ჩაუყო...

ცვალებადია ზღვაზე ამინდი—
სადღაც იღვიძებს მძინარე შტორმი—
უსმინე, ვიდრე ჰარმონია არ დარღვეულა,
ვიდრე კონცერტზე არ შესრულდება
ბოლო ნომერი:
—„განკითხვის წუთი...“

4. მეყვავილე

ყოველდღე წვიმს და გაზეთის ჯიხურს
შეფარებული მოხუცი ქალი
ნიკაპთან განასკვული თავსაფრით,
მატარებლის შემოსვლას ელის.
ის გამხდარია და საცოდავი—
ვერც შეამჩნევდნენ, ყვავილები რომ არ ეჭიროს...

მატარებლიდან ვიღაც ჩამოვა,
გადასწევს ხელით წვიმის ფარდას
და სიცივისგან გალურჯებულ მოხუცის თითებს
შემჭკნარ ნარცისებს ჩამოართმევს...
ასეა დღესაც,
როგორც გუშინ,
როგორც გუშინწინ—
ხელისგულში ჩაკუჭული მანეთიანით,
მიდის მოხუცი
ქუსლმორყეულ ფეხსაცმელებს მიაბაკუნებს.

5. გრიგალი

პეტერის ზირნიტისს

უცნაურია, გიყურებენ და ვერ გხედავენ,
ზღვიდან მოსულო მოგზაურო—
ნეტავი დღემდე
რამდენი გემი მოინელე,
ვისი ძვლებით მოფინე ფსკერი.

უცნაურია, გიყურებენ და ვერ გხედავენ,
შენ—უსხეულო ენერგიას,
დაუმცხრალს და დაუოკებელს.
სანოტო ნიშნებს არ შეუძლიათ
გადმოსცენ შენი
მღელვარე სულის ვიბრაცია—
ნგრევის მუსიკა.
ფეხქვეშ გიგია გათელილი ოაზისები,
შენში ხარხარებს უდაბნოთა სიცარიელე...

იქნებ სული ხარ,
შემომწყრალი კაცზე და ღმერთზე,
იქნებ ტანჯვაა შენთვის ყოფნა,
მარადიულად
სწუხარ ოდესღაც დაკარგული სხეულის გამო.

6. ისევ ვიხსენებ

ისევ ვიხსენებ დაუგავას მღვრიე შენაკადს—
ხავსის ჩარჩოში ჩასმულ მდინარეს.
ოთხნი ვისხედით არყის ძირზე გამობმულ ნავში
და ცარიელი ღვინის ბოთლები
ყინვით მოკრუნჩხულ იხვებივით ეყარა ფსკერზე.
სადღაც მღეროდა სევდიანი მწუხრის გიტარა
და შემჭკნარ ვარდებს ისროდნენ წყალში,
მათთვის,
ვინც ერთხელ გაიტყუა მდორე დინებამ
და ქალწულივით ჩაეხვიათ ცივი მორევი:
—„ო, გაბზარული ფირფიტაა მთელი ცხოვრება,
ვარდი,
ვარდები არ დაივიწყოთ.
მხოლოდ ისინი დაკოცნიან შენეულ თრთოლვით
დარდით ფერწასულ,
მომლოდინე საყვარლის ბაგეს...
და როცა ბოლო ჭირისუფალი
ჩაივლის,
წავა მოტეხილი ფრთების სავსავით—
მხოლოდ ისინი რჩებიან ჩვენთან—
ვარდი,
ვარდები,

ღამის პირქუშ სასაფლაოზე
წვანან და შიშით გული უსკდებათ...“

ისევ მღეროდა სევდიანი მწუხრის გიტარა
და ყვავილები ცვიოდა წყალში,
მაგრამ ამაოდ,
ყვითელ ლამში პირქვეგართხმული
ცივი იყო და უგრძნობელი მდინარის ზურგი...

გათავდა ღვინო.
ჩაიწრიტა მკერდში სიმღერა,
ვით ჟრუანტელი
თვითმკვლელობის ცოდვიან წამის
და ჩემს თვალებში ჩამდგარ ცრემლში შენ აირეკლე—
ვისაც გეკუთვნი ცოცხალიც, მკვდარიც!

1977

ძველი სახლი

აღარ ვიჩქარი.
ამოცურდა ღველფიდან ცეცხლი,
გათბა ღუმელი,
ატკაცუნდა წიფლის ნაპობი,
იწვის ქართლის ტყის ნაშიერი,
ვერ მოესწრო ამ დიდთოვლობას,
ვერ აიფრინა თეთრი მხრებიდან
გაბეზრებული ყვავის ყრანტალი.

უხმოდ კვდებიან ხეები, შვილო!—
შხუის ჰაერში მოწყვეტის წამი,
როგორც წუხილი სივრცეებთან გამოთხოვების...
მიწა აიტანს ყველას დაცემას,
რამეთუ ყველა მას უბრუნდება
ნაცრად და ფერფლად.
იწვის წიფელი.
ვუზივარ ზამთრის ბებერ ღამეებს,
ვუსმენ შეცივნულ ძაღლის ხველებას,
ისიც მოღალა ჟანგიანი ჯაჭვის ჟღარუნმა

და უპეებთან მიყინულ ცრემლებს
თათით იცილებს.
ვის შეუღრინოს,
დააყრუა თოვლმა სოფელი—
ძილსმიცემული მაძღარი დათვი...
ვის დაუყეფოს, მოკვდება და მაშინღა მოვლენ,
ამ წლობით ნათრევ ჯაჭვსაც შეხსნიან
და აქოთებულ საძაღლეზე სხვას მიაბამენ...
მის გამხდარ ლეშსაც აიტანს მიწა,
რამეთუ ყველა მას უბრუნდება,
რომ ღამ-ღამობით ამოიფრქვეს ფოსფორის შუქად
და ახალ მგზავრებს ჩაუყენოს ძარღვებში შიში,
შიში—საშოდან სამარემდე გაბმული შიში...

აღარ ვიჩქარი.
თოვლმა დაბურა შორეულ დღეთა გადასახედი,
შუა სოფელში ჩამოხსნილი ზარივით დადგა
ეს ძველი სახლი—
ჩვენ აქ ვცხოვრობდით,
აქ გამრავლდა ჩვენი ჯილაგი,
აქ, ცხონებულმა დიდმა პაპამ, მკერდზე ხელები
ორი ქართული კრამიტივით გადაიფარა...

მაშინ პირველად დაიღვარა პურზე ზედაშე—
გაძღა სოფელი.
აქნილ ხბოს თავს ლოკავდა ძაღლი,
ნაშიმშილარი,
ყმუილისგან ხმაწართმეული...
სახლი კი სდუმდა—უენო ზარი,

თოვლქვეშ მოხრილი,
დაყრდნობილი კაკლის თავხეზე...

შენ ახლა შორს ხარ და ვერ გაიგებ
რატომ ვსაუბრობ ამ კედლებთან—
რისთვის ავკრიფე
ჯაგლაგი ცხენის დაძენძილი სადავეები.
რატომ ვარ მარტო,
რატომ ვზივარ დახეთქილ ზარში,
თოვლიან ღამით გამოხმობილ მოჩვენებებთან...
გესმის ყივილი!—
ყველანი წავლენ,.
ეს სახლიც წავა,
როცა ჟამისგან ფეხგამოკრული
მუხის ფუტურო დედაბოძი ჩაიჩოქება.

ვიოლინოს გაკვეთილი

ბავშვის თითები ფრთხილად ხსნიან
გაქერცლილ კოლოფს,
თითქოს კოლოფში დაკაწრული ფეხისგულებით
სოფლის მეხბორე ბიჭუნა იწვეს.

შეიშმუშნა პატარა მწყემსი—ვიოლინო,
და გოგოს მკერდზე—
გაზაფხულის ციცქნა მინდორზე,
ბორძიკ-ბორძიკით გაიშალნენ სველი გამები...
დიდი ხანია სახურავები
გადაირბინეს თბილმა წვიმებმა
და ახლა ცაში არავინ ცხოვრობს,
რომ შორეულზე შორეულ ექოდ
ვიოლინოს გულისცემა გაიმეოროს...

გოგონა უსმენს.
საკონცერტო დარბაზებიდან,
ჯერ არ დაძრულა ტაშის გრიგალი,
არც აფიშების მხიარულ მწკრივებს
გადუფრენიათ ქალაქები.
და ვიოლინო როცა იძინებს,
დიდხანს უნთია სასთუმალთან ბავშვის ოცნება—
აყვავებული სინათლის ბუჩქი.

მოხუცები

აუკრეფიათ ჩინჩხვარი და მიბრაცუნებენ,
სათითაოდ ეთხოვებიან:
მოწყენილ სახლებს,
მზითვში მოყოლილ აბაჟურებს,
ეზოს,
სათონეს,
პკემოგდებულ სამწნილე ქილებს.
ეთხოვებიან პირმოკუმულნი,
მხარზე გადაგდებული თავსაფრებით...
ორი დამჭკნარი ფოთოლივით
მკერდზე მოუჩანთ
დაკრეფილი ხელის ნებები...

მიდიან უხმოდ,
ორღობეზე გადმოფენილა
კომშის ყვავილი—
მათი საქორწინო კაბები.

●

მე გადავთელე ფიქრის სვეტზე
თავმიყრდნობილი
ჩემი დღეები—
ხელეური პურის თავთავის,
აბეზარ ჩიტებს მარცვალ-მარცვალ გაუკენკიათ
და რაც გადამრჩა, ისე მცირეა,
ვინ დავაპურო—
მწირი ლუკმა ვის ვამყოფინო?

●

დანადაკრული გაექცათ ტახი,
აძგერა დინგი—
გადაისხა მდუღარე რახი.

შუშის წკრიალი გაიყოლა,
გახია ღობე,
ლაჯში გაუძვრა
სასეიროდ მოგროვილ სოფელს...

სადამდე წავა
გაწყვეტილი სიცოცხლის თოკით...
მშიერი ძუკნა
სისხლის ბილიკს მიჰყვება ლოკვით.

აეროპორტი

მეორე დღეა სარბენ ბილიკზე არ დაფრენილა
რკინის ფასკუნჯი.
მეორე დღეა ნამქერები მისძოვენ მინდორს,
ერთფეროვანი გულმოდგინებით
მიიჩქარიან, თოვლის ტალღები,
უხილავი ნაპირისაკენ.

მეორე დღეა შუშის კედელი
ატრიალებს მოსაწყენ კადრებს,
გახმოვანებულს აუწყობელ გიტარის სიმით—
ულრიალებს ქარი.
არაფერი არ ისმის ციდან.
ცა გაიპარა, სამართავ პულტთან
ჩათვლემილა გაურკვევლობა...
გვერდით განწყობის „აბებს“ იღებენ
ტუჩმობრეცილი სპილენძის ჭიქით...
არ ჩანს ფასკუნჯი,
ამ მოისმის ფრთების შრიალი,
არ იხლიჩება შუაღამე
რეაქტიული ძრავის კივილით
და მტკივა ხორცი—ფასკუნჯის ლუკმა...

დარბაზს კი სძინავს უდარდელი ძილით—
რა ენაღვლებათ, სახლში არიან,
თოვლის ზეწარზე თოვლის სიზმრებს აგუნდავებენ.
ესენი ყველა სახლში არიან
და შეუძლიათ მშვიდად იძინონ...

მათ სახეებზე არ აგორდება
მონატრების მძაფრი გრიგალი,
არ ჩაემსხვრევათ თვალის გუგებში
უძილო ღამე—
რადგანაც თავის სახლში არიან...

ჩემო სამშობლო, შენი სახელი
ვერ დატეულა კედლის რუკაზე—
ნომრის მიხედვით სქოლიოში უნდა გეძებო.
მყარად იდექი, ეგ ნომერიც არ დაგეკარგოს,
მზე, მზე აინთე—დიდთოვლობამ არ გადაგშალოს...

დინამიკები ახრიალდნენ.
მოდის,
გამოჩნდა,
ფასკუნჯის ჩრდილი...
და სადღაც, შიგნით დამიჩხვლიტე ყრუ ტკივილებით
მთელი სხეული,
თითქოს ქაშაყის ხერხემალი გადამეყლაპოს...

●

დაცარიელდა საკიდარი—
ყველა წავიდა,
ისევ პირისპირ დარჩი ნაცნობ სიმარტოვესთან...
კვლავ მიაკითხე ძველებურ დივანს
ალბომითა და უშაქრო ყავით,
მძიმედ ჩაჯექი,
კაბის ბოლოდან
თავი გამოყვეს
კნუტებივით ჩახუტებულმა ფაჩუჩებმა...

საათმა უკვე შვიდჯერ დარეკა,
დაიწყო ღამე—დიდი ანტრაქტი...

ნიკაპზე აღარ გეფერება ყვითელი ორთქლი—
გაცივდა ყავა...
ქვაფენილზე წვეთავს ფოთოლი,
ხმელი, როგორც შენი ხელის ულონო მტევანი...
წვეთავს ფოთოლი...
საათმა უკვე რვაჯერ დარეკა...
დღეებს არ ითვლი,
არც კალენდარს აღარ ყიდულობ—
დრო მაინც მიდის, მიდის, იპარავს
დიდი სარკის წინ ჩამწკრივებულ
ფერუმარილის გაუხსნელ ქილებს...

ტკივილია შენთვის ალბომი—
დეკოლტედან ამოფრენილი მაღალი ყელი

ისე შორს დარჩა, რომ ამაოდ ეძებ მსგავსებას.
რა ბედნიერი იყავი მაშინ,
დროის უსაზღვრო ოკეანეში
მოდრეიფე მწვანე კუნძული—
ელოდი, როდის გამორიყავდა
ტალღა ჯანმაგარ, გარუჯულ მძევალს
და სველი მამრი
ქვიშიან ტანით შეისრუტავდა
შენი სხეულის ტროპიკულ სიცხეს...

არ მოიქცა ცხრაბალიანი სიყვარული,
არ ამოვიდა წყლიდან მეკობრე...
შენ კი ელოდი...
მერე თანდათან დაემსგავსნენ დღეები დღეებს
და უნაყოფო ტოტივით გახმა
შენში რაიმეს შეცვლის სურვილი...

გესმის კაკუნი?—
მოსდგომია კარს შემოდგომა—
უკანასკნელი კავალერი
ფოთოლცვენის მეჯლისზე გიწვევს.

●

ოცი წლის მტვერი.
იქნება თოვლი.
ჰო, ალბათ, თოვლით გადაიფარა
მეხსიერების მწვანე მინდორი.
ამაოდ ვცდილობ გამოვაღვიძო
ლიფსიტებივით ჩაყინული ნაფეხურები—
რაც უკან დარჩა,
საცოდავია მოხორხოცე სოფლის კლუბივით—
ეკრანზე ჩემი ცხოვრება გადის.

ოცი წლის მტვერი.
იქნება თოვლი.
ჰო, ალბათ, თოვლით გადაიფარა
მეხსიერების მწვანე მინდორი
და შორს უფერო ყვავილივით მოჩანს ბავშვობა.
საახალწლო ვიტრინაზე ცხვირმიჭყლეტილი.

●

ველარ გადავთქვი სიტყვა—„მშვიდობით!..“
მიჭირავს შენი ულონო ხელი
სამგლოვიარო დროშის ტარივით,
რომელზეც ახლა სევდიანი მზერა ფრიალებს.

ვიცი დავთვრები
და ბალიშში თავჩამხობილი
ჩავიბრუნებ სხეულში ღრიალს—
ხორხისმიერი ბგერების წარღვნას...
თვრამეტი წლის ვარ.
მე მაქვს პასპორტი და სტუდბილეთი—
ნათესავთან შეკედლებული
ლექციებიდან ვბრუნდები გვიან,
ვვახშმობ უჩუმრად, რომ მასპინძელმა
არ გაიღვიძოს კოვზის წკარუნზე
და სიბრალულით არ მკითხოს— „გეყო?“

გემშვიდობები,
მელოდება სავსე ვაგონი—
ხასიათების მუზეუმი.
მე მყავს ყველა და არავინ არ მყავს,
არც მეყოლება, ალბათ მანამდე,
ვიდრე შევიძლებ,
რომ საკუთარ თავს ვუპატრონო...

გემშვიდობები!..

●

ახლა ლომისის ალმართებისკენ
მიიზლაზნება ცოხნით კამეჩი,
ფერდებზე—
ნახევარსფეროებზე,
მიხმობია ყვითელი ლაფი—
წარღვნამდელი სამყაროს რუკა...

მიდის კამეჩი.
ფეხებშუა მოეშლება ფხვიერი მიწა.
მიდის კამეჩი.
მორკალულ რქებში
წამიერად გაილანდება
პირამიდა—
კავკასიონის თეთრი მწვერვალი...

მიდის კამეჩი.
ღონიერ ლაჯებს
ეხეთქებიან დაბერილი ცურისთავები...

●

ვიდრე თბილია ეს სხეული, იყავი ჩემთან,
ცივი ხელები შემომიწყე და მომეყუჟე...
ო, როგორ მშვიდად ივსებიან შენი ფილტვები,
პატარა ნავის იალქნებივით,
არტერიების სწრაფ დინებას აყოლილები,
მიცურავენ და მითბება მკლავი—
ჩემი სხეულის მარცხენა ხოფი—
ჩაებღაუჭე,
მოვალეა, რომ ღირსეულად
გაგიყვანოს და ჩაგაბაროს მეორე ნაპირს...

დარეკავს ჟამი—
აწეული მარჯვენა ხელით
მეტყვი:
„მშვიდობით!
მშვიდობით,
ჩემო მოქანცულო ჯავრისმტვირთველო!..“
და წახვალ
მხნე და ბედნიერი
მზის შესახვედრად...

●

ეწევი.
კვამლი კვამლს ემატება.
ეშვება მწუხრი,
დარდს ემატება.
ვინაც გიყვარდა არ გენატრება.
თოვლი თოვს.
თოვლი თოვლს ემატება.

ო, შორეულო, შემბრალე სულო,
აღარ მობრუნდა შენი ნათელი.
ნეტავი საით მიემართები,
ცავ,
ამღვრეულო და უსასრულო.

გათავდა!
მოაქვთ ნაალაფარი
თრიალეთიდან დამფრთხალ ხეობებს.
საფლავის ქვებზე მკვდრების დღეობა
როკავს.
ქარს მისდევს ცხენის ფაფარი.

მდევარი არ ჩანს,
შენი დღე არის—
თოვლი თოვს.
თოვლში ხსოვნა ღონდება.
და გესმის ნოსტეს მისადგომებთან
გულგატეხილი ხმლების ჟღრიალი.

●

ტორავს იურტას მონღოლის ცხენი,
მღერიან შენზე და სისხლის ღვარზე.
ვსვამ კუმისს.
ჯამი მევსება ცრემლით—
მე რაღა მინდა ნოინის კარზე.

ვუყურებ ირგვლივ ფეხმორთხმულ მოდგმას—
ლოკავს ცხვრის დუმით გაქონილ იდაყვს...
ირევა კარტი.
ტუზების ჭიხვინს
(ეს მერამდენედ) წარსული მიჰყავს...

ყვითელი ფლავი და თეთრი „ექსტრა“—
ორი ეშმაკის შამფურზე ვიწვი.
მიშრება ყელი,
ჯერ კიდევ ფეთქავს
გული—
ბოლომდე გამტანი ფიცის.

ტორავს იურტას მონღოლის ცხენი,
მონღოლის ბიჭი სასმისებს ავსებს.
ვსვამ კუმისს.
ჯამი მევსება ცრემლით—
მე რაღა მინდა ნოინის კარზე.

●

გადავივიწყე,
ყველაფერი გადავივიწყე,
დავდე მახვილი,
დახეთქილი ხელისგულები
ნაფოტებივით დაგიწყე თავთან...

ო, ვისაც როგორ მოესურვილა
ჩემი სიცოცხლის დარბაზებში ისე იარა...
დიდხანს გიხმობდი გაქურდული გალერეადან...

დამუხრუჭებულ ოცნებებით,
დაკეჭნილ მხრებით,
ბოლოს შევდექი საკუთარ თავთან...

აი, ეს არის ჩემი პორტრეტი—
შუბლზე გაჭიმულ დარდის ლარებზე
ჩამოჰკარ ხელი...

რაც იყო, იყო.
დავიწყების გაჯდა ნარკოზი—
დავდე მახვილი,
მუხლმოყრილმა ვადას ვაკოცე...

შემოდგომა

გამოვაღწიე მღვრიე დღეებს და უმზეობას,
ისევ შევდექი შენს კარებთან დაღლილი მგზავრი,
გესმის წკრიალი?—
მოიკრიბა სულმა მხნეობა,
გესმის?—გეძახის ყვითელი ზარი.

გესმის?— ეს მე ვარ,
ვინც მრავალჯერ შეასკდა ჯებირს
შუბლით, სხეულით,
გაბზარული ხმით და ნეკნებით...
გაიღო კარი, შემოვდივარ,
შენს გვერდით ვწვები,
მკერდიდან ამყავს მზის ცრემლები—
მკვდარი პეპლები...

მადლობა, შინ ვარ.
გავექეცი მძარცველთა ხროვას,
მგლოვიარ ხეებს,
ტირიფონის აჩალულ მინდვრებს...
იმღერე მათთვის, ვინც წავიდა და ვეღარ მოვა—
ისინი გუშინ ჩვენს გვერდით იდგნენ.

იმღერე მათთვის,
ვინც დატოვა ჩვენი აუზი
და ნაადრევად დაასრულა ხანმოკლე ფარსი...
მომეცი ხელი.
მელოდრამამ ფარდა დაუშვა,
აჰა, კოცონი—
ბედნიერი ნიღაბი დასწვი.

1976

უჯარმა

„ქვითკირო?“—
მაგრამ სად ხარ, ქვითკირო?
აწყვეტილია მკერდზე ღილ-კილო,
ვისთვის აწმყოვ და
ვისთვის წარსულო,
ვისთვის ქვა-ღორღო,
ვისთვის ქვითინო...

„ქვითკირო?“—
მაგრამ სად ხარ, ქვითკირო?..

●

როცა მამები იგვიანებენ,
ბავშვები ჩუმად ტირიან ძილში.
სავსეა მათი სათნო თვალები
გაურკვეველი დარდით და შიშით...

გადახვეული ვარდისფერ ბალიშს
ბუტბუტებს, ოხრავს და ეჩვენება,
დაღლილი მამა ზედმეტად მთვრალი,
როგორ გათქერეს თოვლის ცხენებმა...

ვეხები მის თმას ჩუმი ნაღველით
და ცეროდენა ოჯახის ღმერთის
ლოყიდან ამყავს კანკალა ცრემლი,
როგორც სინათლის პატარა წვეთი.

●

ხვალ მივალ მთისკენ.
მოვეჩვენები
აპრილის ცაზე დაქცეულ ყორანს,
მიყურადებულს საკუთარი ყრანტალის ექოს...

ვიცი: მე უნდა დავდგე ბოლოში,
ხრიოკების მტვერში მოვირთხა
და უფსკრულს მივცე ბორკილები,
რომელიც ჩემი ნებით გაკვერეს...
ვიცი: ყორანი დირიჟორია
და, როცა ჩემსკენ ფრთას გამოიქნევს,
ბალახის სუსტ ღერს უნდა ჩავბერო...

ვიცი:
ამ ხმაზე სამასი ჯვარი
სამას ლოცვად აიზიდება
და ელვარე მდინარის ტანი
ორლესულივით დაცურდება მთიდან ბარისკენ...

ხარი

აუზმუვლდება სული შენი უკეთურ სამწყსოს,
აღარ გადადის ყელში ბალახი,
აღარცა ცრემლი ყელისაკენ ჩაბრუნებული.
რითი გიწამლო,
ჯავრის ყვავილი მთელ სხეულზე გამოგეფინა...
ვაი, დარდივით უსახურო,
საით გაგდენო,
ვის მიგაყენო
ასე მჭლე და მღვრიეთვალება...

ამდენ ჯახანში რქებგაცვეთილო,
ერთად გიმტყუნა მეხრემ და ხატმა—
სადაც გტკიოდა იქ დაგკრეს სახრე
და ცხრაპირი ტყავი აგაძრეს...
გიკვირს?—
არ მოჩანს მგლების ხროვა,
არც მათი მსგავსი ლეშისმჭამელი.
ნუ გეჩქარება, არ უწყიან ეგ სიძაბუნე,
თორემ ხივილით მოაწყდებიან
შენი ბებერი ძვლების ხუხულას.

დეები

ჩამოუშლიათ
        სიფრიფანა
                ბავშვური თმები.

ფანჯრის კვადრატში
        თავდახრილი
                მოჩანან დები.
და გაზაფხულის ლაიტმოტივი—
ორღობეს ათოვს
        ყვავილობა
                მაისის ბლების...

ჯერ სიმშვიდეა.
        არ უწყიან პატარა დებმა,
ააყირავებს
        სინამდვილე მხიარულ გემბანს...

ფანჯრის კვადრატში
        თავდახრილი
                მოჩანან დები,
მოვლინებულნი
        გულუბრყვილო
                განგების ნებით...

ბარათი სოფლიდან

ავარდა ქარი, აღარ ჩადგა მესამე დღეა,
ძილგატეხილი
თვალებს ბლიტავს კუთხეში ლამპა.
ისევ აგრძელებს საკვამური დაწყებულ ამბავს...
სასიმინდესთან ატუზული ალუბლის ხეა...

კანკალებს ქართლი უშობელის სველი ფერდივით,
კვდება ჭადარი ორღობეში გადაღმერთილი.

გაპობილია სხეული ეჭვით,
დაფესვიანდა გულის კოვზთან გაჩრილი სოლი...
ტახტზე კი არა კაჭაჭების გროვაზე ვწევარ
და ინასკვება მწვერვალებზე მარყუჟი თოვლის.

ბაადურს

მზეს უგალობე,
მზის შვილი ხარ,
მზეს უგალობე...

გრილია შენი ხელისგულები,
როგორც წვიმით დაორთქლილი
თუთის ფოთოლი,

მოზიდულია შენი სხეული
და ახლოვდება ნეტარება გასროლის წამის—
საით, რომელი საბალახოსკენ
გეწევა თოკი ბედნიერების,
ვის მწუხარებას მოუმყუდროვებ
აყვავებული სისხლის ზეიმით?...

დღეს შენი დაბადების დღეა!
სამასსამოცდახუთი მძიმე ბელტიდან
ერთადერთია, რომლის ზიდვაც შვებას მანიჭებს...

მზეს უგალობე,
მზის შვილი ხარ,
მზეს უგალობე...

შხამი მეტია ამქვეყნიურ სიტკბოებაში—
ხვრეპავს და ხვრეპავს
დასაბამით მოდგმა კაცისა,

აქ არ არსებობს სიტყვა „ჰიგიენა“—
ერთი ჭურჭლიდან სარგებლობს ყველა...
მიდი, უმანკო ბაგე შეახე,
რადგანაც შენი ჩასახვის დღიდან
უკვე ავად ხარ საერთო სენით—
სიხარულის და მწუხარების კალთაში ზიხარ...

მზეს უგალობე,
მზის შვილი ხარ,
მზეს უგალობე...

ბევრი ისწავლა ადამიანმა—
თვითონ ინასკვავს აპეურებს,
რომ უფრო მტკიცედ ედგას უღელი
გაქერქილ ქედზე...
უცოდველია შენი კისერი,
ალბათ ამიტომ აღერილა ასე ამაყად
თავჩაღუნული სამყაროს გვერდით...

მზეს უგალობე,
მზის შვილი ხარ,
მზეს უგალობე...

●

თინა ასათიანს

ამოგიღამებს თვალებს ლოდინი,
ნაყავ ღამეებს ფიქრის როდინით.
ზუზუნებს გაბმით... ზენაქარია—
ციებიანი ზამთრის ლოგინი...

კანკალებს მხრებზე შავი ფრინველი—
შალი,
დაბმული თეთრი თითებით...
აუქშევს ვიღაც,
ხსოვნის ტოტიდან
ზამთრის ღამეში გადმოფრინდები...

●

თედო ბექიშვილის

მოგაცილებენ ძაღლებივით ადევნებული
გარეუბნები კიბემდე ყეფით...
გააღე კარი,
მოიხსენი ქარი მხრებიდან,
დაღლილი სახე მიუშვირე
ოთახიდან მონაბერ სუნთქვას...
ყველა სახლშია,
დიდიც,
პატარაც
და ძილშიც ახსოვთ უნდა მოხვიდე
გაჟღენთილი თამბაქოს სუნით...
უნდა მოხვიდე,
ერთი წვეთი სიხარული
სანთელივით შემოიტანო
და სარკეში ჩამდგარ ორეულს
ჩურჩულით ჰკითხო:
—როგორ არის ოჯახი, კაცო!...

N-ს

როცა გადაწყდა ყველა იმედი,
მოულოდნელად გამოჩნდა ქალი
და მარტოკაცის მწირ სუფრაზე
ყვავილების ლარნაკი ჩადგა.

ქარი ქალაქში

დაეკარგება ფოთოლი ფოთოლს,
ქალაქის თავზე იწყებს ხეტიალს—
„ხედავ, მიფრინავს,
ხედავ, ფრთები აქვს,
დიდი ფრთები აქვს მოწყვეტილ ფოთოლს“...

და უხარიათ ქარები ბავშვებს,
მიწაზე ფიქრი როცა სწყინდებათ,
მათი სულები გამქრალნი ცაში
უბრუნდებიან მიწას წვიმებად...

მიფრინავს, მიდის და თავს აწონებს
აგზნებულ თვალებს, ბავშვურს, ჟინიანს...
„ნუ მისდევ ფოთოლს“—
შვილის საწოლთან,
ვჩურჩულებ ჩემთვის და მეშინია...

●

ზუზუნებს ქარი, დუმს სალოცავი,
ხმაჩახრინწული ძაღლები ყეფენ.
წყალგაღმა დარჩა ველის მოცხარი,
გამოღმა—ჯავრით შეჭმული მეფე.

ბაგრატიონთა სკიპტრის ნამტვრევი
სხვას დარჩა—სული ნაალაფარი...
და საინგილოს გზებს მოამტვერებს
თავჩაკიდული კახთა ლაშქარი.

●

შაოსან ქალთა ხეივანში
ჩამოდგეს ტახტი,
გადააფარეს ძველი ჭილოფი,
რომელზეც გუშინ ხორბალს აშრობდნენ
და ხეივანზე კვირტებივით გამოისახა
ცრემლი და კითხვა:
„როდის მოხვალ,
როდის დაწვები?...“

1975

●

ელბერდ მიდელაურს

მადლობელი ვარ, ძმობა სთქვი ძმისთვის
და როგორც წყალი მდინარებს ივრის,
ჩემი ნაბიჯიც მგლური ძუნძულით
ფერმკრთალ ჭალებში ივლის და ივლის.

გუმანი გეტყვის, რომ მოგინატრე,
მოაგარაკე ღრუბლის გუნდებით,
ჩამოივაკებ თრიმლის ჩირაღდნით
და ნაცრისფერ მთებს აუყმუვლდები.

გადაფრენა

აუქშევს ქარი
სველ ტოტებში მიყუჟულ ფრთოსნებს,
ძირს ჩამოლალავს
მიმორხეულ ჭადრიდან ფოთლებს...
„თბილ ქვეყნებისკენ“—
სევდიანი, ფრთებაწურული
შენც გაფრინდები ეულად როსმე.

ცხენჯოხები

მიტოვებული ცხენჯოხების ჭიხვინი გესმის,
მიაყურადებ, კვალს ვერ იგნებ საით დადიან.
ამაოდ უხმობ,
ქერით სავსე თოფრაკით ხელში,
აღარც სწყურიათ,
აღარც შიათ,
აღარც დარდი აქვთ.

წლების გადაღმა ნაწვერალში დგანან ცერებზე,
ყველა მათგანი განურჩევლად ბედმა შერისხა...
გადარეულნი, ჩვენს ბავშვობას მიაჭენებენ
და რაც დრო გადის—
იკარგება მათი ფეხის ხმა.

ფოტოსურათი

მიხო ჭინჭარაულის მოსაგონარი

სივრცეს მისჩხავის ყვავის ფიტული,
გითხარ:
„გასძელი შემოდგომამდე“.
და ჰა, მიცურავს,
უკვე მიცურავს,
ისევ მიცურავს
ოქროს ხომალდი...

ვიცი, ეს ბიჭი იყო ობოლი,
გაბრუებული ბედის ქაოსით...
(აღარ ანთია ტოტზე ფოთოლი,
გადასაკაფი ხის ავგაროზი...).

ხეები მაინც მიდიან როკვით,
საგაზაფხულო სიმღერებამდე
და მოჩვენების ველური ჯოგი
მიაბაკუნებს დაცლილ გემბანზე...

აილანდება გაცრეცილ „ჯინსით“,
გაკვირვებული ბავშვის თვალებით...
დავხურავ ალბომს,
ჩადგება ნისლი
და გრძელ ღამეებს დავემგზავრები.

სინანული

ახმიანდა გულწითელა
(რითმისათვის) ლუწი თელა,
ლუწი გზა და ლუწი კორდი,
გშორდი, გშორდი, ვერ დაგშორდი...

რად გაგიღე ციხის კარი,
ვნანობ, მაგრამ გვიანია,
ჩემი დროშა ჩამოხსენი,
შენი დროშის ფრიალია.

ეს რა მიყავ, საყვარელო,
ზარში მიცვლი ზანზალაკებს.
რაც წამართვი, იმასა გთხოვ,
შენი იყოს, რაც წავაგე...

ახმიანდა გულწითელა
(რითმისათვის) ლუწი თელა,
ლუწი გზა და ლუწი კორდი...
გშორდი, გშორდი, ვერ დაგშორდი...

ტოტი გვიანი შემოდგომისა

1

გესმის შორეულ ზარების რეკვა,
საღამოს ზეცა სანთლის ფერია.
ქარმა წალეკა სიმშვიდე ტყეთა,
ხეები მაინც ქარზე მღერიან.

ხეები მაინც უხმობენ ქარებს
(მთელი სიცოცხლე ქართან ივლიან).
იჯექი წყნარად, არ წავალ არსად,
არ წავალ, ვიდრე შენ გეშინია,

2

უკანასკნელი ლტოლვილი მიდის,
მსუბუქად მიდის,
ფარფატით მიდის,
ღამის გუგიდან წითელ ცრემლივით
გადმოანათებს გვიანი შინდი...

გახსოვს ქუჩაში ბრმა მუსიკოსი,
მეხამრიდივით აწვდილი ხემით?—
მოკვდა.
ნოემბრის ცივი საღამო
მიაცილებდა ფოთლების ცვენით.

ვეთხოვებოდით ქუჩის ბინადარს
(მოულოდნელად შინდმაც ინათა),
იწვა ნატანჯი, მაგრამ თითები
სიმების რხევით შორს მიფრინავდა...

3

რა დაგემართა, რა დროს ძილია,
დაისუსხები გესლის ჭინჭრებით.
იყუჩე, გულო, არ გადირიო,
როგორც არასდროს, ახლა მჭირდები.

და როცა გეტყვი: „შეჩერდი, კმარა“—
ნოემბრის ქარით დაღლილ მიმინოს,
მაშინ მოეცი ამ თითებს ძალა,
ყოვლისმხილველო, ცაში იფრინოს.

●

თუ ამაფარე თვალებზე ხელი,
თუ დამავიწყე სინათლის ფასი—
მაშინ ბოლომდე მატარე ასე,
შენი ეჭვებით, ლაქუცით, ღრენით.

მაშინ ბოლომდე...
გათელილ გვირგვინს
ვიღამ დაადგას გრძნეული თვალი.
ვაი, ხომ უნდა დარეკოს იგი,
ვინმემ ხომ უნდა დარეკოს ზარი.

1974

ხელი

მი-მინორი, სოლ-მაჟორი,
ისევ მინორი,
აბობოქრება უცაბედი,
მშვიდი ოქტავის,
ყვითელი ფრაკით,
ყვითელ პულტთან დგას დირიჟორი,
და უკვდავებას ეფერება
ხელი მოკვდავი.

შვება დაღლილის,
ლირიკოსის,
ცრემლი დევნილის,
გეძახის, გიხმობს,
სევდიანი,
უიღბლო დენდი—
ხელი—
ჩიტივით სახელოდან ამოფრენილი,
ხელი—
ჰაერში მოცახცახე პიკასოს მტრედი.

გზები

ეს გზები ახლა ქართლში მიდიან
და მტკივა მათი მდორე დინება.
შენმა სურვილმა ასე ინება,
ჩემი სიცოცხლე ბენვზე ჰკიდია.

ეს გზები ქართლის სველი თმებია,
ჩამოშვებული ქალწულის თმები.
იქით ბოლოში ჩემი ძმებია,
ღამეს უსტვენენ პატარა ძმები.

ეს გზები ახლა ქართლში მიდიან
(აზელილია სათონე თიხა),
გზებს მავთულების ზუზუნი მიჰყავთ,
გადიან წლები და... სიმშვიდეა.

ქუჩაში მოდის ომის ჭრილობა

საშა თედიაშვილს

გვიახლოვდება ქვაფენილით ფეხის კაკუნი—
სამგლოვიარო მელოდია წასულ თაობის,
ის მოდის ტვირთით, იძულებით დრომ რომ არგუნა—
ნაღმის ნამსხვრევით და შეშლილი სასაფლაოთი.

—კავალერია!
—მაგრამ, ძმაო, სად არის იგი,
ხალხი კი არა, ფოთოლცვენის ჩურჩული მოგდევს.
წითელ ხავერდზე
ორდენების ბრწყინვალებს რიგი,
მაგრამ ვერ ვხედავ
სიცოცხლეზე უკეთეს ორდენს...

გიყურებ შენ და
გატანჯული თითებით გხატავ:
ნახევარკაცის უსაშველოდ გაზრდილი ლანდით
გვიახლოვდები და იცინი, იცინი, რადგან
იმ ერთი ფეხით
ახლა
მთელი
ქვეყანა
დადის.

●

შეაფრინდება პატარა სადგურს
კივილი, როგორც ჩიტების გუნდი.
დავტოვებ დარბაზს, სადაც სამხედრო
კედლის ღუმელთან გაიშრობს მუნდირს.

ჩამოგორდება სემაფორიდან
სინათლე ლაღი და ხელუხლები.
შენ მიდიოდი
(მახსოვს) და წვიმა
სველ ფილაქანზე იდგა მუხლებით.

და შემოდგომის ხეების რიგი
ჩადგა ჩვენ შორის, ვით ბარიკადი.
წვიმით თუ ცრემლით სველი ნიკაპით
ვბრუნდებოდი და ისევ მიყვარდი...

ბნელია კუპე. პატარა სადგურს
ნახევარმთვარის ურდული ადევს.
და სულერთია, სად წავალ ახლა,
ვივლი და... ალბათ, ჩამოვალ სადმე.

ძველი ქალაქი

როგორც ბატისფეხურით დაწერილი ბარათი—
სოლოლაკი, აბანო—კოლორიტი ქალაქის.

ჩიხტიკოპი. ჭორები. მორთმეული სოსანი...
შეჩვეული ბორკილი—წვეთავს კრიალოსანი...

ის გზა სადღაც დაიწყო, ეს გზაც სადღაც თავდება
მიდის ჭრელი ლაშქარი, ქცეული მოლანდებად.

არსად კოჭლი დალაქი, არსად ოქრომჭედელი...
გიხმობს ძველი ქალაქი—მუზეუმის კედელი.

წასულან და წასულან, გახსენებენ უხსოვარ
დროს, რომელიც ახალი ქალაქისთვის უცხოა...

მიყვარდი და მიყვარხარ შენი მთვარის დაირით,
ცისკენ შექანებული რიკულიან აივნით...

ცარიელი ბოთლებით, ქილებით და ღიღინით
ის მემაწვნე წავიდა, ეს მემაწვნეც ჩაივლის.

პირველთოვლობა

აღარ—
იგი ტრფიალება,
აღარ—
იგი მოკრძალება,
მთვარისხელა ფიალებით
ვხვდები ზამთრის მობრძანებას.

დეკემბერი, დეკემბერი,
დაბნეული ნათლის ხილვით,
დგას ვითარცა მკაცრი ბერი
სასანთლეზე თავდახრილი.

შენ კი სად ხარ, გულს დავეძებ,
როგორც კარზე ზარის ღილაკს,
მიაბიჯებ ზამთრის გზებზე
და ზაფხულის ცოდვა მიგაქვს.

მტრედი ეკლესიის გუმბათზე

განაბულა და ნისკარტით სხივი
უჭირავს, როგორც რტო ზეთისხილის.

ვით ანგელოზის უმანკო ფიქრი,
ცხოვრობს ცისა და მიწის მეზობლად.
მისთვის უცხოა, რა ხდება შიგნით,
გაჩირაღდნებულ სატრაპეზოსთან.

რატომ ჰგავს ცრემლებს ნაღვენთი ცვილის,
ან რაზე გალობს მოხუცი ქალი.
და ალიკაპით აკრული პირით
ვინ მოიყვანა ამდენი მთვრალი.

რომ შველა სთხოვოს მოხატულ კედელს,
დაღლილი ყური, დაღლილი კეფა
გამოარიდოს მოსაწყენ ხედებს,
ტრამვაის ხაზზე ბორბლების ყეფას.

მისთვის უცხოა, რად ხდება ასე,
რატომ უცინის თვალები კაენს...
დაიფრთხიალებს,
გუმბათის თავზე
შეაჩოჩქოლებს გაყინულ ჰაერს.

გამოთხოვება

გადაიხრება საკმელთან ტოტი
და მელოდია ამოდის.
მოდის,
ჯანღი ნოემბრის დღეთა...

უმწეონი და მოციმციმენი,
კენტი ნათურის სუსტი სხივები,
ხელისგულებზე სხედან.

მეც წავალ, როგორც მიდიან სხვები,
ქარში არეულ მტვრიანი გზების
წყეულ ზიგზაგებს ვლოცავ.

—მშვიდობით!—ნულარ მიგონებ წყენით,
სისულელეა სხვა დანარჩენი,
მორჩა,
სიმღერა მორჩა...

დავიწყებული სიმღერა

საკვამურში ანჩხლობს ეშმა,
ქარი ღიღინებს:
„ჩემს სატკივარს ვინც გაიგებს,
მისი ჭირიმე“.

შენ რომ მიწა გეგონა და დედა ყოფილა,
შენ რომ ლხინი გეგონა და ჭირი ყოფილა...

წვეთდა სისხლი ამირანის გაჭრილ ნეკიდან
და ყამარის გლოვის ზარი ცაზე ეკიდა.

—ფეთქავს?—ჰკითხავ ყურმიდებულ
ჭარმაგ დასტაქარს.
—დარჩა ვინმე ურჩეულეს
იმ ძველ დასთაგან!...

საკვამურში ანჩხლობს ეშმა,
ქარი ღიღინებს:
„ჩემს სატკივარს ვინც გაიგებს,
მისი ჭირიმე“.

●

ფიქრობ და განვლილ ცხოვრებას ჩურჩავ
(საგზალი მთელი კვირის),
და უხმოდ ისმენ მოწყენილ ჩურჩულს—
ტირი ყოფილა, ტირი—

ცხოვრება.
ტირში დაკონწიალებს
ცოცხალი კაცის ბედი—
სკვერი, გამზირი, ძველი წრიაპი,
უცხო ქალაქის ხედი.

ბოლოს სუყველა მავთულს ჰკიდია,
როგორც ფიტული ჩიტის.
ისვრიან.
სხვები ჩუმად მიდიან,
შენი ჯალათიც მიდის.

მიდიხარ, მიგაქვს ფიქრების აცმა,
ძალით ნაბიჯებს ითრევ.
რაღაც ხომ უნდა აკეთო კაცმა,
ვიდრე მოგძებნის, ვიდრე...

ტირი ყოფილა ცხოვრება მთელი,
მირბის...
        მირბიან...
                მოგვდევს...
გულზე დამადე პატარა ხელი,
ასე, ერთგულად მოვკვდეთ...

●

გამოეხეტა დაკარგული პირუტყვი ტყიდან,
გალოღნა ხავსი,
ვერ გაიხსნა შეკრული კრიჭა.

წამოწვა,
ქვებზე მოასვენა დაღლილი ფერდი,
ყელზე შებმული
დაიკლაკნა ნაწყვეტი ღვედის...

ფიქრში წასულა
შემოდგომის მუნჯი ტყე-ველი
და წვეთავს ცრემლი
პატრონისთვის შეუმჩნეველი.

ქარი

გადაამტერა ტოტები ტოტებს,
ხეები ხეებს, ფოთლები ფოთლებს.

დამტვრეულია ყველა კრამიტი,
ჩალენილია ფანჯარა ყველა.
შენ კი პატარა და მიამიტი
მუჭისოდენა ბუდეზე ღელავ.

მიყვარხარ! ისე სიცოცხლე არ ღირს,
თუ შენს თვალებში ვერ ვნახე დარდი.
მოინადირა და გზაზე ქარი
შურდულიანი ბიჭივით გარბის.

1973

წარწერა ნახატზე „უცნობი ქალი“

ტაძრის თაღები—აყვავებული
საგალობლების ღვთიური თასი,
გარეთ თოვლია, დღეა უქარო.
თქვენ გამოჩნდებით, შავი პირბადით,
ფერნამკრთალევი საღამო ხანზე
და გაიღვიძებს თეთრი უფალი.

გარეთ ტორტმანებს ლურჯი კარეტა,
თოვლში ცეკვავენ მკვირცხლი ცხენები,
ფრთოსნის ჭყივილი აფხიზლებს ბაღებს.
სადღაა თქვენი სული თავნება,
ან გარდაცვლილი კაცის ხსენება
ეხება ლოცვით დაქანცულ ბაგეს.

ჩამოჰკრავს ზარებს ბებერი მნათე,
ტაძრის ეზოში მიბმული ბაწრით
გარინდულია ცხვარი ბომბორა.
მიდიხართ, გარბის ლურჯი კარეტა,
გარბის კარეტა და ყველას თვალწინ
უფალის ღაწვზე ცრემლი მიგორავს.

ხვალ ყველაფერი საღამო ხანზე,
განმეორდება ისევ თავიდან—
კვლავ ილოცებენ ბაგენი ჩვილი.
ტაძარი არის გალობით სავსე
და თქვენი ნაზი ხელთათმანივით,
საკურთხეველთან ეცემა სხივი.

●

ჰაერში უცებ გაიყინა ფერადი ბურთი.
გაქრა ბავშვობა,
ხელისგულზე ცრემლებს ატოლებ.
კვლავ გავიხსენე სიხარულით შეშლილი ნუთი
და თავი ისევ შევახსენე შენს სიმარტოვეს.

ფანჯრის რაფაზე მორიალე ცრემლებს ეტირათ...
ახლა ზიხარ და შემოდგომის ნაბიჯებს ითვლი...
თუ გამიხსენებ,
გამიხსენე მუდამ კეთილად
შენი ნათელი მწუხარების ქალაქის მკვიდრი.

●

თქვენ სიჩუმეს და სიმყუდროვეს ნატრობთ,
გაწუხებთ:
შუაღამემდე მანქანების ხმაური,
ლაქლაქა მეზობელი,
უბინაო ნათესავი,
რომელიღაც სართულზე ჩართული მიმღები...
ზურგსუკან დგას დიდი სიჩუმე—
ის მოდის,
მოდის,
ქვაფენილებით,
ჭრელი ბაღებით,
საბურავებქვეშ ძვრება და მოდის...
სულერთია გაუღებთ თუ არა კარს,
ის მაინც შემოვა,
შემოვა და
მიწყნარდება თქვენს ირგვლივ ყოველი...
უსიტყვოდ დაუგეთ საწოლი ნათესავს,
მოთმინებით უსმინეთ მეზობელს,
მთელი ხმით იღრიალოს მიმღებმა.
თორემ ის აქ არის—
ზეაწეული ძლიერი ხელით,
რომელიც მზადაა
თქვენი სახის ბოლო მიმიკა
ჩასვას მუყაოს ცივ ჩარჩოში,
გაკრული ხელით მიაწეროს ბოლო თარიღი—
წელი,
თვე,
დღე...

კიბე

ოთხსაფეხურიანი კიბე...
პირველ საფეხურზე წვიმს.
მეორეზე წვიმს.
მესამეზე წვიმს.
მეოთხეზე
გოგო და ბიჭი
ზის...

დაცლიან კალათს ალუბლით სავსეს,
მოიცილებენ ნიკაპზე ლაქას.
გოგო—ოდესმე იფიქრებს სხვაზე,
ბიჭი—თავის გზას მონახავს, ალბათ.

ჯერ კი ტყაპუნობს ოთხი სანდალი,
მშობელი ტუქსავს აბეზარ თითებს...
და გულუბრყვილო წყვილის ტანტალი
გრძელდება,
ვიდრე
მოკლეა
კიბე...

სოფელი

ისევ იგივე:
დაზნექილი ლასტები ნივრით,
სხვენზე სურნელი შეყვითლებულ პიტნის და კამის.
რა შეიცვალა—ორკაპივით გამხდარი ქვრივი
ქოქოლას აყრის შემოდგომის არეულ ამინდს.

ღამდება ისევ,
გლეხკაცური დარდით და შურით,
დაობენ, სნუხან, მტკაველ მიწას ჯიუტად ყოფენ...
სასაფლაოდან დამშეული კივილი ტურის
შეაჟრიალებს მიყუჩებულ,
ნავახშმევ სოფელს.

●

გათქვარულია
სხეული წვიმით
და ერთწლიან ნამყენებში
ისე დავდივარ,
როგორც
ბაგაში
მომვლელი ქალი
ცეროდენა
საწოლებს
შუა.

●

ჩვეულებრივი, ოჯახური დრამა:
ტანსაცმელს აწყობს სახეშეშლილი მამა.

დედა ქვითინებს სამზარეულოს კარ̣თან.
კიდევ ერთია ოთახში ორის გარდა.

შესციებია ხელში ნაკბეჩი ვაშლი,
საბანში ძვრება გაოგნებული ბავშვი.

და ჩვილ გონებას ის, რაც ამ ღამეს ითქვა,
დაახსომდება დიდხანს, ძალიან დიდხანს...

გამელვიძება ფიქრით და სიზმრით დაღლილს,
მშვიდად სუნთქავენ მკვიდრნი პატარა სახლის.

წევს ნებიერად ჩემი სისხლი და ხორცი
და ბულულივით ჩამოშლილ თმაზე ვკოცნი...

იძინე ტკბილად, ჩემო პატარა პირმშო,
ფიქრი ფიქრია, ისე, უბრალოდ... ვშიშობ.

გალაკტიონი

„ამ ბნელი ღამით
ვიღაც დადის საქართველოში“.

1

აგვისტოს ათი.
დაფიქრება საყვარელ კაცზე.
მარტო ოთახში.
საუბარი საკუთარ თავთან.
წვიმის ნაჟური ყვავილების ფიალებს ავსებს,
სველდება ისიც, ვინც ამქვეყნად არავის ჰგავდა.

გაკიდულია ცაში წვიმის ვეება ზარი.
დარეკე!
ყველა სინანული გაზაფხულს დარჩა.
იქნებ მიიპყრო ყურადღება ჯიუტი მგზავრის,
ატეხილ ჭალას რომ მიარღვევს და მაინც არ ჩანს...

2

წაიღეს მთვარე და წვიმაში გალუმპულ ალვებს
უხმობს პროფილი, სევდიანი, უნაზეს ქალის.
და ხმა კითხულობს შორეული:
—დარეკე?
—მალე!
—დარეკე!
—მალე!
—მალე!
—მალე!
სად არის ქარი?!

სად არის ქარი, ცხენის ფლოქვით გადარეული,
წვიმის მათრახი...
ბროლის თასი...
შმაგი ჭენება.
სველ უნაგირზე აღმართულა შენი სხეული,
შორი ვერსალი,
კიპარისი და შეჩვენება...

3
მიაქვთ ზაფხული თვინიერ ხარებს,
მიასვენებენ ყვავილების მშვენიერ წარსულს.
და ხმა კითხულობს, შორეული:
—დარეკე?
—მალე!
—დარეკე, მალე!
მყუდროება არა და არ მსურს!...

მე არ მახსოვდა, „მქონდა იგი თუ მომაგონდა“...
არც შენ ძვირფასო, სახსოვარო დიდი ლოდინის,
ამოდიოდა მხოლოდ ქალი გაშლილ ბანქოდან
და ტორტმანებდა ქართლის ღამე მკერდზე ლოდივით.

4
პოეტის ჯვარცმა სხვა ნაღველი და იმედია,
პოეტის სისხლმა სანთელივით უნდა იალოს,
ვინც თავის ქერქში ვერ დაეტია
და გასულია ღამის გზებზე სახეტიალოდ...

სარკმლიდან

„გზაზე ფოთოლი განვება“

გიორგი ლეონიძე

უდაბურება შეღამების და მარტოობის.
ისმის ჩურჩული, სველ მიჯნაზე წვება ფოთოლი.

ან შენ სადა ხარ, ან წკრიალა ყელის მაქმანი,
დგახარ უძრავად, არც სურვილი, არც გასაქანი.

კენწეროებზე მუშტებივით შეკრულ ბუდეებს,
ოქროს დღეები ერთფეროვან ღამეს უთევენ.

დგას მორღვეული ეკლესია მხრების კანკალით,
ზეცას შეჰბღავის გულუბრყვილო, თეთრი ბატკანი.

იყუჩე წუთით, ახმაურდა წყალთან ნარიყი,
ნოემბერს მიჰყავს შემოდგომის ჭრელი ფარეხი,

ან შენ სადა ხარ, ან წკრიალა ყელის მაქმანი,
დგახარ უძრავად,
არც სურვილი,
არც გასაქანი.

●

გულხელდაკრეფილი ორი მოზარე
პირისპირ ვხვდებით.
მან კარგად იცის:
მიმალული, მეორე კაცი,
რიყის ქვას დინჯად ასველებს წყალში
და მუხლებშუა მოქცეულ ნაჯახს
გულდაგულ პირავს...

ჩემი სამძიმარი ნოემბრის ტყეებს...

მოხუცი პიანისტი

გადააცალა როიალს მტვერი,
კლავიატურის დაგრეხილ კიბეს,
ჩაუყვა ნელა, კანკალა ხელით:
დო-
    რე-
        მი-
            ფა-
                სოლ-
                    ლა-
                        სი...
გაიტრუნა და მოხრილი ჩრდილი
მიჰყვა კლავიშის ნებიერ ღელვას.
და იგრძნო,
გამხდარ თითებზე ფრთხილად
როგორ შეეხო მწყურვალი ბგერა.

1972

•

შენც გაიზრდები,
მხიარულო პატარა ბარტყო,
ფრთებს დაატოლებ ცას და
მერე დაგტოვებ მარტო.

—ჩე-მი სამ-შობ-ლო,
სა-ქარ-თვე-ლო,—
დამარცვლავ თითით
და მხრები შენი
დამძიმდება
ვეება ტვირთით.

პირმშოსადმი

ღამე, ყარყატი ეძახის დობილს,
მუცლითმეზღაპრე ჰყვება...
ქარი აწვალებს ღელეზე ბოგირს,
დედა დარდობს და დღვებავს.

საკვამურში თვლემს ბებერი სული
ან გარდასული ზამთრის,
გზა დაელოცოს გუშინდელ წუხილს,
გასახსენებლად არ ღირს.

მეტი არც მსურდა სხვა არაფერი—
ქოხი შეხსნილი კარით,
სადაც ილვრება მთვარის ნათელი—
შენი სიცოცხლის დარი...

მიაფრიალებს სიმღერა ყრმობის
ქარში პატარა პერანგს...
ღამე, ყარყატი ეძახის დობილს,
მუცლითმეზღაპრე ჰყვება...

•

აქეთკენ აღარ მომიხარია, პაპაჩემო,
ჩატეტკილი მახსოვრობიდან
გამოანათებ ხავერდოვანი,
ბებრულ სიცილით:
—მოხვედი, შვილო?
გაახარე შენი პაპაი?...

მთელი სიცოცხლე
კართან გისხდნენ მოვალეები,
ყალბ თამასუქებს გიფრიალებდნენ.

გადაუხადე ყველას თავის ღორობის წილი:
რუსთა ხელმწიფეს სისხლით და ხიშტით,
გერმანელ ფერმერს—
პირმსუქან და ქერა არიელს,
უპატიებდი დონდლო ცხენებს...

გახრჩობდა ბოლმა
ლაგამივით ამოდებული,
მაგრამ შენ მაინც
არარსებულ ვალებს იხდიდი...

ძლივს მოიცალე
გულზე ხელი რომ დაგეკრიფა...

აქეთკენ აღარ მომიხარია, პაპაჩემო—
შე დალოცვილო,

დაგეტოვა მცირე ნათელი
მემკვიდრეთათვის,
მტკაველ მიწას რომ ჩაფრენიან,
იღრინებიან,
როგორც მგლები გახლეჩილ მძორთან...

შენ ავადა ხარ,
ავადა ხარ, როგორც არასდროს,
ხელთ გიპყრია მტკივანი გული...
ნუ წამოდგები,
თვითონ...
მე თვითონ...
როცა იქნება, მოვაჩოჩებ გარანდულ საწოლს...

●

—საითკენ?—ვკითხე კოპშეკრულ მოხუცს,
მან გაიქნია ნაჯახი ტყისკენ...
გარეთ ღამეა. თვალებში ბოღმა,
ვზივარ და მწუხრის გოდებას ვისმენ.

—საითკენ?—აღარ მპასუხობს იგი.
სოფელს გადაღმა ითხრება მიწა...
ასე მგონია დრო აღარ მიდის...
აშალაშინებს დურგალი ფიცარს.

●

მეგობრის ხსოვნას

შენ მივიწყებულ სიმღერას ჰგავდი
დიდი ხნის წინათ სადღაც მოსმენილს.
წავიდა თოვლი, მოვიდა დარდი—
მუნჯი მოახლე შენი ოცნების.

შენ სიცოცხლეში ერთხელ იმღერე
(ო, რა ძნელია ერთხელ სიმღერა),
ნუ გაუწყრები ვისაც თბილ ხელებს
უწვდიდი, მაგრამ ვერ შეიფერა.

სხვაა წუხილი და სინანული
და აღტაცებაც სულ სხვა რამეა.
შენი სიცოცხლე, შენი წარსული
ერთი ვარსკვლავით სავსე ღამეა.

●

ვკითხულობ „მაკბეტს“...
იმტვრევიან ხეები ქარში.
სველი ჩრდილებით აწყდებიან ქუჩები კედლებს.
სამი კუდიანი
კუპრს ხარშავს ქვაბში
და ხორხოცობენ სისხლიანი ნადიმის შემდეგ.

ვკითხულობ „მაკბეტს“...
ორლესულის ნატეხი—მთვარე
ცივი ჟღრიალით ერკინება გარინდულ ქალაქს.
ავანსცენაზე კაცისმკვლელი, ავხორცი, მთვრალი,
მიაჩხრიალებს ადამისძის დაღმეჭილ ქალას...

გაქრა ნათელი,
ჩაქრა შუქი,
ჩაქრა სანათი,
რად იგვიანებს ტურის კერძი მსახური ამდენს...
ძველი წუხილი... ძველი დარდი...
ქალი... ღალატი...
ვკითხულობ „მაკბეტს“.

დაბადების დღე

წელი 1972,
9 მარტი, საათის 8.
კიბეზე თეთრხალათა ქალი ჩამორბის—
შენ დაიბადე.
მე ვერ ვიხსენებ იმ ქალის სახეს,
ვერც სველ ჯიხურთან ატუზულ დარაჯს,
სიგარეტზე რომ მომიკიდა...
და მე წავედი...
ზურგსუკან დარჩა თეთრი შენობა,
გაბრწყინებული სარკმლებით და თეთრი სვეტებით...
არ მიყვირია,
არც არავის გადავხვევივარ,
მივაბიჯებდი მარტოსული,
გაბრუებული ბედნიერებით—
შენ დაიბადე.
არ მახსოვს მაშინ რაზე ვფიქრობდი,
მხოლოდ ცახცახით ატანილი ჩემი სხეული
მიაბიჯებდა ძალიან ფრთხილად,
რომ არ დაეფრთხო
ქვეყანაზე პირველი ძილი.
მახსოვს ვილაცამ საათი მკითხა,
მე ვუპასუხე, შვილი მყავს-მეთქი...

წელი 1972, 9 მარტი, საათის 8.

ორი მოხუცი

რამ გაგახსენა ორი მოხუცი!
შოშიებივით შავით მოსილნი,
აივანზე ფარდაგებს ფენდნენ,
დაფუსფუსებდნენ
და ნაყვავილარ, სათნო სახეზე
ენთოთ ღიმილი,
ამოუცნობი და ნაღვლიანი...

ცხრამეტი წელი გავიდა უკვე,
რაც მათ საფლავებს ათოვს და ათოვს,
ცხრამეტი წელი გავიდა უკვე,
რაც მოიწყინა ეზომ და სახლმა,
გაყვითლებულმა ჭრელმა ფარდაგმა,
თონემ, ზანდუკმა,
სპილენძის ქვაბმა,
ნაჭრის ფლოსტებმა და საჩეჩელმა...
ეს ყველაფერი დრომ ჩაიბარა
თეატრალური რეკვიზიტივით...

სასაფლაო

ყველა აქ არის,
ამ გრილ ფერდობზე,
ნაზამთრალი და ძილგატეხილი,
მხრებში მოხრილი, გაწამებული,
მივიწყებული მოხუცები—პაპის პაპანი,
ყველა, ვინც წლობით კვალში ედგა
კავსა და სახნისს.
მივიწყებული ბებიები—უსინათლონი,
ცეცხლთან მორთხმული,
კეთილი და უილაჯონი...

ვფიქრობ და მტკივა
ეს პატარა ნაგლეჯი მიწის,
თითქოს საკუთარ სხეულზე ვდგავარ.

●

დადგება ზამთრის ტარტაროზი, პირქუში ღამე,
თოვლის სასთუმალს ამოუდებს მძინარე სოფელს,
ვილაც აუშვებს საკვამურში დამწყვდეულ ქარებს
და წელში მოდრეკს უილაჯო, წყლისპირა წნორებს.

გატკბება ცეცხლთან მცირე ტაბლა—
ყველი და პური,
ყარყარა სურა. ფანჯრის მიღმა თეთრდება შარა.
მძიმე ჩექმებით თოვლს მიარღვევს ობოლი გურა,
გომურისაკენ ეზიდება იღლიით ჩალას.

ხანდახან თოვლის ტოტს შეარხევს
შემკრთალი ჩიტი,
გადაფრინდება გაფიჩხული ფრთების სწორებით.
დაეუფლება ჩამქრალ ბინას დარდი და რინდი
იმ დიდთოვლობის,
იმ სიმღერის,
იმ მოგონების.

ენდშპილი

1

ჭადრაკის დაფა.
უილაჯო მეფე.
უთოფო ჯარისკაცი.
უცხენო ეტლი.
მამაცი ოფიცერი
სამსხვერპლოს ეძებს,
სისხლით დაჭორფლილა
ხელები მხედრის.

ღირსი თუ უღირსი,
მანამდე სუნთქავ,
ბებერი მეფე
დაიცვა უნდა.

და მიბორძიკობს
ცხოვრება ასე:
სხადასხვა მეფე
ოფიცერი,
და ერთი დაფა.
ცოცხლობენ,
ბოლოს სუყველა ავსებს
ამ ერთ დაფაზე
საერთო საფლავს.

—წინ! — ოფიცერი
ძაღლივით ყეფს და
დამფრთხალ პაიკთა
შეკრებას ცდილობს,
—წინ!—თორემ ხიშტი
დანესტრავს კეფას,
წინ, მეფისათვის,
წინ, ღორის ტილო...

მამაცი ოფიცერი
ირჯება მხოლოდ,
შუბლზე ასკდება
მტვრიანი ოფლი.
ჟღალულვაშიან
ამ ჭკუის კოლოფს
კახპა დედოფლის
ღიმილიც ყოფნის.

ღირსი თუ უღირსი,
მანამდე სუნთქავ
ბებერი მეფე
დაიცვა უნდა!

და მიბორძიკობს
პაიკი ასე,
მუჯლუგუნებით
მეფე „მამიკოსი“,
რა დროს ფიქრია
საკუთარ თავზე,

არის ნაბრძანები:
—პაიკო, წინ!

თუმცა გრძნობენ რომ
უაზრო სვლაა,
მაინც წინ მიდის
პაიკთა წყება,
ბედნიერება
ამათთვის სხვაა
ეგებ იპოვონ
სიკვდილში შვება.

ცხოვრება უნდა
სამსალით წერო,
იარე წინ და
იარე, კეპე!
შენ ვინა გკითხავს
საწყალო მწერო,
რამდენ საყვარელს
გაიჩენს მეფე.

ან დედოფალი
სათნო და ქერა
ვის სარეცელზე
მოიკლავს ნდომას.
შემოუჭირე
საჩქაროდ ღვედი
აბუყბუყებულ
ცარიელ სტომაქს.

ღირსი თუ ულირსი,
მანამდე სუნთქავ,

ბებერი მეფე
დაიცვა უნდა!

2
—რა ამბავია,
შეგვჭამა ქინქლამ,
სული ამოგვხდეს
ჭაობში ლამის...
—ჩვენში დარჩეს და
სიმართლე გითხრა,
მხოლოდ და მხოლოდ
სვლა დაგვრჩა სამი.

—ჩვენს ლენჩ ოფიცერს
მიეცი ბანქო
და საყურებლად
დედოფლის გავა...
ტაკიმასხარა
პაიკი ანგლობს:
—ბოლოს სუყველა
ერთ ყუთში ჩავალთ...

ცეცხლი ჩაუქროთ
ულაყმა შარდით,
ფრუტუნ-ფრუტუნით
გაუყვა ღამეს.
სამი პატარა
გუდურა დარდის
ზის და მასხარას
ბოთლიდან სვამენ.

—ისე პატარა
ხალხი ვართ ძმებო,
გაჭირვებამდე
ვერავინ გვამჩნევს,
მერე იცოცხლეთ,
მზად არის ქება
და ჩვენსკენ მეფეც
გამორბის მარჯვედ.

—დათვლილი არის
წუთები ჩვენი,—
ამბობს მეორე
და იცრემლება...
ტაკიმასხარას
გაუხმეს ენა:
—ხომ არ ჩავბარდეთ
ყველა მძევლებად?...

პირველმა მშვიდად
დაწრუპა ბოთლი,
მეორემ თითქოს
ჩამღერა ნაღველს:
—შემირცხვენია
ასეთი ყოფა,
იქით წაიქეც
საითაც წახველ...

3
დაიხურება
პატარა ყუთი,

არავინ დავობს,
არავინ ბორგავს,
არეულია
ოფიცრის შუბი,
მასხარას ძონძი,
დედოფლის ტოგა.

მეფის კისერზე
მასხარა ყვინთავს
(უცებ გასწორდა
სასწორის პინა),
ო, საოცრებავ,
დიდთავა ბიჭთან—
დედოფალს
მეფის პაიკთან სძინავს.

ოფიცერი კი
ეს მხნე რაინდი,
ჩახუტებული
შუბსა და ჰოროლს
აღარ გაჰყვირის:
—წინ მეფისათვის!—
აღარ იგრეხავს
ულვაშის ბოლოს...

მე მაინც მიყვარს
ამ აბდაუბდით
და სისულელით
სავსე კოლოფი,
თავის სიკეთით,

თავის აუგით,
სრა-სასახლით და
თაგვის სოროთი.

ავხდი ფრთხილად და
—ადგილზე!—ვიტყვი,—
დიდებულებო,
სალახანებო,
ლოთებო, ბილწნო,
ყველას დაგიტევთ
ეს უცნაური
სიზმრის სამეფო.

1971

•

აქ რომ ცხოვრობდა მაღალი კაცი
წვიმიან ღამით ინფარქტით მოკვდა.
ერთგულმა ძაღლმა იკბინა თათზე
და გააყრუა ყმუილით ოდა.

ცხედარს ეფინა სიმშვიდე სრული,
გაჭრილ საფლავთან ეყარა ხრეში.
ხალხს მიჰყვებოდი და მხდალი გული
რიყის ქვასავით გეჭირა ხელში.

ბაქანი

ფოთლებზე ბრწყინავს
გაზაფხულის ფერადი ცრემლი,
გზისპირ ჭალაში
მხიარული შაშვი ჭახჭახებს.
გაუტაციათ
ყვავილები ცაცხვის და თხმელის
ფუღუროებში
ჩასაფრებულ ფრთოსან ყაჩაღებს.

წვიმს გაზაფხული,
მსუბუქად,
მშვიდად,
შენი ბავშვობა
ახლომახლო ტყიდან მიკივის.
მწვანე სინათლე
სემაფორის მხრიდან აფრინდა
და აფართხალდა
სველ ფოთლებში შემკრთალ ჩიტივით.

ვდგავარ, ვსველდები
მხიარული ბავშვობის დარდით,
არ მწყინს სრულიად
არც ეს წვიმა, არც სიმარტოვე.
ვხედავ:
ჭალაში ბერიკაცი მოხრილი დადის
და თონისათვის ჩინჩხვარს აგროვებს.

●

ჩააქრეს ცეცხლი,
გადაიღეს კასრში ნახადი.
წვიმს...
შეახსენათ ფინაგენტმა
გადასახადი.

წავიდა გზაზე „აზიაცკზე“
წკეპლის ტკაპუნით.
წვანან ზაქები
ორღობეში ამოლაფული.

ომისშემდგომი შიმშილობა,
უამინდობა.
გადაავიწყდა თონის პურის
სუნი კიდობანს.

წყევლის მოხუცი
ომის მომგონს.
მიაგდო კარი.
კაცი ასწორებს
შურდულებით
დამტვრეულ კრამიტს.

მეზობლის გოგო ეფერება
ნაკუწს ბარხატის
და შეღამებას კენწეროდან უხმობს ყარყატი.

●

ახედავ ცას და დალოცავ ამინდს,
გადიფურცლება თოვლით ქუჩები.
გამოგაღვიძებს იანვრის ღამით,
თოვლის სიმღერა და გაყუჩდები.

შეხედე, მოდის და აღარ ქრება
თოვლის სინათლე,
ფიფქების ფარა,
გადარეული ყიჟინის ხმები
ჟრუანტელივით დაუვლის ქალაქს.

ნუ დააძინებ ამ ღამით ხსოვნას,
ნუ შეგაშფოთებს ქარის თარეში,
სიმღერის ნაცვლად სიმღერა მოვა
და შემოგხედავს დაღლილ თვალებში...

მოთოვს ცხადში და სიზმრებში მოთოვს,
გამოგაფხიზლებს სანდო ხელები,
მოგეჩვენება ეს თოვლი თოთო
ბავშვად და ფრთხილად მოეფერები.

მერე აიკლებს გარინდულ ქუჩებს,
ზამთრის ჭიხვინა, ზღაპრული რაში.
და დამძიმებულ კალენდრის ფურცლებს
დაფანტავს ჩავლილ დღეების ტაში.

●

„აღარ გადიღებს მგონი,
ღრუბელი მოსდევს ღრუბელს“—
ვსვამთ აჭრილ ღვინოს ორნი,
სამი შესრულდა უკვე.

რა ენაღვლება პატრონს,
ჩვენი აცდენა გზიდან—
„საქართველოში ამ დროს
შარშანაც ასე წვიმდა“...

1970

ნიჟარა

გამოიდარა,
გამოიდარა,
ტალღებზე წვება ბინდი ლანდივით.
ხელისგულივით ფეთქავს ნიჟარა
უცხო მიწიდან გამოტანილი.

ვწევარ სილაზე და მოჭუტული
თვალებით ვუმზერ მიმქრალ სინათლეს.
შორს ერთადერთი მოჩანს კუნძული
სადაც ნიჟარავ შენ დაიბადე.

●

მარადისობა—დეზიანი, ურცხვი მამალი,
დედამიწაზე,
როგორც გაშლილ პურის საფენზე,
ამაყად დგას და
გულდაგულ კენკავს მარცვალივით ადამიანებს...
კაცი არა ჩანს
რომ დააფრთხოს
ან სხვა ეზოში გადააფრინოს.

●

შენი ლტოლვაა ეს ბალახი, შენი სულია,
მაინც მიწა რომ ეწევა ქვემოთ,
და თუ ყველაფერს ქვეყანაზე დასასრული აქვს,
მაშინ შენს ლტოლვას რა დავარქვა, კეთილო ჩემო.

ბალახს მზე უყვარს, ცა ატყუებს, მაინც ახარებს,
ბოლოს ეცემა დაღლილი ფრენით.
მაშინ რა არის ქვეყანაზე უფრო მაღალი,
ვიდრე შეიგრძნო ფესვები შენი.

მაშინ რა არის ქვეყანაზე უფრო ნათელი,
უფრო წმინდა და შეუბღალავი,
რატომ დავტირით, როცა ვნახავთ ბალახს გათელილს—
კმაყოფილია ვინმე ფრენით?—ალბათ, არავინ.

შენი ლტოლვაა ეს ბალახი, შენი სულია,
მაინც მიწა რომ ეწევა ქვემოთ.
და თუ ყველაფერს ქვეყანაზე დასასრული აქვს,
მაშინ შენს ლტოლვას რა დავარქვა, კეთილო ჩემო.

●

სცრის. გადადიან ღრუბლები რუხი,
მინდორში ელავს თვალები მწევრის.
მზეწვია კვდება ფოთოლზე უხმოდ
და უკანასკნელ გაფრენას სწყევლის.

მზეს უგალობდა! სადა ხარ მზეო!
(მზეს არ აწუხებს პატარა წყლული)...
და ბუმბულივით მიფრინავს ზემოთ
ამოხდენილი მზეწვიას სული.

●

ქარია. მაინც ლამაზი დღეა,
დაცოცავს ზეცის შემკრთალი ლანდი.
სარკმელთან ბევრი შრიალა ხეა,
ყველა ხე დგას და ყველა ხე დადის.

კაფეში ხალხი საუბრობს ომზე
(რომ ეს ცხოვრებაც ბრძოლაა, ბრძოლა),
ჩვენ კი—პატარა ჭადრის ფოთოლზე,
გამვლელის ფეხმა რომ გაიყოლა.

ბალახი

—ბალახს მხოლოდ მზე ენატრება,
ბალახი მაინც ბალახია სიკვდილის დღემდე.
ბალახი ისე უცნაურად კვდება,
ბალახი ისე უცნაურად ეძებს...
ბალახს სისხლი არ გამოსდის
მოთიბვის შემდეგ!
—მე ბალახი ვარ!

●

ბაბუაწვერას აფრიალებს ქარი და ჩუმი
სრიალით გარბის ბალახებში პირბასრი ცელი.
ხეებს აგრილებს შეღამების წყნარი ლამუნი,
ჩემს დაღლილ მკლავებს
დაფენილი მიმწუხრი შველის.

მდინარის პირას გაწოლილა გზა-შარა სოფლის,
მოვდივარ შენსკენ,
გარშემო დგას მთლად საქართველო.
მომაქვს სურნელი ბალახის და ხვიარას ფოთლის,
გეხვევი ჩემი სახლის დედას, ჭერის ანგელოზს.

1969

ძაღლი

წევს სევდიანი და უწყინარი,
გადასცვეთია ყელზე საყელო.
ცრემლით დალიბრულ თვალში ბრწყინავენ
დღეები მუნჯი და უსახელო.

სოფელში უკვე აქრობენ შუქებს,
მიაყურადა, სძინავს ქვეყანას.
და გადის ღამე ეზოში უხმოდ
ძაღლურ დარდში და დაუყეფავად.

წვეთი

შენ დაიბადე სამყურა ბალახზე,
შენ დაიბადე დიდ მინდორზე
პატარა წვეთი
და დაელოდე მზის ამოსვლას.
მაგრამ მოვიდა ბებერი ხარი
და ხორკლიანი ენით აგლოკა.
სხვა არაფერი მომხდარა მეტი—
მზე ამოვიდა,
შენ კი,
შენ კი,
პატარა წვეთი,
ბებერი ხარის ენამ აგლოკა.

●

შენ თუ არ მოხვალ, კვლავ მოვა ეჭვი,
ყველა მართალზე მკაცრი და მძიმე.
შენ თუ არ მოხვალ, კვლავ მოვა ეჭვი
და წარიტაცებს პატარა იმედს.

შენ თუ არ მოხვალ... თუმცა ვინ იცის,
ვინ იცის, იქნებ მოხვიდე ბოლოს
და გააყოლო უმტვერო სიცილს
ღია სარკმლიდან ეჭვების ბოლი.

●

ჩვენ დავიბადეთ განთიადისას,
როგორც უმწეო წვეთები ფოთლის,
ჩვენ დავიბადეთ, მაგრამ ვერაფრით
ვერ გავიხსენეთ: რა მოხდა, როდის,
ჩააქრეს შუქი და სიბნელეში
გზას მივიკვლევდით ხელის ცეცებით,
და ამ ლტოლვაში ბევრჯერ გავწირეთ
ჩიტის ბარტყი და მერცხლის კვერცხები.

ჩვენ თავიდანვე ერთმანეთს ვგავდით
და სიბნელეში დავცილდით როცა,
სახე გვეცვალა, დედა ფოთოლზე
სხვადასხვა მხარეს დავიწყეთ ცოცვა.

დღეს ადამიანს შველა სჭირდება,
შენც თუ იცი და შენც თუ გაწუხებს,
ერთად წკრიალებს ყველა ყურმილი,
გაბედე,
მიდი და უპასუხე.

კაცი

მზის ქვეშ ყველაზე მაღალი ჩანდა,
არ აშინებდა გაქრობის შიში,
წამოეწია აღმართზე დაღლა,
კაცი დასძლია სიმძიმემ მიწის.
დაპატარავდა,
დაპატარავდა
და დაიკარგა სამყურას ჩრდილში.

●

შემოიარე, მხოლოდ წუთით, რომ სუნთქვა შენი
ისევ შეიგრძნონ ჩემი სახლის თეთრმა კედლებმა.
შემოიარე მხოლოდ წუთით.
მაღალ ლარნაკში
მოუწყენიათ მინდვრის ყვავილებს.
შემოიარე!
თოვლივით სუფთა
სული დატოვე და წადი მერე.
აქ ნუ დარჩები,
მხოლოდ წუთით შემოიარე...

მე გავაბოლებ მშვიდად პაპიროსს,
ჭკვიან თვალებში გაკოცებ და
კვლავ გაგახსენებ:
წვიმიან ღამეს მეტყევის ქოხში,
მრისხანე და უჟმურმა კაცმა,
ირმის ტყავი დაგვიგო ტახტზე...
დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუსმენდით
წვეთების ხმაურს ყვითელ ყავარზე...
იქვე კუთხეში, ძველი მეტყევე
სთვლემდა და მშვიდად ახვევდა თუთუნს...

შემოიარე, მხოლოდ წუთით, რომ სუნთქვა შენი
ისევ შეიგრძნონ ჩემი სახლის თეთრმა კედლებმა.
შემოიარე,
ხანძარივით მოედე ოთახს
და გამახსენე,
მოღუშული ძველი მეტყევე,
ირმის ტყავი რომ დაგვიგო ტახტზე...

შემოიარე, მხოლოდ წუთით, რომ სუნთქვა შენი
ისევ აფეთქდეს ყვავილებად მაღალ ლარნაკში.

●

ბავშვები ხშირად თამაშობენ დამალობანას,—
იხუჭებიან
და არასდროს არა ტყუიან.
ხელისგულებში მალავენ თვალებს,
თვალებს, რომლებიც
ეშმაკებით სავსე აქვთ მუდამ.
გაიზრდებიან
და ვინ იცის,
ვინ იცის მერე,
მერე რამდენჯერ დახუჭავენ
ტყუილად თვალებს.

●

როცა პაპა ბრუნდებოდა სათიბიდან,
სათონეზე დაჰკიდებდა ცელს,
ცარგვალს ოქროს ნაფოტივით გადივლიდა
შორს, ყანებში ჩაფრენილი მზე.

დაჯდებოდა სამფეხაზე დაღლილი და
თივის სუნი ასდიოდა ხელს—
როცა პაპა ბრუნდებოდა სათიბიდან...
წავიდა და ვერ დაბრუნდა დღეს.

1968

ხიდი

ქარში ირწევა პატარა ხიდი
და უხმაუროდ გადარბის მთვარე.
გზა არეული ნაბიჯით მიდის
და უერთდება საყვარელ თვალებს.

და უერთდება,
მოლოდინს დედის,
მოლოდინს მამის,
მოლოდინს ძმების.
შორს ირწევიან მაღალი მთები,
როგორც ურმებზე შემდგარი ძნები,

უკან დარჩება ბუტბუტა ღელე,
ეს ნაბიჯებიც ქურდულად წავლენ.
გზა შემახვედრებს
საყვარელ ხელებს,
გზა შემახვედრებს
საყვარელ თვალებს.

მერე დავწვები საკუთარ ჭერქვეშ,
ბედნიერი და ძალიან მშვიდი.
და ზმანებაში გაკრთება ბევრჯერ,
დიდი ღამე და პატარა ხიდი.

●

ქარი ადგება
ამაღამ ხვნეშით
და ააბოლებს
მწვანე სათიბებს.
მერე სამსხვერპლოს ამოირჩევს
უეცრად მეხი
და შუაცეცხლი
ავარდება
ხოდაბუნს ზემოთ...
მოიმარჯვებენ
ხელში სამთითებს
და ველურ როკვას
დაიწყებენ
ხეები ტყეში—
ცეცხლის გარშემო.

შემოდგომის ფრაგმენტი

მამაპაპური ეზო და თავხე
სავსეა წვიმით თიხის ქოთანი.
მთვარის ნალევი უგდიათ ხარებს
და დამშეული მზერით ლოკავენ.

ძველ სათონეში აბოლდა ფიჩხი.
სკამის ფეხებთან კრუტუნებს კატა.
ზის ფანჯარასთან გამხდარი ბიჭი
და გაყვითლებულ ხეივანს ხატავს.

●

გაიჭრიალა ურემის თვალმა,
მწიფობის სუნი დაენთოთ ყანებს.
აპეურები დაწყვიტა ხარმა
და აუქნია ცალი რქა მთვარეს...

მთვარე ტაატით მიჰყავდა ღრუბელს,
ხარს არაფერი არ დარჩა მეტი—
მიუტრიალდა დაცემულ უღელს
და კვლავ მორჩილად შეუდგა ქედი.

●

აკენკეს ერთი მუჭა სიკეთე
და წამოფრინდნენ ფრთების ცახცახით.
თოვლის ფურცელზე
აბსტრაქტული ნახატებივით
დარჩა ჩიტების ნაფეხურები,
როგორც კომპასის წვრილი ისრები
მიმართულები სხვადასხვა მხარეს.

ზამთრისპირი

თოვს და ჩიტის ხმა სწყურია ბუდეს,
თოვს და თვალები ნატრობენ მწვანეს.
ბერიკაცები აღრჩობენ თუთუნს
და მოგონებებს ბუხარში სწვავენ.

სწუხან, რომ უკვე დაქანდნენ წლები,
რომ ირგვლივ სულ სხვა ქარები ქრიან...
მერე მიდიან დაღლილნი თვლემით
და ხის სამფეხა სკამები მიაქვთ.

1967

•

ხეზე ჰკიდებდა შოშიას ბუდეს
მზეზე დამწვარი პატარა ბავშვი
და მაყვლის წვენით გათხუპნულ უბეს
აფრიალებდა ფეხადგმულ ქარში.

სადღაც უსტვენდნენ ღამეს ბიჭები
და ღამე იყო შოშიას მსგავსი.
და დიდი კაცის მხნე ნაბიჯებით
მიაბიჯებდა შარაზე ბავშვი.

●

შუაღამეში მიირწევა საძნე ურემი,
სწორედ ისეთი, რომ უყვარდა ჩხიკვაანთ ვანეს
(და პაპაჩემზე საუბრობენ ჩვენებურები—
თივის სურნელით ივსება ღამე).

—ვაჟკაცი იყო. მთელ კირბალში იმის კამეჩებს
ტოლი არ ჰყავდათ,
არც მელექსე იყო ურიგო...
სარკმელი ხელში მოხრილ მთვარეს შემომაჩეჩებს,
რომ ავავსო და ბერიკაცებს ჩამოვურიგო.

●

წყალს მისდგომია ნაპირთან
შეყვარებული შველი,
ალბათ სიყვარულს დაჰპირდა
მოუსვენარი მთვარე.

ჩემს მხარეზე ღამეს გაათევს
პეპელა—შენი ხელი,
მერე ცისკარი აანთებს
ზეცის ულურჯეს თვალებს.

მოიქცევიან წვიმები,
მოიქცევიან წყლები
და მცირე თავდავიწყება
გადარეული ნლების.

ჯერ კი მზე მღერის ალვიდან,
მზე მზე არის და მზეობს,
აპრილით სავსე ბაღიდან
საით წახვედი, თეო!

●

ალვის ხეები წამოზრდილ ჩრდილებს
ანკესებივით ჰკიდებენ წყალში.
დღე იგრძნობს
ღამის ნაცნობ სიმძიმეს
და წყლისპირიდან დააფრთხობს ბავშვებს.

თიხის კაცებთან დარჩება ღამე,
ფორიაქით და ჯაფით დაღლილი,
გაწვება დამცხრალ ტალღებზე წამით
და გაიგრილებს სხეულს აპრილი...

გათენდება და კვლავ ცხელ შუადღეს
ცა თაბახივით შეიდგამს თავზე
და გარიჟრაჟზე არა უადრეს
ალვა ამოსწევს ჩაკიდულ ანკესს.

●

რობერტ ჭილაძეს

თვალს მჭრიდა წყლის და სხივთა ლივლივი,
ვხსნიდი მეგობრის მოძღვნილ პორტსიგარს.
და ლურჯი გემის ცივი კივილი
მიმაქროლებდა სადღაც, პორტიდან.

ამოდიოდა გემბანზე ტალღა,
მასპინძელივით გულუხვი ძღვენით,
ძირს მუსტანგივით ღელავდა ზღვა და
მუსტანგერივით ხედნიდა გემი...

მე კვლავ ვიღებდი ნაცნობ პორტსიგარს
და უდარდელი კაცის იერით,
ისევ ვფანტავდი ფიქრებს პორტს იქით,
ჩემზე დიდებს და ჩემზე ხნიერებს.

1966

●

ოცნებასავით გაქრა, გაიპარა,
ტკბილად მოსაგონი დრო.
ამ გოგომ ისეთი ტანი აიყარა,
ისეთი კენარი, რომ...

ჩემო მაისებო,
თეთრო მაისებო,
ატმის გაფოთქილო რტოვ,
იქნებ გაიხსენოთ,
იქნებ გაიხსენოთ,
როგორ გაიპარა დრო!

სულში ოცნებების სითბო ჩაიღვარა,
და ტკბილ მონატრებას ქსოვს...
მისი ბრალია,
ტანი აიყარა,
ისეთი, ისეთი, რომ...

●

აღარ შეწყდება ამაღამ თოვა,
ვეება გორებს დადგამს დილამდე,
შუაღამისას ვიღაცა მოვა
და ქალაქს უცებ გააჩირაღდნებს.

მეც გავიხსენებ შერთვილულ რტოებს,
ციცქნა ჩიტებად ჩამომსხდარ ფიფქებს.
მერე ჩვენს ცაცხვთან ჩურჩულით მოვალ—
შენ?.. შენც დაბრუნდე, ძვირფასო, იქნებ.

ჩამობერდება ჩემს თვალწინ ქუჩა
აფრინდებიან ცაში გუნდები.
და ერთხელ უკვე ნასროლი გუნდა
მსროლელს არასდროს დაუბრუნდება.

მიეხატება სარკმელზე მთვარე,
ადღეგრძელებენ სადღაც წინაპრებს.
ჩემთანაც მოვა ახალწლის ღამე
და ფანჯრებს თეთრად მოამინანქრებს.

გუნდებისაგან გახაზულ ზოლებს,
გამოვადევნებ მზერას და ფიქრებს.
მე წარსულისთვის დავბრუნდი მხოლოდ,
შენც დაუბრუნდე, იმ წარსულს, იქნებ.

●

ისევ მხვდებიან,
ისევ მხვდებიან,
გზები მშრალი და
გზები ნაწვიმი.
ჩვენი დღეები
ისევ ჰყვებიან,
როგორ შევხვდით და
როგორ დავცილდით...

ისევ მხვდებიან.
ეჰ, რამდენია,
გზები მშრალი და
გზები ნაწვიმი.

პოეტი გაზაფხულებს დაელოდება

სანამ რედაქტორი მირჩევს, მეც გადავწყვეტ, რაიმე დავწერო ამ პატარა, მართლაც ხელისგულისოდენა წიგნზე – "გაზაფხულია, მარიამ!" ან იქნებ წიგნის ავტორზე, ვანო ჩხიკვაძეზე, პოეტზე, პროზაიკოსზე, ადამიანზე მეთქვა თუნდაც იმდენი, რომ მომეტებული უხერხული მოკრძალება, რითაც გამოირჩევა ყველა დანარჩენებისაგან, მკითხველისთვისაც საგრძნობი გამხდარიყო.

ახლაც, ამ წიგნს რომ მოიტანს რედაქციაში, თითქოს გებოდიშებაო, ისე გაწვდის.

დავხედავ წარწერას და მეღიმება. ვეუბნები, უკვე რამდენი წელია მსგავსი წარწერით რომ მიძღვნი წიგნებს-მეთქი.

* * *

ფიქრი სამათეულ წელზე მეტი ხნით უკან მაბრუნებს, ჩვენს წარსულში, როცა გამომცემლობების თუ რედაქციების ჯადოსნური კარები ჯერაც არ შეგვიღია. უნივერ-

 სიტეტის სტუდენტები კი ვართ, ოღონდ მხოლოდ ჩვენთვის დაწერილი ლექსები საგულდაგულოდ გვაქვს გადამალული, დაფლული. ოცნებაში თუ გავბედავთ რომელიმე რედაქციაში მიტანას. არადა, თითქმის ყველა რედაქცია ვიცით სადაცაა, თვალი და ყურიც იქითა გვაქვს, შემსვლელ-გამომსვლელს ხარბად ვაკვირდებით და შევნატრით მათ, უკვე დაბეჭდილებს, "ცნობილებს".

ყველაზე საოცნებო რედაქცია მაშინდელ პლეხანოვის ქუჩაზეა. არა აქვს მნიშვნელობა ამ შენობაში ვინ შედის, ან იქიდან ვინ გამოდის, ყველა პოეტი, მწერალი გვგონია. თვითონაც ხშირად ავუვლ-ჩავუვლით ამ სახლს, შესვლას კი მაინც ჯერ ვერ ვბედავთ.

ერთხელაც, ვხედავ, ახალგაზრდა, ლამაზი ჭაბუკი გამოდის შენობიდან. თეთრი პერანგი აცვია, თვალებში სიხარული ჩასდგომია, ქუჩას გაბრწყინებული გადაკვეთს და ხალხს შეერევა. რატომღაც გულმა მიგრძნო, რომ პოეტი უნდა ყოფილიყო. თან ისეთი ბედნიერება ეწერა სახეზე, ალბათ ლექსები მოუწონეს და დაბეჭდვასაც შეჰპირდნენ. ჩემთვის ასე დავასკვენი.

... უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრის თავყრილობები იმართება. თუ არ ვცდები, სამშაბათობით, 93-ე აუდიტორიაში. იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა. ახალგაზრდა ორატორები თავდაჯერებულნი ადიან კათედრაზე, ან განსახილველ დამწყებ პოეტს თუ პროზაიკოსს მოძღვრავენ, ან ერთმანეთს ეკამათებიან, მსჯელობენ, ქილიკობენ, სიტყვას იჩვევენ; აუდიტორიას, მსმენელს ეჩვევიან.

ჯერჯერობით გული არ მიმიწევს მათკენ. მეუხერხულება. ჩემთვის მირჩევნია შორიდან თვალის მიდევნება, სანამ ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილი არ ჩამაცივდება და თითქმის ძალით ერთ-ერთ სხდომაზე ლექსებს არ გამატანინებს. იძულებული ვარ დავესწრო. და აი, სხდომას ხსნის მაშინდელი მწერალთა წრის თავმჯდომარე, ახალგაზრდა პოეტი ვანო ჩხიკვაძე. ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს. სწორედ ის ჭაბუკია, ამ ცოტა ხნის წინათ "ცისკრის" რედაქციიდან ფრთაშესხმული რომ გამოვიდა.

* * *

უცნაურად აეწყობა ხოლმე ადამიანის ცხოვრება. რაღაც შემთხვევითი ერთი პატარა ცხოვრებისეული ფრაგმენტი, მთელი სიცოცხლის განმსაზღვრელი ხდება, მისი აუცილებელი ნაწილი, ბიოგრაფიის განუყოფელი შტრიხი. და ველარც კი იხსენებ მერე, წლების შუაგულში, როდიდან გახდა ის უცნობი, შენთვის ძალიან ახლობელი, ძვირფასი ადამიანი და საყვარელი პოეტი.

... წლები კი გადის. რაღაც მკვეთრად ცვლის ადამიანის ბედს. დაკანონებული არაფერია, ბედისწერა თუ კანონზომიერება განსაზღვრავს თითქმის ყველაფერს. ყოველშემთხვევაში, ასე გეჩვენება, როცა თვალს გადაავლებ წარსულს.

ხშირად ადამიანის ცხოვრება ზღვას ემსგავსება, მასავით ყოველწამიერად იცვლება, ღელავს, მშვიდდება. სადღაც სიღრმეში კი კვლავ არც კი იცი, რა ქარიშხლები გვრგვინავენ და ვიდრე ნაპირამდე მოაღწევდეს, ვერ იგრძნობ რას გიმზადებს მომავალი... ულმობელობაც ბევ-

 რია ცხოვრების ზღვის უკიდეგანობაში და მშვენიერი წამებიც. მაგრამ ყველაფერს მაინც მოულოდნელობები ანგრევენ ან აწონასწორებენ, გამართლებაც მხოლოდ მათშია.

ნაპირთან ტალღის ყოველწამიერ მოახლოებასავითაა რაღაცის გახსენება. თითქოს უსასრულობიდან მომავალი ფიქრი შრიალით თუ ჩურჩულით ეხლება ნაპირს, ისვენებს, წუთით ყუჩდება და უნდა მოასწრო ამ ერთ წამში იმის გახსენება, რაც ყველაზე ძვირფასია...

მახსენდება ვანო ოჯახში, მირცხულავას ქუჩაზე, დიდუბეში. უკვე ბაადური ჰყავს. პირმშო, მისი პირველი სიყვარული. ახალი გადმოსულები არიან ამ სახლში. მანამდე კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, სად და სად აღარ.

ესენი პირველ სართულზე, ბოლოსკენ, მეცხრეზე კი თედო ბექიშვილის ოჯახია. ამ დროიდან იწყება უმეტესად ჩვენი დაახლოებაც. თედოსთან როცა მივდივარ, ამათაც შევუვლი ხოლმე. ბაადური ულამაზესი ბიჭუნაა, პატარა მზეჭაბუკი. ცოცხალი, არტისტული ბუნების. ვანო კი განუმეორებელი მამა. შვილს ისე ზრდის, ეშინია სიზმარმაც კი არ შეაშფოთოს, ბავშვის უჩვეულოდ მშვენიერ სახეზე ჩრდილსაც კი ეფერება, თვალებში შეჰყურებს.

ბაადურს სპექტაკლი გაუმართავს. თედოს გოგონებიც აქ არიან. ბიჭი რეჟისორია, სცენას აწყობს, თოჯინები გამოჰყავს, ათამაშებს. ხალისობენ ბავშვები. იქვე იკვეთება მათი მომავალი მისწრაფებები თუ გატაცება. ბავშვობაშივე ირჩევენ პროფესიას, რაც შემდეგ, როცა გაიზრდებიან მეტწილად მართლდება.

ბაადური შემდეგ სწორედ სამსახიობო ხელოვნებას ამოირჩევს. თეატრალურ ინსტიტუტში აბარებს. ახლა ახმეტელის სახელობის თეატრის მსახიობია. უკვე თვითონაც ორი ქალიშვილის მამაა...

წარსული კი თითქოს სადღაც ქრება, მხოლოდ ფიქრებში, მოგონებებშიღა არსებობს. მერე იტყვის ვანო, ანუ ახლახან, "ჩვენს მწერლობაში" დაბეჭდილ ინტერვიუში, ნინო დეკანოიძესთან საუბრისას, რომ უფროსმა ბიჭმა მოთხრობების კრებული "ორი კაცი" დამაწერინაო; უმცროსებმა (ვანიკომ და ლექსომ) საბავშვო ლექსების წიგნი მაჩუქესო.

ჯერ იმ მოთხრობების კრებულისეულ მოგონებებს გავყვეთ, ამ ინტერვიუს კი ბოლოსკენ მივუბრუნდებით...

* * *

როგორც ჩემს რედაქტორს უყვარს ხოლმე თქმა, ჩვენი რედაქციის მრავალფეროვანი განხილვების, შეხვედრების, მხატვართა გამოფენების გახსნის დროს, ის წლები "ლიტერატურული საქართველოს" ოქროს ხანაა – ვახტანგ ჭელიძისეული გაზეთის, თამაზ ბიბილურიც რომ გვერდით ჰყავს, ერთგული, უაღრესად ნიჭიერი და ალღოიანი პიროვნება და მწერალი. ორივენი იმგვარად იცავენ გაზეთის ღირსებას, რომ, არამგონია კეთილგონიერ ადამიანს იმ პერიოდის სალიტერატურო გაზეთზე აუგი დასცდეს.

ვანოც ჩვენი "ოჯახის" წევრია. ახლობელი ადამიანი, სასურველი ავტორი. თამაზთან და თედოსთან მეგობრობს, ყველას გვიყვარს. კარგი პოეტია, ნამდვილი ლირიკოსი, ფაქიზი, გულწრფელი. ერთ მშვენიერ დღესაც რედაქცია-

 ში მოთხრობები მოაქვს. გაოცებული ვრჩები, მაგრამ ჩემს ეჭვებს არ ვახმოვანებ. ველოდები მკაცრი და სამართლიანი რედაქტორის და მისი მოადგილის დასტურს. ისინი მოთხრობებს გაცნობის უმალ ბეჭდავენ. მეც ვკითხულობ. მომწონს. ლექსისეული სიფაქიზე უხდება ვანოს მოთხრობებს, პროზის სამყაროც რაღაც გამჭვირვალეა, სინათლით სავსე, აუმღვრეველი, კარგად გაწყობილი დიალოგებით, სადა, ძარღვიანი ქართულით.

ვანოს ერთი ხანობა ლექსები "ავიწყდება". მთლიანად პროზის ვრცელი სამყარო ითრევს და ეუფლება. გული მწყდება. მეჩვენება, ლექსს აღარც კი დაწერს. არადა, მშვენიერი ლექსები აქვს, არაერთი პოეტური კრებულის ავტორიცაა. სულ ახლახანს მისი "დეკემბერი, დეკემბერი" ისე მოერგო ქართულ ესტრადას, რომ უკვე ძნელად თუ წარმოიდგენ დაზამთრებას ამ სიმღერის გარეშე. როგორც გაზაფხულის დადგომისთანავე მურმან ლებანიძის ლექსზე დაწერილი ("გაზაფხული შემოსულა, ლენ!") სიმღერა შეგვახსენებს თავს და მის მშვენიერ სტრიქონებს ჩვენც სულს და ოცნებას ავადევნებთ, და რომ არა ეს სიმღერა, გაზაფხული თითქოს ხიბლსაც კი დაკარგავდა.

მაგრამ თურმე ვცდებოდი. წლების მერე, როცა კვლავ გაიხსენებს ძველ სიყვარულს და ლექსებს დაბეჭდავს, აღმოჩნდება, რომ პროზის პერიოდის წლებშიც უწერია ლექსები (ვანოს ხომ დათარიღება უყვარს).

დღეს კი ეჭვიც არავის ეპარება, რომ ისეთივე საინტერესო პროზაიკოსია, როგორც პოეტი.

* * *

ალბათ ჭეშმარიტების დიდი წილი დევს ამგვარ გამონათქვამში – ცხოვრებაში გაცილებით მეტია ჩრდილი, ვიდრე სინათლეო. ასეთი პერიოდიც ხომ დგება. თითქოს

ყველა და ყველაფერი ჩრდილით იფარება. აღარც დღეები ჩანან, აღარც წლები, არც ადამიანები. დროებით სიბრმავეში ინთქმება ყოველივე. როგორც ნისლიდან გამოუღწეველი კონტურის, სინათლის დანახვაც იმგვარად ჭირს. თითქოს ყველანი ნისლში ვუჩინარდებით. ბურუსს დაუფარავს ქვეყანა და გვიჭირს ერთმანეთის მიგნება. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ნათელს, რომ გაფანტოს დროებითი უკუნი და მშველელივით გამოაღწიოს მზის სხივმა. მოლოდინი გრძელდება... სიბნელეს ეგუება თვალი, გული კი არ ეგუება. შფოთავს, წუხს, თავისავე შემოსაზღვრულ კედლებს აწყდება. ტკივილით ფარავს ყველაფერს: გაუსაძლის ყოფას, მომავლის შიშს, სიცივეს, სიბნელეს... ოცნებაც თითქოს გვიკვდება. აღარაფრისთვის გვყოფნის მისი ერთ დროს ჯადოსნური ფრთები, ველარაფერს სწვდება... საღღაც სულის სიღრმეში მონატრება იმედივით იღვიძებს და სევდასაც თან მოიყოლებს. ახლა ბურუსში სევდიანები დავფარფატებთ თუ დავბოგინობთ, ყველა და ყველაფერი გვეცოდება, მათ შორის საკუთარი თავიც. და უცებ: ნეტავ ახლა სად არის, როგორაა, ნუთუ იმასაც ასევე უჭირს?

რამდენჯერ გამხსენებია ამ ათი წლის მანძილზე ვანო, თვალს მოფარებული, თითქოს ცხრა მთას იქით გადაკარგული. არადა, რარიგად ძნელია, როცა ახლობელზე წლების მანძილზე აღარაფერი იცი. გეჩვენება, ფიქრითაც კი შეძლებდი მის შველას, არათუ ნახვით. სულ ახლახან ასეთი წლებიც გვედგა.

ორი თუ სამი წელია, რაც გაარღვია ვანომ ეს ბურუსი და ისევ დაგვიბრუნდა, ჩამოვიდა იმ "ცხრა მთას იქიდან", მაშინ რომ გვეჩვენებოდა. ჩამოვიდა გორიდან და ჩვენი,

 მისი მეგობრების ცხოვრების მორღვეულ ღობეს თითქოს ბიჯგი შეუდგა, ერთი სიცარიელე ამოავსო. არაფერი მიკითხავს. არაფერი გვიკითხავს ერთმანეთისთვის. ისედაც ყველას ყველაფერი ხომ ზედ ეწერა. დღესასწაულიდან არავინ დავბრუნებულვართ, დღესასწაულები უკვე დაგვავიწყდა. ახლა რაღაც არასასურველი ყოფიდან თუ გამოვაღწევინებთ ჩვენივე თავს.

შეცვლილი კი მეჩვენა. დაღლილი. სევდიანი. მომეტებულად ხალისიანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა ის თავისი წილი ხალისიც სადღაც მიუგდია, ქვა-ღორღი მიუყრია იმისთვის, იმ თავისი წილი ადრინდელი ხალისისთვის და ცარიელი ფიქრი და ტკივილიღა დაუნარჩუნებია. რა გვექნა. შევეგუეთ მეგობრის ამგვარ ფერისცვალებას. მითუფრო, რომ არც ჩვენ დავხვედრივართ ზეიმში მყოფები, დალხენილ-დამშვიდებულები. ყველას ჩვენ-ჩვენი წილი ეკლები გვიჩხვლეტდა სულს.

მერე იყო, რომ იავადმყოფა. გამორჩა. გამომჯობინდა. იმდენად მაინც, თვეში ერთი-ორჯერ ჩამოვიდეს გორიდან. ხან თავისი ნაბოლარები – ლექსო და ვანიკო მოიყოლოს, ხანაც გორული ნობათი – ლექსები და მოთხრობები. სიცოცხლე ხომ გრძელდება. თუ ფერხულში არა ვართ ჩაბმულები, ერთმანეთისკენ წარსული მაინც გვეზიდება.

ერთ-ერთ ამგვარ ჩამოსვლაზე მოზრდილი წიგნი ჩამოიტანა, ანუ წიგნისთვის გამზადებული მოთხრობები, დღიურები, ჩანახატები... სულის მტკივნეული ფრაგმენტების კრებული – "ზამთრის წიგნი". არ ვიცი რა არის, ამ ათი წლის მანძილზე ვწერდი გზადაგზა, ტკივილსა და ტკივილს შორის, ხომ არ წაიკითხავდიო... სიამოვნებით დავთანხმდი. მერე ნუგზარ შატაიძეს წააკითხა, ასევე მეგობარს და სიტყვის ოსტატს, პროზაიკოსს.

ამ დროისთვის ნუგზარმა ერთი მოგონება დაბეჭდა "ჩვენს მწერლობაში", თავიანთი ახალგაზრდობისდროინდელი, შუა აზიის რომელიღაც ქალაქში ორ მწერალს რომ გააგზავნიან მივლინებით, მოთხრობასავით დაწერილი ნარკვევი-მოგონება. ვახარე. არ ჰქონდა წაკითხული. ვაიმე, ყველაფერი ხომ არ უწერია, რაც თავს გადავიხდინეთო. გაგვეცინა. დავამშვიდე და თან გაზეთი მივეცი, რომ თვითონვე "დამშვიდებულიყო".

მერე იმ "ზამთრის წიგნიდან" ერთი ვრცელი მოთხრობა ჟურნალ "ომეგაში" დაიბეჭდა, დანარჩენებიც რიგში დგანან და როგორც რედაქტორი შეჰპირდა, პერიოდულად გამოვაქვეყნებთ.

აი, იმას კი ვერ ვიტყვი, მწერალი ამ მოთხრობების წიგნად გამოცემას როდის მოახერხებს...

ეს ლექსების პატარა კრებული, რის გამოც წერა დავიწყე და "გაზაფხულია, მარიამ!" რომ დაურქმევია ვანო ჩხიკვაძეს, ამდენი ტკივილიანი წლის საზღაურად გამოუცია, რათა მკითხველისთვის და საკუთარი თავისთვის სიხარული ეჩუქებინა.

ვიცი, მშიერს ვერ გააძღობს,
რაც არ უნდა ბევრი მიქონ.
სამარეზე დასადგმელად
ვაკოწიწებ ტანჯვით სტრიქონს.
მაინც ვუშვებ საწანწალოდ,
ფარჩის ნაცვლად ვაცმევ ჯვალოს.
იქნებ ვინმემ შეიფაროს,
ობლის ცრემლი შეუმშრალოს.

ლექსისთვისაც "ობოლი" დაურქმევია.

ლაკონურად ჩამოხვეწილი სტრიქონებით დიდი ტკივილი მჟღავნდება. სევდის ნახაზიც მკაფიოა, ვერც ამქვეყნიური ფერადების სიმცირე აკლებს რაიმეს, ვერ აღარიბებს, რადგან იცის, პოეტის გუმანით გრძნობს, რომ მხოლოდ ის არის ფასეული პოეზიაში, რაც თანაგანცდას ბადებს.

ხვალ ჩემი დაბადების დღეა!
ერთხელაც, წინა დღეს,
ხომ ვერ დავწერ
და ვერც გავიფიქრებ:
– ხვალ ჩემი დაბადების დღეა!

არაერთი კარგი, საინტერესო და საგულისხმო ლექსია ამ პატარა, ერთიციდა კრებულში. თუ გადაშლით და წაიკითხავთ, დღევანდელი ყოფით დაღდასმულ, გატანჯულ პოეტს შეხვდებით, ვისი გადამდები საწუხარიც მკითხველის სულს პოეტური სევდით ავსებს და ფიქრს უხანგრძლივებს. ფიქრს სამშობლოზე, როცა მის ფერდებჩამოჭრილ სხეულს თითქოს შენი საკუთარი სისხლის წვეთებიც დასდის, მისი სატკივარი – შენს ძვლებსაც აქუცმაცებს და "თითქოს ჯავრი" ჭამს უიმედო მომავალს, რადგან **"სისხლის ღვარს მიაქვს ჩემი მშველელი – თავმოკვეთილი ნათლისმცემელი".**

* * *

ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში, ამ ორიოდე თვის წინათ რომ დაიბეჭდა "ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე, ვანო ჩხიკვაძეს ასეთი ფრაზებიც აქვს: "მე ჯერ-ჯერობით და-

მარცხებული ქვეყნის შვილი ვარ. ვიქცევი და ვწერ ისე, როგორც ჭირისუფალს ეკუთვნის". ეს სიტყვებიც მისი ლექსების, მოთხრობების გაგრძელებაა. იმ შინაგანი ომის გაგრძელებაა, რაც ყოველი ქართველის სულში ბობოქრობს და შეძლებისდაგვარად აისახება ცხოვრების წესზე, საქციელზე, შინაგანი პატრიოტიზმის გამჟღავნების უიმედო, მაგრამ აუცილებელ მოთხოვნილებაზე. ამას ვანო ჩხიკვაძე კარგად ახერხებს. თავისი შემოქმედებით, კალმით იბრძვის, რადგან თოფი სამშობლოს ღირსების დასაცავად დღეს ცოტას თუ უჭირავს, ან სულაც არავის. აკი ამბობს კიდეც: სამშობლო სხვებს თუ არა, მწერლობას მაინც სჭირდებაო. ამიტომაცაა მხოლოდ ერთეულებში რომ ეგულება შემორჩენილი მინავლული ბრძოლის ჟინი და მწერალთა გაზეთით ამბობს მათ გასაგონად: **"აქა-იქ მაინც დაღივლივებს ძველი სულის ნარჩენები, ღივღივებს და სულ რომ არ გაქრეს, სულის შებერვა უნდა..."** (ჩვენი მწერლობა, N35).

* * *

დეკემბერიც ჩამოდგა. უკან მოვიტოვეთ შემოდგომა. შემთხვევით შემოფეთებული ბოლო ყვითელი ფოთლის ოქროსფერიც გადახუნდა და სულ მალე ხსოვნასღა შემორჩება ეს წელიწადი... კვლავ მერამდენედ დაიწყება ზამთრის სისინა ქარების სიმებზე გაბნეული ჰანგით გაზაფხულის მოლოდინი. გაზაფხულის მომლოდინენი პოეტთან ერთად ოცნებაში არაერთხელ გავიმეორებთ: **"ამ ჩემი საწყალი ლექსის გულდათუთქული მშობელიც, გაზაფხულია, მარიამ!"**

ბორენა ჯაჯვლიანი

("ჩვენი მწერლობა", N49, 2001)

სარჩევი

2005

- (ოდესღაც გწერდი) 5
- (აღარც ილიას მერცხალი...) ... 6

პატარა მხატვარი 7
შეძახილი 7
დიალოგი მონტელოს ველზე 8
მარტივი ლექსი 11
როგორ მენატრება 12
ლოზუნგი 13
გათენდა 14

- (თექვსმეტმა იანვარმა...) 15

ბაქანი 16

- (იანვარი გავიდა) 16
- (დარდით გულგატეხილი) 17

2004

სადღაც 19
იასამანი 20

- (მიილევა ზამთრისპირი) 21

ნათლისმცემლობა ღამე 22

- (უხმოდ ნაყავენ ქინძსა...) 25

ჭიკარტი 26

- (აღარა ვარ დარდით...) 28
- (ვინ დაფინა რაფაზე...) 29

ველის ქარი 30

- (ამ გაძაღლებულ მარტის...) ...31

საახალწლო 32
პალატა 34

- (გაქრა ბრძენი...) 34

ხალხური მოტივი 35
უძლომელა 35
ესკიზი 40

- (ქარს მიაქვს კვამლი) 41

დილა ცემში 42
წყევლა 43
ძალო 44

- (უკანასკნელო მინდვრის....)...47

სიმღერა 48
მამალი 49

2003

სპექტაკლი 50

- (ზამთრის საღამოვ) 52

ესკიზები ლექსებისათვის 53

- (ჩაძინებული ჩემი ბიჭები) 57

ფრიპოლდის ღამე 58
პარასკევი 59
წარნერები საფლავის ქვებზე 60
საფეხბურთო ექსპრომტი 61
გაფრთხილება 62
ქართლი 64

- (ვდგავარ გაზაფხულით) 65

2002

- (ასიათასი—თოვლია...) 66
- (შემოპყოლია მერცხალი) 67

14 თებერვალი 68

- (სულ ერთ ღამეში ქალი...) 69
- (წავიდა კაცი, დამიტოვა...) 70
- (ყუნწზე—ვარდი...) 71
- (ბარტყი უბეში) 72

მრავალჟამიერ 73

- (ქვეყანას თუკი ეშველება) 74

26 ოქტომბერი, „ნორდ—ოსტი“ ..75
საყვედური 76
სიცილის ოთახი 77

- (ამ ატამთან დედაჩემი...) 77
- (აღდგომის დილა ისევ...) 78
- (ცხელ ქვიშაში...) 79

24 აპრილი 80
ზარი 81
თხოვნა 82
შვილები 83

- (შენი ჩონგურის ხმა არ...) 84
- (შემინყალე, ცოდვილი...) 84

ძველი თბილისი 85
დოლარი 86
დრო 87

- (არ სწყურია, არ შია) 88

ხუმრობით რუსთაველის 42-ს 89

- (როცა გასწია ქარმა...) 90
- (ზოგი მინას) 91

წუთისოფელი 92
ლექსი—კლიპი „უცნობს“ და ნაცნობს 93

- (ეს ერთი დილაც) 94

შაშვი 96
თასი 97
● (იმ ქოხთან მივიდე...) 98
სატელევიზიო ნეკროლოგი 99
გადაძახილი 101
სურამი 102
● (შემოდგომის მწუხრი) 104
ორშაბათი 105
ერთ ქვეყანაში 106
23 დეკემბერი 107

2001

გაზაფხულია, მარიამ! 110
წარწერა ნახატზე 111
გორიჯვრობა 112
რემინისცენცია 113
მოწოდება 113
ხუმრობით 114
სურათი შვილებთან 115
ძახილი 116
მგელი ქალაქში 117
● (ცხოვრება ეს იყო, ეს....) 119
სიბერე 120
ბარტერი 122
ჯარისკაცების სიმღერა 124
საერთო ეზო 126
● (კედელი) 127
თამადა 128
რეიმსი. შამპანური. გახსენება... 131
● (ისევ აყვავდი, ვარდო...) 133
მინაწერი წიგნზე 134
ბავშვობის სახლი 135
● (მაფხიზლებს წვიმა) 136
ლოცვა 137
● (უხმოდ მიიპარება...) 138
● (მომრავლდნენ უბანში...) 139
მუსიკა 140
ავტოპორტრეტი
ძველ ჩარჩოში 141
დედაქალაქი 142

2000

მტრედები 154
● (გახსოვს, ის...) 155
● (შეხედე, ერთი კაცივით) 156
დედა 156
გაფრთხილება — 2007 157
● (წყვდიადში ხელებს...) 158
რეპლიკა დარბაზიდან 158
● (ერთი დღეც არ...) 159
მსგავსება 159
ნანყვეტი დიალოგიდან 160
შინაბერა 161

1999

ათი ივნისი 162
ლომი 164
● (გოგოს გაჭრილი...) 165
● (წარმოსახვაში თოვს) 166
● (მოვიწყინე, დედაჩემო) 166
● (შენს სახეზეც აუღერდა) 167
დიდედა 168
არაყის გამოხდა 170
ტყემალი 171
სამი ფოთოლი 173
● (გარეთ ყინავს, ოთახში...) 174
ობოლი 175

1998

● (მორჩა, ბოლო ტყვიაც...) 176
● (ნაცრისფერი ზამთრის...) 177
ფიფქი 178
მეკითხებიან, როდის? 180
● (მღვრიე ბურანში დავალ) 181
● (ბულბულად დაგსვეს) 181
ბოლოს 182
წარწერა წიგნზე 183
● (მომენატრება ის დრო) 184
● (ცალ-ცალკე) 185
მაგნოლია 187
● (თანდათან ქრები ჩემი...) 188
თითქმის ხუმრობით 189
● (უკვე აღარ გახსოვარ) 191
ქუთაისის მონატრება 192
● (ნამავ თეთრეულს) 195
სიბერე 196
დილა 197
● (ქუჩაში უცებ ჩემი...) 197
● (სძინავთ ბიჭებს) 198
● (წარსული, როგორც ...) 199

ამბავი 200
● (იმ ბოლო...) 202
● (მე დღეს დავკარგე...) 203
ეკალი 204
დილა სილნაღიდან 205

1997

● (დამესიზმრა დედაჩემი) 207
ბიჭები 208
● (პატარა ჩეჩნეთი...) 209
საქართველო 210
● (ეშმაკი რომ ხარხარებს) 211
● (სიზმარში ვიღაც...) 211
● (ამ ყვავილიან ბორცვზე) 212
● (ფეხისნვერებზე მოდის...) 212
● (ეს თიბათვის აღმართიც) 213
● (ჩამობერდი) 214
● (დაჩეხილი კუნძი ბოლავს) 214
მარიამ! 215

1996

მთვარე 217
● (ცრემლი მოსდის ტინებს) 218
● (მიხაკების ცეცხლში...) 218
● (იქ, სადაც შენი...) 219
● (ავხედე შემწიფებულ...) 220
ქება ღუმელს 221
ცაიტნოტი 223
ვანიკოს 224
მერცხლები 225

1995

არჩევნები 226
● (თქვენი მოგონებით...) 227
ბარათი 228
● (ხედავთ, ბატონო მურმან) 229
თებერვალი 230
დეპუტატი 231
პასუხი 232
თოვლი მოდის 233

1994

სიზმარი 234
● (მომადგებიან მდუმარედ) 235
● (ღმერთო, რა ხდება!) 236
● (დაეშვა ფარდა, ჩაქრა...) 237

1993

ჭერამი 238
● (აღარ მიყურებ) 239
საყვედური 240
1993 241
ძველი ხიდი 242
დაუმთავრებელი ლექსი 247
ხუთი ოქტომბერი 248
ტრამვაი 249

1992

● (ხომ ყველაფერი...) 251
● (ვეღარ ვიგებ, ღამეა...) 252
ლაურა 253
N-ს 255
სირაქლემა 256
დაქანდნენ წლები 257
21 სექტემბერი 258

1991

● (ავადა ვარ, აღარ ვიღებ...) 259
კაცი—თითი 260
● (კვლავ მომახედა...) 261
● (შემოდგომა ილევა) 262

1990

საქართველო აღსდგა 264
სა-ქარ-თვე-ლო 266
ყეფდა, ყეფდა, მურია 269
ვედრება 272

1989

მარტოხე 275
● (მოვიდნენ წვიმები) 276

1988

● (დეკემბერი, დეკემბერი) 277
წარწერა სურათზე 278
● (მეორე თვეა...) 278
● (არაგვს გამოლმა...) 279

1981

ანანური 280
კითხვა-პასუხი 281
● (რაზე ჩურჩულებს...) 282
● (ვიცი, რომ დღესაც...) 283

● (ასე ცივდება ცხელი...) 284
● (როცა ამ ლამაზ...) 285
● (შემოდგომის ძახველი) 286
გიტარა 287
● (შენ გაზაფხულის...) 288
● (უხმოდ მივყვებით...) 289
თამადა 291
● (ყინვით გასუდრულ...) 292
● (აღარ ხარ ჩაქრა...) 293
მიულინება—1974 294

1980

● (მე იქ არა ვარ) 301
● (ჭრელფოჩიანი...) 302
ჩათავდა ნელი.....303
სარკე 304
● (ვტყუივარ, მორჩა) 305
აგარაკი 306
● (თბილ ქვეყნებისკენ...) 309
თოვლი 310
● (ასე დაიდგა მორიგი...) 311
● (ჭიხვინებენ ცხენები) 312
● (მახსოვს, სილაში...) 314

1979

● (როდემდე უნდა ზილოთ...)...316
● (გაწყდა როქის სპა) 318
● (ასე მახსოვხარ) 319
● (ძველი ორლობე...) 320
ალგეთი 321
არ იყურება არავინ გარეთ 322
არ მეორდება არაფერი 325
წერილი 328
● (დაცარიელდა შენი...) 330
● (სული კი არა, სხეული...) 331
● (ადიდებულო...) 332
● (იჯექი წყნარად და...) 333
● (ის დრო სხვა იყო) 334
● (მე რომ შევედი—ყველა...) ...335
ოჯახი 336

1978

ალაზანზე 337
დედის მოლოდინი 338
სანერი მაგიდა 339
ცხენი 341
● (კანკალებს თხმელა) 342
● (ამღვრეულია ალაზანი) 343
ორი ნაპირი 344
განწყობილება 345
სალამი, ზამთრის დედოფალო...346
სიზმარი 348
საჰაერო რეისი 350
ლატვიაში 354

1977

ძველი სახლი 360
ვიოლინოს გაკვეთილი 363
მოხუცები 364
● (მე გადავთელე...)..... 365
● (დანადაკრული გაექცათ...)...366
აეროპორტი 367
● (დაცარიელდა საკიდარი) ... 369
● (ოცი წლის მტვერი) 371
● (ვეღარ გადავთქვი...) 372
● (ახლა ლომისის...) 373
● (ვიდრე თბილია ეს...) 374
● (ეწევი) 375
● (ტორავს იურტას...) 376
● (გადავივინყე) 377
შემოდგომა 378

1976

უჯარმა 379
● (როცა მამები იგვიანებენ) ...380
● (ხვალ მივალ მთისკენ) 381
ხარი 382
დები 383
ბარათი სოფლიდან 384
ბაადურს 385
● (ამოგილამებს თვალებს...) ...387
● (მოგაცილებენ...) 388
N-ს 388
ქარი ქალაქში 389
● (ზუზუნებს ქარი...) 390
● (შაოსან ქალთა ხეივანში) ...390

1975

● (მადლობელი ვარ...) 391
გადაფრენა 392
ცხენჯოხები.....392
ფოტოსურათი 393
სინანული 394

ტოტი გვიანი შემოდგომისა 395
● (თუ ამაფარე თვალებზე...) ...396

1974

ხელი 397
გზები 398
ქუჩაში მოდის ომის ჭრილობა...399
● (შეაფრინდება პატარა...)..... 400
ძველი ქალაქი 401
პირველთოვლობა 402
მტრედი ეკლესიის გუმბათზე ...403
გამოთხოვება 404
დავიწყებული სიმღერა 405
● (ფიქრობ და განვლილ...) 406
● (გამოეხეტა დაკარგული...)...407
ქარი 407

1973

წარწერა ნახატზე
„უცნობი ქალი" 408
● (ჰაერში უცებ გაიყინა...) 409
● (თქვენ სიჩუმეს და...) 410
კიბე 411
სოფელი 412
● (გათქვარულია) 412
● (ჩვეულებრივი...) 413
გალაკტიონი 414
სარკმლიდან 416
● (გულხელდაკრეფილი...) 417
მოხუცი პიანისტი 417

1972

● (შენც გაიზრდები) 418
პირმშოსადმი 419
● (აქეთკენ ალარ ...) 420
● (—საითკენ?—ვკითხე...) 421
● (შენ მივიწყებულ...) 422
● (ვკითხულობ „მაკბეტს"...) ...423
დაბადების დღე 424
ორი მოხუცი 425
სასაფლაო 426
● (დადგება ზამთრის...) 427
ენდშპილი 428

1971

● (აქ რომ ცხოვრობდა...) 435
ბაქანი 436
● (ჩააქრეს ცეცხლი) 437
● (ახედავ ცას და...) 438
● („აღარ გადიღებს მგონი) 439

1970

ნიჟარა 440
● (მარადისობა—დეზიანი...) 441
● (შენი ლტოლვაა ეს...) 442
● (სცრის. გადადიან...) 443
● (ქარია. მაინც ლამაზი...) 443
ბალახი 444
● (ბაბუაწვერას...) 444

1969

ძაღლი 445
წვეთი 446
● (შენ თუ არ მოხვალ...) 446
● (ჩვენ დავიბადეთ...) 447
კაცი 447
● (შემოიარე, მხოლოდ...) 448
● (ბავშვები ხშირად...) 449
● (როცა პაპა ...) 449

1968

ხიდი 450
● (ქარი ადგება) 451
შემოდგომის ფრაგმენტი 452
● (გაიჭრიალა ურემის...) 452
● (აკენკეს ერთი მუჭა...) 453
ზამთრისპირი 453

1967

● (ხეზე ჰკიდებდა შოშიას...) ...454
● (შუაღამეში მიირწევა...) 455
● (წყალს მისდგომია...) 456
● (ალვის ხეები...) 457
● (თვალს მჭრიდა...) 458

1966

● (ოცნებასავით გაქრა...) 459
● (აღარ შეწყდება ...) 460
● (ისევ მხვდებიან) 461
პოეტი გაზაფხულებს
დაელოდება
(ბორენა ჯაჭვლიანი) 463

ვანო ჩხიკვაძე ავტორია პოეტური და პროზაული წიგნებისა:

პოეზია

„ნათდება“ — 1972
„დაბადება“ — 1976
„ორნი სინათლის წრეში“ — 1978
„ლექსები“ — 1980
„სალამი ზამთრის დედოფალო“ — 1981
„შემოდგომის ბილიკი“ — 1982
„გადაფრენა“ — 1984
„მტრედი ეკლესიის გუმბათზე“ —1990
„ძველი ხიდი“ —1996
„ღმერთო, მათქმევინე“ —1997
„Âîçäóøíûé ðåèñ“ —1998
„ცრემლის ქვამარილი“ —1999
„გაზაფხულია, მარიამ!“ — 2001
„გილოცავთ!“ —2002
„კარნავალი ულრანეთში“ —2003

პროზა

„ავტოპორტრეტი ძველ ჩარჩოში“ —2006
„ორი კაცი“ — 1983
„ჩიტები ზამთარში“ —1986
„ექო“ —1987
„Голубая песня“ — 1987
„წიგნში ჩამარხული ყვავილის სევდა“ —1989
„Птицы зимой“— 1991
„ორი რომანი“ — 1991
„დერეფანი“ — 1999
„კოხტა თამრო“ — 2003
„ზამთრის წიგნი“ —2005

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე

დამკაბადონებელი ლელა ლელაძე

კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.12.2006, ხელმოწერილია

დასაბეჭდად 17.06.2006, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 30

ტირაჟი 500, შეკვეთა №10

ფასი_სახელშეკრულებო

ქუთაისის სააქციო საზოგადოება „ფანდარიას სტამბა“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამ. 33